Академия наук Грузии
Институт языкознания им. Ари. Чикобава
Georgian Academy of Sciences
Arn. Chikobava Unstitute of Linguistics

Важа Шенгелиа

Некоторые вопросы истории картвельской и черкесской языковых систем

Vazha Shengelia

Some Problems of history of the Kartvelian and Chercessian Lingual Systems

Тбилиси — Tbilisi
2006

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ვაჟა შენგელია

ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი

„ქართული ენა“
თბილისი
2006

ნაშრომი დასრულდა 1999 წელს; გამოსაცემად მომზადებისას მასში არსებითი ხასიათის ცვლილებები არ შესულა.

რეცენზენტები: პროფ. **გ. ბურჭულაძე**,
პროფ. **მ. ქურდიანი**

რედაქტორები: პროფ. **ნ. ქუთელია**,
პროფ. **თ. გვანცელაძე**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,
ვ. შენგელია

ISBN 99940-864-8-0

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 9

თავი I. ქართველური და ჩერქეზული ენების ფონოლოგიურ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი 13

§ 1. **ჟ** ფონემის ისტორიისათვის ქართველურ ენებში 17

§ 2. ერთი ქართველური ბგერათშესატყვისობის ისტორიიდან 26

§ 3. **მ → უ** პროცესისათვის მეგრულში 28

§ 4. ჩერქეზული ვოკალიზმის ისტორიისათვის 32

§ 5. პრერუპტივების წარმომავლობის შესახებ ჩერქეზულში 66

§ 6. ჩერქეზულ ენათა ლატერალური თანხმოვნების ისტორიისათვის 77

თავი II. პიროვნებისა და ნივთის კატეგორიის ისტორიისათვის 85

§ 1. ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური განაწილებისათვის ქართველურ ენებში 86

§ 2. პიროვნებისა და ნივთის სემანტიკური კატეგორიის ფუნქციონირების ერთი შემთხვევის შესახებ ახალ ქართულში 123

§ 3. პიროვნებისა და ნივთის სემანტიკური კატეგორიისათვის ჩერქეზულ ენებში 125

თავი III. ისტორიულ-შედარებითი ძიებანი 130

§ 1. მეგრული **-გა** ნაწილაკის წარმომავლობისათვის 130

§ 2. სიტყვაწარმოებითი სუფიქსი -ჲან ჩერქეზულ ენებში და მისი შესატყვისი ქართველურ ენებში 134
§ 3. ჩერქეზულ პირის ნაცვალსახელთა სუფიქსური ელემენტისტორისათვის 141
§ 4. რამდენიმე ეტიმოლოგიური ძიება 146
ა) **წყარო** 146
ბ) **ჩეო** 150
გ) **კედელი** 153
დ) **ბოკვერი** 153
ე) **გალობა** 154
ვ) **ღიჭნა** 154
ზ) **ჭირკუ** 155
თ) **ნირგა** 157
ი) **ტკუტკუბური** 157
კ) **ძიუთ** 158
ლ) **კოჭ** 159

დასკვნითი დებულებები 160

ენებისა და დიალექტების სახელწოდებათა შემოკლებანი 181

სამეცნიერო ლიტერატურის, გამოყენებული ლექსიკონებისა და წყაროების სია 182

რეზიუმე (რუსულ ენაზე) 201

Резюме

Предисловие 201

Глава I. Некоторые вопросы фонологических систем картвельских и черкесских языков 202
§ 1. К истории фонемы ž в картвельских языках ... 203
§ 2. К истории одного картвельского звукосоответствия 205
§ 3. К процессу **m** → **w** в мегоельском диалекте 206
§ 4. К истории черкесского вокализма 207
§ 5. О происхождении черкесских преруптивов 216
§ 6. К истории черкесских латеральных согласных 219

Глава II. К истории категории личности и вещи 222
§ 1. О семантической дистрибуции глаголов со значением "иметь" в картвельских языках 223
§ 2. Об одном случае функционирования категории личности и вещи в новогрузинском языке 230
§ 3. О семантической категории личности и вещи в черкесских языках 231

Глава III. Историко-сравнительные разыскания 232
§ 1. К происхождению частица -**ga** в мегрельском диалекте заноского языка 232
§ 2. Словообразовательный суффикс -**jă** в черкесских языках и соответствующий суффикс в картвельских языках 234
§ 3. К истории суффикса личных местоимений черкесских языков 236
§ 4. Несколько этимологических разысканий 237

а) **ҫqaro** 237
б) **čeo** 237
в) **ķedeli** 238
г) **boķveri** 238
д) **galoba** 238
е) **γiǯna** 238
ё) **ċirku** 238
ж) **nirga** 238
з) **ţķuţķuburo** 239
и) **ʒiut** 239
й) **ķoǯ** 239

წიგნი ეძღვნება ძვირფასი
მასწავლებლის, აკადემიკოს
არნოლდ ჩიქობავას ხსოვნას

წინასიტყვაობა

ქართველურ ენათა შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს განსაკუთრებით ითქმის ქართულის, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ძველი დამწერლობის მქონე ერთადერთი ენის, შესახებ, რომელზედაც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა მრავალფეროვანი ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა, რასაც, თავის მხრივ, ბუნებრივად თან სდევდა ენობრივ მოვლენებზე დაკვირვება, გრამატიკულ ცნებათა ჩამოყალიბება და სათანადო კვლევა-ძიება. ჩვენამდე მოღწეულთაგან პირველი გრამატიკა ქართული ენისა XVII საუკუნის პირველ ნახევარში შექმნა იტალიელმა მკვლევარმა ფ. მ. მაჯომ; ეს გრამატიკა იმავდროულად პირველი გრამატიკაა საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში [ჩიქობავა 1965, 53]. შემდგომ საუკუნეებში ქართული ენის მრავალი აღწერითი გრამატიკა დაიწერა, მეგრულ-ჭანური და სვანური კი პირველად გ. როზენმა აქცია მეცნიერული ანალიზის საგნად XIX საუკუნის 40-იან წლებში და „ამ უმწერლო ენათა გრამატიკა სპეციალისტებისათვის ასე თუ ისე ხელმისაწვდომი გახადა“ [ჩიქობავა 1965, 152].

შედარებით ქართველურ ენათმეცნიერებას XIX საუკუნეში ეყრება საფუძველი და დაკავშირებულია მ. ბროსეს, გ. როზენისა და ა. ცაგარლის სახელებთან. ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, გ. დეეტერსის, კ. დონდუას, ქ. ლომთა-

თიძის, გ. როგავას, ჰ. ფოგტისა და სხვათა გამოკვლევებმა ახალ საფეხურზე აიყვანეს ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა.

60-იანი წლებიდან იქმნება მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომები ქართველურ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი შესწავლის თვალსაზრისით (თ. გამყრელიძე, ტ. გუდავა, ფ. ერთელიშვილი, ა. კიზირია, გ. კლიმოვი, ა. მარტიროსოვი, გ. მაჭავარიანი, თ. უთურგაიძე, ბ. ფოჩხუა, მ. ქალდანი, კ. ჰ. შმიდტი და სხვ.).

ქართველურ ენათა შესწავლაში მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული. მათი წარმატებული კვლევა დღესაც გრძელდება როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის მრავალ ქვეყანაში.

პირველი სამეცნიერო გამოკვლევები აფხაზურ-ადიღურ ენათა შესახებ გ. როზენსა და პ. უსლარს ეკუთვნის. ლ. ლოპატინსკი, პ. ჭარაია, ნ. მარი, ნ. იაკოვლევი, ს. ჯანაშია მნიშვნელოვანი სახელებია ამ ენათა შესწავლის ისტორიაში. სამეცნიერო კვლევა-ძიების ახალი ეტაპის დაწყება და დამკვიდრება უკავშირდება ჟ. დიუმეზილის, ქ. ლომთათიძისა და გ. როგავას სახელებს. ჩერქეზული ენები კიდევ მრავალი სპეციალისტის (დ. აშხამაფი, ზ. კერაშევა, პ. ბაღოვი, ა. შაგიროვი, ბ. ბალყაროვი, ბ. კარდანოვი, ჯ. კოკოვი და სხვ.) კვლევის საგანი გამხდარა, მაგრამ მაინც მ. კუმახოვის წვლილი გამორჩეულია (ეს ითქმის როგორც ნაყოფიერების, ისე საკითხთა გაღრმავებული და თანმიმდევრული მეცნიერული ანალიზის თვალსაზრისით).

აქვე ზოგადად ისიც უნდა ითქვას, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში, ქართველური ენათმეცნიერების შემდეგ, ყველაზე დამუშავებულად ჩერქეზული ენათმეცნიერება წარმოგვიდგება. ამ აზრის საილუსტრაციოდ იმის თქმაც იკმარებს, რომ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ერთ-ერთი პირველი და ვრცელი აკადემიური გრამატიკა, პირველი განმარტებითი, ეტიმოლოგიური, ფრაზეოლოგიური, ტოპონიმიკური და ანთროპონიმიკური ლექსიკონები

ამ ენებში შეიქმნა.

ქართველურ და ჩერქეზულ (resp. აფხაზურ-ადიღურ) ენათა შედარებითი კვლევის თვალსაზრისით ფუძემდებლურია ივ. ჯავახიშვილის, არნ. ჩიქობავას ს. ჯანაშიას, ქ. ლომთათიძისა და გ. როგავას ნაშრომები.

იმის მიუხედავად, რომ ქართველურ და ჩერქეზულ ენათა კვლევა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ყველაზე დაწინაურებულ უბნებად შეიძლება მივიჩნიოთ, მაინც რჩება მრავალი საკვლევი საკითხი, მრავალი ისეთი პრობლემა, რომლებიც ახლებურ გააზრებას საჭიროებს. ამას მოითხოვს არა მხოლოდ კონკრეტული ლინგვისტური ობიექტის სამეცნიერო კვლევა-ძიების ამოცანები, არამედ თვით მეცნიერების არსი, მისი განვითარების ლოგიკაც, რომელიც გვასწავლის, რომ ამა თუ იმ სამეცნიერო დარგის განვითარება უწყვეტი უნდა იყოს, თუკი საქმე ნამდვილად გვაქვს კვლევის გარკვეული ობიექტის მქონე ჰეშმარიტ მეცნიერებასთან.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ქართველურ და ჩერქეზულ ენათა როგორც აღწერითი, ისე ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით კვლევის პერსპექტივა ეჭვს არ იწვევს.

ამ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხების შესწავლაზე წინამდებარე ნაშრომის ავტორსაც უმუშავია სამ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში და ზოგი საკითხის შესახებ თავისი აზრის ჩამოყალიბებაც უცდია. თუ რამდენად ნაყოფიერი იყო ეს ცდა, ამის განსჯასა და განსაზღვრას კვალიფიციური და ობიექტური მკითხველი, ვფიქრობთ, ადვილად შესძლებს.

აქ წარმოდგენილი გამოკვლევები ქართველურ და ჩერქეზულ ენათა ფონეტიკური სისტემის, გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის სფეროებს განეკუთვნება. სამწუხაროდ, ამ ენათა აგებულების ყველა საკვანძო საკითხი ნაშრომის ავტორის მსჯელობის საგანი დღემდე არ ყოფილა, მაგრამ იმათგანაც, რის შესახებაც მას უფიქრია, ისეთი სა-

კითხები შეირჩა, რომელთა შესახებ მსჯელობა ავტორმა უფრო საინტერესოდ, დასაბუთებულად და სამსჯავროზე გამოტანის ღირსად მიიჩნია.

ზემოთქმულის შესაბამისად, იმედი გვაქვს, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ძიებანი და სათანადო შედეგები ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ქართველურ და, მეორე მხრივ, ჩერქეზულ ენათა ისტორიულ-შედარებით ანალიზს, ასევე, გარკვეული წვლილი იქნება ქართველურ და ჩერქეზულ (resp. აფხაზურ-ადიღურ) ენათა შედარებითი შესწავლის საქმეში.

თავი პირველი

ქართველური და ჩერქეზული ენების ფონოლოგიურ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი

ქართველური და ჩერქეზული ენები როგორც არსებითი ხასიათის გრამატიკული თავისებურებებით, ისე ფონოლოგიურ სისტემათა მიხედვითაც იბერიულ-კავკასიურ ენათა ტიპობრივი წარმომადგენლები არიან.

ხმოვანთა სიმცირე და თანხმოვანთა სიმრავლე საერთო-ქართველური ფონოლოგიური სისტემისათვის დამახასიათებელი თვისებაა.

ქართველურ ენათათვის ძირითადი და ამოსავალია ხუთი სადა ხმოვანი: **ა, ე, ი, ო, უ**. ზანური ენის მეგრულ დიალექტსა და სვანურში მათ ემატება ხმოვანი **გ**, რომელიც წარმოქმნილი ჩანს ქართველური ფუძე-ენის დაშლის შემდეგ ამ ენათა დამოუკიდებელი განვითარების პირობებში. ლაზურ დიალექტს გააჩნია მეორეული პალატალური და ფარინგალიზებული ხმოვნები. ამას გარდა, სვანურს მოეპოვება გრძელი და უმლაუტირებული ხმოვნები, რომლებიც მეორეული წარმოშობისა ჩანს და საერთო-ქართველური კუთვნილება არ უნდა იყოს. თვით ქართული ენის დიალექტებში დადასტურებული ხმოვნების სხვადასხვა (გრძელი, უმლაუტირებული...) მოდიფიკაციათა მეორეულობა აშკარაა.

ქართველური ენების თანხმოვანთა სისტემისათვის დამახასიათებელია „კავკასიური მკვეთრები“, ანუ აბრუპტიული თანხმოვნები, რაც ხშულთა სამეულების (შეღერი — ფშვინვიერი — მკვეთრი) არსებობის საფუძველია; სპირანტები წყვილეულებს ქმნიან (მკვეთრი სპირანტი ქართველურ ენებს არ გააჩნია). რ სიტყვის თავში იშვიათია. ქართველური ენები მდიდარია თანხმოვანთა კომპლექსებით; ბუნებრივია დეცესიურ-ჰარმონიულ თანხმოვანთა კომპლექსები

[ახვლედიანი 1949].[1]

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის უმნიშვნელოვანეს თავისებურებად მიჩნეული ზოგადი ტიპოლოგიური ნიშანი — ხმოვანთა სისტემის სიმარტივე და თანხმოვანთა სისტემის სირთულე, ყველაზე მკაფიო რეალიზაციას აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფში ჰპოვებს. ამ მხრივ ეს ენები უნიკალურ ლინგვისტურ ექსპერიმენტს წარმოგვიდგენენ არა მარტო კავკასიურ ენობრივ სამყაროში: ძნელია მსოფლიოში ანალოგი მოეძებნოს ორი-სამი ხმოვანი ფონემისა და ხუთი ათეულიდან რვა ათეულამდე თანხმოვანი ფონემის შემცველ ენობრივ სისტემებს; ამიტომაა, რომ ეს ენები ენათა სხვადასხვა ოჯახისა და ჯგუფის მკვლევართა დიდ ყურადღებას იმსახურებს (განსაკუთრებით — აღდგენილი, სავარაუდო ფონემური სისტემების ვერიფიკაციის თვალსაზრისით).

ჩერქეზული ქვეჯგუფის ენათა — ადიღეურისა და ყაბარდოულის, ვოკალიზმი და კონსონანტიზმი ყველა იმ არსებითი ნიშნის მატარებელია, რაც საზოგადოდ აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი. ჩერქეზულ ენათა ვოკალიზმი სამწევრა ოპოზიციას წარმოგვიდგენს ღიაობის რელევანტური ნიშნით (ა, ə, ы). ეს სამი ხმოვანი ორ ე. წ. ნახევარხმოვანთან ერთად (ы და ў) ქმნის აღმავალ და დამავალ დიფთონგებს; პირველი უფრო დამახასიათებელია.[2] ჩერქეზულ თანხმოვანთა სისტემისათვის არსებითია ხშულთა სამეულებისა და ოთხეულების, სპირანტთა სამეულების, წყვილეულებისა და ცალეულების არსებობა. დიალექტთა მეტ წილს მოეპოვება ხშულთა სამეულები - (მჟღერი—ფშვინვიერი—აბრუპტივი), ხოლო ოთხეულები — მხოლოდ ბჟედუღურ და შაფსუღურ დიალექტებს (აქ „ორ-

[1] სხვა შეხედულების შესაბამისად, ქართულისათვის დამახასიათებელია თანხმოვანთა შეხამება აღმავალი ნაპრალოვნების პრინციპით [უთურგაიძე 1975, 76-114].

[2] ხმოვანთა სისტემის ანალიზს სამეცნიერო ლიტერატურა სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენს (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

დინარულ“ სამეულებრივ სისტემას პრერუპტივი ემატება). ამ სისტემის სხვადასხვაგვარ გააზრებათაგან უფრო მართებულად გვეჩვენება ის, რომელიც ოთხეულებრივ სისტემას მეორეულად მიიჩნევს (არნ. ჩიქობავა, მ. კუმახოვი...), მაგრამ მისი წარმოშობის მიზეზისა და დროის შესახებ შესაძლოა სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობდეს (ამის შესახებ მსჯელობა იხ. ქვემოთ).

სპეციფიკურია ზერქეზულ ენებში სპირანტთა სამეულები (მჟღერი—ფშვინვიერი—მკვეთრი), რომლებიც ყველა ჩერქეზულ დიალექტშია წარმოდგენილი სხვადასხვა რიგში და სხვადასხვა რაოდენობით: ბჟედუღურში, შაფსუღურსა და ჰემგუურში სამი რიგია — ორი სისინ-შიშინა სიბილანტებსა (ზ́—ს́—ṣ́, ზ́ʷ—ს́ʷ—ṣ́ʷ) და ერთი ლატერალებში (ლ́—ლ́ʰ—ḷ); ყაბარდოულშიც სამი რიგია, ოღონდ ერთს ქმნის კბილ-ბაგისმიერები (ვ—ფ—ᵖf), მეორეს — სისინ-შიშინა სიბილანტები (ზ́—ს́—ṣ́), მესამეს — ლატერალები (ლ́—ლ́ʰ—ḷ); აბაძახურ დიალექტში ყველაზე რთული სურათია — ხუთი რიგი გვაქვს: ორი შიშინა რიგში (ჟ—შ—ʃ, ჟʷ—შʷ—ʃʷ), ორი — სისინ-შიშინებში (ზ́—ს́—ṣ́, ზ́ʷ—ს́ʷ—ṣ́ʷ) და ერთი — ლატერალებში (ლ́—ლ́ʰ—ḷ). ისტორიულად მკვეთრი სიბილანტები მეორეული უნდა იყოს, წარმოქმნილი სხვადასხვა ეპოქაში (გ. როგავა, ქ. ლომთათიძე, მ. კუმახოვი).

მაგარი და არამაგარი სიბილანტების კორელაცია, რომელიც არსებითია ჩერქეზული ფონოლოგიისათვის, წარმოდგენილია შიშინა სიბილანტურ რიგში და საერთოჩერქეზული დონის მოვლენად მიიჩნევა.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია: სიბილანტებში, სისინა და შიშინა თანხმოვნების გვერდით, სისინ-შიშინა სიბილანტების არსებობა; ლაბიალიზებული სიბილანტების, უკანაენისმიერების, ფარინგალებისა და ლარინგალების ფუნქციონირება.

თანხმოვანთა ეს სამი რიგი — სისინ-შიშინა, მაგარ და ლაბიალიზებულ თანხმოვანთა სისტემა — განეკუთვნება არა

მხოლოდ საერთო-ჩერქეზულ, არამედ — საერთო აფხაზურ-ადიღურ მოვლენათა რიგს.

თავისებურია ჩერქეზულ ლატერალურ სპირანტთა სისტემა, რომლის შემადგენლობაში გვაქვს მჟღერი, ფშვინვიერი და მკვეთრი. მჟღერი ლატერალი, როგორც მოქმედი ფონოლოგიური სისტემის წევრი, ჩერქეზულ ენათა გარდა,[3] სხვაგან (ნახურ-დაღესტნურ ენებში) არ შეინიშნება. მკვეთრ ლატერალს ზოგი მკვლევარი (მაგ., ჟ. დიუმეზილი) აფრიკატად მიიჩნევს. შესაძლოა ისტორიულად მართლაც ასე იყოს, მაგრამ ფონეტიკურად და აფხაზურ-აბაზურ ენებთან შესატყვისობის სისტემის თვალსაზრისით მკვეთრი ლატერალი უფრო სპირანტებს ეკუთვნის (შდრ., ერთი მხრივ, ჩერქლ **ლ'** : აფხ. **ჟ**, ჩერქ. **ლ'** : აფხ. **შ** და, მეორე მხრივ, ჩერქ. **ლ** : აფხ. **შ**). ამ შემთხვევაში ჩერქეზული ენები იმ მხრივაც არის საინტერესო და უნიკალური, რომ ლატერალთა სისტემის არსებობის პირობებში მათ არ მოეპოვება სონორი **ლ** (შდრ. დაღესტნის ენები, სადაც განსხვავებული ვითარებაა).

ჩერქეზულ ენებში თანხმოვანთა სიმრავლის პირობებში თანხმოვანთა კომპლექსები შედარებით მცირე რაოდენობითაა. რაც გვაქვს, უპირატესად დეცესიური და ჰარმონიულია. **ისტორიულად შესაძლოა ჩერქეზულ** (resp. აფხაზურ-ადიღურ) **ენებს ჰქონოდა თანხმოვანთა ისეთი კომპლექსები, რომელთა გამარტივებაც შემდგომ საფუძვლად დაედო მრავალი თანხმოვნის წარმოშობას.**

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სონორი **რ** საკუთარ ლექსიკურ მასალაში სიტყვის ფუძის თავკიდურ ელემენტად ჩერქეზულ ენებს არა აქვთ.

ქვემოთ წარმოვადგენთ ქართველურ და ჩერქეზულ ენათა ფონოლოგიური სისტემების ზოგი არსებითი მომენტის ანალიზს, რაც, ვფიქრობთ, ამ სისტემათა ისტორიის უკეთ გათვალისწინებას შეუწყობს ხელს.

---

[3] შესაძლოა გვქონდეს უბიხურშიც [Vogt, 1963, 13].

§ 1. ჟ ფონემის ისტორიისათვის ქართველურ ენებში

სამეცნიერო ლიტერატურაში ფონემა **ჟ** ქართველურ ენათა ფონოლოგიური სისტემის სრულუფლებიან წევრად არის მიჩნეული: **ჟ**, როგორც ფონემა, წარმოდგენილია ძველსა და ახალ ქართულში, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში [იხ. მაგ., ჩიქობავა 1936, 14; ახვლედიანი 1949, 87; შანიძე 1953, 18; Топурия 1967, 78; ჩიქობავა 1967, 26-27; შანიძე, 1976, 16-17 და სხვ.]. მეორე მხრივ, ქართველურ ენათა ფონოლოგიური სისტემა ისეთია, რომელიც როგორც სისინა, ისე შიშინა თანხმოვანთა რიგებში ხშულთა სამეულებსა და სპირანტთა წყვილეულებს ვარაუდობს: **ძ, ც, წ — ზ, ს; ჯ, ჩ, ჭ — ჟ, შ**; ესაა, ასე ვთქვათ, სისტემის მოთხოვნა. აღნიშნული ორი გარემოება **ჟ** ფონემის საერთო-ქართველურ დონეზე აღდგენის სასარგებლოდ მეტყველებს.

ზემოთქმულის მიუხედავად, **ჟ** ფონემის არსებობა საერთო-ქართველურ დონეზე მაინც ეჭვის საგანია [ახვლედიანი 1923, 80; ჩიქობავა 1936, 28; Гониашвили 1937, 135-136; Schmidt 1962, 57; გამყრელიძე 1959, 19; მაჭავარიანი 1965, 39].

ჟ ბგერის მეორეულობის შესახებ მოსაზრება პირველმა გ. ახვლედიანმა გამოთქვა 1923 წელს დაბეჭდილ მცირე მოცულობის წერილში „შენიშვნა „ვჟარები, ჟარე"-ს შესახებ". ავტორი მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანს დაუფიქსირებია **ჟ**-სა და **ი**-ს მონაცვლეობის ფაქტი და აღუნიშნავს: **ვჟარები** — ვიარები, **ჟარე** — იარე. ამასთანავე, გ. ახვლედიანი იგონებს ნ. მარის შენიშვნებს **ჲ**-ს **ჟ**-დ გადასვლის შესახებ მეგრულ-ჭანურში (**ჟური**, **ჟირი** „ორი" — შდრ. სვან. **ჲორი**; **ჲოანე** > **ჟოანი** > **ჟვანი** — გვარები **ჟვანია** და **ჟოანისძე**; **ჟორდანია** < ***ჲორდანია**... ამასვე უნდა დავუმატოთ ავტორის მიერ მოხმობილი ფაქტი **ჲ**-ს ხმარებისა **ჟ**-ს ნაცვლად ქართულის ზოგ კილოში, მაგალითად, ვ. ბერიძის მიერ დაფიქსირებული რა**ჲ**დენ რა**ჟ**დენ-

ის ნაცვლად... ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გ. ახვლედიანი მიიჩნევს: „ჩვენს წინ გადაიშლება ფრიად საგულისხმო სურათი: ქართული ენის რომელიღაც კილოს (მესხურს?) ახასიათებდა შემდეგი ფონეტიკური მოვლენა: ჲ იცვლებოდა ჟ-დ, როცა იგი ხვდებოდა ხმოვანს ერთი მარცვლის ფარგლებში“. ავტორი მოუწოდებს მკვლევრებს ყურადღება მიაქციონ ამ მოვლენას როგორც ცოცხალ კილოებში, ისე სამწერლო ძეგლებში, რადგან ეს ფაქტი შესაძლოა ისტორიული დიალექტოლოგიის ერთ-ერთ დასაყრდენ წერტილად გამოდგესო. დასკვნის სახით კი ავტორი წარმოგვიდგენს დებულებას: „რადგანაც ჟ-ბგერიანი სიტყვები სალიტერატურო ქართულში შედარებით ცოტაა, ამიტომ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იგი (ჟ-ბგერა) არ იყო იმ კილოს კუთვნილება, რომელიც საფუძვლად დაედო სალიტერატურო ქართულს“ [ახვლედიანი 1923, 80].

არნ. ჩიქობავამ 1936 წელს „ჰანურის გრამატიკულ ანალიზში“ განიხილა ჲ-ს ჟ-დ ქცევის შემთხვევები ზანური ენის ჰანურ დიალექტში, აგრეთვე, შემდგომ ეტაპზე — ჯ-ს ჟ-დ შენაცვლება (ჲ → ჟ → ჯ) და შენიშნა, რომ ჲ-ს ჟ-ში გადასვლის პროცესი მთელი ზანურისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი; ავტორის აზრით, „ჟ ბგერა ქართულშიაც და ჰანურ-მეგრულშიაც იშვიათია; შეიძლება იგი მეორეული ხასიათისა იყოს იმ შემთხვევაშიც, როცა ნასესხები არ არის“ [ჩიქობავა 1936, 28].

საგანგებო გამოკვლევა უძღვნა ჟ-ს თ. გონიაშვილმა, რომელმაც მიზნად დაისახა გ. ახვლედიანის მიერ რამდენიმე მაგალითის საფუძველზე გამოტანილი დასკვნის განმტკიცება ახალი ემპირიული მასალით [გონიაშვილი 1937, 111]. ავტორი განმარტავს, რომ ჟ-ს სახით ჩვენ საქმე გვაქვს ახალი სამეტყველო ბგერის — ფონემური ერთეულის, ჩასახვისა და განვითარების იშვიათ შემთხვევასთან; ჟ ქართული ენის ბგერით სისტემას იმთავითვე არ ახასიათებდა და შემდგომ შეძენილი უნდა იყოს, ხოლო მისი დამკვიდრება ში-

შინა წრის ენათა გავლენის წყალობით მოხდა [გონიაშვილი 1937, 111-112].

თ. გონიაშვილი აანალიზებს **ჟ**-ს შემცველ სიტყვებს, რომელთა საერთო რაოდენობა მის ხელთ არსებული მასალის მიხედვით 200 ყოფილა. ამ მასალას (საკუთარ სახელებს, ტოპონიმებს, აპელატივებს) ავტორი განიხილავს წარმოშობის თვალსაზრისით. პირველი ჯგუფი **ჟ**-ს შემცველი სიტყვებისა ტენიანობის, წყლიანობის აღმნიშვნელია და წარმოდგენილია ქართულის უახლოესი გარემოცვის ენებში (იგულისხმება სხვა ქართველური ენები და სომხური ენა) — ესაა **-ჟურ-** ძირი და მასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი სახელური და ზმნური ფუძეები ქართული ენის დიალექტებში, სვანურსა და მეგრულ-ჭანურში [გონიაშვილი 1937, 113-115].

სიტყვათა მეორე ჯგუფს ქმნის ონომატოპოეტური ლექსიკა (**ჟღერა** და მისგან სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებული სიტყვები) ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში [გონიაშვილი 1937, 116-117].

ცალკე გამოიყოფა ნასესხებ სახელთაგან ნაწარმოები ანთროპონიმები და ტოპონიმები, რომლებშიც **ჲ + V > ჟ + V** ფონეტიკური პროცესი მომხდარა [გონიაშვილი 1937, 118-119].

გ > ჟ ფონეტიკურ პროცესს ხედავს ავტორი გვარებში **ჟორჟოლიანი** (< ***გორგოლიანი**) და **ჟურული** (< ***გურული**) [გონიაშვილი 1937, 119]. ეს მოსაზრება დამატებით საბუთიანობას მოითხოვს.

თ. გონიაშვილი ასახელებს, აგრეთვე, სომხურიდან, სპარსულიდან და თურქულიდან ნასესხებ **ჟ**-ს შემცველ სიტყვებს: **ჟანგი, ნიჟარი, ავჟანდი, ჟამი, ბაჟი, გიჟი, ჟინი, არაჟანი, რიჟრაჟი**... [გონიაშვილი 1937, 120-125].

ავტორი იმოწმებს ნ. მარს **რ → ჟ** პროცესის განხილვისას, **ჟ**-ს არასტაბილური ბუნების ნათელსაყოფად მოჰყავს ქართველურ ენებსა და დიალექტებში ამ ბგერის სხვა ბგერებთან მონაცვლეობის მრავალი მაგალითი [გონიაშვილი 1937, 126-130].

თ. გონიაშვილის დაკვირვებათაგან ორი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას: 1. ძველ ქართულში **ჟ** ფუნქციონირებს უმთავრესად ნასესხებ ან ისეთ სიტყვებში, რომლებიც მეზობელ ენებშიც მოიპოვება, 2. **ჟ**-ს შემცველი სიტყვების მნიშვნელოვანი ნაწილი დასავლურ-ქართულ (შიშინა) წრის კუთვნილებაა [გონიაშვილი 1937, 131-132].

ტიპოლოგიური თვალსაზრისით ავტორი განიხილავს კავკასიის ზოგ ენასა და რიგ ინდო-ევროპულ ენაში **ჟ**-ს მეორეულობის საკითხს [გონიაშვილი 1937, 131-132].

როდის უნდა მომხდარიყო **ჟ**-ს, როგორც ფონემის, ჩასახვა ქართულში? ავტორის განცხადებით, ამის განსაზღვრა თუნდაც მიახლოებით მეტისმეტად ძნელია; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მოხდა მაშინ, როდესაც „ქართული ენობრივი წარმონაქმნი" შეიჭრა იმ უცნობ ენობრივ არეალში, რომელიც წინ უძღოდა ძველ სამწერლო ქართულს. მკვლევარს საგულისხმოდ ეჩვენება ჰადიშის 897 წლის ხელნაწერში დადასტურებული **ჟლავილი** (ახალი ქართულის ანალოგიური ფაქტი) და **ზუზლა**, რომელიც **ჟუჟლად** ჯერ არ ქცეულა [გონიაშვილი 1937, 113, 135].

ჩვენ საკმაოდ დავწრილებით გადმოვეცით თ. გონიაშვილის ვრცელი გამოკვლევის შინაარსი. ავტორის დაკვირვებანი უეჭველად საინტერესოა და ანგარიშგასაწევი, მაგრამ ზოგ შენიშვნასაც აღძრავს: 1. ეტიმოლოგიური ძიებანი რიგ შემთხვევაში სადავოა (მაგ., **სიმღერა** სიტყვის დაკავშირება **ჟღერა**-სთან); 2. სადავოა (ნ. მარის დამოწმებით) იმის მტკიცებაც, რომ **ჟ**-ს გაჩენის თვალსაზრისით ქართულში გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა შიშინა წრის ენათა გავლენას (განა „სისინა წრის" ენებში გამოირიცხება დამოუკიდებლად შიშინა თანხმოვნების არსებობა?); 3. როცა ავტორს **ჟ**-ს მეორეულობის დასამტკიცებლად სხვადასხვა ენიდან ტიპოლოგიის თვალსაზრისით გამოსაყენებელი არგუმენტები მოჰყავს, მხედველობიდან გამორჩენია აფხაზურ-ადიღური ენები, სადაც **ჟ** ბგერას მეტად მტკიცე პოზიცია უკა-

ვია; სხვა ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც არა მხოლოდ აღწერითი, არამედ ამოსავალი ვითარების თვალსაზრისითაც ზოგი მკვლევრისათვის ჟ-ს მეორეულობის საკითხი არ დგას [იხ. მაგ., Бокарев 1961, 66; Имнайшвили 1977, 184, 279; ჭრელაშვილი 1975, 281-283... შდრ. Дешериев 1963, 241-242; Гигинейшвили 1977, 114-115...]; 4. ჟ-ს დადასტურება ძირითადად ნასესხებ და ონომატოპოეტურ სიტყვებში, ან მისი მიღება სხვა ბგერებისაგან ფრიად საგულისხმო ფაქტია, მაგრამ საკმარისი არგუმენტი ვერ იქნება ამ ბგერის მეორეულობისათვის ქართველურ ენათა ისტორიაში; 5. რაც მთავარია, ავტორს არ მოუყვანია ჟ-ს მეორეულობის დასამტკიცებლად მთავარი არგუმენტი — ქართული ჟ-სათვის სათანადო შესატყვისობათა დაუდასტურებლობა ზანურსა და სვანურში.

გ. ახვლედიანისა და თ. გონიაშვილის ნაშრომებზე მითითებით, ჟ ფონემის მეორეულობის შესახებ მსჯელობს თ. გამყრელიძე: „ქართველური სისინა რიგის სპირანტები უპირისპირდებიან ერთმანეთს კორელაციურად მჟღერობა-სიყრუის თვალსაზრისით. ამგვარი კორელაცია არა გვაქვს შესატყვის შიშინა რიგში, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ /შ/ ფონემა; /შ/ ფონემის მჟღერი კორელატი არ იყო დამახასიათებელი ქართველური კონსონანტური სისტემისათვის. /ჟ/ ფონემა ქართულში მეორეული წარმოშობისაა“; ამგვარი წევრნაკლი შიშინა რიგი შეივსო ისტორიული განვითარების პროცესში [გამყრელიძე 1959, 19, შნშ. 1].

კ. ჰ. შმიდტი აღნიშნავდა, რომ ქართ. შ : ზან. შქ : სვან. სგ შესატყვისობის პარალელურად მოსალოდნელი იყო გვქონოდა ქართ. ჟ : ზან. ჟგ : სვან. ჟგ, მაგრამ ამ სახის არცერთი მაგალითი არ მოიპოვებაო [Schmidt 1962, 57].

ამრიგად, ერთი მხრივ, ჟ-ს შემცველ სიტყვათა მეტი წილი ნასესხები (ან ონომატოპოეტური) აღმოჩნდა, ან თვით ჟ გაანალიზებულ სიტყვებში — მეორეული წარმოშობისაა; მეორე მხრივ, და ეს მთავარია, ჟ-ს აღდგენა სა-

ერთო-ქართველურში ეჰვის ქვეშაა იმის გამო, რომ არ არის გამოვლენილი სიტყვები, რომლებშიც გვექნებოდა შესატყვისობა ქართ. **ჟ** : ზან. **ჟგ** (**ზგ**) : სვან. **ჟგ** (**ზგ**)... „ჩვენთვის ცნობილ მასალაში არ დასტურდებაო“, — შენიშნავს გ. მაჭავარიანი და სავსებით ლოგიკურად მის მიერ აღდგენილ საერთო-ქართველურ კონსონანტურ სისტემაში **ჟ**-ს ფრჩხილებში სვამს [მაჭავარიანი 1965, 39, ძირითადი ტექსტი და სქოლიო]. მართალია, **ჟ**-ს არსებობა საერთო-ქართველურ ქრონოლოგიურ დონეზე გ. მაჭავარიანს დადასტურებულად არ მიაჩნდა, მაგრამ, ამავე დროს, მიუთითებდა, რომ არა გვაქვს უფლება მთლიანად გამოვრიცხოთ მისი არსებობის შესაძლებლობაც [მაჭავარიანი 1965, 12].

ჟ-ს ქცევა თვალში საცემია იმ პირობებში, როდესაც ქართული შიშინა სიბილანტების შესატყვისად ზანურსა და სვანურში მასალობრივ დადასტურებულია ბგერათკომპლექსები — შიშინა (ან სისინა) სიბილანტი + უკანაენისმიერი ხშული [ჩიქობავა 1938, 6-9; გამყრელიძე 1959, 19-27; მაჭავარიანი 1965, 39-40 და სხვ.]:

ქ ა რ თ უ ლ ი	ზ ა ნ უ რ ი	ს ვ ა ნ უ რ ი
ჯობნ-	(რ)**ჯ**გინ-	—
მარ**ჯ**უენა	მარ**ძგ**ვან-ი	ლერ**სგ**უენ
ჩემი	**ჩ**ქიმი	მი**შგ**ური
მჭედელი	**ჭ**კადუ	მგ**შკ**იდ
შვიდი	**შ**ქვითი	ი**შგ**უიდ
ვა**შ**ლი	უ**შ**ქური	უი**სგ**უ
შთობა	**შ**ქვიდა	ა**შგ**უიდ

და სხვ.

სისტემის სიმეტრიულობის პრინციპი (აგრეთვე ტიპოლოგიური მონაცემები — ამის შესახებ იხ. ქვემოთ) **ჟ** ფონემის აღდგენას უჭერს მხარს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ, საზოგადოდ, საერთო-ქართველურისათვის,

როგორც ცოცხალი, ბუნებრივი ენისათვის, არც მისი სისტემის ცალკეული ელემენტების დეფექტური ხასიათი იქნებოდა უცხო.

ჩვენი აზრით, ქართველურ ენებში მოიპოვება მასალა, რომელიც **ჟ**-ს საერთო-ქართველურობას ადასტურებს — შესატყვისობა ქართ. **ჟ** : ზან. **ჟგ** წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ შემთხვევაში:

ქართ. **ჟლეტა** „მრავლის მოკვლა, ხოცვა, გაწყვეტა“ [ქეგლ 1960, 333].

ზან. (მეგრ.) **ჟგარტუა||ჟგართუ** „მაგრად ცემა, დაბეგვა“, დო**ჟგარტ||დოჟგართ** „მაგრად სცემა, დაბეგვა“.

მნიშვნელობათა სხვაობა ისეთია, რომ ამ ქართველურ ფუძეთა დაკავშირებას ხელს ვერ შეუშლის.

თუ აღნიშნული ქართული და ზანური ფუძეები საერთო წარმოშობისაა, ამოსავლად (საერთო-ქართულის კუთვნილებად), ჩვენში მიღებული თვალსაზრისის შესაბამისად, ქართულში წარმოდგენილი **ჟლეტ**- ფუძე უნდა მივიჩნიოთ, ხოლო შესატყვის ზანურ ზმნურ ფუძეში (**ჟგარტ**-) მომხდარ ცვლილებათა ახსნა, უკვე დადგენილ კანონზომიერ ცვლილებათა საფუძველზე, ადვილი შესაძლებელია:

ა) თანხმოვნის მომდევნო სონორი **ლ**-ს გადასმა მეგრულისათვის ნიშანდობლივი მოვლენაა, რადგან **ზანურს** საზოგადოდ **არ ახასიათებს თანხმოვანი + სონორი მიმდევრობა** და მისი სუპერაციის ერთ-ერთ საშუალებად **სონორის** გადასმას იყენებს (შდრ. ქართ. **ტლიკ**-ინი და მეგრ. **ტირკ**-ოლი, ქართ. **ჭრიჭინი** და მეგრ. **ჭკირჭკინი**, ქართ. (დიალ.) **თრექა** „თრექა“ და მეგრ. **თირქუა**, ქართ. (დიალ.) **ხრიკა** და მეგრ. **ხირკე**, ქართ. **ხლეჩ**-ა და მეგრ. **ხარცქ**-უა; ბ) **ლ → რ** კი თანხმოვნის წინ **ჟგარტ**-||**ჟგართ**-ფუძეებში (ასევე, სიტყვებში **ტირკოლი**, **ხარცქუა**...) იხსნება მეგრული (resp. ზანური) ფონოტაქტიკის წესით: თანხმოვნის წინა პოზიციაში **ლ** დაუშვებელია (ამ თვალსაზრისით შდრ., აგრეთვე, ქართ. ვლტოლა — მეგრ. **რტება** „გა-

ქცევა“); გ) მეგრული **ა** ქართული **ე**-ს კანონზომიერი შესატყვისია; დ) **ტ**-სა და **თ**-ს მონაცვლეობაც მეგრულში შეიძლება აიხსნას სიტყვის ბოლოკიდურში **ტ**-ს **თ**-ში გადასვლით (პროცესი დამთავრებული არ არის და საანალიზო სიტყვაში **ტ** და **თ** ფაკულტატური ვარიანტებია).

სქემატურად პროცესი ასე წარმოგვიდგება: ***ჟლეტ** > ***ჟგლატ-** > ***ჟგალტ-** > **ჟგარტ-||ჟგართ-**.

ქართული **ჟლეტ-** ე. წ. „ფუძედრეკად“ ზმნებს განეკუთვნება (შდრ. ჟლეტ-/ჟლიტ-), ამიტომ შესაძლებელია სხვა ამ ტიპის ზმნათა მსგავსად, **-ეტ** აქაც სუფიქსური ელემენტი იყოს და ძირეულ ელემენტად **ჟლ** გამოიყოფოდეს [თოფურია 1936, 230].

ამ ქართულ **ჟლ-** ძირის შესატყვისი შესაძლოა იყოს სვანური ზმნური ძირი **ჟგგ-**, რომელიც წარმოდგენილია სიტყვაში ლი-**ჟგგ**-ნე „გამარგვლა, სარეველებისაგან გაწმენდა“ (ა**ჟგგ**ნე „მარგლავს“).

საერთო-ქართველურ დონეზე **ჟ**-ს აღდგენას მხარს უჭერს, აგრეთვე, ქართული „ჭკნობის“ აღმნიშვნელი **ჟღრ-** ფუძის (ჟღრება „ჭკნება“) დაკავშირება მეგრულის ამავე მნიშვნელობის **ჟღიო-** ფუძესთან (ჟღირუ „ჭკნება“), რაც საერთო-ქართველურ დონეზე **ჟღრ**-ს აღგვადგენინებს[4] [Климов 1964, 137; ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 249]; ამ შემთხვევაში ქართ. **ჟ** : მეგრ. (ზან.) **ჟ** შესატყვისობა იხსნება ველარული **ღ**-ს წინა პოზიციით [მაჭავარიანი 1965, 39, შნშ. 4].

როგორც ცნობილია, ქართველურ ენათა კონსონანტიზმი თავისი ძირითადი ნიშნებით იბერიულ-კავკასიური სისტემის ტიპობრივი წარმომადგენელია [ჩიქობავა 1950, 028; მაჭავარიანი 1965, 102]; ამ სისტემის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება სიბილანტთა სიმრავლეა. სიბილანტები კი იბერიულ-კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფში სიმეტრიულ სისტემებს ქმნიან, რაც გულისხმობს სისინა რიგშიცა და

[4] თუ სესხების შესაძლებლობას გამოვრიცხავთ.

შიშინაშიც ხუთ-ხუთი ფონემის არსებობას, რომელთაგან სამ-სამი ხშული (აფრიკატი) თანხმოვანია (მჟღერი—ფშვინვიერი—მკვეთრი), ორ-ორი — სპირანტი (მჟღერი—ფშვინვიერი). მაშასადამე, ნაპრალოვნებში ყველგან ივარაუდება თითო მჟღერისა და თითო ფშვინვიერის (ყრუს) არსებობა (**ზ—ს**, **ჟ—შ**). უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: აფხაზურ-ადიღურ ენებში შიშინა რიგში — მაგარი-არამაგარის კორელაციის პირობებში — ორ-ორი მჟღერი და ყრუა წარმოდგენილი (**ჟ—შ**, **ჟ◦—შ◦**); ამოსავალ სისტემაშიც მათი არსებობა იავარაუდება [Рогава, Керашева 1966; ლომთათიძე 1977; Кумахов 1981]. ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, ტიპოლოგიური თვალსაზრისით **ჟ**-ს აღდგენა საერთო-ქართველურ დონეზეც გამართლებული ჩანს, მითუმეტეს, იმ მკვლევართათვის, რომლებიც საერთო-ქართველურ დონეზე წინასიბილანტურ (სისინა) და უკანასიბილანტურ (შიშინა) რიგებთან ერთად შუასიბილანტურ (სისინ-შიშინა) რიგს ვარაუდობენ (მაგ., გ. მაჭავარიანი, გ. კლიმოვი და სხვები). ეს შუასიბილანტური, ე. ი. სისინ-შიშინა რიგი იბერიულ-კავკასიურ (resp. კავკასიურ) ენათაგან მხოლოდ აფხაზურ-ადიღურ ენებს გააჩნია, ხოლო აღნიშნულ ენებში ამ რიგის არსებობა აუცილებლობით სისინა და შიშინა სიბილანტთა არსებობას გულისხმობს (ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ შიშინა სპირანტი აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ხუთსავე ენაში ოთხ-ოთხია). ამრიგად, ტიპოლოგიური ვერიფიკაციაც საერთო-ქართველურ დონეზე **ჟ**-ს აღდგენას უმაგრებს ზურგს [აღდგენილი სისტემების რეალურობის შესამოწმებლად სტრუქტურული ტიპოლოგიის მონაცემთა გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ იხ. Якобсон 1963, 95-104].

ვფიქრობთ, ქართველურ ენათა შემდგომი კვლევა ამ დებულების მხარდამჭერ მრავალ ფაქტს გამოავლენს, კერძოდ — საერთო-ქართველური **ჟ** ფონემის კანონზომიერ შესატყვისებს ქართულში, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში.

§ 2. ერთი ქართველური ბგერათშესატყვისობის ისტორიიდან

ბგერათშესატყვისობანი მონათესავე ენათა ურთიერთმიმართების გარკვევის ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმად არის მიჩნეული. ამიტომაა, რომ მათი დადგენა და სათანადო კანონზომიერ ცვლილებათა კვლევა შედარებით ენათმეცნიერებაში მომუშავე სპეციალისტთა განსაკუთრებული ინტერესის საგანია. ამ მხრივ არც ქართველურ ენებს მოჰკლებია ყურადღება. ამ ენებს შორის ბგერათშესატყვისობათა დადგენას ას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. აღნიშნული დროის განმავლობაში ქართველურ ენათა ფონემური სისტემის ისტორიის თაობაზე სპეციალისტებმა არაერთი თვალსაზრისი წარმოგვიდგინეს, რაც მეცნიერული კვლევის ბუნებრივ შედეგად გვესახება. ვფიქრობთ, ბგერათშესატყვისობათა შემდგომი შესწავლის საქმეს წაადგება ზოგი პრინციპული საკითხის დაზუსტება. ჩვენი შემდგომი მსჯელობა ერთ-ერთ ასეთ საკითხს შეეხება. ცნობილია (და ეს ზემოთ უკვე აღინიშნა), რომ ქართული ენის შიშინა თანხმოვნების შესატყვისად ზანური ბგერათკომპლექსს (სათანადო სიბილანტი + უკანაენისმიერი ხშული) წარმოგვიდგენს — ქართ. **შ** : ზან. **შქ (სქ)**, ქართ. **ჯ** : ზან. **ჯგ (ძგ)**, ქართ. **ჩ** : ზან. **ჩქ (ცქ)**, ქართ. **ჭ** : ზან. **ჭკ (წკ)**.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაზრისის შესაბამისად, აღნიშნული შესატყვისობისათვის ამოსავალი ქართულის ვითარებაა, ზანურში კი კომპლექსის მეორე წევრი — უკანაენისმიერი ხშული, განვითარებულად მიიჩნევა [ჩიქობავა 1938, 7-9; როგავა 1953, 41-44; მაჭავარიანი 1965, 39 და სხვ.].

ქ-ს განვითარების შემთხვევა, თითქოს, ზანურის ორ ნასესხებ სიტყვაშიც დასტურდება: შდრ. ქართ. კალოში — მეგრ. კალოშქი, ქართ. ფეჩი — მეგრ. ფეჩქი, კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მეგრულში

შიშინა სპირანტებთან **ჭ**-ს განვითარების ერთი მაგალითი ნასესხებ სიტყვაში შეიმჩნევა: მეგრ. კალოშჭი — რუს. калоши [როგავა 1953, 46].

A priori ჩნდება ეჭვი, რომ მეგრულს გვიან (არაუადრეს XIX საუკუნისა) შემოსულ სიტყვაში **ჭ** გაეჩინოს, ე. ი. ამოსავალი **შ**-ს **შჭ**-ში გადასვლა, რასაც საერთო-ქართველურის დიფერენციაციის პროცესში ჰქონდა ადგილი ზანურ (resp. ზანურ-სვანურ) არეალში, ასეთ გვიან ეპოქაში განხორციელებულიყო; უნდა ვიფიქროთ, რომ რუსულში ორსავე შემთხვევაში გვაქვს სათანადო ფორმები, ე. ი. ის ფორმებიც, რომელთაგანაც ქართული **ფეჩი** და **კალოში** მოდის და ის ფორმებიც, რომელთაგან მეგრულში **ფეჩჭი** და **კალოშჭი** მივიღეთ. **ფეჩ**-ისა და **ფეჩჭ**-ის საკითხი მარტივია, რადგან რუსულში გვაქვს შესაბამისად печь და печка. პირველი ქართულ ფორმას დაედო საფუძვლად, მეორე მეგრულს.

საინტერესოა, რომ ზანური ენის ჭანურ დიალექტშიც რუსულიდან ნასესხებ „ღუმელის" აღმნიშვნელ სიტყვაში მეგრულის მსგავსი ვითარება გვაქვს — ჭან. **„პეჩკა** (русск. печка) печка" [Марр 1910, 179]; ოღონდ აქ რუს. **чк** > ჭან. **ჩკ** (შდრ. საკუთარ მასალაში მეგრ. **ჩჭი** — ჭან. **ჩჭუ||ჩკი**).

როგორც ირკვევა, რუსულს ასევე მოეპოვება როგორც ქართულში **კალოშ**-ის, ისე მეგრული **კალოშჭ**-ის შესაბამისი ფორმა. კერძოდ, მეგრული ფორმისათვის ამოსავალი калошки, რომელიც, როგორც калоши-ის პარალელურად ხმარებული (დიალექტური) ფორმა, დაფიქსირებული აქვს ვ. დალს თავის ცნობილ ლექსიკონში [Даль 1881, 79]. მრავლობითში ხმარებული калошки მხოლობითში калошка-ს არსებობას ვარაუდობს[5]. ორსავე შემთხვევაში, როგორც ცნობილია, -к რუსულში კნინობითობის სუფიქსია.

[5] შდრ. калоша—калоши.

მეგრული **კალოშჭი** კი, როგორც ჩანს, რუსული მრავლობითის ფორმა **калошки**-საგან მოდის[6] (რუსული მრავლობითის ნიშანი **-и** **калоши** და **калошки** ფორმებში ქართულმა და მეგრულმა საკუთარ სახელობითის **-ი** ფორმანტს გაუთანაბრა და ამიტომ მივიღეთ ქართ. კალოშ-მა, კალოშ-ს, კალოშ-ები, მეგრ. კალოშქ-ეფი „კალოშები“...).

ქართველურ ენათა ანალოგიური ვითარება დასტურდება ნახურ ენებში: ჩეჩნ. ფდეჩ — ინგ. ფდეჩქ „ღუმელი“, ჩეჩნ. ქალჩოშ — ინგ. ქალჩოშქ „კალოში“.[7] საინტერესოა, რომ ჩეჩნური ენის ფორმები ამ შემთხვევაში ქართულს ეხმიანება, ინგუშური — მეგრულს.[8]

ქართველურ ენათა ორი კონკრეტული ფაქტის ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მხარს უჭერს იმ უდავო ჰეშმარიტებას, რომ **ბგერათშესატყვისობანი გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში მოქმედი ფონეტიკური პროცესების შედეგია და ახალნასესხებ მასალაში მათი გამოვლენა არ არის მოსალოდნელი.**

§ 3. ჱ → უ პროცესისათვის მეგრულში

ზანური ენის მეგრულ დიალექტში **ჭუახე||ჭვახე** „მჟავეს“ ნიშნავს: **ჭუახე** მარწვენი „მჟავე მაწონი“, **ჭუახე** უშქური „მჟავე ვაშლი“, **ჭუახე** ღვინი „მჟავე ღვინო“... **დაჭუახება** „ამჟავება“, **დეჭუახგ** „ამჟავდა“...

---

[6] ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ქართულისა და მეგრულის სათანადო სიტყვების უშუალოდ რუსულიდან სესხების შესახებ, თორემ თავად **калоша** რუსულში რომანულ ენათაგან ნასესხებად მიიჩნევა [Фасмер 1986, 170].

[7] ინგუშურ და ჩეჩნურ ენათა მონაცემები მოგვაწოდა ამ ენათა სპეციალისტმა მ. ჩუხუამ, როცა დაახლოებით ათი წლის წინ ჩვენს თვალსაზრისს ქართველურ ენათა სათანადო მასალისა და მისი ჩვენეული ინტერპრეტაციის თაობაზე ვუზიარებდით.

[8] აღსანიშნავია ისიც, რომ ჩეჩნურ **შ**-ს ინგუშურში ჩვეულებრივ ეგევე თანხმოვანი შეესატყვისება (შდრ. ქართ. **შ** : ზან. **შქ**).

ი. ყიფშიძე აღნიშნავს: „**ჰვახე**, მჭვახე кислый ბქე, ძიმარი“ [Кипшидзе 1914, 288].

პ. ჭარაია განმარტავს: „**ჰვახე** — ჰმახე, მჟავე. ღვინქ დეჰვახ — ღვინო დამჟავდა“ [ჭარაია 1997, 170].

ერთი შეხედვით, მეგრული **ჰუახე**-ს შესატყვისია ქართული **წმახე**||**წმახი**.

საბას ასეთი განმარტება აქვს: „**წმახი** უძმრო მწნილი... ნ. კოწამახი, წმახე (მჟავე'სთან)“ [სულხან-საბა 1965, 381]; **კოწამახი** მეტად მჟავე... მეტად წმახე... მეტად წმახი“ [სულხან-საბა 1966, 390]; „**მჟავე** ესე არს, რომელიც თვით ბუნებით მჟავე იყოს, ხოლო პირველ არამჟავე, რაჟამს მომჟავდეს, ეწოდება წმახე“ [იქვე, 521].

ნ. ჩუბინაშვილი მიუთითებს: „**წმატი**, **წმახი** ჰმახი, მეტად მჟავე“ [ჩუბინაშვილი 1961, 453].

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ნათქვამია: „**წმახი** (წმახისა) ძვ. „უძმრო მწნილი“ (საბა). არ სასმენლისა მოსმენა არს უმჟავესი წმახისა (რუსთაველი)... **წმახე** (წმახისა) იგივეა, რაც მომჟავებული“ [ქეგლ 1964, 1156].

ი. მაისურაძეს მესხურ დიალექტში დადასტურებული ჰქონია: „**წმახე** მეტად მჟავე, მჭახე“ [ღლონტი 1984, 710].

ქართული **წმახე** და მეგრული **ჰუახე** თითქოს კანონზომიერ შესატყვისობას ქართ. **წ** : ზან. **ჰ** წარმოგვიდგენს და საერთო ქართულ-ზანურ ლექსიკურ ერთეულს გვავარაუდებინებს, მაგრამ ორი გარემოება ამ ვარაუდს საეჭვოდ ხდის: პირველი, ესაა ხმოვნებში შესატყვისობის უქონლობა (ქართ. **ა** — მეგრ. **ა**; მოსალოდნელი იყო ქართ. **ა** : მეგრ. **ო** > **უ**...), მეორე — ქართულშივე **წმახი**||**წმახე**-ს გვერდით და იმავე მნიშვნელობით **ჰმახი**||**ჰმახე**-ს ხმარება:

„**ჰმახე** მოძმარებული... ნ. ჰანგი“ [სულხან-საბა 1966, 405]; **ჰანგი**... უმეცარნი ღვინოსა მოძმარებულსა რომელნიმე ჰ ა ნ გ ს ა უწოდენ... რომელნიმე კ ა ნ ჭ ს ა. არც ერთია მათი სახელი.... მათი სახელი ანუ მოძმარებული ანუ ჰ მ ა ხ ი“ [იქვე, 398].

ჰმახი გვაქვს ნ. ჩუბინაშვილთანაც [იხ. ზემოთ].

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მითითებულია: **ჰმახ**-ი, **ჰმახე** (ჰმახისა) მჭახე, მოძმარებული, ჭანგი. ჰმახი ღვინო. || სიმჟავე. „რომ რაიმე ამჟავდება, იტყვიან — ჰმახი შეჰპარვიაო“ („დიალ.“) [ქეგლ. VIII, 1964, 1279].

ქართულში პარალელური ფორმების არსებობა — **წმახი||წმახე** და **ჰმახი||ჰმახე**, კერძოდ **ჰ**-სა და **წ**-ს მონაცვლეობა ექსპრესიული ლექსიკის სფეროში შესაძლებელი ფონეტიკური ვარირებით უნდა აიხსნას.

რაც შეეხება მეგრულ **ჰუახე**-ს, ის ქართულიდან შეთვისებულად უნდა მივიჩნიოთ. მეგრულში სესხებისას ქართული **ჰმახე**-ს ფონეტიკური ადაპტაცია მომხდარა, სახელდობრ საქმე გვაქვს ფონეტიკურ პროცესთან **მ** → **უ** || → **ვ** თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში. ამით, ზანური ფონოტაქტიკის შესაბამისად, განხორციელდა ჩქამიერი + სონორი **მ** თანხმოვანთკომპლექსის (არაბუნებრივი თანხმოვანთმიმდევრობის)[9] სუპერაცია. მაშასადამე, ქართ. **ჰმახე** > ზან. **ჰუახე||ჰვახე**.[10] ქართული **წმახი||წმახე** და **ჰმახი||ჰმახე** სიტყვათა ეტიმოლოგიას ამჯერად არ ვეხებით. ერთი ვარაუდი ამთავითვე შეიძლება გამოითქვას: შესაძლებელია აქ **-ახ** ელემენტი გამოიყოფოდეს (შდრ. **წმატო**, რომელიც ნ. ჩუბინაშვილს **წმახ**-ის პარალელურ ვარიანტად მოჰყავს). როგორც ჩანს, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ შეტანილი **მჭახე** „მჟავეს“ მნიშვნელობით [ქეგლ. V, 1958, 1230] და ეგეთვე სიტყვა ქართული ენის დიალექტში „მკვახის, უმწიფარის“ მნიშვნელობით [ღლონტი 1984, 398] ამოსავლად **ჰმახე**-ს ვარაუდობს: **ჰმახე** > **მჭახე** (მჭ < ჰმ).

პროცესი **მ** → **უ** მომხდარა კიდევ რამდენსამე მეგრულ

---

[9] ანალოგიური ვითარებაა ზანური ენის ლაზურ დიალექტში, სადაც ნაზალური **მ** და **ნ** ასევე არაბუნებრივია თანხმოვნის მომდევნოდ [Кутелиа 1986, 20].

[10] როგორც ცნობილია, **უ** და **ვ** მეგრულში თავისუფლად მონაცვლეობს (ფაკულტატური ვარიანტებია); ბუნებრივი და უფრო ძველი ბილაბიალური **უ**-ა.

სიტყვაში, რომლებიც ასევე ქართულიდანაა შეთვისებული: მეგრ. **ხუარება||ხვარება** < ქართ. **ხმარება** (ძვ. ქართ. **ჴმარება**) [შდრ. ჩიქობავა 1938, 42]; მეგრ. **საქუარი||საქვარი** „საქმე“ < ქართ. **საქმარი**; მეგრ. **სუენა||სვენა**[11] < ქართ. **სმენა**, მეგრ. **უქუი||უქვი** < ქართ. **უქმი**...

ჩვენს მიერ განხილულ მეგრულ სიტყვათაგან უკანასკნელი (**უქვი**) სამეცნიერო ლიტერატურაში მოყვანილია სწორედ როგორც მეგრულისათვის არაბუნებრივი მიმდევრობის (**ქმ**-ს) გარდაქმნის (**ქმ** > **ქვ**) მაგალითი [გუდავა, გამყრელიძე 1981, 232].

ცნობილია, რომ მეგრულ ნასესხებ სიტყვებში თანხმოვანი + სონორი ტიპის კომპლექსის გარდაქმნის სხვა საშუალებაც არის რეალიზებული, იგულისხმება ანაპტიქსური ხმოვნის ჩართვა [გუდავა, გამყრელიძე 1981, 230-232].

ნასესხებ სიტყვებში მომხდარი სუპერაციის ზემოთ აღწერილი მოვლენა ქრონოლოგიურად ახალია (მაგრამ — არა შემთხვევითი). საერთო-ქართველურ მასალაში წარმოდგენილი ქართ. **სონორი** : ზან. **ხმოვანი + სონორი** შესატყვისობასთან შედარებით, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის ინტეპრეტირებული [ჩიქობავა 1938; ჩიქობავა 1942; გუდავა 1950; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965]. ვფიქრობთ, ეს ორი მოვლენა მაინც ერთმანეთს უნდა უკავშირდებოდეს. შეიძლება ითქვას, რომ არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი ქართველურ ენათა ფუძის აგებულებისა და განვითარების დინამიკის შესახებ, რაც შემდგომ ტ. გუდავამ განამტკიცა თავისი გამოკვლევით, კვლავ **რჩება ფუნდამენტური ხასიათის კონცეფციად**.

ზანური სრულხმოვნიანი ვარიანტების შესატყვისად ქართულ ენაში რედუცირებულ ფუძეთა არსებობა არნ. ჩიქობავამ ძლიერი დინამიკური მახვილის ფუნქციონირებით ახსნა [ჩიქობავა 1942, 270]. ტ. გუდავამ გაიზიარა ეს

---

[11] მეგრ. ოსუენგ „ესმის, გაეგება“, უსუენარი „უცოდინარი, ბრიყვი, უჰკუო“.

თვალსაზრისი და აღნიშნა, რომ რედუქციის მთავარი ფაქტორი მახვილია, მაგრამ საჭიროა გათვალისწინებული იყოს იმ მარცვლის ფონეტიკური ტიპი, რომელსაც რედუქცია მოსდის. უმნიშვნელოვანესი თვალსაზრისი, რომელიც ტ. გუდავამ წამოაყენა მდგომარეობს იმაში, რომ **„ზანური სიტყვის ფუძეში არ ახდენს რედუქციას, თუ ამ რედუქციას შედეგად მოჰყვება თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსის შექმნა“** [გუდავა 1950, 464; ხაზგასმა ავტორისაა]. სამწუხაროდ, ავტორებს, რომელთაც ქართველურ ენებში სონანტთა სისტემის არსებობა დაუშვეს, ტ. გუდავას თვალსაზრისი არ გაუთვალისწინებიათ.

ჩვენი მხრივ უნდა დავუმატოთ, რომ ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ქართველური ენებისათვის რედუცირებული ფუძეები იყოს ამოსავალი, რომლებშიც ზანურმა სწორედ არაბუნებრივი კომპლექსის სუპერაციის მიზნით ჩაურთო ანაპტიქსური ხმოვანი.

საკითხის დასმის წესით შესაძლებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ პოსტკონსონანტურ პოზიციაში სონორების არაბუნებრიობა შეიძლება აიხსნებოდეს თანხმოვნის დამართვისა და სონორის შემართვის ფაზების შეუთავსებლობით.

ამრიგად, არაბუნებრივი კომპლექსის სუპერაციის საშუალებათაგან ზანურში ერთ-ერთია **მ → უ** ნასესხებ სიტყვებში, ხოლო საერთო-ქართველურ ლექსიკაში — ხმოვნის შენარჩუნება თუ ჩართვა. რასაკვირველია, ზანურში რეალიზებულია სუპერაციის სხვა სახეებიც.

§ 4. ჩერქეზულ ენათა ვოკალიზმის ისტორიისათვის

ჩერქეზული ვოკალიზმის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს, მაგრამ ყველაზე მისაღებად უნდა მივიჩნიოთ ნ. ტრუბეცკოის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ეს ენები ვოკალიზმის სამწევრა (ა—ა̆—ჷ) და ხაზოვან სისტემას

ქმნიან: ა ყველაზე ღია ხმოვანია, გ — ყველაზე ნაკლებ ღია, ა-ს კი საშუალო ღიაობა ახასიათებს; ეს ხმოვნები, თანხმოვნური გარემოცვის შესაბამისად, სხვადასხვა ტემბრულ თვისებას იჩენენ [Трубецкой 1960, 108]. ამ თვალსაზრისს იზიარებს ჩერქეზულ ენათა ბევრი ცნობილი მკვლევარი [იხ. მაგ., Рогава, Керашева 1966, 21; Рогава 1967, 95; Кумахов 1973, 56-58; Ломтатидзе 1979, 75-77...], თუმცა არის სხვაგვარი თვალსაზრისიც [მაგ., Яковлев 1923, 108-109; Kuipers 1960, 104-106; Allen 1965, 111-114].

არათუ თანამედროვე ჩერქეზულ ენებსა და დიალექტებში, არამედ ამოსავალი — საერთო-ჩერქეზული — ფუძენის დაშლის პერიოდისთვისაც სამი ხმოვანი ფონემის გამოყოფა სრულიად კანონზომიერია და დღემდე ჩატარებული კვლევა-ძიებაც სხვაგვარი ვარაუდის შესაძლებლობას, ჩვენი აზრით, არ იძლევა. სხვაა საერთო-ჩერქეზულის განვითარების უფრო ადრინდელი პერიოდი — აფხაზურ-ადიღური ჯგუფიდან ჩერქეზული ქვეჯგუფის გამოყოფის ეპოქა, რისი გათვალისწინების შესაძლებლობასაც ამ ქვეჯგუფის ენებსა და დიალექტებში ხმოვანთა დისტრიბუციული ანალიზი და ჯგუფის სხვა ენებში არსებული ვითარება გვაძლევს.

ჩერქეზულ ენათაგან განსხვავებით, აფხაზურსა და აბაზურში ორი ძირითადი ხმოვანი ფონემა გამოიყოფა — ა და გ. თავისებურია უბიხური ენის ვითარება: ზოგი მკვლევარი აქაც სამ ხმოვანს გამოყოფს [იხ. მაგ., Vogt 1963, 21-29], ზოგი — ორს [მაგ., Кумахов 1967, 690].

რომელი ვითარებაა უფრო ძველი, ე. ი. საერთო აფხაზურ-ადიღური ეპოქის კუთვნილება? აფხაზურ-აბაზურის ჩვენებაა ამოსავალი, თუ ჩერქეზული ენებისა?

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჩერქეზული ენების ხმოვანთა სამწევრა სისტემა ორწევრა სისტემისაგან წარმოიქმნა, მაშასადამე, უფრო ძველი ვითარება აფხაზურ-აბაზურს შემოუნახავს. ჩერქეზულ ენათა სამ ხმოვანს შორის ზოგს ინოვაციად მიაჩნია ა ხმო-

ვანი [Яковлев, Ашхамаф 1941, 427; Балкаров 1970, 43], ზოგს — **გ** ხმოვანი [Рогава, Керашева 1966, 43], ზოგსაც — **ა** [Кумахов 1973, 64-65; Ломтатидзе 1979, 75-78].

ჩვენ ვიზიარებთ უკანასკნელ თვალსაზრისს, რასაც მხარს უჭერს ხმოვანთა დისტრიბუციული ანალიზის შედეგები ჩერქეზულ ენებში (იხ. ქვემოთ). სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვქონდა დამაკმაყოფილებელი ახსნა **ა** → **ა** პროცესისა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც მახვილიანი ღია **ა** გადავიდა დახურულ **ა**-ში, ე. ი. მახვილიანი ხმოვანი დავიწროვდა [ლომთათიძე 1979, 79], რაც, ვფიქრობთ, ფონეტიკურად ძნელად თუ დასაბუთდება, თანაც, ჩერქეზულ ხმოვნებთან დაკავშირებულ მრავალ სხვა მოვლენას ვერ აგვიხსნის.

თავის დროზე პირველმა ნ. იაკოვლევმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩერქეზულ ხმოვნებს შეზღუდული დისტრიბუცია ახასიათებს: სიტყვის თავში არ გვხვდება **ა** და **გ** (ეს უკანასკნელი მხოლოდ პრეფიქსული მორფემის სახით შეიძლება დაერთოს სიტყვას), სიტყვის ბოლოს არა გვაქვს **ა** (გამონაკლისია ზმნაში გამოყენებული კითხვითი სუფიქსი); ამასთან, ამ ხმოვანთა განაწილება სიტყვებში გარკვეულწილად ურთიერთგანპირობებულია [Яковлев 1943, 427]. ფაქტის სწორ აღნიშვნასთან ერთად ავტორს არ წარმოუდგენია არც მოვლენის ვრცელი ანალიზი, არც — მისი ინტერპრეტაცია ისტორიული თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, ხმოვანთა დისტრიბუციის გამოწვლილვით შესწავლას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩერქეზულ ენათა ვოკალიზმის ისტორიისათვის, კერძოდ, საშუალო ღიაობის **ა** ხმოვნის გენეზისის გასარკვევად. ჩვენი აზრით, **საშუალო ღიაობის ხმოვანი ა მიღებულია ყველაზე ღია ა ხმოვნისაგან პოზიციურად** — ყველაზე ნაკლები ღიაობის მქონე მომდევნო მარცვლის **გ** ხმოვანთან **ნაწილობრივი**

რეგრესული ასიმილაციით, ე. ი. უმლაუტის შედეგად. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ჩერქეზული ფონოტაქტიკის ზოგი წესი, რომლებიც მეტყველების ყველა ნაწილში მეტ-ნაკლებად რეალიზებულია.

ა) ერთი მხრივ, სახელის ფუძის ბოლოსწინა მარცვალში ა მაშინ გვაქვს, თუ ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი არის **გ**. წარმოვადგენთ ადიღეური ენის მონაცემებს:

მაზგ „ტყე“
მალ´გ „ცხვარი“
ჩათგ||შაფს. **ჭ´ათგ** „ქათამი“
ჩამგ „ძროხა“
ჩაშგ „ღამე“
ჭ°ანგ „ბეღელი“
ჰაჰგ „მოკლე“
ჭ°აცგ „მარცვალი“
ჰაფგ „ფუტურო“
ფაჯგ „ნართი“
ფხაცგ „ხავსი“
ბლანგ „ისლი“
მაშგ „ფეტვი“
ნაფსგ „ცრემლი“
ფჩაძგ „ჰადარი“
ბზაგ°გ „ენა (ანატ.); ბეზღი“
ჭ°აბანგ „გადაღლილი“
ცხ°აფგ „საქმე“
ღ°აგ°გ „გზა“
ტკ°აფსგ „წვეთი“
დაგ°გ „ყრუ“

დაღ˚გ „კარგი“
დაძგ „ცუდი“
ჯანჩგ||შაფს. **გ˘აშგ** „ლობიო“
ზაფგ „ჭანგა“ (ბოტ.)
ცაფგ „თუნუქი“
ჯაგ˚გ „ლხინი; კერა“
ზ˙ღაძგ „წვრილი“
ზაზგ „ნაღველი, ნაღვლის ბუშტი“
ჯაბგ „გოგრა“
ლ˙ასგ „ქვეითი“
მაჯ˚გ „თივა“
ფსაძგ „სოჭი“
თფაძგ „ცაცხვი“
ს˙˚აშგ „თაფლი“
ს˙˚აშგ „ჭუჭყი; ჭუჭყიანი“
ჩ˙აწგ||შაფს. **ჭ˘აწგ** „ციკანი“
შასგ „თავდები“ და სხვ.

ჩვენი ვარაუდით, ზემოთ მოყვანილ ადიღეურ სახელთა **ბოლოსწინა მარცვლისეული ხმოვანი ა მიღებულია ა-საგან ბოლოკიდური მარცვლის გ ხმოვანთან ნაწილობრივი ასიმილაციით** — უმლაუტით, მაგალითად: **ჩამგ** < ***ჩამგ** („ძროხა“), **მაჯ˚გ** < ***მაჯ˚გ** („თივა“), **მაზგ** < ***მაზგ** („ტყე“), **მალ˙გ** < ***მალ˙გ** („ცხვარი“), **დაღ˚გ** < ***დაღ˚გ** „(კარგი“) და ა. შ. ფორმულის სახეს თუ მივცემთ, აღნიშნული პროცესი შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: CV_2CV_3 < $*CV_1CV_3$ (C ნებისმიერ თანხმოვანს ან თანხმოვანთა კომპლექსს აღნიშნავს, V_1 — ღია **ა** ხმოვანს, V_2 — საშუალო ღიაობის **ა**-ს, V_3 — ყველაზე ნაკლები ღიაობის მჭონე **გ**-ს).

ნასესხებ მასალაში გვაქვს გამონაკლისები: ადიღ. **ჴადჷ** / ყაბ. **ყადჷ** „ყადი“, ადიღ. **ფარაჯჷ** „ფარაჯა“, ადიღ. **ყანლ'ჷ** „ჯიუტი“, ყაბ. **ჟასჷ** „გვიანი საღამო“ და სხვ.

ზოგჯერ ფუძის ბოლოკიდური **ჷ** ხმოვანი სახელის განუსაზღვრელი (სალექსიკონო) ფორმაში დაკარგულია, მაგრამ მაინც წინა მარცვლის **ა** მისი მაასიმილირებელი გავლენის შედეგად მიიჩნევა; ეს დაკარგული **ჷ** აღდგება სახელის განსაზღვრულ ფორმაში. ბოლოკიდური **ჷ**-ს რედუქცია ორსავე ჩერქეზულ ენაში შეიმჩნევა მრავალმარცვლიან სიტყვებში, მაგრამ უფრო დამახასიათებელია ყაბარდოული ენისათვის, რომელშიც ფაქტობრივ ბოლოკიდური **ჷ** ისტორიულად მრავალმარცვლიან სიტყვაში აღარ მოიპოვება (იგულისხმება, რასაკვირველია, სახელის სალექსიკონო ფორმა).

ჩერქ. **ჭარად** „სიმღერა“ — შდრ. სახ. ბრუნვის განსაზ. ფორმა **ჭარადჷრ**

ჩერქ. **ბაშ** „ჯოხი“ — შდრ. **ბაშჷრ**

ადიღ. **ლ°აზ** „ორთქლი“ — შდრ. **ლ°აზჷრ**

ადიღ. **ჯარზ** „ბრინჯაო“ — შდრ. **ჯარზჷრ**

ყაბ. **ბაგ°** „მუწუკი“ — შდრ. **ბაგ°ჷრ** (ადიღ. **ბაგ°ჷ** — **ბაგ°ჷრ**)

ყაბ. **ბაჯ** „ობობა“ — შდრ. **ბაჯჷრ** (ადიღ. **ბაჯჷ** — **ბაჯჷრ**)

ადიღ. **ბაჴ°** / ყაბ. **ბაყ°** „ლაჯი“ — შდრ. **ბაჴ°ჷრ** / **ბაყ°ჷრ**

ყაბ. **ბან** „საფლავი“ — შდრ. **ბანჷრ** (ადიღ. **ბანჷ** — **ბანჷრ**)

ყაბ. **ც°აბ'°** „საქმე“ — შდრ. **ც°აბ'°ჷრ** (ადიღ. **ც°აფჷ** — **ც°აფჷრ**)

ყაბ. **ბჟალ°** „სარი, პალო“ — შდრ. **ბჟალ°ჷრ** (ადიღ. **ფჩალ°ჷ** — **ფჩალ°ჷრ**)

ყაბ. **ბჟან** „თხა“ — შდრ. **ბჟანჷრ** (ადიღ. **ფჩანჷ** — **ფჩანჷრ**)

ადიღ. **ბზ'ას'°** / ყაბ. **ბზ'აფ** „საწოვარა“ — შდრ. **ბზ'ა-ს°გრ** / **ბზ'აფგრ**

ყაბ. **ბზაგ°** „ენა (ანატ.)“ — შდრ. **ბზაგ°გრ** (ადიღ. **ბზაგ°გ** — **ბზაგ°გრ**)

ყაბ. **გ°ან** „ბეღელი“ — შდრ. **გ°ანგრ** (ადიღ. **გ°ანგ** — **გ°ანგრ**)

ყაბ. **ღ°ამბ** „სორო“ — შდრ. **ღ°ამბგრ**

ყაბ. **დაგ°** „ყრუ“ — შდრ. **დაგ°გრ** (ადიღ. **დაგ°გ** — **დაგ°გრ**)

ყაბ. **ზ'აგ°** „კერია“ — შდრ. **ზ'აგ°გრ** (ადიღ. **ჯაგ°გ** — **ჯაგ°გრ**)

ყაბ. **ჟამ** „ძროხა“ — შდრ. **ჟამგრ** (ადიღ. **ჩამგ** — **ჩამგრ**)

ყაბ. **ზაზ** „ნაღველი, ნაღვლის ბუშტი“ — შდრ. **ზა-ზგრ** (ადიღ. **ზაზგ** — **ზაზგრ**).

ადიღ. **ქ°აჭ** / ყაბ. **ქ°ას'** „მუხლი“.. — შდრ. **ქ°აჭგრ** / **ქ°ა-ს'გრ**

ჩერქ. **კ°აწ** „შიგნეული, მუცელი“ — შდრ. **კ°აწგრ**

ყაბ. **ყ°ალ'ან** „ჭრელი, დაწინწკლული“ — შდრ. **ყ°ალანგრ** (ადიღ. **ჯ°ალ'ანგ** — **ჯ°ალ'ანგრ**)

ადიღ. **ჯ°აშ** / ყაბ. **ყ°აშ** „ძმა“ — შდრ. **ჯ°აშგრ** / **ყ°აშგრ**

ყაბ. **ლ'ას** „ქვეითი“ — შდრ. **ლ'ასგრ** (ადიღ. **ლ'ასგ** — **ლ'ასგრ**)

ყაბ. **მაყ°** „თივა“ — შდრ. **მაყ°გრ** (ადიღ. **მაჯ°გ** — **მაჯ°გრ**)

ყაბ. **მაზ** „ტყე“ — შდრ. **მაზგრ** (ადიღ. **მაზგ** — **მაზგრ**)

ყაბ. **მალ'** „ცხვარი“ — შდრ. **მალ'გრ** (ადიღ. **მალ'გ** — **მალ'გრ**)

ყაბ. **მაშ** „ფეტვი“ — შდრ. **მაშგრ** (ადიღ. **მაშგ** — **მაშგრ**)

ჩერქ. **ნაკ°** „სახე, ლოყა“ — შდრ. **ნაკ°გრ**

ყაბ. **ნაჭ** „ბრმა“ — შდრ. **ნაჭგრ** (ადიღ. **ნას'გ** — **ნას'გრ**)

ადიღ. **ნგბჯაღ°** / ყაბ. **ნგბზ'აღ°** „მეგობარი, ამხანაგი“ — შდრ. **ნგბჯაღ°გრ / ნგბზ'აღ°გრ**

ადიღ. **ფსას'°** / ყაბ. **ფსაჭ** „მაკე“ — შდრ. **ფსას'°გრ / ფსაჭგრ**

ჩერქ. **ფხაშბღ°** „დაფა“ — შდრ. **ფხაშბღ°გრ**

ყაბ. **შას** „თოვლი“ — შდრ. **შასგრ** (ადიღ. **შასგ** — **შასგრ**)

ყაბ. **შაშხ'** „წვიმა“ — შდრ. **შაშხ'გრ** (ადიღ. **შაშხ'გ** — **შაშხ'გრ**)

ყაბ. **ჭას'** „მოკლე, დაბალი“ — შდრ. **ჭას'გრ** (ადიღ. **ჭაჭგ** — **ჭაჭგ-რ**)

ყაბ. **ს'ან** „ხასიათი“ — შდრ. **ს'ანგრ** (ადიღ. **შაანგ** — **შაანგრ**)

ადიღ. **ჯაფშ** / ყაბ. **ს'°აფს'** „მათრახი“ — შდრ. **ჯა ფშგრ / ს'°აფს'გრ** და სხვ.

მაშასადამე, **ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია მიეწერება იმ ბოლოკიდურ ხმოვანსაც, რომელიც სახელის განუსაზღვრელ ფორმაში დაკარგულია, მაგრამ თავისი კვალი მაინც დაუტოვებია — ნაწილობრივ დაუმსგავსებია წინა მარცვლის ა** (ა → ა), მაგალითად: **შარად** < ***შარადგ** < ***შარადგ** („სიმღერა“), **ბაშ** < ***ბაშგ** < ***ბაშგ** („ჯოხი“), ყაბ. **ბაჯ** < ***ბაჯგ** < ***ბაჯგ** („ობობა“), **კ°აწ** < ***კ°აწგ** < ***კ°აწგ** („შიგნეული“), ყაბ. **შას** < ***შასგ** < ***შასგ** („თოვლი“) და ა. შ. სქემატურად ეს პროცესი შეიძლება ასე გამოისახოს: $CV_2C < *CV_2CV_3 < *CV_1CV_3$.

ერთგვარი რყევა შეიმჩნევა ბოლოდან მეორე მარცვალში ლარინგალური **ც** და **ჰ** თანხმოვნების მომდევნოდ

ხმოვანთა ფუნქციონირებაში, როდესაც ბოლოკიდურში წარმოდგენილია ან რედუცირებულია (მეუმლაუტე) **გ** — ლარინგალების შემდეგ დასტურდება როგორც **ა**-ს, ისე **ა**-ს ხმარების ფაქტები: **ცაბ**(გ) „ხელი (ბავშვის მიმართ)“, **ცაგ˚**(გ) „ეზო“, **ცალ˚**(გ) „ხელგამხმარი, უხელო“, ცაჯგ „ბევრი“, **ცაჭ**(გ) „ხელის მტევანი“, **ცალ´გ** „ველური“, **ჰალ´გ** „სოლი“, **ჰაჯ**(გ) „წილი“, **ჰახ˚**(გ) „მეძაღლე“, **ბაგ˚**(გ) „ღუმელი“, **ჰანძ˚**(გ) „ზვინი“... **ცაგ˚**(გ) „ხელისგული“, **ყაბლ˚**(გ) „ნაჭერი“, **ჰაზ´˚**(გ) „ლეკვი“, **ჰაშ**(გ) „საძაღლე“... ჯერჯერობით **ა**-სა და **ა**-ს მონაცვლეობასთან დაკავშირებით ლარინგალების მომდევნოდ საუმლაუტე პოზიციაში რაიმე კანონზომიერების დადგენა ვერ ხერხდება.

ბ) მეორე მხრივ, **სახელის ფუძის ბოლოსწინა მარცვალში ა შენარჩუნებულია, თუ ბოლო მარცვლის ხმოვანი არის ა** (თავად **ა**-საგან უმლაუტის გზით მიღებული — ამის შესახებ იხ. ქვემოთ):

ადიღ. **ჭალ´ა** / ყაბ. **ს´ალ´ა** „ყმაწვილი“
ადიღ. **მაჭა** / ყაბ. **მახ´˚ა** „დღე“
ადიღ. **მათა** „ქალათა“
ადიღ. **მაშაა** / ყაბ. **მას´ა** „ორმო“
ადიღ. **თამა** / ყაბ. **დამა** „ფრთა“
ადიღ. **მაჯა** / ყაბ. **მაყა** „ხმა, ბგერა“
ჩერქ. **მაზა** „მთვარე, თვე“
ყაბ. **მაზ´ა** „სავარცხელი“
ადიღ. **მას´˚ა** /ყაბ. **მაჭა** „ცეცხლი“
ჩერქ. **მახ´ა** „სუსტი“
ადიღ. **მაჭა** / ყაბ. **მას´ა** „პატარა, მცირე“
ადიღ. **ფაცა** / ყაბ. **ბაცა** „მატყლი“
ადიღ. **ბზ´აჯ˚ა** / ყაბ. **ბზ´აყ˚ა** „რქა“

ადიღ. **ჯანა** / შაფს. **გ˘ანა** / ყაბ. **ჯანა** „პერანგი“
ადიღ. **ბზაქ°ა** / ყაბ. **ბზაგ°ა** „ყრუ“
ჩერქ. **ბზაჯა** „ბოროტი, ცბიერი“
ჩერქ. **ბლ'ანა** „შველი“
ჩერქ. **დახ'ა** „ლამაზი“
ადიღ. **თჰამათა** / ყაბ. **თჰამადა** „თამადა; თავმჯდომარე“
ადიღ. **ჰაქ°ა** / ყაბ. **ს'აქ°ა** „ნაბადი“
ჩერქ. **ფს'ას'ა** „გოგონა; ქალიშვილი“
ადიღ. **ჰაჭა** / ყაბ. **ჰას'ა** „სტუმარი“
ადიღ. **ც°აჯა** / ყაბ. **გაჯა** „ფეხსაცმელი“
ადიღ. **ზ'°ალ°ა** / ყაბ. **გალ°ა** „ვარსკვლავი“
ჩერქ. **პასთა** „ღომი“
ადიღ. **ფაც°ა** „ქუდი“
ჩერქ. **ფალ'ა** „ამაყი, მედიდური, ქედმაღალი“
ადიღ. **ფაჭა** / ყაბ. **ფას'ა** „ულვაში“
ჩერქ. **ფსაფა** „სიკეთე, კეთილი“
ყაბ. **ბძამწა** „ტყვია“
ადიღ. **ფჩაფა** / ყაბ. **ფშაფა** „ბინდი“
ჩერქ. **პწანა** „შიშველი, ტიტველი“
ადიღ. **თჰაცა** „ძუნწი, წუწურაქი“
ადიღ. **ს'აჯ°ა** / ყაბ. **ჰაქ°ა** „ნაბადი“
ჩერქ. **დღ'ანა** „ძნა, ულო“
ჩერქ. **ლათხ'ა** „გაზაფხული“
ყაბ. **ღ°ანა** „ნახვრეტი“
ადიღ. **ცაქ°ა** / ყაბ. **ძაგ°ა** „ბლაგვი“
ყაბ. **ჰახ'ხ°ა** „ლურჯი, ცისფერი, მწვანე“ და სხვ.

სახელის ფუძის ზემოთ წარმოდგენილი ტიპი — CV_1CV_2 — ისევე კანონიკურია ჩერქეზულ ენათათვის, როგორც — ადრე განხილული CV_2CV_3 ტიპი. მთავარი ორსავე შემთხვევაში ისაა, **რომ ბოლოკიდურ ხმოვანზეა დამოკიდებული წინა მარცვლისეული ხმოვნის რაობა** (ა გვექნება, თუ — **ა**).

ზოგ სიტყვაში ბოლოკიდური ა დაკარგულია, მაგრამ წინა მარცვალში მაინც **ა** გვექნება (ბოლოკიდური ა-ს დაკარგვა უფრო ადიღეურს ახასიათებს):

ადიღ. **ნან** „დედა“ — შდრ. სახ. ბრუნვის განსაზღვრული ფორმა **ნანა́რ** (ყაბ. **ნანъ** — **ნანъ́რ** „ბებია“).

ჩერქ. **ქ°ანდ** „ბუჩქი“ — შდრ. **ქ°ანდა́რ**

ადიღ. **აბძახ'** „აბძახი“ — შდრ. **აბძახ'а́რ**

ადიღ. **შალ'** „ვედრო“ — შდრ. **შალ'а́რ**

ადიღ. **ჭან** „უნაგირი“ — შდრ. **ჭანა́რ** (ყაბ. **ჭанъ** — **ჭანъ́რ**)

ადიღ. **ლ'აფს** „ძირი, ფესვი“ — შდრ. **ლ'აფსა́რ**

ადიღ. **ბლ'ახ'** „ბეჭის ქვედა ნაწილი (ძირი)“ — შდრ. **ბლ'ъх'ъ́რ**

ადიღ. **პწაშъх°** „მერცხალი“ — შდრ. **პწაშъх°ъ́რ** (ყაბ. **პწას'х°ъ** — **პწას'х°ъ́რ**)

ადიღ. **გ°გმახ'** „გულსუსტი“ — შდრ. . **გ°გმახ'ъ́რ**

ადიღ. **ღ°ъმგლ'აფხ** „საჭმელი“ — შდრ. **ღ°ъმგლ'აფხъ́რ**

ადიღ. **ღ°აფ** „სახელო“ — შდრ. **ღ°აფъ́რ**

ადიღ. **ღ°ანტკ°** „წვეთი“ — შდრ. **ღ°ანტკ°ъ́რ**

ადიღ. **ღъზ'°აც** „ფეტვის მარცვალი“ — შდრ. **ღъ ზ'°აცъ́რ**

ადიღ. **ნაშ** „ნესვი“ — შდრ. **ნაშъ́რ** (ყაბ. **нас'ъ** — **нас'ъ́рр**)

ადიღ. **ღᲐმაქ** „ზაფხული“ — შდრ. **ღᲐმაქᲐრ** (ყაბ. **ღᲐმაᲮ'Არ**)

და სხვ.

გ) ყურადღებას იქცევს სახელის ფუძის ბოლოკიდური ჩერქეზულ ენებში. სახელი (სიტყვა — საზოგადოდ) ამ ენებში, როგორც ცნობილია, შეიძლება დაბოლოვდეს მხოლოდ **ა** ან **გ** ხმოვანზე (სიტყვის ბოლოკიდურში დადასტურებული **ა** მხოლოდ აფიქსი შეიძლება იყოს). როგორც აღინიშნა, ეს ხმოვნები შეიძლება სახელის განუსაზღვრელ ფორმაში არ აღმოგვაჩნდეს, მაგრამ განსაზღვრულ ფორმაში აღდგება.

ჩერქეზულ ენებში მრავალი **ა** ხმოვანზე დაბოლოებული სახელია დადასტურებული:

ჩერქ. **ბაძᲐ** „ბუზი“

ადიღ. **ბაჯᲐ** / შაფს. **ბაგ˝Ა** / ყაბ. **ბაჯᲐ** „მელა“

ჩერქ. **ნᲐ** „თვალი“

ჩერქ. **თᲮ'Ა** „ნაცრისფერი“

ადიღ. **ნაბლ'Ა** / ყაბ. **აბლ'Ა** „ბუდე“

ჩერქ. **ფᲐ** „ცხვარი, წვერი (ბოლო)“

ჩერქ. **ბᲐ** „ადგილი; ლოგინი“

ჩერქ. **ბᲐ** „ბევრი“

ადიღ. **ფანᲐ** / ყაბ. **ბანᲐ** „ეკალი“

ჩერქ. **დᲐ** „კაკალი“

ჩერქ. **სᲐ** „მე“

ჩერქ. **შᲐ** „შენ“

ადიღ. **თᲐ** / ყაბ. **დᲐ** „ჩვენ“

ადიღ. **ს'Ა** / ყაბ. **ფᲐ** „თქვენ“

ჩერქ. **ს'Ა** „ასი“

ჩერქ. **ძატᲐ** „ტალახი, მიწა, თიხა“

ჩერქ. ძა „ჯარი“
ადიღ. ца / ყაბ. ძа „კბილი“
ჩერქ. წа „სახელი“
ჩერქ. წгна „სველი, ნედლი“
ჩერქ. ча / შაფს. ӷ̌а „ელენთა“
ადიღ. чаӷа / ყაბ. ӷаӷа „ხმალი“
ყაბ. ӷана „პერანგი“
ჩერქ. ӷа / შაფს. к̌а „კუდი, ბოლო; კურკა“
ადიღ. шәка / ყაბ. шӷа „ხბო“
ადიღ. ӽәа „მარხილი“
ჩერქ. фша „ღრუბელი“
ყაბ. ӷгда „ცული“
ჩერქ. ӏ́ӷа „თავი“
ჩერქ. тӷа „ღმერთი“
ჩერქ. ца „ხელი, ხელის მტევანი“
ჩერქ. лӏ́ала „მაღალი“
ადიღ. лӏ́ала „თეფში“
ჩერქ. ӆаӏ́а „ცხოვრება“
ადიღ. гᵒаша / ყაბ. гᵒаӏ́а „ქალბატონი, დედამთილი“
ადიღ. цгӆᵒа / ყაბ. ძгӆᵒа „თაგვი“
ჩერქ. мгӏ́а „დათვი“
ადიღ. нафца / ყაბ. наӡа „წარბი“
ადიღ. нгэᵒа / ყაბ. нгуᵒа „ნახევარი“
ჩერქ. нгса „რძალი“
ადიღ. ӷгӷа „გრძელი“
ჩერქ. ӏ́аӡа „წესი, ადათი, ტრადიცია, კანონი“
ჩერქ. ӡа „ენა, მეტყველება“

ადიღ. **პჭა** / ყაბ. **პსʼა** „ფასი, საფასური“ და მრავალი სხვა.

სახელის ბოლოს დახურული ა ხმოვანი ა-საგან ჩანს მიღებული: მაასიმილირებელი გავლენა სახელობითი ბრუნვისა და განსაზღვრულობის -რ ფორმანტის მომდევნო გ ხმოვანს მიეწერება, რომელიც ამ ბრუნვის ფორმაში ამჟამად გაუჩინარებულია; გ-ს, როგორც სახელობითი ბრუნვის ხმოვნითი ელემენტის, აღდგენას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ჩერქეზული ენების სუფიქსურ მორფემათა ძირითადი სტრუქტურული ტიპი ღია მარცვლის, ე. ი. თანხმოვანი + ხმოვანი ტიპისაა (CV).[12] მაშასადამე, სახელობითი ბრუნვის განსაზღვრულ ფორმაში **გ** ხმოვანი ამჟამად დაკარგულია, მაგრამ დაკარგვამდე თავისი მაასიმილირებელი გავლენის წყალობით სახელს ფუძის ბოლოკიდური **ა** ხმოვანი ყველა შემთხვევაში ა-დ უქცევია. მაშასადამე, ასეთი პროცესი ივარაუდება: ჩერქ. **მაზა**-რ < ***მაზა**-რგ < ***მაზა**-რგ „მთვარე“, ადიღ. **ჭალʼა**-რ || ყაბ. **სʼალʼა**-რ < ***ჭალʼა**-რგ || ***სʼალʼა**-რგ < ***ჭალა**-რგ || ***სʼალʼა**-რგ „ბიჭი“, ადიღ. **მაფა**-რ || ყაბ. **მაᲮʼა**-რ < ***მაფა**-რგ || ***მაᲮʼა**-რგ < ***მაფა**-რგ || **მაᲮʼა**-რგ „დღე“, ჩერქ. **ბაძა**-რ < ***ბაძა**-რგ < ***ბაძა**-რგ „ბუზი“, ჩერქ. **ნა**-რ < ***ნა**-რგ < ***ნა**-რგ „თვალი“, ჩერქ. **სʼა**-რ < ***სʼა**-რგ < ***სʼა**-რგ „ასი“, ადიღ. **ფანა**-რ || ყაბ. **ბანა**-რ < ***ფანა**-რგ || ***ბანა**-რგ < ***ფანა**-რგ || ***ბანა**-რგ „ეკალი“, ადიღ. **ცა**-რ || ყაბ. **ძარ** < ***ცა**-რგ || ***ძა**-რგ < ***ცა**-რგ || ***ძა**-რგ „ჯარი“, ჩერქ. **მგსʼა**-რ < ***მგსʼა**-რგ < ***მგსʼა**-რგ „დათვი“, **თჰა**-რ < ***თჰა**-რგ < ***თჰა**-რგ „ლმერთი“,

[12] შესაძლოა სახელობითი ბრუნვის ნიშნის ამოსავალი სახეობა **-რგ** შემონახული გვქონდეს ჩვენებითი ნაცვალსახელის ე. წ. პრედიკატულ ფორმაში: **მგრგ** „ესაა“ — შდრ. **მგ/მგრ** „ეს“, **მორგ** „ეგაა“ — შდრ. **მო/მორ** „ეგ“, **არგ** „ისაა“ — **ა/არ** „ის“ [შდრ. Рогава, Керашева 1966, 87].

ჩერქ. **ᲓᲐᲢᲣᲠ** < ***ᲓᲐᲢᲣᲠᲠᲒ** < ***ᲓᲐᲢᲐ**-რგ „თიხა, მიწა, ტალახი“, ჩერქ. **თხ°ᲣᲠ** < ***თხ°ᲣᲠᲠᲒ** < ***თხ°Ა**-რგ „ნაცრისფერი“, ჩერქ. **ფᲨᲣᲠ** < ***ფᲨᲣᲠᲠᲒ** < ***ფᲨᲐ**-რგ „ღრუბელი“ და ა. შ.

სახელის ფუძის ბოლოკიდურში მომხდარი პროცესი სქემატურად ასეთი სახით შეიძლება წარმოდგეს: CV_2-რ < *CV_2-რV_3 < *CV_1-რV_3.

სახელობითი ბრუნვის განსაზღვრულ ფორმაში ჩამოყალიბებული სახელის ფუძის მოდელი (ბოლოკიდურში უმლაუტირებული ა-ს შემცველი) **ანალოგიით გავრცელებულია სახელობითი ბრუნვის განუსაზღვრელ ფორმაში და განუსაზღვრელი და განსაზღვრული ბრუნების სხვა ფორმებში** (ერგატივში, მოქმედებითსა და გარდაქცევითში, მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში). თვალსაჩინოებისათვის ერთ მაგალითს წარმოვადგენთ:

განსაზღვრული ბრუნება

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
სახ. **ᲨᲒᲜᲐ**-რ < ***ᲨᲒᲜᲐ**-რგ < ***ᲨᲒᲜᲐ**-რგ „სახლი“	**ᲨᲒᲜᲐ**-ნ‘ᲐᲠ
ერგ. **ᲨᲒᲜᲐ**-მ	**ᲨᲒᲜᲐ**-ნ‘ᲐᲛ
მოქმ. **ᲨᲒᲜᲐ**-მᲯᲐ	**ᲨᲒᲜᲐ**-ნ‘ᲐᲛᲯᲐ
გარდ. **ᲨᲒᲜ**-ᲐᲨᲘ[13]	**ᲨᲒᲜᲐ**-ნ‘ᲐᲨᲘ

[13] განსაზღვრული ბრუნებისაგან განსხვავებული მრავლობითი რიცხვის საკუთარი ფორმები განუსაზღვრელ ბრუნებას არ გააჩნია [Рогава, Керашева 1966, 63].

გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ბ რ უ ნ ე ბ ა

სახ. **ჭgნ**

ერგ. **ჭgნ**

მოქმ. **ჭgნ**-ჭ

გარდ. **ჭgნ**-ჳჭ[14]

ადიღური სახელის ფუძის ბოლოკიდურში სახელობითი ბრუნვის ნიშნის გავლენით მომხდარი ფონეტიკური მოვლენა — უმლაუტი — ტიპოლოგიურად სვანურ უმლაუტს ჰგავს: ორივეგან ამჟამად გაუჩინარებულია მეუმლატე ხმოვანი (სვანურში — სახელობითი ბრუნვის ნიშანი, ადიღეურში — სახელობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ელემენტი), თუმცა თავისი კვალი მაინც დაუტოვებია ფუძისეული ხმოვნის უმლაუტის სახით.

ჩერქეზულ ზმნაშიც გვაქვს ისეთი შემთხვევები, სადაც ჳ ა-საგან მიღებულად მიიჩნევა.

ა) მრავალმარცვლიანი ზმნური ფუძეების ბოლოდან მეორე მარცვლისეული ხმოვნის რაობა ბოლოკიდურ ხმოვანზეა დამოკიდებული:

1. თუ ზმნის ფუძის ბოლოკიდური ხმოვანია g, წინა მარცვლის ხმოვანი აუცილებლად ჳ ოქნება.

გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ზ მ ნ ა

სჳ-**g°ჳშg** „ვარიგებ“	თჳ-**g°ჳშg** „ვარიგებთ“
ჭჳ-**g°ჳშg** „არიგებ“	ს′°ჳ-**g°ჳშg** „არიგებთ“
ჲჳ-**g°ჳშg** „არიგებს“	ა-**g°ჳშg** „არიგებენ“

[14] მხოლოობითი რიცხვის გარდაქცევით ბრუნვაში სახელის ფუძის ბოლოკიდური ჳ ბრუნვის ნიშან -ჳჭ-ს წინ მოკვეცილია [Рогава, Керашева 1966, 61-62; შდრ. Кумахов 1967, 149].

სა-**ნაჭ**ვ „ვმარხულობ“ თა-**ნაჭ**ვ „ვმარხულობთ“
უა-**ნაჭ**ვ „მარხულობ“ ს'ა-**ნაჭ**ვ „მარხულობთ“
მა-**ნაჭ**ვ „მარხულობს“ მა-**ნაჭ**ვ-ხ' „მარხულობენ“

ასეთსავე სურათს გვიჩვენებს მრავალი სხვა ზმნა (მოგვყავს მხ. რ. III პირის ფორმაში): მა**შაშ**ვ „ჯდება“, მას'ა**თ**ვ „ბრწყინავს“, და**ფხან'**ვ „ახდის“, და**ხ°აჭ**ვ „იზელს“, და**ქ°ა თ**ვ „გამოქნის“, და**უგლ'აბ**ვ „ალბობს“, და**უგხ°აფხ'**ვ „ხარშავს“, და-**უგპჭაპჭ**ვ „იწმინდება“, მა**უგზან**ვ „სწორდება“, მა**უგფარაც**ვ „იწეწება, იჩეჩება“, მა**უგთაზ**ვ „იხრება“, და**უგფაწ**ვ „(წა)თლის“, **ბლ'აჭ**ვ „ჩაუვლის“, **გ°აჭ**ვ „შორდება“, მა**ლ°ალ'**ვ „წვება“, და**ლ°ათ**ვ „პოულობს“, მა**ბზან'**ვ „იკარგება, ქრება“, მა**ლ°ალ'**ვ „ღრიალებს“, მა**კ°ად**ვ „იკარგება“, და**ჭ**ვ „ადის“, **დახ'**ვ „შეუხვევს“, მა**ჯანდ**ვ „ეცემა“, და**ლ'აქ°**ვ „სთხოვს“, და**ფალა ჭ**ვ „უგულებელყოფს“, და**საჟ**ვ „ეგუება“, და**თაჭ**ვ „ეჯახება“, მა**ქ°აშ**ვ „ხეტიალობს“, ფა**ქა-ბან'**ვ „ჩაყოფს“, ფა**ალ'ათ**ვ „გამოვარდება“, ფა**ატატ**ვ „ჩააწვეთებს“, ჰა**წალ'**ვ „ამოგლისავს“, ჰა**პჭათ**ვ „განზე ხტება“, **ჭათ(ვ)** „იმყოფება“, ჰა**თხ'აჟ**ვ „ხელს აწერს“, **ალ'აჟ**ვ „ამუშავებს (ბოსტანს); ზრდის“, **აალ'აჭ**ვ „შესძლებს; წმენდს“, ფა**ალ'ათ**ვ „მოვარდება, მოწყდება“, ფა**ლ°აჭ**ვ „ხვდება“, **ფას(ვ)** „ზის; დარაჯობს; ელის“, და**ტაჭ**ვ „ხდის, ძარცვავს“, **ს'°ას'ვ** „გამოჩნდება“, და**შაჩ**ვ „წონის; ითმენს“ და სხვ.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში ზმნის **ფუძის ბოლოდან მეორე მარცვალში დახურული ა-ს გამოვლენას მომდევნო მარცვლის გ-ს გავლენის შედეგად განვიხილავთ**. აქაც იგივე პროცესი ივარაუდება, რაც — სახელო-

ბით ბრუნვაში ანალოგიურ შემთხვევაში, ე. ი. *CV_1CV_3 > CV_2CV_3. მაშასადამე, აქაც უმლაუტი მომხდარა.

2. ზემოთქმულს მხარს უჭერს ის გარემოება, რომ, თუ მრავალმარცვლიანი ზმნური ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი არ არის **გ** და გვაქვს ა, მაშინ წინა მარცვალში **ა** გვექნება.

გარდამავალი ზმნა

სა-ც°ან**ტა** „ვღუნავ“ თა-ც°ან**ტა** „ვღუნავთ“
ჭა-ც°ან**ტა** „ღუნავ“ ს'°ა-ც°ან**ტა** „ღუნავთ“
და-ც°ან**ტა** „ღუნავს“ ა-ც°ან**ტა** „ღუნავენ“

გარდაუვალი ზმნა

სა-**ბან**ა „ვიბრძვი“ თა-**ბან**ა „ვიბრძვით“
ჭა-**ბან**ა „იბრძვი“ ს'°ა-**ბან**ა „იბრძვით“
მა-**ბან**ა „იბრძვის“ მა-**ბან**ა-ბ' „იბრძვიან“

ამის მსგავსი მრავალი სხვა შემთხვევა დასტურდება: და**წალ'**ა „ლესავს; სვრის“, მა**ლ'აჟ**ა „(საერთოდ) მუშაობს“,; და**ცად**ა „აჭუჭყიანებს“, მა**ტაც**ა „იხსნება“, **გ°აფ**ა „ეცემა“, მა**ბლ°ათ**ა „ობდება“, მა**ბალ°**ა „მდიდრდება; მოსავალს იძლევა“, მა**ბასკ**ა „სუქდება“, მა**ლ°ან'ლ'**ა „ჭკნება“, მა**ლ°აფჩ**ა „ყვითლდება“, და**ღაკ'ათ**ა „აცილებს“, და**ღალ'ან'ლ'**ა „(მო)უშვებს“, და**ღალ'აღ°**ა „აჩვენებს“, მა**ლ'აც°**ა „თხოულობს“, და**ღანაფ**ა „განსაზღვრავს, (და)ადგენს“, მა**ფხაფხ**ა „იბნევა, იფანტება“, მა**ლ°ალ°**ა „გრგვინავს“, მა**ლ°აკ°**ა „გზა

ებნევა“, მაღ°აფცაჳ „მაგრდება“, მაღგბზაც°ჳ „მოთქვამს“, დაღაბზაჯჳ „ანებივრებს“, დაღაღ°აზჳ „ახმობს“, დაღაღ°ალ'ჰჳ „აკრუხებს“, დაღაღ'ანლ'ჳ „ასუსტებს“, დაღაღ'ათჳ „ახტუნებს“, დაღანაღ°აჯჳ „მალავს“, დაღაფათჳ „(შემო)აკრავს“, დაღაუგპჰაპჰჳ „(შე)იკრავს“, დაუგც°აღჳ „ეთანხმება“, დაწაწჳ „ლანძღავს“, დაჩაალჳ „მიირბენს“, დაღ'ადჳ „შეირბენს“, დაც°ახ°ჳ „მიცოცავს“, დაშაშაჳ „ცვივა“, ჴდაბღ'აღჳ „მობრძანდება“, ჴდათაჯჳ „(გამო)ჩნდება“, ჴანაფჳ „ირკვევა“, ჴანაჰჳ „დასცინის“, მაჰასჳ „აგვიანებს“, ფდაღანჳ „ანთებს“, ფდათაჯ°ჳ „ყრის“, მაფშათჳ „თრიმლავს (ითრიმლება)“, მაპასათხჳ „იკაწრება“, მატასხჳ „სუსტდება“ და სხვ.

ზმნის ფუძისეულ ხმოვანთა ურთიერთმოქმედების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა გარჩევა მონაცვლეობის (აბლაუტის) საშუალებით. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ზმნის ორმარცვლიან ფუძეთა დაპირისპირება აღნიშნული მონაცვლეობით, კერძოდ, გარდამავალი ზმნისათვის გ ბოლოკიდურის მქონე ფუძეთა გამოყენება, ხოლო გარდაუვალისათვის — ჳ ბოლოკიდურიანებისა.

გარდამავალი	გარდაუვალი
დაღ'აღ°გ „ხედავს“	მა-ღ'აღ°ჳ „ჩანს (საერთოდ)“
დაღ'აჟგ „მუშაობს, ამუშავებს“	მა-ღ'აჟჳ „მუშაობს (საერთოდ)“
ადიღ. და-თჰაჰგ ‖ ყაბ. დათჰაღ'გ „იბანს, რეცხავს“	მა-თჰაჰჳ ‖ მა-თჰაღ'ჳ „ბანაობს, რეცხავს (საერთოდ)“
და-ჰაჟგ „ლეწავს, ცეხვავს“	მა-ჰაჟგ „ლეწავს, ცეხვავს (საერთოდ) და სხვ.

აქ საყურადღებო ისაა, **რომ წინა მარცვლის ხმოვნის არჩევანს განაპირობებს მომდევნო მარცვლის ხმოვანი** ისევე, როგორც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში: ა — გ, ა — ა. პირველ შემთხვევაში (ე. ი. გარდამავალ ზმნებში წარმოდგენილ ვითარებას) განვიხილავთ როგორც უმლაუტის ტიპობრივ მოვლენას: *ა — გ > ა — გ.

ბ) კაუზატივის პრეფიქსი ორი ფონეტიკური ვარიანტითაა წარმოდგენილი — ლა- და ლა-. კაუზატივის ფორმანტი, როგორც ცნობილია, უშუალოდ ზმნის ძირს დაერთვის წინ. თუ ზმნის ძირი გ ხმოვნის შემცველია, კაუზატივის ხმოვანი ა გახმოვნებით იქნება; თუ ზმნის ძირის შემადგენლობაში ა ხმოვანი გვაქვს, კაუზატივის ნიშნად წარმოდგენილია ლა-. შედარება უფრო თვალსაჩინოს გახდის არსებულ ვითარებას:

სა-**ლა**-ჯგ „ვართვევინებ (დავართვევინებ)“
უა-**ლა**-ჯგ „ართვევინებ“
და-**ლა**-ჯგ „ართვევინებს“
თა-**ლა**-ჯგ „ვართვევინებთ“
ს'°ა-**ლა**-ჯგ „ართვევინებთ“
ა-**ლა**-ჯგ „ართვევინებენ“

სა-**ლა**-ჯა „ვაძახებინებ“
უა-**ლა**-ჯა „აძახებინებ“
და-**ლა**-ჯა „აძახებინებს“
თა-**ლა**-ჯა „ვაძახებინებთ“
ს'°ა-**ლა**-ჯა „აძახებინებთ“
ა-**ლა**-ჯა „აძახებინებენ“

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ შემთხვევაში კაუზატივის პრეფიქსის ა გახმოვანებიანი ვარიანტის — ლა-ს ფუნქციო-

ნირებას განსაზღვრავს მისი მომდევნო, ზმნის ძირისეული **გ**-ს არსებობა. ფორმულა CV_2CV_3, როგორც წესი, რეალიზებულია სხვა შემთხვევებშიც; შედარებისათვის პარალელურად მოვიყვანეთ მეორე შემთხვევის (CV_1CV_2) მაგალითებსაც:

ა—გ	**ა—ა**
და-ღაჩგ „ჩამოასხამს“	**და-ღაჩა** „არბენინებს“
რგრდა-ღათგ „მიაცემინებს“	**და-ღადა** „აკერვინებს“
და-ღაგ°გ „აცეხვინებს“	**და-ღაზ'°ა** „ახვნევინებს“
და-ღაზ'გ „აბერებს“	**რდა-ღაშა** „წააყვანინებს“
და-ღაზ'°გ „(გა)ადნობს“	**და-ღაკ°ა** „აიძულებს წავიდეს“
და-ღაყგ „აჩქარებს“	**და-ღაშახ'ა** „აჭმევს“
და-ღანგ „აჩლუნგებს“	**რდა-ღაჟა** „აცდევინებს“
და-ღაჭგ „ზრდის“	**და-ღაბზა** „აჭრევინებს“
და-ღალ'გ „გადაწვავს“	**და-ღაბლ'ა** „აწვევინებს“
და-ღალგ „ავაჟკაცებს“	**და-ღალ'ა** „აღებვინებს“
და-ღაფლ'გ „აცხელებს“	**და-ღალ'ა** „ახტუნებს“
და-ღაფსგ „აშენებს“	**და-ღაფა** „აღიზიანებს“
და-ღაფსკგ „აბანავებს“	**და-ღაპჭა** „ამარგვლინებს“
და-ღაფშგ „ბერავს“	**და-ღაპლა** „უხუჭავს (თვალებს)“
და-ღასთგ „წვავს“	**და-ღაპწა** „ატყუებს“
და-ღატკ°გ „ადნობს“	**და-ღაფშთა** „ადუღებს“
და-ღათხგ „წეწავს“	**და-ღათა** „აჩუქებს“
და-ღაჭგ „აგზავნის“	**და-ღათხ'ა** „აწერინებს“
და-ღას'°გ „ასველებს“	**და-ღატა** „ათხრევინებს“
და-ღას'°გ „ანაყოფიერებს“	**და-ღაშა** „ამწიფებს“
და-ღაშგ „გრეხს“	**და-ღას'°ა** „ანებივრებს“
და-ღადა „დასტირის“	**და-ღაშთა** „აშინებს“

და სხვ.

აქ ჩვენ წარმოვადგინეთ ადიღეური მაგალითები; პრინციპულად ასეთივე ვითარებაა ყაბარდოულ ენაშიც.

კაუზატივის მორფემის ძირითად, ამოსავალ ვარიანტად მივიჩნევთ ღია ხმოვნის შემცველ სახეობას — **ღა**-ს [შდრ. კუმახოვი 1964, 162-164; როგავა, კერაშევა 1966, 257 და სხვ.], რომლისგანაც შემდგომ გარკვეული სტრუქტურის ზმნურ ფუძეზე — იგულისხმება CV_3, წინ დართვის შედეგად მივიღეთ **ღა**-: ***ბაღაჩ'გ > ბაღაჩ'გ** „ჩამოასხამს“, ***ბაღაზ'გ > ბაღაზ'გ** „აბერებს“, ***ბაღაჟგ > ბაღაჟგ** „აჩქარებს“, ***ბაღატქ'გ > ბაღატქ'გ** „ადნობს“, **ბაღასთგ > ბაღასთგ** „წვავს“ და ა. შ. ესაა ტიპობრივი უმლაუტის პროცესი. სადაც საუმლატე პოზიცია არ იყო, ე. ი. კაუზატივის ნიშნის მომდევნო ზმნური ფუძე CV_1 სტრუქტურას წარმოგვიდგენდა, ბუნებრივია, **ამოსავალი ღა- სახეობა შემოგვენახა**.

გ) მესამე სუბიექტური პირის ნიშანი აწმყოში ერთპირიან უპრევერბო გარდაუვალ დინამიკურ ზმნებთან ორ ვარიანტს — **მა**-სა და **მა**-ს წარმოგვიდგენს;[15] ისინი ისევეა განაწილებული, როგორც კაუზატივის ნიშნის ვარიანტები, ე. ი. მათი ამა თუ იმ სახით ფუნქციონირება მომდევნო ზმნური ძირის გახმოვანებაზეა დამოკიდებული:

ა — გ	ა — ბ
მათხ'გ „ჭალარავდება“	**მაკ'ა** „მიდის“
მაფშგ „მიცოცავს“	**მათხ'ა** „წერს (საერთოდ)“
მაგ'გ „ცეხვავს (საერთოდ)“	**მაც'ა** „ყივის“
მაჯგ „ართავს (საერთოდ)“	**მატა** „თხრის (საერთოდ)“
მაფხგ „ამოტენს (საერთოდ)“	**მადა** „ქერავს (საერთოდ)“

[15] გ. როგავას აზრით, ისტორიულად ეს ფორმანტი დინამიკურობის ნიშნისაგან არის მიღებული (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

მაფხ'გ „პენტავს (საერთოდ)“
მახ°გ „იცოხნება“
მახ'გ „ლეწავს (საერთოდ)“
მალ'გ „იწვის“
მალ'გ „ლესავს, ილესება“
მაჭგ „აბრტყელებს (საერთოდ)“
მასთგ „იყინება“

მაშახ'ა „ჰამს (საერთოდ)“
მაშაა „ყიდის (ვაჭრობს)“
მას'ა „ქსოვს (საერთოდ)“
მახა „ქარგავს (საერთოდ)“
მაბლა „ხურავს (საერთოდ)“
მალა „კვდება“
მალ'ა „ხტება“

და სხვ.

მესამე პირის აფიქსის **მა-** და **მა-** ვარიანტებს ისევე უნდა მივუდგეთ, როგორც — კაუზატივის აფიქსს, ე. ი. აქაც **ა** ხმოვნიანი **მა-** ვარიანტია ამოსავალი და **ა** ხმოვნიანი **მა-** ვარიანტი მისგან არის მიღებული ზმნის ფუძისეულ ხმოვანთან ნაწილობრივი ასიმილაციით: **მაჯგ** < ***მაჯგ** „ართავს“, **მახ'გ** < ***მახ'გ** „ლეწავს“, **მასთგ** < ***მასთგ** „იწვის“ და ა. შ. **მა-** ვარიანტი კი შენარჩუნებულია CV_2 სტრუქტურის ზმნური ფუძის (ძირის) წინ.

რაც შეეხება მესამე პირის **მა-||მა-** ნიშნის გენეზისის საკითხს, ვფიქრობთ, მას ერთგვარ შუქს ჰფენს ამ პრეფიქსის დისტრიბუცია, რაც განსხვავებულია სხვა პირის ნიშანთა ქცევისაგან — მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის I და II პირის ნიშნები, III პირის ნიშნისაგან განსხვავებით, ვარიანტულნი არ არიან ზმნის ფუძის გახმოვანების შესაბამისად, შდრ. მაგალითად:

სა-კ°ა „მივდივარ“
ჭა-კ°ა „მიდიხარ“
მა-კ°ა „მიდის“
თა-კ°ა „მივდივართ“
ს'°ა-კ°ა „მიდიხართ“
მა-კ°აბ' „მიდიან“

სა-ჯგ „ვართავ“
ჭა-ჯგ „ართავ“
მა-ჯგ „ართავს“
თა-ჯგ „ვართავთ“
ს'°ა-ჯგ „ართავთ“
მა-ჯგბ' „ართავენ“

III პირის ნიშნის ვარიანტულობა კაუზატივის ნიშნის ვარიანტულობის მსგავსია და ამ მხრივ არსებითად განსხვავდება I და II პირის ნიშანთაგან. ეს გარემოება მხარს უჭერს გ. როგავას მოსაზრებას, რომ ისტორიულად **შა-** პირის ნიშანი არ უნდა იყოს და დინამიკურობის **უა-** ნიშნისაგან უნდა მოდიოდეს [Рогава, Керашева 1966, 97, 102, 139].

დ) საუმლაუტე პოზიციას ქმნის ასევე ადიღეური მყოფადი პირველისა და მყოფადი მეორის მაწარმოებლები — **-შთ** და **-ნ**; მართალია, ისინი ამჟამად გაუხმოვნებელი სახით დაერთვიან ზმნის ფუძეს, მაგრამ მათი ხმოვნითი ელემენტი **ჷ** გამოჩნდება მრავლობითი რიცხვის ფორმებში, აგრეთვე, მყოფად პირველსა და მყოფად მეორეზე დამყარებული დროების — შესაბამისად, ნამყო უსრულისა და კავშირებითი მეორის წარმოებისას, შდრ. მაგალითად:

მ ყ ო ფ ა დ ი I	მ ყ ო ფ ა დ ი II
სჷ-კ°ა-**შთ** „წავალ“	სჷ-კ°ა-**ნ**
უჷ-კ°ა-**შთ** „წახვალ“	უჷ-კ°ა-**ნ**
კ°ა-**შთ** „წავა“	კ°ა-**ნ**
თჷ-კ°ა-**შთ** „წავალთ“	თჷ-კ°ა-**ნ**
ს'°ჷ-კ°ა-**შთ** „წახვალთ“	ს'°ჷ-კ°ა-**ნ**
კ°ა-**შთჷ-ხ'**	კ°ა-**ნჷ-ხ'**

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი	კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი II
სჷ-კ°ა-**შთჷღ** „მივდიოდი“	სჷ-კ°ა-**ნჷღ** „წავიდოდე“
უჷ-კ°ა-**შთჷღ** „მიდიოდი“	უჷ-კ°ა-**ნჷღ** „წახვიდოდე“
კ°ა-**შთჷღ** „მიდიოდა“	კ°ა-**ნჷღ** „წავიდოდეს“
თჷ-კ°ა-**შთჷღ** „მივდიოდით“	თჷ-კ°ა-**ნჷღ** „წავიდოდეთ“
ს'°ჷ-კ°ა-**შთჷღ** „მიდიოდით“	ს'°ჷ-კ°ა-**ნჷღ** „წახვიდოდეთ“
კ°ა-**შთჷღ-ხ'** „მიდიოდნენ“	კ°ა-**ნჷღ-ხ'** „წავიდოდნენ“

მომდევნო მარცვლისეული (სუფიქსისეული) **გ** ხმოვნის გავლენით წინა (ზმნის ძირისეული) **ა** ხმოვნის გამოვლენას (**ა—გ**) ცხადყოფს სხვა პოზიციასთან შედარება, სადაც ზმნის ძირისეულ ხმოვანს **ა**-ს შემცველი სუფიქსი მოსდევს; ესაა ნამყო სრულის ფორმა, რომელსაც **-ღა** (< ***-ღა**) სუფიქსი აწარმოებს:

სგ-კ̇ა-ღ (< *სგ-კ̇ა-ღა) „წავედი“

უგ-კ̇ა-ღ (< *უგ-კ̇აღა) „წახვედი“

კ̇ა-ღა „წავიდა“

თგ-კ̇ა-ღ (< *თგ-კ̇ა-ღა) „წავედით“

ს′̇გ-კ̇ა-ღ (< *ს′̇გ-კ̇ა-ღა) „წახვედით“

კ̇ა-ღა-ხ‘ „წავიდნენ“

მაშასადამე, აქ სუფიქსის გახმოვნებით ძირის გახმოვნების განპირობებულობასთან გვაქვს საქმე: CV_2—CV_3, CV_1—CV_2; პირველს განვიხილავთ როგორც საუმლაუტე პოზიციას.

ე) საუმლაუტე პოზიციას ქმნის ჩერქეზულ ენებში, აგრეთვე, მასდარის მაწარმოებელი **-ნ** (< ***-ნგ**), რომელიც განსაზღვრული ბრუნების სახელობით, ერგატიულ და მოქმედებით ბრუნვებში თავდაპირველი (ამოსავალი) სახით, ე. ი. **გ** გახმოვნებით, გამოვლინდება:

თხ‘ან „წერა“

სახ. **თხ‘ანგ**-რ

ერგ. **თხ‘ანგ**-მ

მოქმ. **თხ‘ანგ**-მჭა

გარდ. **თხ‘ან**-აუ (ადიღ.) || **თხ‘ან**-უ (ყაბ.)

აქ ასეთი პროცესი ივარაუდება: ***თხ‘ანგ** > ***თხ‘ანგ** > **თხ‘ან** (ანალოგიურად — სხვა ზმნათაგან ნაწარმოებ ყველა მასდარში).

მასდარის ფორმა ერთ-ერთი ისეთი ფორმაა, რომელ-

საც შეეძლო შემდგომ გავლენა მოეხდინა ზმნის ფუძის (ძირის) ბოლოკიდური ხმოვნის ფორმირებაზე (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ვ) ჩერქეზული პოტენციალისის მაწარმოებლის — ადიღ. -ს′°გ || ყაბ. -ფგ ფორმანტის წინ ზმნის ფუძის ბოლოკიდურად აუცილებლობით ა გამოვლინდება და არა ა:

ა დ ი ღ ე უ რ ი	ყ ა ბ ა რ დ ო უ ლ ი
სა-კ°ა-ს′°გ	სო-კ°ა-ფგ „შემიძლია წავიდე“
უა-კ°ა-ს′°გ	უო-კ°ა-ფგ „შეგიძლია წახვიდე“
მა-კ°ა-ს′°გ	მა-კ°ა-ფგ „შეუძლია წავიდეს“
თა-კ°ა-ს′°გ	დო-კ°ა-ფგ „შეგვიძლია წავიდეთ“
ს°ა-კ°ა-ს′°გ	ფო-კ°ა-ფგ „შეგიძლიათ წახვიდეთ“
მა-კ°ა-ს′°გ	მა-კ°ა-ფგ „შეუძლიათ წავიდნენ“

ცხადია, აქაც CV_2—CV_3, ფორმულაა რეალიზებული (ა—გ).

ზ) საყურადღებოა ადიღეურში დროის მაწარმოებელი სუფიქსის -ლა და ლა ვარიანტების (ალომორფების) გამოვლენა მისი მომდევნო სუფიქსური ელემენტების გახმოვანების კვალობაზე, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა დრო-კილოთა მაწარმოებელი სუფიქსები — ესენია ადიღეურში ნამყო წინარეწარსული სრულისა და უსრულის -ლა სუფიქსი, ვარაუდობითი პირველის -შთ(გ) და ვარაუდობითი მეორის -შთგნ სუფიქსები. მოვიყვანთ სათანადო ფორმებს (თავად ნამყო სრულის ფორმები შედარებისათვის იხ. აქვე ზემოთ):

ნამყო წინარეწარსული სრული

სგკ˚ა-ღა-ღა „წავსულვარ“
ჳგკ˚ა-ღა-ღა „წასულხარ“
კ˚ა-ღა-ღა „წასულა“
თგკ˚ა-ღა-ღა „წავსულვართ“
ს´˚გკ˚ა-ღა-ღა „წასულხართ“
კ˚ა-ღა-ღა**ხ‘** „წასულან“

ნამყო წინარეწარსული უსრული

სგკ˚აშთგ-ღა-ღა „მივდიოდი“
ჳგკ˚აშთგ-ღა-ღა „მიდიოდი“
კ˚აშთგ-ღა-ღა „მიდიოდა“
თგკ˚აშთგ-ღა-ღა „მივდიოდით“
ს´˚გკ˚აშთგ-ღა-ღა „მიდიოდით“
კ˚აშთგ-ღა-ღა-**ხ‘** „მიდიოდნენ“

ვარაუდობითი პირველი

სგკ˚ა-ღა-**შთ**(გ) „ალბათ, წავედი“
ჳგკ˚ა-ღა-**შთ**(გ) „ალბათ, წახვედი“
კ˚ა-ღა-**შთ**(გ) „ალბათ, წავიდა“
თგკ˚ა-ღა-**შთ**(გ) „ალბათ, წავედით“
ს´˚გკ˚ა-ღა-**შთ**(გ) „ალბათ, წახვედით“
კ˚ა-ღა-**შთგხ‘** „ალბათ, წავიდნენ“

ვარაუდობითი მეორე

სგ̇ა̊-ღა-**შთგნ** „ალბათ, წავედი“
შგ̇ა̊-ღა-**შთგნ** „ალბათ, წახვედი“
კ̇ა̊-ღა-**შთგნ** „ალბათ, წავიდა“
თგ̇ა̊-ღა-**შთგნ** „ალბათ, წავედით“
ს̓̊გ̇ა̊-ღა-**შთგნ** „ალბათ, წახვედით“
კ̇ა̊-ღა-**შთგნ-გხ** „ალბათ, წავიდნენ“[16]

ნათელია, რომ მომდევნო სუფიქსის CV_2 სტრუქტურის შემთხვევაში წინა სუფიქსი CV_1 სტრუქტურას წარმოგვიდგენს CV_3-ის შემთხვევაში — CV_2 (ე. ი. შესაბამისად გვაქვს: ა—ა, ა—გ). აქ მნიშვნელოვანი, სხვა, ადრე განხილულ შემთხვევათაგან განსხვავებული ისაა, რომ **უშლაუტი სუფიქსურ მორფემაშია განხორციელებული**.

ზემოთ წარმოდგენილი იყო ჩერქეზულ ენათა ხმოვნების დისტრიბუციული ანალიზი, რის საფუძველზეც, ვფიქრობთ, ცხადი გახდა მათი ფუნქციონირების ურთიერთგანპირობებულობა, კერძოდ ის, რომ საშუალო ღიაობის ა̊-ს გამოვლენა განხილულ შემთხვევებში დამოკიდებული აღმოჩნდა ყველაზე ნაკლები ღიაობის **გ** ხმოვანზე (არსებულზე ან დაკარგულზე). ეს დამოკიდებულება თითქმის უგამონაკლისოა ბოლოდან მეორე მარცვალში წარმოდგენილ ა̊-სა და ბოლო მარცვლისეულ **გ**-ს შორის და რეალიზებულია როგორც სახელში, ისე ზმნაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბოლო მარცვლისეული **გ** განაპირობებს ბოლოდან მეორე მარცვალში ა̊-ს არსებობას, ხოლო ბოლოკიდური ა — ა-ს არ-

[16] ამ დრო-კილოთა წარმოების შესახებ იხ. გ. როგავასა და ზ. კერაშევას „ადიღეური ენის გრამატიკა“ [Рогава, Керашева 1966, 185-186, 197-198].

სებობას, ე. ი. ერთი მხრივ გვაქვს CV_2CV_3 (ა—გ), მეორე მხრივ — CV_1CV_2. ამავე დროს, აღნიშნულ პოზიციაში გვაქვს CV_3CV_3 სტრუქტურაც (გ—გ): ადიღ. **მგლ'გ** „ყინული“, **წგჶგ** „კაცი“, **თგნგ** „საჩუქარი“, **ღგნ(გ)** „ტირილი“, **ბგნგ** „ოჯახი“, **ღ'გნგ** „დენთი“, **ღ°გმგ** „მსხვილი; ორსული“, **დგდგ** „სადგისი“, **ცგდგ** „წებოვანი“, **ჩჲგრ(გ)** „ფოლადი“, **ჭჲგ°(გ)** „მიწა“ და სხვ.

საბოლოოდ, ა-სა და ა-ს გამოვლენის წესი სიტყვების ბოლოდან მეორე მარცვალში ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: **ბოლოდან მეორე მარცვალში ა მაშინ არის წარმოდგენილი, როდესაც ბოლო მარცვალში გვაქვს, ან ივარაუდება, რომ გვქონდა გ**, ხოლო **ა გვექნება მაშინ, თუ ბოლო მარცვლისეული ხმოვანი არის** ა (< *ა).[17]

რაც შეეხება სიტყვის **ბოლოკიდურ უმლაუტირებულ ა-ს, მისი არსებობა აიხსნება სახელობითი ბრუნვის ნიშნის** (*-რგ) **ხმოვნითი გ ელემენტით**, რომელიც ამჟამად დაკარგულია, მაგრამ მისი აღდგენა ხერხდება (იხ. ზემოთ); **ზმნის აწმყო დროისა და ბრძანებითის ფორმათა ბოლოკიდურში კი ა ანალოგიით გაჩენილად შეიძლება მივიჩნიოთ**, ზმნის იმ ფორმათა ანალოგიით, სადაც ა მომდევნო სუფიქსისეული **გ-ს** გავლენით ჩამოყალიბდა (იხ. ზემოთ) — მოხდა, ასე ვთქვათ, **პარადიგმის გასწორება**. მეორე მხრივ, არც სახელის ბოლოკიდურის გავლენაა გამორიცხული, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სახელის გაზმნურება (ნასახელარი ზმნები)

[17] აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ამჟამად ჩერქეზულ ენათა სიტყვის ბოლოკიდურში ა არ გვხვდება, თუ ის სუფიქსი ან სუფიქსის შემადგენელი ნაწილი არაა: იგულისხმება კითხვითობის -ა და კითხვით-დადასტურებითის -**ბა** ფორმანტები ადიღეურში, აორისტის მაწარმოებელი -ა ყაბარდოულში.

ჩვეულებრივი მოვლენაა. ზოგადად რომ ვთქვათ, ჩერქეზულ ენებში ფაქტობრივ ყველა სახელისაგან შეიძლება ზმნა ვაწარმოოთ, ზოგჯერ სპეციალური აფიქსის გარეშეც კი, შეიძლება სახელი ზმნად მოიქცეს — პირის მიხედვით ცვლა იწყოს, მაგალითად:

ადიღ. **ფხას'ა** „დურგალი“ — სტატ. სა სგ-**ფხას'ა** „მე დურგალი ვარ“, ფა ფგ-**ფხას'ა** „შენ დურგალი ხარ“, არ **ფხას'ა** „ის დურგალია“ და ა. შ. დინამ. სა სა-**ფხას'ა** „მე ვდურგლობ“, ფა ფა-**ფხას'ა** „შენ დურგლობ“, არ მა-**ფხას'ა** „ის დურგლობს“ და ა. შ.

ჭალ'ა „ყმაწვილი“ — სა სგ-**ჭალ'ა** „მე ყმაწვილი ვარ“, ფა ფგ-**ჭალ'ა** „შენ ყმაწვილი ხარ“, არ **ჭალ'ა** „ის ყმაწვილია“ და ა. შ. **დახ'ა** „ლამაზი“ — სა სგ-**დახ'ა** „მე ლამაზი ვარ“, ფა ფგ-**დახ'ა** „შენ ლამაზი ხარ“, არ **დახ'ა** „ის ლამაზია“ და ა. შ. [Рогава, Керашева 1966, 101].

ყაბარდოულში ასეთ შემთხვევებში სტატიკურ ზმნებში **-ს'** სუფიქსია გამოყენებული, დინამიკურებში — ფაკულტატური **-რ**, შდრ. ზემოთ წარმოდგენილ ადიღეურ მაგალითებს:

ფხას'ა „დურგალი“ — სა სგ-**ფხას'ა-ს'** „მე დურგალი ვარ“, სა სგ-**ფხას'ა-რ** „მე ვდურგლობ“; **ს'ალ'ა** — „ყმაწვილი“ — სა სგ-**ს'ალ'ა-ს'** „მე ყმაწვილი ვარ“; **ბზაჯა** „გაბრაზებული“ — სა სგ-**ბზაჯა-ს'** „მე გაბრაზებული ვარ“, სო-**ბზაჯა-რ** „მე ვბრაზდები“; **დახ'ა** „ლამაზი“ — სა სგ-**დახ'ა-ს'** „მე ლამაზი ვარ“, სა სო-**დახ'ა-რ** „მე ვლამაზდები“ და ა. შ. [Грамматика 1970, 122].

ადიღეურსა და ყაბარდოულს შორის განსხვავება არის, მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ გაზმნურების შემთხვევაში სახელის ფუძე უცვლელად არის შემონახული ზმნაში.

აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ შესაძლებელია უა-

ფიქსოდ მოხდეს ზმნის გასუბსტანტივებაც, შდრ. მაგალითად: ადიღეური ҵ°ӑ „ლაპარაკი“ ("говорить") — сӑ-ҵ°ӑ „ვლაპარაკობ“, ҭӑ-ҵ°ӑ „ლაპარაკობ“ და ҵ°ӑ „ლაპარაკი“ (ზედმიწ. "говорение") — саѣ. ҵ°ӑ-р, ерг. ҵ°ӑ-м..., კუთვნ. ფორმა сԥҳ-ҵ°ӑ „ჩემი ლაპარაკი“... ასევეა ҟ°ӑ „სვლა“... ასეთ ფუძეებს სამეცნიერო ლიტერატურაში გაუდიფერენცირებელ ფუძეებს უწოდებენ [Рогава, Керашева 1966, 331-332].

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის შესაბამისად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ **სახელთა და ნასახელარ ზმნათა ბოლოკიდურმაც გარკვეული როლი ითამაშა ზმნის ბოლოკიდურის ჩამოყალიბებაში**.

თეორიული თვალსაზრისით საყურადღებო ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს: **ზმნაში ძირისეული, სიტყვაწარმოებითი (დერივაციული) და სიტყვაცვალებითი (ფორმაწარმოებითი) მორფემების როლი ә ~ ӑ ვარირებაში სხვადასხვაა**; ამ თვალსაზრისით ძირისეული მორფემები და სიტყვაწარმოებითი აფიქსები ერთნაირ ძალას ავლენენ (იხ. ზემოთ) — ერთი მხრივ, მათი ხმოვნითი ელემენტი ә ~ ӑ ვარირებას წარმოგვიდგენს მომდევნო ხმოვნის შესაბამისად, მეორე მხრივ, მათ შემადგენლობაში შემავალი ҕ ხმოვანი შეიძლება იყოს უმლაუტის მიზეზი (საგულისხმოა, რომ კაუზატივის, პოტენციალისის... ნიშნები და დრო-კილოთა მაწარმოებლები სწორედ ამგვარად იქცევიან). რაც შეეხება ფორმაწარმოებით აფიქსებს — პირის ნიშნებს, ისინი რაიმე მონაწილეობას ә ~ ӑ ვარირებაში არ იღებენ და ამ მხრივ არც თავად ახდენენ გავლენას სხვა მორფემებზე (პირის ნიშნებში ერთი გამონაკლისია აწმყოში გარდაუვალ დინამიკურ ზმნებში გამოვლენილი **ма-/мӑ-** პრეფიქსი; სწორედ ეს გარემოება მივიჩნიეთ გ. როგავას მიერ გამოთქმული იმ თვალსაზრისის სასარგებლო არგუმენტად, რომლის თანახმადაც აღნიშნული პრეფიქსი წარმოშობით

დინამიკურობის ნიშანია, ე. ი. დერივაციული პრეფიქსი — იხ. ზემოთ).

ზემოთ განხილული ფაქტების საფუძველზე, კერძოდ, სახელისა და ზმნის ფორმაცვალებისა და სიტყვაწარმოების ფაქტების ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ **ისტორიულად ჩერქეზულ ენებში მოქმედებდა ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია (უმლაუტი), რის შედეგადაც (გარკვეულ პოზიციაში) ღია ა ხმოვნისაგან მომდევნო მარცვლის ვიწრო გ ხმოვნის გავლენით მივიღეთ საშუალო ღიაობის ა.**

*ა—გ → ა—გ პროცესი ისტორიულად მოქმედი პროცესია, ამიტომ ბუნებრივია მწყობრი სისტემა სინქრონიული თვალსაზრისით ერთგვარად შერყეული იყოს სხვა ფონეტიკური თუ მორფოლოგიური პროცესების მოქმედების გამო (მათი ნაწილი ჩვენ განვიხილეთ კიდეც). ბევრი საკითხი კიდევ საკვლევია. ასეთია, მაგალითად, საკითხი, თუ რატომ გვაქვს ა ორზე მეტი მარცვლის შემცველ სიტყვაში ბოლოდან მესამე, მეოთხე, მეხუთე... მარცვალში მაშინაც, როდესაც მისი მომდევნო მარცვლისეული ხმოვანი არ არის გ. წინასწარი ვარაუდი, ბუნებრივია, აქ ჩვენ გვაქვს: უნდა ვიფიქროთ, რომ ხშირ შემთხვევაში სათანადო სიტყვები რთული შედგენილობისანი არიან და მათში შემავალი ფუძეები უკვე ა ხმოვნით იყვნენ ჩამოყალიბებული (გარკვეულ საუმლაუტე პოზიციაში), ხოლო შემდეგ შევიდნენ კომპოზიტის შემადგენლობაში... შემთხვევათა ნაწილში ანალოგიის კანონის მოქმედება უნდა ვივარაუდოთ.

თუ ჩვენი თვალსაზრისი ჩერქეზული ა ხმოვნის გენეზისის შესახებ სწორია, მაშინ ცნობილ სვანურ უმლაუტს (და სვანურ-ჩერქეზულ ენობრივ შეხვედრებს) გვერდში ამოუდგება **ტიპოლოგიურად მსგავსი** ჩერქეზული უმლაუტი, თუმცა ამ ორ უმლაუტს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაც

შეიმჩნევა.[18] სვანური და ჩერქეზული უმლაუტი საყურადღებოა **არეალური ლინგვისტიკის** თვალსაზრისითაც.

ხომ არ იყო დამახასიათებელი ჩერქეზულ ენათათვის ლაბიალური (უკანა მიმართულების) უმლაუტი? კითხვის დასმის საფუძველს იძლევა ამ ენათა ზოგი მონაცემი.

გ → **ა** პროცესი მომდევნო ლაბიალური ფონემების გავლენით თითქოს რამდენსამე შემთხვევაში შეინიშნება:

ა) გ → **ა** მომდევნო ბილაბიალური **ჳ**-ს ზემოქმედების შედეგი ჩანს — ეს პროცესი ხდება, როდესაც ფუძისეულ **გ**-ს დევრივაციული **ჳ** < ***ჳგ** მოსდევს:

ბაშგ „ჯოხი“ — **ბაშაჳ** < ***ბაშგჳგ** „ხელნა“ (შდრ. განსაზ. სახ. **ბაშაჳგრ**);

ჩგ || შაფს. **ქ̌გ** „წნელი“ — **ჩაჳ** || **ქ̌აჳ** > **ჩაჳგ** || **ქ̌აჳგ** „ღობე“ (შდრ. განსაზ. სახ. **ჩაჳგრ** || **ქ̌აჳგრ**).

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს პოზიციაში **გ** ყოველთვის არ გვაძლევს **ა**-ს: **ხგთგჳ** „ბადეა“, **ბგრგჳ** „ბურღი“... ამ შემთხვევაში პროცესის შემაკავებელ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ წინა მარცვლის **გ** (ისიც გასათვალისწინებელია, რომ **ბგრგჳ** თურქულიდან არის ნასესხები).

ბ) ბილაბიალური **ჳ**-ს მსგავსი ზემოქმედების ძალა შესაძლოა ლაბიალიზებულ თანხმოვნებსაც გააჩნდეს, კერძოდ, სიტყვაწარმოებითი სუფიქსის შემადგენლობაში შემავალთ.

-ლ°(გ): ადიღ. **ნგბჯ(გ)** || ყაბ. **ნგბჟ(გ)** „ასაკი“ — **ნგბჯალ°** || **ნგბჟალ°** < ***ნგბჯგლ°** || ***ნგბჟგლ°** „მეგობარი“; **გ°გ**

---

[18] ერთ-ერთ სხვაობად აღიქმება ის, რომ ჩერქეზულ ენებში უმლაუტს **გ** ხმოვანი იწვევს, სვანურში — **ი** და **ე**, მაგრამ არ არის გამორიცხული რომ სვანურშიც **გ**-ს მაუმლაუტირებელი უნარი ჰქონდეს. მეორეული წარმოშობის, უმლაუტირებული ხმოვნები დადასტურებულია სხვა ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც — ნახურ ენებსა და რიგ დაღესტნურ ენაში [იხ. მაგ., Дешериев 1964, 221-228, Магометов 1967, 562, ფანჩვიძე 1974, 14-18, ჯეირანიშვილი 1984, 56-58 და სხვა].

„გული“ — **გ°ალ°** „დარდი, ნაღველი“ [Кумахов 1964, 122].

გ) ასევე საყურადღებოა კომპოზიტებში განხორციელებული **გ** ← **ა** პროცესი: **ბგძგ** „ძუძუ“, **ს'°გ** — „წოვა, სმა“ — **ბგძას'°** „ჩვილი“ („ძუძუ“ + „წოვა“ შდრ. ქართ. „ძუძუმწოვარა“).

საინტერესოდ გვეჩვენება სუფიქსისეული **-შ||-ს'**-ს გავლენით მომხდარი ცვლილებაც — **გ** → **ა**, შდრ.

ადიღ. **ჩამგ** || ყაბ. **ჟამ** „ძროხა“ — **ჩამაშ** || **ჟამას'** „საძროხე“

ადიღ. **შჲგ** || ყაბ. **შგ** „ცხენი“ — **შჲაშ** || **შას'** „საჯინიბო“

ადიღ. **ჴ°გ** || ყაბ. **ყ°გ** „ღორი“ — **ჴ°აშ** || **ყ°ას'** „საღორე“

ადიღ. **მაჴ°გ** || ყაბ. **მაყ°** „თივა“ — **მაჴ°აშ** || **მაყ°ას'** „სათივე“

ადიღ. **მალ'გ** || ყაბ. **მალ'** „ცხვარი“ — **მალ'აშ** || **მალ'ას'** „მეცხვარე“

ადიღ. **ჩათგ** || ყაბ. **ჯად** „ქათამი“ — **ჩათაშ** || **ჯადას'** „მექათმე“ [Кумахов 1964, 123].

შ-ს ზემოქმედების არსი ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ შიშინა სპირანტს ლაბიალური არტიკულაცია ახასიათებს [სათანადო ლიტერატურისათვის იხ. გამყრელიძე 1959, 75].

უკანა მიმართულების უმლაუტის საკითხი აქ ჩვენ შესაძლო ვარაუდის სახით წარმოვადგინეთ. მომავალში კი, ვფიქრობთ, ეს საკითხი უფრო ფართო მსჯელობის საგანი გავხადოთ.

§ 5. პრერუპტივების წარმომავლობის შესახებ ჩერქეზულში

ცნობილია, რომ აფხაზურ-ადიღურ ენათა და დიალექტთა მეტი წილისათვის ისევე, როგორც, ზოგადად, იბერიულ-კავკასიურ ენათათვის, ნიშანდობლივია ხშულთა სამეულებრივი სისტემა: მჟღერი—ფშვინვიერი—აბრუპტივი.

ამასთან ერთად, ადიღეური ენის დასავლურ დიალექტებში — შაფსუღურსა და ბჟედუღურში (ზოგი დაღესტნური ენის მსგავსად), დადასტურებულია ხშულთა ოთხეულებრივი სისტემა, რომელშიც მჟღერთან, ფშვინვიერთან და აბრუპტივთან ერთად შედის მინიმალური ფშვინვის მქონე ყრუ ბგერა — პრერუპტივი (გ. ახვლედიანის მიერ შემოტანილი ტერმინი; უწოდებენ აგრეთვე ინტენსიურს, ნახევრადაბრუპტივსა და არაასპირირებულ ყრუსაც). სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი დახასიათება პრერუპტივებისა ექსპერიმენტით განამტკიცა თ. უჯუხუმ [Уджуху 1976, 135-157]; დადასტურდა, რომ მჟღერ თანხმოვანთაგან ისინი განირჩევიან მჟღერობის უქონლობით, მინიმალური ფშვინვით — ასპირატთაგან, ხოლო სახმო სიმების დამატებითი ხშვის უქონლობით — აბრუპტიულ ხშულთაგან [Уджуху 1976, 142-144].

აღსანიშნავია, რომ ადიღეური პრერუპტივები მხოლოდ 1928 წელს იქნა გამოყოფილი ნ. იაკოვლევის მიერ [Яковлев 1928, 120-123], თუმცა მაშინ ჩერქეზულ ენათა შესწავლას თითქმის ასი წლის ისტორია ჰქონდა... ლ. ლოპატინსკიმ, რომელსაც გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოქვეყნებული აქვს წერილები ჩერქეზულ ენათა დიალექტების შესახებ, პრერუპტივების არსებობა ვერ შენიშნა [Лопатинский 1891; Лопатинский 1896...]. თუმცა ნ. იაკოვლევმა წარმოადგინა მის მიერ გამოყოფილი პრერუპტივების ფონეტიკური დახასიათება, მაგრამ მათი ფუნქციონირების პირობები (მათი ადგილი ადიღეურ-ყაბარდოულ შესატყვი-

სობათა სისტემაში) არ დაუდგენია. გ. როგავას დამსახურებაა იმ კანონზომიერების დადგენა, რაც პრერუპტივების არსებობის პირობებში ჩერქეზულ დიალექტებში შეიმჩნევა [როგავა 1943ა, 273-276; როგავა 1943ბ, 837-841]; მის მიერ დადგენილი კანონზომიერების შესაბამისად, შაფსუღურსა და ბჟედუღურში პრერუპტივები წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, როდესაც ადიღეური ენის აღმოსავლურ დიალექტებში — ჰემგუურსა და აბძახურში, სათანადო ადგილას ფშვინვიერი ხშული გვაქვს, ხოლო ყაბარდოულ ენაში — მჟღერი.

ბ ჟ ე დ.-შ ა ფ ს.	ჰ ე მ გ.-ა ბ ძ.	ყ ა ბ ა რ დ.
ფ᾽გᲫგ	ფგᲫგ	ბგᲫგ „მტერი“
თ᾽ᲛᲐ	თᲛᲐ	დᲛᲐ „ჩვენ“
თ᾽გღᲐ	თგღᲐ	დგღᲐ „მზე“
ც᾽ᲐᲐ	ცᲐᲐ	ძᲐᲐ „კბილი“
ჩ᾽აფᲐ	ჩაფᲐ	ჯაბᲐ „ფერდობი“
ჩჲ᾽Ძგღ᾽გ	ჩჲგღ᾽	ჟგღ[19] „ხე“
ქ°᾽გ	ქ°გ	გ°გ „ურემი“
ქ°᾽ᲐᲐცგ	ქ°აცგ	გ°აძ „ხორბალი“

და მრავალი სხვა.

ამავე დროს, აღნიშნული შესატყვისობის გვერდით ჩერქეზულ ენებსა და დიალექტებში სხვა შესატყვისობებიც დასტურდება.

ა) ყველა ჩერქეზული ენა და დიალექტი მჟღერს გვიჩვენებს:

[19] ჟგღ < *ჯგღ.

ბჟედ.-შაფს.	ჰემგ.-აბძ.	ყაბარდ.
ბაჯა/ბაგ˝ა	ბაჯა	ბაჟა „მელა“
ბაძა	ბაძა	ბაძა „ძუძუ“
გ˚გ	გ˚გ	გ˚გ „გული“
ძა	ძა	ძა „ჯარი“
ჯაგ˚	ჯაგ˚	ჯაგ˚ „ქორწილი; თამაში“

და მრავალი სხვა.

ბ) ყველა ჩერქეზულ ენასა და დიალექტში ფშვინვიერი გვაქვს:

ბჟედ.-შაფს.	ჰემგ.-აბძ.	ყაბარდ.
ფა	ფა	ფა „ცხვარი“
ქ˚ა	ქ˚ა	ქ˚ა „ბარძაყი“
ცგ	ცგ	ცგ „მატყლი“
ჩა	ჩა	ჩა „ელენთა“
ჩგ/ქ˝გ	ჩგ	ჩგ „წნელი“
თგნ	თგნ	თგნ „მიცემა, ჩუქება“

და მრავალი სხვა.

გ) ყველგან წარმოდგენილია აბრუპტივი:

ბჟედ.-შაფს.	ჰემგ.-აბძ.	ყაბარდ.
პა	პა	პა „ადგილი; ლოგინი“
წგნა	წგნა	წგნა „სველი“
ტატა	ტატა	ტატა „რბილი“
ტგ	ტგ	ტგ „ყოჩი“
ჭა/კ˝ა	ჭა	ჭა „კუდი, ბოლო“
კ˚ან	კ˚ან	კ˚ან „სვლა“

და მრავალი სხვა.

უკანასკნელ სამ შემთხვევაში, როდესაც იდენტური შესატყვისობები გვაქვს, ბუნებრივია, ამოსავლის საკითხი რთული არ არის: საერთო-ჩერქეზულ დონეზე ამოსავლად ივარაუდება (შესაბამისად) მჟღერი, ფშვინვიერი და მკვეთრი ხშულები.

როდესაც ადიღეური ენის აღმოსავლური დიალექტების (ბჟედუღურისა და შაფსუღურის) პრერუპტივების შესატყვისად დასავლური დიალექტები (ჰემგუური და აბძახური) ფშვინვიერს, ხოლო ყაბარდოული მჟღერს გვიჩვენებს, გ. როგავა ამოსავლად (ჩვენი აზრით, სავსებით კანონზომიერად) პრერუპტივს მიიჩნევს [როგავა 1943ა].

პრერუპტივთა წარმომავლობის საკითხი სხვაგვარადაც დგას. მ. კუმახოვის აზრით, რაც გამოთქმული აქვს 1981 წელს გამოცემულ ნაშრომში „ადიღურ (ჩერქეზულ) ენათა შედარებით-ისტორიული ფონეტიკა“, პრერუპტივები მეორეული თანხმოვნებია არა მხოლოდ აფხაზურ-ადიღურ ენათა ისტორიაში — ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს საერთო-ჩერქეზულ მოვლენადაც კი და დიალექტურ ინოვაციად უნდა მივიჩნიოთ, ამოსავალი კი ყაბარდოულის ვითარებაა [Кумахов 1981, 129-141]. შეიძლება დავეთანხმოთ ავტორს, რომ პრერუპტივების რეკონსტრუქცია აფხაზურში, აბაზურსა და უბიხურ ენებში დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული (ამ მხრივ გ. როგავას თვალსაზრისი, როგორც ჩანს, მართლაც დასაზუსტებელია), მაგრამ, ამასთან ერთად, ჩვენი აზრით, მათი საერთო-ადიღურში რეკონსტრუქციაზე უარის თქმისათვის საკმაო საფუძველი არ არსებობს. მიუხედავად ავტორის მიერ მითითებული პრერუპტივების მცირე ფუნქციონალური დატვირთვისა და რამდენადმე შეზღუდული დისტრიბუციისა,[20] თუ არ გვექნება პოზიციური ახსნა შესატყვისობისათვის ბჟედ.-შაფს. **პრერუპტივი** : ჰემგ.-აბძ. **ფშვინვიერი** : ყაბ. **მჟღერი**, ვფიქრობთ, ძნელია ვილაპარაკოთ პრერუპტივების მეორეულობის შესახებ ჩერქეზული

[20] ეს დებულებაც თავისთავად საკამათოა.

ენებისა და დიალექტებისათვის [Шенгелиа 1986, 271]. თუ ყაბარდოულის ვითარებაა ამოსავალი, როგორ მოხდა, რომ ყაბარდოულის მჟღერები ერთ შემთხვევაში ყველა ჩერქეზულმა დიალექტმა უცვლელად შემოგვინახა, სხვა შემთხვევაში პრერუპტივები და ფშვინვიერები მოგვცა (მაგალითები იხ. ზემოთ).

საკონტროლო საშუალებად თითქოს შეიძლება გამოგვადგეს აფხაზურ-აბაზურ და სხვა მონათესავე ენათა მონაცემები, სადაც რიგ შემთხვევაში ბჟედუღურ-შაფსუღური პრერუპტივის, ჰემგუურ-აბძახური ფშვინვიერისა და ყაბარდოული მჟღერის შესატყვისად მჟღერივე დასტურდება:

ბჟედ.-შაფს. **ჩ**ა'გღ'გ/**ჩ**'გღ'გ, ჰემგ.-აბძ. **ჩ**ჲგღ'გ, ყაბ. **ჟ**გღ (< *ჯგღ) „ხე“, აფხ. ა**ჯ** „მუხა“;

ბჟედ.-შაფს. **ფ**'ანა, ჰემგ.-აბძ. **ფ**ანა, ყაბ. ბანა „ეკალი“, აფხ. ა**ბ**ნა „ტყე“;

ბჟედ.-შაფს. **ც**'გჰა, ჰემგ.-აბძ. **ც**გჰა, ყაბ. **ძ**გჰ „ნდობა“, აფხ. ამაძარა „საიდულო“ და სხვ.

მაგრამ, ამის პარალელურად, ჩერქეზულ ენებსა და აფხაზურს შორის სხვაგვარი შეფარდებაც დასტურდება — ბჟედ.-შაფს. **პრერუპტივი** : ჰემგ.-აბძ. **ფშვინვიერი** : ყაბ. **მჟღერი** : აფხ. **ფშვინვიერი** :

ბჟედ.-შაფს. **ც**'ა, ჰემგ.-აბძ. **ც**ა, ყაბ. **ძ**ა, აფხ. ახაფგ**ც** „ბილი“;

ბჟედ.-შაფს. **ც**'გზა, ჰემგ.-აბძ. **ც**გზა, ყაბ. **ძ**გძა, აფხ. ა**ც**გღ „ციყვი“;

ბჟედ.-შაფს. **ც**°'გ, ჰემგ-აბძ. **ც**°გ, ყაბ. **ვ**გ (< *ძ°გ), აფხ. ა**ც**° „ხარი“ და სხვ.

მ. კუმახოვთან, სამწუხაროდ, არა გვაქვს ახსნა იმისა, თუ ამოსავალმა მჟღერმა და ფშვინვიერმა როგორ მოგვცა ბჟედუღურსა და შაფსუღურში პრერუპტივი.

პრერუპტივების აღდგენას საერთო-ადიღურ დონეზე მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ადიღეური ენის აღმოსავლურ დიალექტებში, რომლებშიც პრერუპტივი არაა წარმოდგენილი, ამის გამო ომონიმია გვაქვს, შაფსუღურსა და ბჟედუღურში კი სათანადო შემთხვევაში, პრერუპტივების წყალობით, ეს ომონიმია თავიდან აცილებულია:

ჰემგ.-აბძ. **ფ**ᵊ̀ „ცხვირი“ და „აღელვება“, ბჟედ.-შაფს. **ფ**ᵊ̀ „ცხვირი“ და **ფ**ᵊ̀ „აღელვება“;

ჰემგ.-აბძ. **ჴ**ᵊ̀ „ვაჟიშვილი“ და „ღორი“, ბჟედ.-შაფს. **ჴ**ᵊ̀ᵊ̀ „ვაჟიშვილი“ და **ჴ**ᵊ̀ „ღორი“;

ყაბ. **დ**ᵊ̀ „ჩვენ“ და „კაკალი“, ბჟედ.-შაფს. **თ**ᵊ̀ „ჩვენ“ და **დ**ᵊ „კაკალი“;

ყაბ. **ძ**ᵊ̀ „ჯარი“ და „კბილი“, ბჟედ.-შაფს. **ძ**ᵊ̀ „ჯარი“ და **ც**ᵊ̀ „კბილი“ და სხვ.

პრერუპტივების შედარებით სიძველეს ჩერქეზულ ენებში ვერც ის ფაქტი შეუშლის ხელს, რომ სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში ბჟედუღურსა და შაფსუღურში პრერუპტივისა და ფშვინვიერის ოპოზიცია ნეიტრალიზებულია — აქ მხოლოდ ფშვინვიერი გვაქვს, შდრ. მაგალითად: ჩა**თ** (განუს. ფორმა) და ჩა**თ**ᵊ̀რ (განს. ფორმა) „ქათამი“, თჰა**ც**ᵊ̀ და თჰა**ც**ᵊ̀ᵊ̀გრ „ცომი“, შხᵊ̀ამ**ჩ** და შხᵊ̀ამ**ჩ**ᵊ̀რ „წაბლი“, ჰა**თგქ**ᵊ̀ და ჰა**თგქ**ᵊ̀ᵊ̀გრ „დაბლობი“ და სხვ. [Уджуху 1976, 150; კუმახოვი 1981, 132]. აქ უჩვეულო არაფერია: ფონემათა ოპოზიციის ნეიტრალიზაცია გარკვეულ პოზიციებში ჩვეულებრივი მოვლენაა.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთო-ჩერქეზულ ვითარებას, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა მის დიფერენციაციას, პრერუპტივები ახასიათებდა. უფრო ადრინდელ დონეზე კი (პრაჩერქეზულის განვითარების ადრინდელ

საფეხურზე, ვთქვათ, საერთო-აფხაზურ-ადიღურის დიფერენციაციის პერიოდისათვის) შეიძლება პრერუპტივების მეორეულობა ვივარაუდოთ...

პრერუპტივების მიღების ერთ-ერთი წყარო შეიძლებოდა ყოფილიყო ფშვინვიერ თანხმოვანთა კომპლექსები.

ჩერქეზული ენები თანხმოვანთა სიმრავლის პირობებში ბგერითი კომპლექსებით ღარიბია. ეს ბგერითი კომპლექსები, როგორც წესი (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), დეცესიური და ჰომოგენურია (წინა რიგის მჟღერი + უკანა რიგის მჟღერი, ფშვინვიერი + ფშვინვიერი, მკვეთრი + მკვეთრი).

ჰომოგენურობის ამ წესს არღვევს ბჟედუღური დიალექტი, რომელშიც, როგორც ყ. აუტლევმა გაარკვია [Аутлев 1966, Аутлев 1971], წარმოშობით ფშვინვიერი + ფშვინვიერი ტიპის კომპლექსებში ფშვინვიერი ხშული ყველგან პრერუპტივშია გადასული:

ბ ჟ ე დ.	ს ხ ვ ა ა დ ი ღ. დ ი ა ლ.	ყ ა ბ ა რ დ.
ფʼლ‘გჟგ	**ფლ‘**გჟგ	**ფლ‘**გჟგ „წითელი“
ფʼსგ	**ფ**სგ	**ფ**სგ „წყალი“
ფʼლ‘ან	**ფლ‘**ან.	**ფლ‘**ან „ყურება“
ფʼხ‘გ^{ъ}	**ფხ‘**გნ	**ფხ‘**გნ „შეკვრა“
თʼხგ	**თხ‘**გ	**თხ‘**გ „ხერხემალი“
თʼხ˚გ	**თხ˚**გ	**თხ˚**გ „ერბო“
თʼჰა	**თ**ჰა	**თ**ჰა „ღმერთი“
ს**თ**ʼგნ	ს**თ**გნ	სგნ „წვა“
ფʼსთაუგმი	ფსთაუგმი	ფსთაუგმი „ყველა“
შ**ჭ**˚ʼალ‘	**შხ‘**˚ʼალ‘/შაფს. ფუʼალ‘	**შხ‘**˚ʼალ‘ „ცური“

და სხვ.

ამ შემთხვევაში პრერუპტივი აშკარად მეორეულია თვით ჩერქეზულის ფარგლებში, რადგან სათანადო ადგილას პრერუპტივის მქონე შაფსუღური ფშვინვიერს წარმოადგენს, ყაბარდოულშიც ფშვინვიერი გვაქვს — „პირველადი“ პრერუპტივის შესატყვისად კი მჟღერი უნდა გვქონოდა. მაშასადამე ფშვინვიერი სპირანტების მეზობლად ბჟედუღურში გამოვლენილი პრერუპტივი დიალექტურ ინოვაციად უნდა მივიჩნიოთ. რით უნდა აიხსნას ეს ვითარება, ე. ი. ბგერით კომპლექსში *თ > თ’?

აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს ფშვინვიერ ბგერით კომპლექსში რეგრესულ დისიმილაციასთან — კომპლექსში შემავალი ფშვინვიერი ხშულის ფშვინვიერობის ხარისხის მინიმუმამდე შემცირებასთან მეზობელი ფშვინვიერი სპირანტის გავლენით: მაგ., **სთ’**ვნ < *სთვნ „წვა“, **ფ’**სგ < *ფსგ „წყალი“, **თ’ხ°**გ < თხ°გ „ერბო“ და ა. შ.

ანალოგიური მოვლენა — ფშვინვიერი სპირანტის გავლენით ფშვინვიერი ხშულისაგან პრერუპტივისა და მჟღერის მიღებისა, შენიშნულია სხვა ენებშიც: სვანურში [თოფურია 1931, 65], ოსურში [ახვლედიანი 1923, 21-31; Абаев 1926, 477-480; Абаев 1949, 512-515]... ამ საკითხზე მსჯელობასთან დაკავშირებით ლ. შჩერბას აღუნიშნავს ყრუ სპირანტის როლი ამ პროცესში, რაც გამოიხატება მის მიერ ამოსუნთქული ჰაერის ჭარბად ხარჯვაში, რის გამოც მომდევნო ყრუ ხშულის წარმოთქმისათვის არ რჩება ჰაერი და იგი წარმოითქმის მინიმალური ფშვინვით [როგავა 1984, 39-40]. ადიღეური ენის ბჟედუღურ დიალექტში დისიმილაცია ხდება ორ შემთხვევაში: ა) როდესაც სპირანტი თანხმოვანთკომპლექსის პირველი წევრია (ესაა სვანურისა და ოსურის მსგავსი ვითარება) და ბ) მაშინაც, როდესაც სპირანტი კომპლექსის მეორე წევრია; სწორედ უკანასკნელი სახის კომპლექსებია მეტი.

ვფიქრობთ, ასეთი თვალსაზრისი მიუღებელი არ უნდა

იყოს. კომპლექსის მეორე წევრად არსებობის შემთხვევაშიც ყრუ სპირანტს შეიძლება ისეთივე გავლენა ჰქონდეს მის წინამდებარე ყრუ ხშულზე, როგორც — პირველ ადგილზე მყოფ სპირანტს მომდევნო ხშულზე, რადგან ორსავე შემთხვევაში სპირანტი ერთი და იმავე მარცვლის წევრია, მარცვლისა, რომელიც არის „წარმოთქმის უმცირესი ბუნებრივი ელემენტი“ [ახვლედიანი 1949, 144] და „ჰაერის ერთი ტალღის ამოღების დროს წარმოითქმის“ [შანიძე 1953, 20].

უნდა ვიფიქროთ, რომ გარკვეულ შემთხვევებში მაინც პრერუპტივი და შემდგომ მჟღერი თანხმოვანი კომპლექსის გამარტივების შედეგად უნდა იყოს მიღებული (ე. ი. ისტორიულად შესაძლოა კომპლექსების შემცველ სიტყვათა რაოდენობა და თავად კომპლექსთა რაოდენობაც მეტი ყოფილიყო).

ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში ყურადღებას იქცევს „რამდენის“ აღმნიშვნელი სიტყვა ჩერქეზულ ენებსა და დიალექტებში:

ბჟედ. **თ'ჰაფშჲ** : ჭემგ.-აბძ. **თჰაფშჲ** / შაფს. **თჰაფშ** : ყაბ. **დაფს'ა**.

სიტყვის თავკიდურში ამოსავალ **თჰ** კომპლექსში მომხდარი დისიმილაციის შედეგად ჯერ უნდა მიგვეღო **თ'ჰ** : ***თჰ** > **თ'ჰ**; ყაბარდოულში კი შემდგომ პრერუპტივს **დ** უნდა მოეცა; ადიღეური ენის ჭემგუურ, აბძახურ და შაფსუღურ დიალექტებში შესაძლოა ამოსავალი **თჰ** შემოგვენახა.

პრერუპტივის ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებო ჩვენებას წარმოგვიდგენს აფხაზურ-ადიღურ ენათა მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი. ჩერქეზული ენები ამ ნაცვალსახელის ძირისეულ თანხმოვნით ელემენტად წარმოგვიდგენენ შესატყვისობას — ბჟედ.-შაფს. **თ'** : ჭემგ.-აბძ. **თ** : ყაბ. **დ**, რომელიც ამოსავლად პრერუპტივს გვავარაუდებინებს (თავისთავად პოზიციურად წარმოქმნილს):

***თ'ა** ბჟედ.-შაფს. **თ'ა** : ჭემგ.-აბძ. **თა** : ყაბ. **და** „ჩვენ“

სათანადო აფხაზურ-აბაზური და უბიხური ნაცვალსახელები სხვადასხვა ძირისეულ თანხმოვანს წარმოგვიდგენენ: აფხ.-აბაზ. **ჰა**-რა, უბიხ. **შგ**-ღ'ა || **შგ**-ღ'ალ'ა „ჩვენ“.

აფხაზურ-ადიღურ ენათა მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის ფუძეთა ურთიერთობის თაობაზე სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს: ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ ისინი სხვადასხვა მასალიდან მომდინარეობს [Trubetzkoy 1930, 293; Deeters 1955, 27-30]; მეორე თვალსაზრისის თანახმად, მიუხედავად თვალსაჩინო სხვაობისა, მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის ძირები საერთო წარმოშობისაა [Dumézil 1932, 107-108; Dumézil 1933, 45-46]. უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება ჟ. დიუმეზილის მოსაზრება, რომლის შესაბამისად აფხაზურ-ადიღურ ენათა მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის ძირეული თანხმოვნითი ელემენტები გარკვეულ შესატყვისობას ქმნიან, ამიტომ მათ საერთო მასალა უნდა ედოს საფუძვლად; ავტორის მიხედვით, აქ გვაქვს შესატყვისობა აფხ. **ჰ** : უბიხ. **შ** : ჩერქ. **თ**; პირის ნაცვალსახელის გარდა, ამ შესატყვისობას მკვლევარი სხვაგანაც ადასტურებს [Dumézil, იქვე]. თუ აფხაზურისა და უბიხურის ვითარებას შევუდარებთ არა ადიღეურის, არამედ ადიღეურისა და ყაბარდოულისათვის ამოსავლად სავარაუდო (საერთო-ჩერქეზულ) ვითარებას, შესატყვისობა ცოტა სხვაგვარ სახეს მიიღებს — აფხ. **ჰ** : უბიხ. **შ** : ჩერქ. **თ'**.

დგება ამ შესატყვისობისათვის სავარაუდო ამოსავლის საკითხი. ჟ. დიუმეზილის აზრით, აფხაზურ-ადიღურ ენათა მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის ძირისეული თანხმოვნებისათვის ამოსავალი უნდა იყოს ერთგვარი არქაული დენტალური სპირანტი ან მეტ-ნაკლებად ფშვინვიერი **თ** [Dumézil 1932, 108; Dumézil 1933, 46]. ვფიქრობთ, ამოსავალი შეიძლება იყოს **თ** + **ჰ** ტიპის ბგერი-

თი კომპლექსი.[21] ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ, საზოგადოდ, აფხაზურში ამოსავალი **თ** + გუტურალი და **ს′** + გუტურალი ტიპის კომპლექსები მარტივდება პირველი კომპონენტის დაკარგვისა და მეორის შენარჩუნების გზით [Dumézil 1932, 125], ხოლო უბიხური და ჩერქეზული ენები აღნიშნული კომპლექსის გამარტივების შემთხვევაში ინარჩუნებენ პირველ კომპონენტს, შდრ. მაგალითად:

აფხ. **აჰ°გჰ°** — უბიხ. **დახ°ა** — ჩერქ. **თჰარჯ°ა** „მტრედი“;

აფხ. **ჯბა** || < ტაპ. **მ°ბა** — უბიხ. **ტყ°ა** — ადიღ. **ტ°გ** || < ***ტყ°გ** (შაფს.);

აფხ. **ახგ** || < ტაპ. **აჴა** — უბიხ. **შაა** — ჩერქ. **ს′ჰა** „თავი“ [Dumézil 1932, 125; ლომთათიძე 1944, 30].

ამავე რიგისა ჩანს მიმართება სიტყვებში აფხ. **აჰ** „ბატონი“ და ჩერქ. ***თ᾽გ** „მამა“ (ბჟედ.-შაფს. **თ᾽გ**, ჰემგ.-აბძ. **თგ**, ყაბ. **ადა**). არსებული სემანტიკური განსხვავება („ბატონი“ და „მამა“) დაბრკოლება არ უნდა იყოს.

პირველი პირის ნაცვალსახელის სავარაუდო ამოსავალ ***თჰა** სახეობას საერთო-ჩერქეზულში (რეგრესული დისიმილაციით) **თ᾽ჰა** უნდა მოეცა (*თჰ → თ᾽ჰ), რომლისგანაც შემდგომ გამარტივების შედეგად მივიღეთ: ბჟედუღურ-შაფსუღური **თ᾽ა**, ჰემგუურ-აბძახური დიალექტების **თა** და ყაბარდოული **და**.[22]

---

[21] ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ აფხაზურ-ადიღურ ენათა მონათესავე ნახური ჯგუფის ენებს (ჩეჩნურს, ინგუშურს, ბაცბურს) მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის (ექსკლ.) ძირის შემადგენლობაში აქვს **თხ**: ჩეჩნ., ინგ., ბაცბ. **თხო** „ჩვენ“, რომელიც, ბუნებრივია, საერთო-ნახურ დონეზეც აღდგება [Дешериев 1963, 453].

[22] ხშირად ხმარებულ სიტყვებში ჩვეულებრივია ფუძის გაცვეთის შემთხვევები [სათანადო ლიტერატურისათვის იხ. გამყრელიძე 1959, 39-40]; მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი, ბუნებრივია ასეთთა რიგს განეკუთვნება.

ამრიგად, ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ პრერუპტივის მიღების ერთ-ერთი წყარო უნდა ყოფილიყო ბგერითი კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შემავალი ფშვინვიერი სპირანტის დისიმილაციური გავლენით ფშვინვიერი ხშულისაგან პრერუპტივი უნდა მიგვეღო (შემდგომ — ჩერქეზულის სხვადასხვა არეალში — ფშვინვიერი და მჟღერი).[23] ამ კონტექსტში უნდა ითქვას, რომ ამჟამად არსებული თანხმოვანთკომპლექსების გარდა, ჩერქეზულ ენებში, როგორც ჩანს, არსებობდა სხვა თანხმოვანთკომპლექსებიც, რომელთა გამარტივების შედეგი შეიძლება იყოს რიგი ფონემის წარმოშობა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ჩერქეზულ** (resp. აფხაზურ-ადიღურ) **ენათა რთული კონსონანტიზმის ერთ-ერთი ძირითად წყაროდ შესაძლოა თანხმოვანთკომპლექსები დავსახოთ** [შენგელია 1979, 215].

§ 6. ჩერქეზულ ენათა ლატერალური თანხმოვნების ისტორიისათვის

6. 1. ლატერალური თანხმოვნების არსებობა სპეციფიკური მოვლენაა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათათვის: აქ ისინი სამსავე ჯგუფშია წარმოდგენილი, თუმცა — არა ყველა ენაში. ქართველურ ენებს ლატერალური თანხმოვნები არ გააჩნია, თუმცა, ზოგი მკვლევრის აზრით, პრაქართველურში უნდა გვქონოდა (ვან. გინეკენი, კ. ჰ. შმიდტი, მ. ქურდიანი, ჰ. ფენრიხი). უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია ის თვალსაზრისი, რომელიც ლატერალური თანხმოვნების მეორეულობას ამტკიცებს (ნ. ტრუბეცკოი, არნ. ჩიქობავა).

---

[23] მეორეული, მაგრამ სხვადასხვა სტატუსისა და გენეზისის პრერუპტივები წარმოდგენილია დაღესტნურ ენებში [იხ. მაგ., ცერცვაძე 1965, 83-87; Магометов 1963, 40-44; კახაძე 1969, 163-170; Топурия 1967, 24-25, Гаприндашвили 1966, 17-28 და სხვ.).

აფხაზურ-ადიღურ ენათაგან ლატერალური თანხმოვნები მოეპოვება ორსავე ჩერქეზულ ენას — ადიღეურსა და ყაბარდოულს, და უბიხურს. ეს ლატერალები სპირანტებია[24] და სამეულს ქმნის: ԯ́ (მჟღერი) — ԯ̓ (ფშვინვიერი) — ԯ (მკვეთრი).

როგორც ნ. ტრუბეცკოიმ დაადგინა, ჩერქეზულ ენათა ლატერალურ თანხმოვნებს აფხაზურსა და აბაზურში შიშინა სპირანტები შეესატყვისება [Trubetzkoy 1922, 184-204; Трубецкой 1987, 233-246]:

ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ ი	ა ფ ხ ა ზ უ რ ი
ԯ́გ „ხორცი“	აჟგ
ბԯ́გ „შვიდი“	ბჟბა
ԯ̓გ „სისხლი“	აშა
ԯ̓ა „ფეხი“	აშაპგ
ფԯ̓გქ „წითელი“	აფშ
ფԯ̓ან „ყურება“	აფშარა
პლგ „ოთხი“	ფშბა
ლგნ „მოკვლა“	აშრა

ამგვარად, აქ გვაქვს რეგულარული შესატყვისობა ჩერქ. ԯ́ : აფხ. ჟ, ჩერქ. ԯ̓ : აფხ. შ/შა, ჩერქ. ლ : აფხ. შ. ამ შესატყვისობაში უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ის შემთხვევათა არც ისე დიდ

[24] არსებობს სხვა თვალსაზრისიც (ვ. დიუმეზილი), რომლის თანახმადაც ორი ლატერალი სპირანტია, ერთი — მკვეთრი აფრიკატი, მაგრამ აფხაზურ-აბაზურთან მათი შესატყვისობის მიხედვით ეს სხვაობა არ დასტურდება. ამ მხრივ შდრ. ხუნძური, რომლის ჰარული დიალექტი სხვა დიალექტების მკვეთრი აფრიკატი ლატერალის შესატყვისად მკვეთრ აბრუპტიულ ხშულს წარმოგვიდგენს [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 65-69].

რიცხვს მოიცავს; შემდეგ: ა) ფშვინვიერი და მკვეთრი ლატერალი აფხაზურში ერთსა და იმავე შესატყვისს გვიჩვენებს; ეს იმით აიხსნება, რომ ამ რიგის მკვეთრი სპირანტი აფხაზურს არ მოეპოვება [ლომთათიძე 1976, 220-221] და ბ) ჩერქეზული შიშინა სპირანტის შესატყვისად აფხაზურში ვლინდება როგორც რბილი შიშინა, ისე მაგარი შიშინა სახეობა. „შესატყვისობის ასეთი არათანმიმდევრულობა კვლავ სვამს საკითხს ამოსავლის განსხვავებული ხასიათის შესახებ“ [ლომთათიძე 1976, 221].

როგორც უკვე აღინიშნა, ნ. ტრუბეცკოის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ჩერქეზულ ენათა მჟღერ ლატერალ **ლ'**-ს მჟღერი შიშინა სპირანტი **ჟ** შეესატყვისება; ამოსავლად ლატერალი **ლ'** მიიჩნევა. ეს თვალსაზრისი სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია (ქ. დიუმეზილი, გ. როგავა, ქ. ლომთათიძე).

ჩერქეზული მჟღერი **ლ'** ლატერალის შესატყვისად აფხაზურში სონორი **ლ**-ც დასტურდება:

ჩერქ. ბ**ლ'**ა-ნ — აფხ. ა-ბგ**ლ**-რა „წვა“

ჩერქ. ღა-ბ**ლ'**ა — აფხ. ა-მ**ლ**ა „შიმშილი“

ამ შემთხვევაშიც ამოსავლად ჩერქეზულ ენათა ვითარება მიაჩნიათ, ე. ი. მჟღერი ლატერალი **ლ'** [როგავა 1959, 616]. საკითხის ამგვარი დასმისას აუხსნელი რჩება, თუ რატომ მივიღეთ აფხაზურში ერთი და იმავე ამოსავალი მჟღერი ლატერალისაგან ერთ შემთხვევაში შიშინა სპირანტი **ჟ**, მეორე შემთხვევაში — სონორი **ლ**.

ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში — ჩერქ. **ლ'** : აფხ. **ლ** —, ვფიქრობთ, ამოსავალია სონორი **ლ**, ე. ი. აფხაზურის ვითარება. ამოსავალმა სონორმა **ლ**-მ თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში მჟღერი ლატერალი **ლ'** მოგვცა, მაშასადამე:

ჩერქ. **ბლ'**ა- < ***ბლ**ა- „წვა“

ჩერქ. **ღაბლ'**ა < ***ღაბლ**ა „შიმშილი“

ცნობილია, რომ სონორი **ლ** ჩერქეზულ ენებს ამჟამად არ გააჩნია. ვარაუდობენ, რომ ამოსავალმა (საერთო აფხაზურ-ადიღურმა) **ლ**-მ ჩერქეზულ ენებში **რ** და **ჲ** მოგვცა [როგავა 1974, 75]. „წვისა“ და „შიმშილის“ აღმნიშვნელ სიტყვებშიც მოსალოდნელი იყო, რომ ამოსავალი სონორი **ლ** **რ**-ს მოგვცემდა. ასე არ მოხდა, რადგან ჩერქეზული ენებისათვის არ არის ბუნებრივი ბგერითი კომპლექსი **ბრ**; საერთოდ თანხმოვანი + სონორი მიმდევრობა (**ბრ, ფრ, პრ... ბმ, ფმ, პმ... ბნ, ფნ, პნ...**) ერთი მორფემის ფარგლებში (საკუთარ ლექსიკაში) ამ ენებისათვის უცხოა; სამაგიეროდ, ბუნებრივი და გავრცელებულია ბგერითი კომპლექსები თანხმოვანი + ლატერალი ტიპისა — გვაქვს **ბლ'**, **ფლ'**, **პლ** (იხ. ზემოთ).

შიმშილის აღმნიშვნელი ფუძე გვაქვს, აგრეთვე, ჩერქეზულ სიტყვაში **მაშლ'აჭა** „შიმშილობა“, რომელიც იხმარება იდიომატურ გამოთქმაში **მაშლ'აჭა** ლაღა „მოშივდა“ (ზედმიწ. „შიმშილით მოკვდა“). აქ თანხმოვნის მომდევნო პოზიცია არ არის, მაგრამ მაინც ლატერალია წარმოდგენილი, რაც **ღაბლ'ა** „შიმშილი“ სიტყვის ანალოგიით აიხსნება, მით უმეტეს მათი ძირეული ელემენტები — **მალ'ა** და **ბლ'ა**, ერთმანეთს უკავშირდება: **ბლ'ა** (ღა-ბლა) < ***მლ'ა** (*ღა-მლ'ა) < ***მალ'ა** (*ღა-მალ'ა); **მლ'** არაბუნებრივი კომპლექსია და **ბლ'**-ში გადავიდა.

ამრიგად, ჩერქეზულ ენათა ძირეულ მასალაში გვქონია პირველადი და მეორეული მჟღერი ლატერალი ლ' : პირველადი **ლ'** ივარაუდება ამოსავლად ჩერქ. **ლ'** : აფხ. **ჟ** შესატყვისობისათვის. მეორეული **ლ'** გვექნება ჩერქ. **ლ'** : აფხ. **ლ** შესატყვისობის შემთხვევაში.

მეორეული ლატერალები გვაქვს, აგრეთვე, ნასესხებ მასალაში მასესხებელი ენის სონორი **ლ**-ს გადმოსაცემად; ვინაიდან ჩერქეზულ ენებს სონორი **ლ** ფონემა არ მოეპოვე-

ბა, სხვა ენიდან ნასესხებ სიტყვებში ის აღნიშნულ ფონემას მჟღერი ან ფშვინვიერი ლატერალით გადმოსცემს:

ა) მჟღერით, თუ ის სიტყვის თავკიდურშია ხმოვნის წინ, ბოლოკიდურში — ხმოვნის მომდევნოდ, ან ინტერვოკალურ პოზიციაში: ლ'იმონ „ლიმონი", ადიღ. ლ'ითრ || ყაბ. ლ'ითრაჯ „ლიტრი", ფგლ' „სპილო", მალ'გ „ცხვარი", ადიღ. ცაფრელ' / ყაბ. ცაფრელ' „აპრილი", ალ'აშა „ლაფშა", ყაბ. ლ'ჭ „ლაქი", სალ'ამ „სალამი" და სხვ. [Шагиров 1962, 157-208].

ბ) თუ სონორი კომპლექსის შემადგენლობაში გვაქვს, როგორც წესი, ანგარიში ეწევა კომპლექსის არასონორი წევრის მჟღერობა-სიყრუეს — მჟღერთან მჟღერი ლატერალი გვექნება, ყრუსთან — ფშვინვიერი: შდრ. ერთი მხრივ — ბლ'ეგნ „ბლინი", ბლ'ოქნოთ „ბლოკნოტი", ბლ'ეგზქა „ბლუზი"... და მეორე მხრივ — ასლ'ან „ლომი", ჯაფლ'ან „ვეფხვი", ბგასლ'გმან „მუსულმანი", ადიღ. ფალ'თაუ || ყაბ. ბალ'თო „პალტო"... [შაგიროვი 1962, იქვე, Рогава, Керашева 1966, 43].

შესაძლოა მკვეთრი ლატერალის მეორეულობის შესახებაც ვისაუბროთ ერთ საერთო-ადიღურ სიტყვაში — ესაა **ლგ** „მამაკაცი, ქმარი". ამ სიტყვას სამეცნიერო ლიტერატურაში უკავშირებენ აფხაზურ-აბაზურ სიტყვას ა-**ლგაჟ°** / **ლგაჟ°** „მოხუცი (შდრ. ერთი მხრივ, აფხაზ.-აბაზ. ა-ქ° / ქ°გ „ძველი" და, მეორე მხრივ, ადიღ. ლგ-ზ'გ || ყაბ. ლგ-ზ' „მოხუცი", ზედმიწ. „კაცი ძველი") და პარალელებს უძებნიან ნახურ-დაღესტნურ ენებსა და ოსურში: ბაცბ. **ლაგ**, ჩეჩნ-ინგ. **ლაჲ**, ხუნძ. **ლაღ**, ლეზგ. **ლუკ**, რუთ. **ლგკ**, ლაკ.-დარგ. **ლაღ** „მონა"... ოსური **ლაჳ** „კაცი, ადამიანი"; ოსურში ეს სიტყვა იბერიულ-კავკასიურ სუბსტრატად მიიჩნევა [Балкаров 1965, 54; Абаев 1973, 19-32; Шагиров 1977ა, 257].

თუ ზემოაღნიშნული დაკავშირება სწორია, მაშინ ადიღურ ენათათვის ამოსავლად უნდა ჩაითვალოს **ლგ** + C

სტრუქტურის ფუძე; ბოლოკიდური თანხმოვნითი ელემენტი შეიძლებოდა ყოფილიყო აბრუპტიული თანხმოვანი **კ**, რომელმაც რეგრესული ასიმილაციით ნაწილობრივ დაიმსგავსა (მჟღერი) სონორი **ლ**, თავად კი დაიკარგა; პროცესი მთლიანად ასე წარმოიდგინება: ***ლგკ** > ***ლგკ** > **ლგ** „კაცი“ (**კ**-ს დაკარგვას შესაძლოა წინ უძღოდა **კ** → **კ˝**).[25]

6. 2. ადიღეურ და ყაბარდოულ ენებს შორის არსებულ ბგერათშესატყვისობებთან დაკავშირებული მრავალი საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია (ლ. ლოპატინსკი, ნ. ტრუბეცკოი, ნ. იაკოვლევი, ჟ. დიუმეზილი, გ. როგავა, ქ. ლომთათიძე, მ. კუმახოვი, ა. შაგიროვი...). კერძოდ, ცნობილია, რომ ლატერალურ თანხმოვნებს ეს ენები, როგორც წესი, უცვლელად ინახავენ: ადიღეური მჟღერი ლატერალის შესატყვისად ყაბარდოულში მჟღერივე ლატერალი დასტურდება, ფშვინვიერი ლატერალის შესატყვისად — ფშვინვიერი და მკვეთრი ლატერალის შესატყვისად — მკვეთრი; ამის შესაბამისად, ადიღეურსა და ყაბარდოულში ერთნაირად გვაქვს: **ლ'გ** „ხორცი“, **ლ'ან** „ღებვა“, **ბლ'გ** „შვიდი“, **ბლ'ა** „გველი“... **ლ'გ** „სისხლი“, **ფლ'ან** „ყურება“, **ლ'ა** „ფეხი“... **ლგ** „კაცი“, **ბლგ** „ოთხი“, **ლა-ნ** „სიკვდილი“...

გამონაკლისს ქმნის „შიმშილობის“ აღმნიშვნელი საერთო-ჩერქეზული სიტყვა — ადიღ. **მალ'აჭა** და ყაბარდოული **მაჟალა**. აქ ადიღეური მჟღერი ლატერალი **ლ'**-ს ადგილას ყაბარდოულში შიშინა მჟღერი სპირანტი **ჟ** გვაქვს.

გ. როგავა ერთ თავის ნაშრომში (სხვა საკითხებთან ერთად) განიხილავს ყაბარდოულ ენაში მეორეული მჟღერი სპირანტის **ჟ**-ს წარმოშობის ხუთ სხვადასხვა გზას. მეორეული **ჟ**-ს მიღების ერთ-ერთ წყაროდ დასახელებულია მჟღე-

[25] როგორც ცნობილია, ხშირად ხმარებული სიტყვების „ცვეთა“ ადვილად ხდება.

რი ლატერალი **ლ′** ჩვენთვის საინტერესო სიტყვაში, ე. ი., მკვლევრის აზრით, ყაბ. **ჟ** ← ***ლ′** : **მაჟალჯ** < **მალ′აჭჯ** [როგავა 1955, 616].

ცნობილია (და ეს უკვე აღინიშნა), რომ ჩერქეზულ ენათა მჟღერ ლატერალ **ლ′**-ს აფხაზურში მჟღერი სპირანტი **ჟ** შეესატყვისება (თვალსაჩინოებისათვის გავიმეორებთ): ჩერქ. **ლ′გ** : აფხ. **აჟგ** „ხორცი“, ჩერქ. **ბლ′გ** : აფხ. **ბჟ**-ბა „შვიდი“ [Trubetzkoy 1922; Dumézil 1932, 125-126]. „შიმშილობის“ აღმნიშვნელ სიტყვაში ასეთი შესატყვისობა თავად ჩერქეზულ ენებს შორის აღმოგვაჩნდა — ადიღ. **ლ′** : ყაბ. **ჟ**; ეს ფაქტი ახსნას მოითხოვს.

შესატყვისობა ადიღ. **ლ′** : ყაბ. **ჟ** არ არის იმ სიძველისა, როგორიცაა ჩერქ. **ლ′** : აფხ. **ჟ**. ყაბარდოული **ჟ** აღნიშნულ სიტყვაში პოზიციურად მიღებული ჩანს.

საანალიზო სიტყვა, გ. როგავას მართებული მოსაზრების შესაბამისად, რთულია: **მაჟალჯ** < ***მალ′ა-** „შიმშილი“ + **ლა-** „სიკვდილი“ (შდრ. ქართ. „შიმშილით ვკვდები“); სიტყვის ასეთ დაშლას მხარს უჭერს აფხაზურ-ადიღურ ენათა მონაცემები (შდრ. ადიღ. ღა-ბლ′ა „შიმშილი“ და **ლა-** „სიკვდილი“, აფხ. ამლა „შიმშილი“).

ჩერქეზულ ენებს ერთი მორფემის (სიტყვის) ფარგლებში არ ახასიათებს სხვადასხვა სერიის ორი ლატერალი, კერძოდ, არა გვაქვს მიმდევრობა მჟღერი ლატერალი + ხმოვანი + აბრუპტივი ლატერალი. ჩვენი აზრით, ყაბარდოულში ფონემათა არაბუნებრივი მიმდევრობა **ლ′ალ**, რომელიც საანალიზო სიტყვაში იყო მოსალოდნელი, რეგრესული დისიმილაციის გზით შეიცვალა (წინამავალი ლატერალი განემსგავსა მომდევნოს): ***მალ′ალჯ** > **მაჟალჯ**.[26]

---

[26] როგორც ჩანს, ეს გადასვლა მაშინ მოხდა, როდესაც ეს სიტყვა აღარ გაიგებოდა, როგორც რთული.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ სხვა პოზიციაში ორივე ენამ (ადიღეურმაც, ყაბარდოულმაც) იმავე ფუძის შემცველ სიტყვაში ლატერალი **ლ′** შემოგვინახა: ადიღ.-ყაბ. ღაბ**ლ′**ა „შიმშილი“.

ამრიგად, თუ აფხაზურში ამოსავალი ლატერალი თანხმოვნების გადასვლა შიშინა სპირანტებში სპონტანური მოვლენა ჩანს, ყაბარდოულში მჟღერი ლატერალის მჟღერ სპირანტში გადასვლის ერთი შემთხვევა პოზიციურ მოვლენად გვესახება. ამასთან, პირველი გაცილებით უფრო ძველი პროცესია (აფხაზურ-ადიღური ფუძე-ენის დიფერენციაციის დროინდელი), მეორე — ახალია (ჩერქეზულ ენათა დამოუკიდებელი არსებობის პერიოდისა).

განხილულ სიტყვაში ყაბარდოული -ლა-ს ადგილას ადიღეურში -**ჭ**ა გვაქვს. თუ ეს ელემენტები მასალობრივად ერთია, მაშინ აქ *ლ → ადიღ. **ჭ** პროცესი გვქონია, რასაც ასევე პოზიციური ახსნა შეიძლება მიეცეს — არაბუნებრივი მიმდევრობა (**ლალ**) ადიღეურმა შეცვალა პროგრესული დისიმილაციის გზით: ***მა ლალა** > ადიღ. **მა**ლ′**აჭ**ა (ლ → **ჭ** პროცესი, ისევე, როგორც **ლ′** → **ჟ**, ჩერქეზულ ენებში უნიკალურია).

თავი მეორე

პიროვნებისა და ნივთის კატეგორიის ისტორიისათვის

პიროვნებისა (ადამიანისა) და ნივთის კატეგორია იბერიულ-კავკასიურ ენათათვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ამ ენათა როგორც აღწერითი, ისე — განსაკუთრებით — ისტორიულ-შედარებითი შესწავლის თვალსაზრისით. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ, რომ აღნიშნული კატეგორია გამსჭვალავს ამ ენათა მთელ სისტემას: **ვინ** და **რა** ჯგუფის სახელებად დაყოფა სხვადასხვა მეტყველების ნაწილში (სემანტიკურად თუ მორფოლოგიურად) სათანადოდ ასახულია ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში (ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. როგავა, ქ. ლომთათიძე, ნ. ანდღულაძე...).

ვინ (პიროვნებისა) და **რა** (ნივთის) კლასებად დაყოფა სახელთა დაჯგუფებაა გარკვეული თვალსაზრისის მიხედვით. ესაა სახელთა ბინარული ოპოზიცია, რომელიც სათანადო საგანთა ასევე ბინარულ დაყოფას გულისხმობს. ამ დაყოფის საფუძვლად ივარაუდება არა ბიოლოგიური მომენტი, არამედ — საგანთა სოციალური ღირებულება ამა თუ იმ საზოგადოებისათვის [ჩიქობავა 1979, 87-90].

პიროვნებისა და ნივთის კატეგორია, როგორც სემასიოლოგიური (ლექსიკურ-სემანტიკური) კატეგორია, ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას ახასიათებს, ხოლო ამ ენათაგან მეტ წილში მორფოლოგიურადაც არის გაფორმებული.

ქართველურ და ჩერქეზულ ენებს გრამატიკული კლასკატეგორია, როგორც მოქმედი მორფოლოგიური კატეგორია, არ გააჩნია, მაგრამ: ა) პიროვნებასა და ნივთს განარჩევენ ლექსიკურ-სემანტიკური საშუალებებით და ბ) მათი მორფოლოგიური გარჩევის კვალი შემონახულია გაქვავებული და

რეინტერპრეტირებული აფიქსების სახით [ჯავახიშვილი 1937, 135-257; ჩიქობავა 1942, 135-262; თოფურია 1942, 147-151; თოფურია 1962, 55-65; 147-151; Porava 1956 და სხვ.].

განყენებულად რომ ვიმსჯელოთ, ისეთი სიძველის დაჯგუფება, რომელიც ქართველურ და ჩერქეზულ ენათა ამოსავალ სისტემებში ივარაუდება და დღემდე შემოგვენახა, ენობრივი სისტემის ყველა რგოლში მეტ-ნაკლებად უნდა იყოს ასახული. ამ თვალსაზრისით სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მოვლენა გახდა მეცნიერული კვლევის საგანი. ქვემოთ მოცემული ანალიზის მიზანია წარმოადგინოს ნაშრომის ავტორის გარკვეული თვალსაზრისი აღნიშნული კატეგორიის ფუნქციონირების რამდენიმე შემთხვევის შესახებ.

§ 1. „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური დისტრიბუციისათვის ქართველურ ენებში

როგორც უკვე აღინიშნა, იბერიულ-კავკასიურ ენათათვის ნიშანდობლივი გრამატიკული კლასები ქართველურ ენებს არ გააჩნია. ადამიანისა და ნივთის კატეგორიების მორფოლოგიური საშუალებებით გამოხატვა არც ძველ ქართულს შეეძლო. ამოსავალი ვითარება კი ამ კატეგორიების გარჩევას ვარაუდობს თავსართების საშუალებით სახელშიცა და ზმნაშიც; „დასტურდება ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა ისტორიულად გარჩევა ქართველურ ენათა მორფოლოგიურ სისტემაში“ [ჩიქობავა 1942, 257].

ქართველურ ენებში დღესაც გვაქვს ადამიანისა და ნივთის დაპირისპირება, თუმცა — არა პირველადი, არამედ — მეორეული: მორფოლოგიური — სადაურობის აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებში (ქართ. **კახელი** და **კახური**... სვან. **მუშუან** „სვანი“ — **ლუშნუ** „სვანური“...), სემანტიკურ-ლექსიკური — კითხვით ნაცვალსახელებში (ქართ. **ვინ** და

რა, ზან. **მი** „ვინ“ და **მუ** „რა“, სვან. **ᲐᲐრ** „ვინ“ და **მᲐᲐ** „რა“) [ჩიქობავა 1953, 51-52].

ივ. ჯავახიშვილს შემჩნეული ჰქონდა, რომ ქართული (ძველი და ახალი) „ერთისა და იმავე მოქმედების გამოსახატავად სხვადასხვა ზმნებსა ხმარობს“ [ჯავახიშვილი 1937, 173]. მართალია, ავტორი ზმნის ფუძეებით ცოცხალისა და არაცოცხალის გარჩევას ვარაუდობდა [ჯავახიშვილი 1937, 172-173], მაგრამ ჩვენთვის ამ მითითებას მაინც პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

„ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნები მრავალმხრივ საყურადღებო მონაცემებს გვაწვდიან ქართველურ ენათა ზმნის სისტემისა და ისტორიის თვალსაზრისით. ამჯერად ჩვენ ამ ზმნათა მხოლოდ სემანტიკა გვაინტერესებს, კერძოდ — „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური განაწილების საფუძველი. „ქონა-ყოლის“ აღსანიშნავად ძველ ქართულში რამდენიმე ზმნა გამოიყენებოდა: **ჰყავს**, **უვის**, **ესუა**, **უდგს** (**ედგა**), **უც** (< ***უძს**), **ედვა**, **უსხენ'ან'** (**ესხნეს**) [შანიძე 1937, 274, Deeters 1954, 110]. ყველა ეს ზმნა ორპირიანია, სტატიკური, გარდაუვალი, ინვერსიული და დეფექტური, ქმნის დატიურ კონსტრუქციას.

„ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკურ განაწილებას ძველ ქართულში საფუძვლად ედო **პიროვნებისა** (**ვინ** ჯგუფის სახელებისა) და **ნივთის** (**რა** ჯგუფის სახელების) დაპირისპირება; კერძოდ, ანგარიში ეწეოდა ამ ზმნებთან დაკავშირებულ იმ სახელებს, რომლებიც სახელობით ბრუნვაში იდგა (ე. ი. რეალურ ობიექტსა და მორფოლოგიურ სუბიექტს).

ჰყავს ზმნა ძველ ქართულში გაცილებით ნაკლები სიხშირით იხმარება, ვიდრე — ახალში,[27] მაგრამ, სადაც

[27] ამის მიზეზი ისაა, რომ, ერთი მხრივ, მის გარდა, ადამიანის ყოლას ძველ ქართულში სხვა ზმნებიც აღნიშნავდა, მეორე მხრივ, **ჰყავს** ზმნამ ახალ ქართულში გაიფართოვა მნიშვნელობა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

გვაქვს, **ყველგან ადამიანის ყოლას გამოხატავს**:

„და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა **ვჰყვანდი** ეპისკოპოსსა“ (შუშ. III, 4).

„და მოუჴდა მას ერი, რომელთა **ჰყვანდა** მათა თანა მკელობლები“ (მ. 15, 30).

„და თანა **ჰყვანდა** ერთი მენავეთა მათგანი“ (სინ. 275, 4).

„და თანა **ჰყვანდა** მთავარი იგი თჯსი ობედიანოს“ (სინ. 278, 19).

„რომელსა თანა **ჰყვა**[28] ძმაჲ მცირე ჰასაკითა“ (ზარზმ. 159, 29).

„და მასვე გზასა დედაკაცი ერთი ვინმე მოვიდოდა და თანა **ჰყვანდა** ძეჲ შჯდისა წლისაჲ“ (ხანძ. 133, ზ. 9).

„რომელსა სხუანიცა მრავალნი ძმანი **ჰყვეს**“ (ზარზმ. 168, 23).

„**ჰყვა** მათ თანა ერთი ქალი მეძავი“ (ლიმ. 13, 15).

„ნეტარ იყოს იგი კაცი, რ˝ლსა **ჰყვანდენ** ესევ˝რნი მოგზაურნი“ (ბოლნ. 71, 4).

„და **ჰყვა** მის თანა ხოლი თჯსი“ (თხრობაჲ, 48, ქვ. 4).

ამრიგად, **ჰ ყ ა ვ ს ზმნა ძველ ქართულში მხოლოდ ადამიანის ყოლას აღნიშნავდა.**

სულხან-საბა ორბელიანი განმარტავდა: „**ყოლა** ქონებასთან ნახე... **ქონება** უსულო საქონელი ანუ სიბრძნე და მისთანანი ქონებად ითქმის, ხოლო სულიერთა არა ქონასა ვიტყვით, არამედ ყ ო ლ ა ს ა“ [სულხან-საბა 1928]. ნიკო ჩუბინაშვილს უწერია: „**ყოლა** (მყავს, მივის, მესვა, გესვა, ჰესვა) ქონა სულიერთა პირთა, "иметь кого" [ჩუბინაშვილი 1961]. საბასა და ნ. ჩუბინაშვილის განმარტებას მხოლოდ ახალი ქართულისათვის აქვს ძალა.

ივ. იმნაიშვილს „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში“ განზოგადებული განმარტება არა აქვს და ფაქტობრივ მხოლოდ „თარგმნის“ **ჰყავს** ზმნის შემცველ ერთ

---

[28] ასე უწერია ს. ყუბანეიშვილს „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“ (87, ზ. 23), კ. კეკელიძეს კი — ერთად: თანაჰყვა“.

წინადადებას [იმნაიშვილი 1949], ხოლო „ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიას“ დართულ ლექსიკონში საერთოდ არ შეაქვს **ჰყავს** ზმნა [იმნაიშვილი 1953]. მ. ჭაბაშვილი რამდენსამე კონტექსტში წარმოგვიდგენს ამ ზმნას [ჭაბაშვილი 1946]. ი. აბულაძესაც **ყავ(ან)** განუმარტავად, კონტექსტებში აქვს წარმოდგენილი [აბულაძე 1973].

უვის და **ესუა** ზმნები ერთმანეთის მონაცვლე ზმნებია: პირველი აწმყოში გვაქვს, მეორე — წყვეტილსა და მისგან ნაწარმოებ კავშირებითში; ორივე მათგანი ძველ ქართულში **ვინ** ჯგუფის სახელთა ყოლას გამოხატავდა. ვნახოთ ცალ-ცალკე:

უვის

„მამაჲ **გჳვის** ჩუენ აბრაჰამი“ (მ 3, 9 DC).

„არა **გჳვის** ჩუენ მეუფჱ გარნა კეისარი“ (ი 19, 15).

„არა **გივის**[29] ქმარი“ (ი 4, 17).

„რამეთუ იგი[30] ხოლო მარტოჲ **მივის**“ (ლ 9, 38).

„არა **მივის** ქმარი“ (ი 4, 17).

„მამაჲ **გჳვის** ჩუენ აბრაჰამი“ (ლ 3, 8).

„... რომელი აწ **გივის**“[31] (ი 4, 18).

„... **უვის** დედაჲ“ (სინ. 42, 6).

„... **უვის** მამაჲ“ (სინ. 42, 6).

„ერთი **მივის** მამაჲ“ (სინ. 99, 4).

„და უკეთუმცა იხილე რაჲმე შექმნული, დაღათუმცა მოქმედი მისი არა ჰნახე, სწამემცა, ვითარმედ **უვის** შემოქმედი“ (ბალაჰვ. 70, 7).

„**უვის** მაშენებელი“ (ბალაჰვ. 70, 10).

„დაბადებულთა ამათ **უვის** დამბადებელი“ (ბალაჰვ. 71, 5).

„რამეთუ მსგავს არს სახე კაცსა, რომელსა **უვინ** თჳსი

---

[29] C „მივის“.

[30] იგულისხმება: **ძეჲ**.

[31] იგულისხმება: **ქმარი**.

ტყვეობასა შინა“ (ბალაჰვ. 84, 16).

„მტერი **მივის**“ (ბალაჰვ. 120, 20).

„და იხილე, რამეთუ სხუადცა მტერი **გივის**“ (ასურ. 37, 9).

„დასასრულსა მჴეცთავე შეჭმად **უვი**“ (ლიმ. 136, 30).

„ოდესღა ესევ˘რი მზრუნავი **გჳვის** ჩ˘ნ ცათა შინა, რაჲსაღა ვზრუნავთ“ (ბოლნ. 22, 8).

უ გ ი ს ზმნა ძველ ქართულში მხოლოდ ღვთისა და ადამიანის ყოლას აღნიშნავდა.[32]

ესუა

„ვ˘დ არა ჯერ არს შენდა ვ˘რმცა **გესუა** იგი ცოლად“ (ჰაემ. 368, 10).

„**ესუა** ასული სულითა არაწმიდითა გუემული“ (მ 7, 25 DE[33]).

„ვისმე თქუენგანსა **ესუას** მონაჲ მჴნველი გინა მწყემსი“ (ლ 17, 7).

„ვის თქუენგანსა **ესუას** მეგობარი“ (ლ 11, 5).

„და **ესუა** აბრაჰამს ისაკ და ისაკს იაკობ“[34] (ევსტ. 49, ზ. 15).

„ქმარი თუ **ესუას**, ღამითა და დღით სიტყჳთა დაჰგუმერნ“ (სინ. 214, 17).

„და **ესუა** მას მოწაფჱ“ სიგ. 275, 4).

„და **ესუა** მას მეგობარი კაცი შერაცხილთაგანი კონსტანტინეპოლის“ (ლიმ. 89, 11).

„და კუალად სხუათა ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა **ესუა** შვილი“ (ხანძ. 133, ქვ. 16).

„რ˘ იგი ხ˘ იათმავრი **ესუა** მას“[35] (საბა 15, 31).

„რ˘ლსა **ესუა** ქმარი“ (სახისმეტყვ. 16, 12_{23}).

---

[32] ღმერთი ამ შემთხვევაში **გინ** ჯგუფის სახელებთან არის გათანაბრებული.

[33] C: „ასული გუემულ იყო ეშმაკისაგან“.

[34] ეს ციტატა სახარებიდანაა.

[35] კონტექსტის მიხედვით იგულისხმება: „**ყრმაჲ**“.

„**ესუა** მეფესა მას კაცი ერთი თანამზრახვალი“ (ბალაჰვ. 11, 10).

საბა აღნიშნავს: „**ესვა** ჰყვა... **ჰყავს** უვის“ [სულხან-საბა 1928], ე. ი. ეს ზმნები ავტორს სინონიმებად მიაჩნია (რაც სწორია), მაგრამ სამივე — სულიერი არსების ყოლის აღმნიშვნელად (რაც ძველი ქართულისათვის არ არის ზუსტი). საბას განმარტებას იმეორებს ნ. ჩუბინაშვილი: „**მივის, გივის, უვის**... მრ. **გვივის, გივისთ, უვისთ**... ყოლა... иметь... **სმა** (მივის ე. ი. მყავს) ყოლა, ქონება. მრავალთათვის **სხმა** ნახე, иметь кого [ჩუბინაშვილი 1961].

საბას განმარტება ახალი ქართულის ვითარების ამსახველია, რაც გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ „მეთვრამეტე საუკუნისათვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება უკვე დამთავრებულია“ [ჩიქობავა 1950, 018]. **ჰყავს, უვის, ესუა** ზმნებს ს.-ს. ორბელიანის მოღვაწეობის ეპოქაში უკვე მნიშვნელობა გაფართოებული ჰქონდა და **ადამიანის ყოლასთან** ერთად **ცხოველის ყოლასაც** აღნიშნავდნენ.

ი. აბულაძეს **უვის** და **ესუა** განმარტებული აქვს როგორც **ყოლა** [აბულაძე 1973].

ჰყავს, უვის, და **ესუა** ზმნების ზუსტი განმარტება წარმოდგენილი აქვს ა. შანიძეს „ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის“ სასკოლო სახელმძღვანელოს დართულ ძველი ქართული ენის მოკლე მიმოხილვაში: „**ყოლა** ზმნის მნიშვნელობა აქვს **ვ** ფუძეს, რომელსაც ნამყოში **სუ** (უმარცვლო უნით) ენაცვლება: ესენი იხმარებიან მაშინ, როცა ადამიანის (მამისა, შვილისა, ცოლისა და სხვ.) შესახებ არის საუბარი“ [შანიძე 1937, 274].

ასევე სწორად განმარტავს ივ. იმნაიშვილი **უვის** ზმნის სემანტიკას ამ ზმნის უღვლილების პარადიგმაში [იმნაიშვილი 1953, 306].

ზუსტია **უვის** და **ესუა** ზმნების გ. დეეტერსისეული განმარტებაც: **მივის** (პრეტერიტით **მესუა**) არის ძველქარ-

თული ზმნა პიროვნების „ყოლისათვის“ მხოლოობით რიცხვში [Deeters 1954, 115]. ამას ვერ ვიტყვით ავტორის მოსაზრებაზე **ჰყავს** ზმნის მნიშვნელობის შესახებ: ეს ზმნა ცოცხალ არსებათა მიმართ იხმარებოდაო [Deeters 1954, 113]. ძველ ქართულში არ არის დადასტურებული **ჰყავს** ზმნის ცხოველის ყოლის აღსანიშნავად ხმარების შემთხვევა; ეს ზმნა მხოლოდ **ვინ** ჯგუფის სახელთა ყოლას გამოხატავდა.

გ. კლიმოვი ქართველური ***ყაუ̯** (*ყა-, *ყუ̯-) ზმნური ლექსემის რეკონსტრუქციისას სათანადოდ არ ითვალისწინებს ძველი ქართული ტექსტების მონაცემებს, არც სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე არსებულ მართებულ თვალსაზრისს და ამ ზმნის ამოსავალ მნიშვნელობად სულიერის ყოლას ვარაუდობს [Климов 1964, 208, Климов 1974, 172-174], რასაც შემდგომ თავისი „აქტიურობის ჰიპოთეზის“ სასარგებლოდ იყენებს [Климов 1973, 254; Климов 1977 a, 254-255; Климов, Алексеев 1980, 127-130; Климов 1986, 166].

ძველ ქართულში ასევე არ არის დადასტურებული შემთხვევა, რომ **უვის** და **ესუა** იყოს ნახმარი მაშინ, როდესაც ცხოველის ქონაა გამოსახატი. ძველი ქართულისათვის უცხოა როგორც ახალი ქართულის **ცხენი ჰყავს, ხარი ჰყავს, ქათამი ჰყავს**... ტიპის შესიტყვებები, ისე **ცხენი** (**ხარი, ქათამი**...) **უვის, ესუა** და მისთანანი, მით უმეტეს, ეს ზმნები არ გამოიყენებოდა „უსულო ნივთების“ (ნავი, სახლი, თუალი, დიდებაჲ...) ქონის აღსანიშნავად. ამიტომ არ არის ზუსტი ივ. ჭავთარაძის მსჯელობა: „ქართულმა ეს ზმნა (იგულისხმება **ესუა** — ვ. შ.), რომელიც თითქმის მხოლოდ სულიერი არსების „ყოლას“ გამოხატავდა, დაკარგა“ [ჭავთარაძე 1954, 221]. როგორც ჩანს, ანალოგიური მნიშვნელობისად მიაჩნია ავტორს **უვის** ზმნაც, რადგან აორისტში მის მონაცვლედ (სამართლიანად) მიიჩნევს **ესუა**-ს [ჭავთარაძე 1954, 17, 49, 221]. ძველ ქართულში **უჳის** და **ესუა** ზმნების ხმარების ბევრი შემთხვევა

გვხვდება და ყველა შემთხვევაში ისინი ადამიანის ყოლას აღნიშნავენ.

ჰყავს, უვის და **ესუა** ზმნებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება **ესუა**, შემდეგ — **უვის**, ყველაზე ნაკლებია **ჰყავს** ზმნის ხმარების სიხშირე. ჩვენ მიერ გამოყენებულ ტექსტებში ეს ზმნები შესაბამისად 76-ჯერ, 30-ჯერ და 12-ჯერ შეგვხვდა. სულ ამ ზმნებით 118-ჯერ იყო აღნიშნული ადამიანის ყოლა.

დავასკვნათ: **ძველ ქართულში ჰყავს, უვის, ესუა ზმნები მხოლოდ ადამიანის ყოლას აღნიშნავდნენ.**

უდგას (**ედგა**) ზმნა ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად იხმარება და მხოლოდ **რა** ჯგუფის სახელის ქონას აღნიშნავს.

„ჰრქ˘ა ი˘ჳ კაცსა მას, რ˘ლსა იგი ჴელი განჴმელ **ჰედგა**“ (ჰაემ. 373, 5).

„ვინ არს კაცი, რ˘ სა **ჰედგას** ცხოვარი ერთი“ (ჰაემ. 367, 12).

„ვინ არს თქუენთაგანი კაცი, რომელსა **ედგას** ცხოვარი ერთი“ (მ 12, 11).

„და იყო მუნ კაცი, რომელსა ჴელი განჴმელ **ედგა**“ (მ 12, 10).

„და სხვანიცა ცხოვარნი **მიდგან**“ (ი 10, 16).

„უფალო, რაჲთა-მე იყოს ჩემდა აგარაკი, უკუეთუ არა **მედგას** ჴარი მშრომელი?“ (სინ. 67, 20).

„და ვინ არს, რომელსამცა უდაბნოსა ზედა პური დაგებული **ედგა**“ (სინ. 67, 20).

„რ˘ლსა **უდგს** ასი ცხოვარი“ (ბოლნ. 27, 7).

„რ˘ლსა მცირედ ოდენ **ედგნეს** სულნი“ (საბა 10, 23).

„**მიდგან** მეღა ორნი ზუარაკნი ხისტნი და სასტიკად ფიცხელნი“ (თეკლ. 117, ქვ. 8).

„... ჴარნი არა **უდგანედ**“ (ლიმ. 8, 29).

„სენაკი არა **გიდგსა**“ (ლიმ. 33, 28).

„სენაკიცა **მიდგს** და ჴელთ-საქმარიცა“ (ლიმ. 33, 30).
„უკუეთუ **უდგს** მუნ სახლი“ (ლიმ. 115, 6).

როცა „ცხოველის ყოლაა“ აღსანიშნი, მუდამ უ დ გ ს ზმნა გამოიყენება, მაგრამ არ შეიძლება ითქვას: **უდგს** ზმნა მხოლოდ ცხოველის ყოლას აღნიშნავსო, რადგან „არაცოცხალი ნივთის“ მიმართაც ისევე ხშირად იხმარება, როგორც — **რა** კატეგორიის ცოცხალ არსებათა მიმართ. მაგალითად, „ოთხთავში“ ზემოხსენებული ზმნა 14-ჯერ აღნიშნავს ცხოველის ყოლას, სხვა ნივთის ქონას კი — 15-ჯერ; „ჰაემეტ ტექსტებში“ — ცხოველის ყოლასა და „არაცოცხალი ნივთის“ ქონას თითოჯერ; „სინურ მრავალთავში“ — შესაბამისად ერთჯერ და 2-ჯერ და ა. შ. ჩვენს მიერ გამოყენებულ ტექსტებში ეს ზმნა სულ 47-ჯერ არის ნახმარი; აქედან 23-ჯერ ცხოველის ყოლას აღნიშნავს, 24-ჯერ — „არაცოცხალი ნივთისას“ (ე. ი. შეფარდება ასეთია 23 : 24). ამ ზმნის მიერ **ვინ** ჯგუფის სახელის ყოლის გამოხატვის შემთხვევა არ დაგვიდასტურებია. ამრიგად: 1. **უ დ გ ს (ედგა) ზმნა ნივთის კლასის სახელების ქონას გამოხატავს**; 2. **ცხოველის ყოლის აღსანიშნავად, როგორც წესი, ეს ზმნა გამოიყენება**.

უდგს ზმნა საბას და ნ. ჩუბინაშვილს არა აქვთ შეტანილი თავიანთ ლექსიკონებში. ივ. იმნაიშვილი „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში“ აღნიშნავს: „**დგმა**, ა-2 [ქონება, ყოლა]“[36] [იმნაიშვილი 1949]; ეგევე აქვს ნათქვამი ავტორს „ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიაში“ [იმნაიშვილი 1953]. მ. ჭაბაშვილი მხოლოდ კონტექსტში წარმოადგენს ამ ზმნას [ჭაბაშვილი 1946]. ი. აბულაძეს ასეთი განმარტება აქვს: „**დგმა** ქონება, ყოლა“ [აბულაძე 1973]. განმარტება დასაზუსტებელია: **უდგს** ზმნა ვერ ამოწურავს ყველა იმ მნიშვნელობას, რაც **აქვს** და **ჰყავს** ზმნებს მოეპოვება.

[36] ი. იმნაიშვილი მასდართან განიხილავს ზმნურ ფორმებს.

უც ძველ ქართულში არ არის ისე ხშირად გამოყენებული, როგორც **უდგს**: პირველი მეორეზე დაახლოებით ორჯერ ნაკლები სიხშირით გვხვდება. მოვიყვანთ **უც**-ის ხმარების ყველა შემთხვევას, რაც ტექსტებში შეგვხვდა:

„აჰა, ეგერა დირ[ც] ეგე თუალსა შინა შენსა **გიც**“ (ხანმ. 328, 8).

„თუალსა შიდა **გიც**: ორგულო, აღმოიღე პირველად დირც იგი თუალისაგან შენისა“ (ხანმ. 331, 1).

„გუალე, რაჲცა **გიც**[37] განყიდე“ (მრ. 10, 21c).

„და აჰა დირც **გიც** თუალსა შენსა“ (მ 7, 4c[38]).

„სასთაული ერთი ხალენისა **უცნ** სასთუნლით კერძო“ (შუშ. XIV, 19).

„არა **მიც** მე კუნკული“ (ლიმ. 76, 8).

„არა **მიც** თჳნიერ ერთი ნაწილი“ (ლიმ. 98, 26).

„ნაწილ-**უც**[39] მამულსა თანა თქუენსა დასა ამას თქუენსა...“ (ზარზმ. 173, 30).

„ჴელთა საქმარი არა **გიცა**“ (ლიმ. 33, 29).

„არა რაჲ შემოვიღეთ სოფელსა ამას შინა... რ˙ არცაღა განრაჲღებაჲ **გჳც**“ (ბოლნ. 22, ქვ. 3).

„ანუ რაჲსათვის სთესავ, რ˙ი იგი არა მომკად **გიც**“ (ბოლნ. 19, 3).

„რ˙ არა რაჲ საშჯელი **უც** პირუტყუთა და მფრინველთა თანა“ (სახისმეტყვ. 25, 19$_{50}$).

„მე ამიერითგან თანა **მიც** შესაპოვარი“ (მთაწმ. 18, 17$_{8}$).

„ცხორებაჲ და სიკუდილი წინაშე **გიც**“ (სინ. 240, 36).

„... რაჲ სწორება-**უც** მის თანა“ (სინ. 87, 24).

---

[37] DE: „გაქუს“.

[38] DE: „და აჰა ეგერა დირც თულსა შენსა“.

4c: „არარაჲ გჳრს შენ რომლისთჳსცე“.

[39] ასე აქვს დაბეჭდილი კ. კეკელიძეს („ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა“); ს. ყუბანეიშვილს კი „ქრესტომათიაში“ ცალ-ცალკე უწერია: „ნაწილ უც“.

„ხოლო მამასახლისსა **უცნ** მცირედ პური უცხოთათჳს“ (სინ. 267, 9).

„გამონახვად **უც** ადგილიცა იგი“ (სინ. 277, 9).

„ცხორებაჲ და სიკუდილი წინაშე **გიც**“ (სინ. 240, 36).

„გულსა შიდა **მიც** იჭჳ“ (სინ. 243, 16).

„გიხაროდენ, მიმადლებულო, რამეთუ მკლავთა ზედა შემოქმედი ყოველთაჲ ტჯრთვად **გიც**“ (სინ. 9, 6).

„... ჴორციელად არღარა ხილვად **უც** მოძღუარი თჳსი“ (ხანძ. 149, ქვ. 20).

სულ (თუ „ოთხთავის“ D და E ხელნაწერთა მონაცემებს ცალ-ცალკე ვიანგარიშებთ) **უც** ზმნა 23-ჯერ შეგვხვდა; ის 21 შემთხვევაში ნივთის ქონას გამოხატავს და მხოლოდ უკანასკნელ 2 შემთხვევაში — ადამიანის ყოლას, ე. ი. შეფარდება ასეთია 21 : 2. უკვე ის გარემოება, რომ ეს ორი შემთხვევა განცალკევებით დგას, გვაძლევს უფლებას, ისინი გამონაკლისად მივიჩნიოთ და ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: **უც ზმნა ნივთის ქონას აღნიშნავდა ძველ ქართულში.**[40] ამ დასკვნას მხარს უჭერს მაგალითები ხანმეტი ძეგლებიდან, რომლებიც ჯერ-ჯერობით უძველესი წერილობითი ძეგლებია; პირველი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები — „შუშანიკის წამება“ და „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციაც“ ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს (იხ. ზემოთ). არის კიდევ ერთი, შეიძლება, გადამწყვეტი გარემოება: ორსავე შემთხვევაში **უც**-ს წინ ვითარებით ბრუნვაში დასმული ნივთის კლასის სახელი უძღვის (... **ტჯრთვად გიც**..., **ხილვად გიც**...). ჩვენი აზრით, ესაა ამ გამონაკლისის არსებობის მიზეზი. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვქონია სინტაქსური პოზიციით შეპირობებულ გამო-

[40] როგორც ცნობილია, ხშირად ისეც ხდება, რომ რომელიმე ენობრივი კანონზომიერება ვერ მოიცავს სისტემაში წარმოდგენილ მთელ მასალას; გარკვეულ ენობრივ კანონზომიერებას ქმნის შესაბამის მოვლენათა სიხშირე: ენაში მოვლენათა სიმრავლე ქმნის კანონს, ერთეული მოვლენები კი — გამონაკლისს [გამყრელიძე 1959, 73].

ნაკლისთან: **ეს გამონაკლისი ვითარებით ბრუნვაში დასმული ნივთის კლასის სახელის შემდეგ უც-ის პოზიციით აიხსნება**. აღსანიშნავია, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელები **უც** ზმნასთან ერთად ქმნიან შედგენილ შემასმენელს [ჩხუბიანიშვილი 1972, 63], ზმნა კი, ბუნებრივია, ამ სახელების — რა ჯგუფის სახელების (**ტკრთვა**, **ხილვა**) „შერჩეულია“. ამიტომ, თუ ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნას ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი უძღვის, მაქსიმალური ალბათობით შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ზმნა არ იქნება არც **ჰყავს**, არც **უვის** და **ესუა**.[41]

ამგვარად, **უც ზმნა ძველ ქართულში, როგორც წესი, ნივთის ქონას აღნიშნავდა**. ორიოდე გამონაკლისი აიხსნა. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება: ნივთი, რომლის ქონასაც **უც** ზმნა გამოხატავს, არის „არაცოცხალი“; „ცოცხალი ნივთის“ (ცხოველის) ქონას ეს ზმნა არ გამოხატავდა.

უც ზმნის მნიშვნელობა ლექსიკონებში სათანადოდ არ არის განმარტებული. საბა წერს: **მიც** მიძეს... **მიძეს** მაქუს... **უც** უძეს ნაკუეთი... **უძს** უძეს ნაკუეთი... ნ. ჩუბინაშვილი განმარტავს: **უძს** მესამე პირი ზმნისა: **მიძს**, **გიძს**, **უძს**, **გვიძს**, **გიძსთ**, **უძსთ**, ე. ი. უძევს, აქუს... **გვიცა** და **არაგვიცა** ე. ი. გვიძს და არაგვიძს, ანუ გვაქვს, გინა გუაქუს და არა გუაქუს... ივ. იმნაიშვილი „სიმფონია-ლექსიკონსა“ და „ქრესტომათიას“ დართულ ლექსიკონში მხოლოდ წინადადებებში განმარტავს ამ ზმნის მნიშვნელობას (ე. ი. **უც** ზმნის მნიშვნელობა განზოგადებულად არა აქვს მოცემული). ასეა მ. ჭაბაშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონშიც. ი. აბულაძე ამ ზმნას მხოლოდ კონტექსტებში წარმოგვიდგენს [აბულაძე 1973, 523].

ედვა ზმნა ძველ ქართულში მხოლოდ **რა** ჯგუფის უსულო სახელების მიმართ გამოიყენება. მოვიყვანთ ამ

[41] ეს ზმნა შეიძლება იყოს **უც** ან **აქუს**...

ზმნის ხმარების შემთხვევათა ნაწილს:

„არა თუ გლახაკთაჲ რაჲმე ზრუნვაჲ **ედვა** მას“ (მ 12, 6).

„... ხოლო მან ნაკლულევანებისაგან თჳსისა ყოველივე, რაჲცა ედვა, შეწირა“ (მრ 12, 44c[42]).

„რამეთუ არა **ედვა** მას სიზრქჱ“ (მრ 4, 5c).

„განყიდა ყოველივე, რაჲცა **ედვა**“ (მ 13, 46c).

„ბრძანა უფალმან მან განსყიდაჲ... ყოველი, რაჲცა **ედვა** მას“ (მ 18, 25c[43]).

„აღიხილენ მოსესხემან ყოველი, რაჲცა **ედვას** მას“ (ფსალმ. 307, 108_{11}).

„რომელსა **ედვას** ორი სამოსელი, მიეცინ“ (სინ. 220, 36).

„რამეთუ არა ბუნებითვე მგელ იყვნეს, არამედ სახე მგელისაჲ **ედვა**“ (სინ. 220, 36).

„არარაჲ **ედვა** თჳერ ერთი პალეკარტი“ (ლიმ. 51, 12).

„და საბას მუნქუესვე გულს **ედვა** დადგომაჲ“ (ხანძ. 112, ზ. 15).

„რ˘ლსა **ედვა** ათი სატირი“ (ბოლნ. 30, 10).

„და აჩუენებდა მათ, ვითარმცა თუალი რაჲმე **ედვა** მას შინა“ (ბალაჰვ. 30, 5c).

ედვა ზმნა ძველ ქართულში მხოლოდ ნივთის ქონას აღნიშნავდა და ეს იყო „ნივთი არაცოცხალი“; მაშასადამე, **ედვა** მნიშვნელობით **უც** ზმნის ტოლფარდია; მათი ხმარების სიხშირეც დაახლოებით ერთნაირია: პირველი სულ 22-ჯერ შეგვხვდა, მეორე — 23-ჯერ. ეს ზმნები დრო-კილოთა მიხედვით ურთიერთმონაცვლე ზმნებია: **უც** ზმნა მხოლოდ აწმყოში იხმარება, **ედვა** — წყვეტილსა და მისგან ნაწარმოებ კავშირებითში. საბა **ედვა** ზმნის შესახებ ერთგან შენიშნავს: **ედვა** აქუნდასავით. ნ. ჩუბინაშვილს ეს ზმნა საერთოდ არა აქვს. ივ. იმნაიშვილსაც არ შეუტანია „ქართული

---

[42] DE: „აქუნდა“.

[43] DE: „აქუდნდა“.

ენის ისტორიულ ქრესტომათიას“ დართულ ლექსიკონში. „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში“ კი მხოლოდ ეს უწერია: **დება** სტატ. [ქონება] და მაგალითები მოჰყავს. მ. ჭაბაშვილი მხოლოდ ერთ კონტექსტში განმარტავს ამ ზმნას. ი. აბულაძე აღნიშნავს: **დება** „ქუან/ქონება“, ყოფნა, განდება, „დავრდომა“, დადება, ცემა, გდება [აბულაძე 1973, 138].

აქუს ზმნა ძველ ქართულში გამოხატავს როგორც რა ჯგუფის სახელის ქონას, ისე ვინ ჯგუფის სახელის ყოლას.

ა) აქუს ზმნა ნივთის ქონას გამოხატავს:[44]

„აჰა ვეცხლი შენი, რომელი **მაქუნდა** დაკრძალული სუდარსა“ (ლ 19, 20).

„რაოდენი **გაქუს** პური?“ (მრ. 6, 38).

„**გაქუნდინ** შემწედ სასოებაჲ“ (ფსალმ. 450, ქვ. 4).

„სახიობისა წილ და ქნარისა ქრისტჱს სახუეველნი **მქონან**“ (სინ. 32, 20).

„წმიდაჲ მისი ბეჭედი **გუაქუნდინ**“ (სინ. 53, 24).

„მწარე გონებაჲ **აქუს** მას“ (შუშ. III, 25).

„აჰა ესერა ქართლისაცა მკვიდრთა **აქუს** სარწმუნოება“ (ჰაბო 62, 35).

„და **აქუნდა** მას მოთხე მცირე“ (ბალაჰვ. 30, 3).

„რომელსა **ჰქონან** გ˙ლის სიტყუანი უთმინოებისანი“ (ბოლნ. 93, ქვ. 2).

„**აქუნ** ხატი იგი ღ˙თის მსახურებისაჲ“ (სახისმეტყ. 21, 16ჳ).

„რომელსა **აქუს** დიდი წყალობაჲ“ (მტბევ. 70, 42).

ბ) აქუს ზმნა ადამიანის ყოლას აღნიშნავს:

---

[44] ასეთი მაგალითები უამრავია, ამასთან, **აქუს** ზმნის ეს მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ათიოდე მაგალითი მოგვყავს.

„რომელთა არა **აქუნ** მწყემსი“ (მრ 6, 34).

„**მქონან** ჩემ ქუეშე ერისა კაცნი“ (ლ 7, 8).

„რომელსა **აქუნდა** მწე“ (ფსალმ. 185, 71_{12}).

„და **ჰქონდა** მას თანა ყრმაჲ თჯი, მისი ნაშობი“ (სინ. 276, 24).

„რამეთუ **გაქუნდა** შენცა ერთი შენთანა პყრობილთაგანი“ (ჰაბო 78, 26).

„ხოლო ნეტარსა მას სხუანიცა **აქუნდეს** მოწაფენი“ (ზარზმ. 150, 32).

„რომელთა **აქუნდენ** ყრმანი“ (სახისმეტყ. 29, 22_4).

„და ერი იგი მისდევდეს, ვითარცა ცხოარნი, რომელთა არა **აქუნ** მწყემსი“ (ბალაჰვ. 165, 6Ⴑ).

„რამეთუ ქრისტე **გაქუნდა** სიქადულად“ (მტბევ. 126, 77).

„მოგჯიენ ჩ~ნ ცხოვარნი ესე შეცთომილნი, რ~თა არა **გუაქუს** მწყემსი“ (ბოლნ. 7, ქვ. 6).

აქუს ზმნა ძველ ქართულში ხშირად ხმარებული ზმნაა: ის გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ყველა „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნა ერთად აღებული; მაგალითად, „ოთხთავში“ **აქუს** ზმნა 444-ჯერაა ნახმარი, ყველა დანარჩენი „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნა ერთად — 154-ჯერ, ე. ი. შეფარდება ასეთია 444 : 154; „შუშანიკის წამებაში“ ასეთი შეფარდება გვაქვს 4 : 2, „სინურ მრავალთავში“ — 154 : 38, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ — 54 : 13 და ა. შ.

ნივთის ქონას **აქუს** ზმნა გაცილებით უფრო ხშირად (დაახლ. 13-ჯერ და მეტად) გამოხატავს, ვიდრე — ადამიანის ყოლას. მაგალითად, „ოთხთავში“ ეს ზმნა ნივთის ქონას 413-ჯერ აღნიშნავს, ადამიანის ყოლას — 31-ჯერ, ე. ი. ასეთი შეფარდება გვაქვს 413 : 31; სხვა ძეგლები ასეთ შეფარდებებს გვიჩვენებენ: „სინური მრავალთავი“ — 143 : 11, „ფსალმუნი“ — 21 : 2, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ — 51 : 3, „მჯეცთათჯს სახისა სიტყუაჲ“ — 15 : 1; „ლიმონარსა“ და „ბალავარიანში“ განსხვავება მეტია — შესაბამისად 87 : 2 და 76 : 2...

მეტად საყურადღებოა ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ჩვენება. ამ ძეგლებში **აქუს** ზმნის ხმარების 13 შემთხვევა შეგვხვდა[45] (1 — „ხანმეტ ლექციონარსა“ და 12 — „ჰაემეტ ტექსტებში“). შეიძლება შემთხვევითი არ იყოს, რომ **აქუს** ზმნა ყველა შემთხვევაში **რა** ჯგუფის სახელის ქონას აღნიშნავს:

„რაჲცა გრწმენეს და ცხორებაჲ **გაქუნდეს** სახელითა მისითა“ (ხანმ. ლექც. 062, ი 20, 31).

„რომელსა **ჰაქუნდავე** საფლავები“ (ჰაემ. 375, 1(3).

„არაჲ **ჰაქუს**, რაჲ ჰამონ“ (ჰაემ. 379, 7).

„რაოდენი **გაქუს** პური“ (ჰაემ. 379, 2).

„**ჰაქუნდა** თევზი მცირედ“ (ჰაემ. 379, 9-10).

„რ˝ლთა **აქუს** საფასჲ“ (ჰაემ. 280, 3).

„მიეცით, რ˝ლსა იგი **ჰაქუს** ათი სასწორი ვეცხლი“ (ჰაემ. 385, 24).

„მას ო˝ო **ჰაქუს** ათი სასწორი“ (ჰაემ. 385, 26).

რ˝ლსა **ჰაქუნდეს**, მიჰეცეს“ (ჰაემ. 385, 27).

„ხ˝ რ˝ლსა არა **ჰაქუნდეს**...“ (ჰაემ. 385, 29).

„და რ˝ლღა იგი **ჰაქუნდეს**, მო-ვე-ეღოს“ (ჰაემ. 386, 11).

„ხ˝ მე **მაქუს** წამებაჲ (ჰაემ. 387, 14).

„[სი]ტყუაჲ ცხოვ[რე]ბისა საუკუნოჲსაჲ **გ[აქუ]ს**“ (ჰაემ. 388, 5).

ადამიანის ყოლის აღმნიშვნელად **აქუს** ზმნას შედარებით ნაკლები გამოყენება აქვს: უფრო ხშირად იხმარება ამ ფუნქციით **ჰყავს**, **უვის** და **ესუა** ზმნები. ეს ზმნები „ოთხთავში“ 62-ჯერ არის გამოყენებული ადამიანის ყოლის გადმოსაცემად, **აქუს** — 31-ჯერ (62 : 31). სხვა ძეგლები

---

[45] ერთი შემთხვევა რომ გამოვრიცხოთ, სადაც სათანადო კონტექსტი არ იკითხება და გაურკვეველია, რას ნიშნავს „ხაქუნდეს...“ (ხანმ. 361, 1). საყურადღებოა დასახელებულ ძეგლებში სხვა ზმნების ხმარებაც: „ხანმეტ ტექსტებში“ **უც** 2-ჯერ შეგვხვდა (იხ. ზემოთ), ხოლო ჰაემეტში **ჰედგა** — ასევე 2-ჯერ (იხ. ზემოთ); ყველა შემთხვევაში ნივთის ქონაა აღნიშნული.

ასეთ შეფარდებას გვიჩვენებენ: „ბალავარიანი“ — 11 : 2; „ლიმონარი“ — 15 : 2; „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ — 5 : 4. „სინურ მრავალთავში“ ადამიანის ყოლას 11-ჯერ აღნიშნავს **ჰყავს**, **უვის** და **ესუა** და 11-ჯერ **აქუს**, შეფარდება ასეთია 11 : 11; ასევე, „იოვანე ბოლნელის ქადაგებანში“ — 2 : 2; „მჭეცთათჳს სახისა სიტყუაჲში“ — 1 : 1; XI საუკუნის პირველ ნახევარში ნათარგმნ ძეგლში „თხრობაჲ კონსტანტინეპოლის გარემოცჳსა სკჳთთაგან“ ადამიანის ყოლას 2-ჯერ **აქუს** აღნიშნავს, ერთხელ — **ჰყავს**, ე. ი. აქ უკუშეფარდება გვაქვს — 1 : 2; „ჰაბოს მარტვილობაში“ ადამიანის ყოლას ერთხელ **აქუს** გამოხატავს, „ფსალმუნში“ — 2-ჯერ, სხვა ზმნა — არც ერთხელ. მაგრამ ასეთი მაგალითები რაოდენობრივად მცირეა და უმნიშვნელო: საწინააღმდეგო შემთხვევები უფრო მეტი გვაქვს, რომელთა უმეტესი ნაწილი ზემოთ განვიხილეთ... გარდა ამისა, „შუშანიკის წამებაში“, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“, „საბა ასურის ცხოვრებაში“ ადამიანის ყოლისათვის **აქუს** ზმნა საერთოდ არა გვაქვს: სამი შემთხვევიდან 2-ჯერ **ესუა** გამოხატავს ადამიანის ყოლას, 1-ხელ — **ჰყავს** (მაგალითები იხ. ზემოთ).

სულ ტექსტებში ჩვენ **ადამიანის ყოლის** აღნიშვნის 178 შემთხვევა შეგვხვდა; აქედან: 118-ჯერ გამოყენებული იყო „საკუთრივ“ ადამიანის ყოლის აღმნიშვნელი ზმნები — **ჰყავს**, **უვის**, **ესუა**, 60-ჯერ — **აქუს**. აქ ასეთ შეფარდებას ვიღებთ 118 : 60; როგორც ვხედავთ, სხვაობა თვალსაჩინოა.

რაოდენობრივი შეზღუდვის გარდა, **აქუს** ზმნის ხმარებას **ადამიანის ყოლის** აღმნიშვნელად ერთი თვისობრივი შეზღუდვაც ახლავს: **აქუს** ზმნა I და II პირის (ე. წ. პერსონალური, მარკირებული პირების) ყოლას არ აღნიშნავს. ჩვენ მიერ გამოყენებულ ტექსტებში ასეთი მაგალითი არ

შეგვხვედრია.[46]

კიდევ ერთ შეზღუდვას უნდა შევეხოთ: კავშირებითში **ადამიანის ყოლას**, როგორც წესი, არ **აღნიშნავს აქუს**. ერთადერთი მაგალითი შეგვხვდა სომხურიდან ნათარგმნ ძეგლში „მჴეცთათჳს სახისა სიტყუაჲ“, რომელიც მოთავსებულია ცნობილ „შატბერდის კრებულში“ (X ს.): „ვაჲ რ̃ნი მიდგომილ იყვნენ და არა **აქუნდენ** ყრმანი“. სამაგიეროდ, ჩვენ ვნახეთ კავშირებითში **ესუა** ზმნის ხმარების 14 შემთხვევა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ წარმოდგენილ შემთხვევაში (**„აქუნდენ ყრმანი“**) სახელობითში დასმული სახელი, ე. ი. „ყოლის ობიექტი“ მრავლობით რიცხვშია (აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ გრამატიკული კლასების მქონე ენებში მრავლობით რიცხვში კლასების გარჩევა ხშირად ნეიტრალიზებულია).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: **აქუს ზმნა ძველ ქართულში უმთავრესად „ნივთის ქონას“ აღნიშნავდა**, მაგრამ **ზოგჯერ „ადამიანის ყოლასაც“ გამოხატავდა**; ამ ზმნის ხმარებას ნივთის ქონის აღმნიშვნელად მთელი რი-

---

[46] ივ. ქავთარაძეს ორი ასეთი მაგალითი აქვს მოყვანილი: „ვაქუნდე“ და „ვაქუნდი“ [ქავთარაძე 1954, 159-160]; ამ ორი შემთხვევიდან პირველი ამოღებულია „ელინთა ზღაპრობიდან“ (კერძოდ, ნაწარმოებიდან „ელინთა განქიქებისა ზღაპრობანი“), რომელიც უთარგმნია XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეს ეფრემ მცირეს; თარგმანი მოთავსებულია ხელნაწერში, რომელიც, ილია აბულაძის დაკვირვებით, არ ჩამოუვარდება „ხელითა და ორთოგრაფიით ადრინდელად მიჩნეულს“, ე. ი. XII საუკუნის ხელნაწერს [აბულაძე 1941, 3-4]. მაშასადამე, აღნიშნული ორი შემთხვევიდან ერთი გვიანდელია. ასევე გვიან ნათარგმნი უნდა იყოს სასულიერო ხასიათის თხზულება „წამებაჲ... სპევსიპ̃სი, ელისიპ̃სი და მელსიპ̃სი“, რომლიდანაც აქვს აღებული მკვლევარს მეორე მაგალითი. ამ მაგალითების განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ XII საუკუნიდან ახალი სალიტერატურო ქართული იწყებს ჩასახვას: ამ პერიოდში ძველი ნორმების რღვევა და ახლის ჩამოყალიბება არაა დამთავრებული (არნ. ჩიქობავა).

გი შემზღუდველი (რაოდენობრივი თუ თვისობრივი) გარემოებანი ახლდა.

ნივთი, რომლის ქონასაც **აქუს** ზმნა აღნიშნავდა, არის „არაცოცხალი“; „ცხოველის ქონას“ **აქუს** ზმნა არ გამოხატავს (**უც** და **ედვა** ზმნების მსგავსად).[47]

ივ. ქავთარაძე გამოთქვამდა ასეთ თვალსაზრისს: „რიგი მაგალითებით დასტურდება, რომ ძველ ქართულში განურჩეველი იყო **აქუს** ზმნის ხმარება ცოცხალი და არაცოცხალი საგნის მიმართ, პირისა და ნივთის მიმართ“. როგორც ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობაში ვაჩვენეთ, ეს თვალსაზრისი დაზუსტებას მოითხოვს: მართალია, **აქუს** ზმნა ძველ ქართულში აღნიშნავდა როგორც ნივთის ქონას, ისე ადამიანის ყოლას, მაგრამ არათანაბარი ძალით; თანაც, ცხოველის ქონას ეს ზმნა არ გამოხატავდა.

უსხენ˹ან˺ (**ესხნეს**) ზმნა ძველ ქართულში მხოლოდ მაშინ იხმარება, როდესაც კუთვნილების საგანი მრავლობითშია დასმული (პიროვნება თუ ნივთი).

„ურწმუნოებისათჳს აღჳრნი **ხესხნეს**“ (ხანმ. მრავ. 24b 15-16).

„**მისხენ** ხუთნი ძმანი“ (ლ 16, 28 DE).

„...რაჲთა **ესხნენ**[48] სანდალნი“ (მრ. 6, 9 DE).

„რამეთუ ბერწსა მას **ესხნეს** შჯდ შვილ“ (ფსალმ. 424, 3_5).

„და ძმანიცა **უსხენ**“ (ევსტ. 51, ქვ. 14).

„**გესხნეს** ყურნი და არა ისმინეთ“ (სინ. 144, 2).

„... საჭურისნი და შიმონვარნი **ესხნეს**“ (სინ. 208, 33).

„და რომელი აწ ძენი **გესხნენ**, იგუემნენ ეშმაკთაგან“ (ხანძ. 139, ზ. 13).

---

[47] ზემოთ წარმოდგენილი ერთი შემთხვევა, როცა თევზის ქონაზეა ლაპარაკი, ვფიქრობთ, იმით აიხსნება, რომ ივარაუდება არაცოცხალი თევზი („ჰაქუნდა თევზი...“).

[48] C: „გასხენ“.

„რ˘ მრავალ შვილ **ესხნეს** ბერწსა მას“ (სახისმეტყ. 16, 12_{22}).

„დავიწყებად **ესხნეს** ღმერთსა კეთილნი იგი მამისა მისისანი“ (ლიმ. 93, 11).

„რავდენი გულითადნი მონანი **უსხენან** „ღმერთსა“ (ლიმ. 17, 5).

„მსგავს არს კაცსა ვისმე, რომელსა **ესხნეს** სამნი მეგობარნი“ (ბალაჰვ. 38, 16).

„კაცი ვინმე იყო და **ესხნეს** ორ ძმ“ (ბოლნ. 33, 10).

„რეტარ იყვნენ, რომელთა **ესხნენ** ცოლნი“ (თეკლ. 93, ქვ. 13).

უსხენ˘ან˘ (**ესხნეს**) ზმნა **უვის**, **ესუა**, **უც** და **ედვა** ზმნებს ენაცვლება მრავლობითში [ქავთარაძე 1954], ამიტომ, გასაგებია, რომ ის აღნიშნავს როგორც ადამიანის ყოლას, ისე ნივთის ქონას — ორსავე შემთხვევაში სახელი (ადამიანი, ნივთი) მრავლობითშია.

ეს ზმნა შემთხვევათა უმრავლესობაში ადამიანის ყოლას აღნიშნავს და ნივთის ქონის აღმნიშვნელად შედარებით ნაკლებ ხმარებულია; სხვადასხვა ძეგლები ასეთ შეფარდებებს გვაძლევენ: „ოთხთავი“ — 12 : 4, „ლიმონარი“ — 5 : 1... ჩვენ მიერ გამოყენებული ტექსტებიდან მხოლოდ „სინური მრავალთავი“ იძლევა სხვაგვარ ჩვენებას: ამ ძეგლში **უსხენ˘ან˘** 2-ჯერ ადამიანის ყოლას გამოხატავს, 5-ჯერ კი — ნივთისას. სულ ჩვენ ამ ზმნის ხმარების 43 შემთხვევა შეგვხვდა; მათგან 32 შემთხვევაში **უსხენ˘ან˘** ზმნით აღინიშნებოდა ადამიანის ყოლა, მხოლოდ 11-ში — ნივთის ქონა (მაშასადამე, საერთო შეფარდება ასეთია — 32 : 11).

უსხენ˘ან˘ (**ესხნეს**) ზმნა **ცხოველის ქონის** აღმნიშვნელად არ შეგვხვედრია; ის მხოლოდ **ადამიანისა და „არაცოცხალი ნივთის“ კუთვნილებას გამოხატავდა.**

საბა წერს: „**სხმა** შვილთა ყოლა [ნ. მსხმელი; შდრ. ესვა]“. ნ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს: „**სხმა** [მისხენან] ქონება ასოთ ანუ საგრძნობელთა..., имѣть...“ „სხმა შვილთა ყოლა

ანუ შობა, иметь или рождать детей“. მ. ჭაბაშვილს მხოლოდ ეს უწერია: „**სხმა** (ითქმის მრავალზე)...“ და შემდეგ მაგალითები მოჰყავს. ივ. იმნაიშვილი განმარტავს: „**სხმა** ქონასა და ყოლას აღნიშნავს“ [იმნაიშვილი 1953] და სუბიექტი მრავლობითში შეეწყობაო [იმნაიშვილი 1949]. ი. აბულაძესთან გვაქვს: „**სხმა**... ქონება... ყოლა“. ეს განმარტებები, როგორც ვნახეთ, დაზუსტებას მოითხოვს.

ამრიგად, ზემოთ ჩვენ ძველი ქართული ენის მონაცემთა საფუძველზე აღვწერეთ ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკა. ამ ზმნათა უმეტესი ნაწილის — ექვსის (**ჰყავს, უვის, ესუა, უდგს, უც, ედვა**), ხმარებას გარკვეული რეგულარობა ახასიათებს, ორის (**აქუს, უსხენან**) ხმარებისას ნაკლები სისტემურობა შეიმჩნევა. ზოგადად, ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური დისტრიბუცია ასე წარმოგვიდგება:

1. **ჰ ყ ა ვ ს, უ ვ ი ს, ე ს უ ა ზმნები მხოლოდ ადამიანის ყოლას აღნიშნავენ; ამ მნიშვნელობით დასახელებული ზმნებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება ე ს უ ა, შემდეგ — უ ვ ი ს, ყველაზე ნაკლები სიხშირით — ჰ ყ ა ვ ს.**

2. **უ დ გ ს (ე დ გ ა), უ ც, ე დ ვ ა** ზმნები მხოლოდ ნივთის ქონას გამოხატავენ.[49] მათგან:

ა) **უ ც, ე დ ვ ა** არ გამოიყენება ცხოველის ქონების აღმნიშვნელად: **ეს ზმნები არაცოცხალი საგნის მიმართ იხმარება.**

ბ) **უ დ გ ს (ე დ გ ა) თანაბრად აღნიშნავს როგორც „ცოცხალი ნივთის“, ისე „არაცოცხალის“ ქონას; „ცხოველის ქონის“ აღმნიშვნელად უ დ გ ს (ე დ-**

[49] **უც** ზმნის ხმარების ორიოდე შემთხვევა „ადამიანის ყოლისათვის“ აიხსნა გარდაქცევით ბრუნვაში ნივთის კლასის სახელის მომდევნოდ ამ ზმნის წარმოდგენით.

გ ა) გამოიყენება, მაგრამ ეს ზმნა მხოლოდ „ცხოველის ქონას“ არ გამოხატავს (სხვა „ნივთის ქონასაც“ აღნიშნავს).

3. **ა ქ უ ს ზმნა რა ჯგუფის სახელის ქონაზეც მიუთითებს და ვინ ჯგუფის სახელის ყოლაზეც.** ა ქ უ ს ზმნის ხმარებას ადამიანის ყოლის აღმნიშვნელად შემდეგი შეზღუდვები ახლავს:

ა) ე ს ზ მ ნ ა გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო ხ შ ი რ ა დ (13-ჯერ და მეტად) **იხმარება ნივთის მიმართ, ვიდრე ადამიანის ყოლის აღსანიშნავად; ამასთან, ვინ ჯგუფის სახელის ყოლას უფრო ხშირად** (დაახლ. 2-ჯერ) **გამოხატავს „საკუთრივ“ ადამიანის ყოლის აღმნიშვნელი ზმნები (ჰ ყ ა ვ ს, უ გ ი ს, ე ს უ ა).**

ბ) **I და II პირის ყოლის აღმნიშვნელად ა ქ უ ს ზმნა არ გამოიყენება.**

გ) კავშირებითში, როგორც წესი, **ა ქ უ ს** ზმნა არ გამოხატავს ადამიანის ყოლას: აქ „საკუთრივ“ ადამიანის ყოლის აღმნიშვნელი ზმნა გამოიყენება.

4. ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში **აქუს** ზმნა 13-ჯერ შეგვხვდა და ყველა შემთხვევაში ნივთის მიმართ იხმარება.

5. **ნივთი, რომლის ქონასაც აქუს ზმნა აღნიშნავს, არის „არაცოცხალი“**; „ცოცხალი ნივთის“ (ცხოველის) მიმართ ის არ გამოიყენება.

6. **უსხენ⁻ან⁻ (ესხნეს)** ზმნა მხოლოდ მაშინ იხმარება, როდესაც მრავლობითში დასმული სახელის „ქონა-ყოლაა“ აღსანიშნი; ეს ზმნა **უვის, ესუა, უც** და **ედვა** ზმნებს ენაცვლება მრავლობით რიცხვში, ამიტომ ის **ადამიანის ყოლის აღმნიშვნელადაც გვევლინება და ნივთის ქონისაც**; ამასთან, ეს ზმნა უპირატესად ადამიანის ყოლას გამოხატავს და ნივთის ქონისათვის შედარებით ნაკლებად გამოიყენება; ნივთი, რომლის მიმართაც **უსხენ⁻ან⁻** ზმნა იხმარება, არის „არაცოცხალი“ („ცხოველის ქონას“ ეს ზმნა არ აღნიშნავს).

ამგვარად, გაირკვა, რომ **ქონა-ყოლის აღმნიშვნელი**

სემანტიკური ველის შიგნით ძველ ქართულში რელევანტურია დაპირისპირება ვინ ჯგუფის (პიროვნების, ადამიანის) სახელებსა და ჯგუფის (ნივთის) სახელებს შორის იმ დროს, როდესაც დაპირისპირება ცოცხალსა და არაცოცხალს შორის ვერ ჰპოვებს სათანადო გამოხატულებას.

ძველი ქართულის ეს ვითარება ახალ ქართულში იცვლება და ამ ცვლილებას XII საუკუნიდან ეყრება საფუძველი. ამ მხრივ, მეტად საგულისხმო მონაცემებს გვაწვდის „ვეფხისტყაოსანი". პოემაში გამოყენებულია ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ყველა ზმნა. მნიშვნელოვანია ის სემანტიკური ცვლილება, რაც ამ ზმნებს განუცდია ძველ ქართულთან შედარებით.[50]

1. **ჰყავს** და **აქუს** ზმნებს უკვე ახალი ქართულისებური მნიშვნელობა მიუღია:

ა) **ჰყავს** ზმნას მნიშვნელობა გაჰფართოებია და ახლა ის ცხოველის ყოლასაც აღნიშნავს:

„შავი ცხენი სადავითა **ჰყვა** ლომსა და ვითა გმირსა"

„ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, აწ ესე მე **მყავს** რომელი"

ბ) **აქვს** (< აქუს) გამოხატავს მხოლოდ „ნივთის ქონას". მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს:

„**მაქვს** საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები"

„გულსა მისსა მიჯნურობა მისი **ჰქონდა** დაფარულად"

2. **უვის** და **ესუა** ზმნები კვლავ ძველი ქართულისებურად — „ადამიანის ყოლის" აღმნიშვნელად, გამოიყენება:

„მათ **უვის** ერთი ასული, მზე ხმელთა მანათობელი"

„სხვა ძე არ **ესვა** მეფესა, მათრ ოდენ მარტო ასული"

უდგს ზმნა ფონეტიკურადაც ცვლილა (უდგს > უთქს) და, ძველ ქართულთან შედარებით, უჩვეულო კონტექსტშიც გვხვდება:

---

[50] ეს მონაცემები მოგვყავს ა. შანიძის მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოსნის" სიმფონიისა და პოემის 1937 წლის (საიუბილეო) გამოცემის მიხედვით.

„ახლოს **უთქს** მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა“

„სხვა რამე **მითქს** სასძლო თქვენი, შესართავი თქვენის ძისა“

„ზურგით **უთქს** ჯარი ხადუმთა, დას-დასად, უბან-უბანი“

თუ ძველ ქართულში **უდგს** ზმნა მხოლოდ ნივთის ქონას აღნიშნავდა, აქ ის ადამიანის ყოლასაც გამოხატავს.

3. **უსხენ[ან]** ზმნა 6-ჯერ ნივთის ქონას აღნიშნავს, ერთხელ — ადამიანის ყოლას (ძველ ქართულში ეს ზმნა უფრო ხშირად ადამიანის ყოლას გამოხატავდა).

„ვეფხისტყაოსანში“ ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა ხმარებაში ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ ნორმათა რღვევა შეიმჩნევა. ეს არაა შემთხვევითი, რადგან „ახალი სალიტერატურო ქართული ენა ისახება მეთორმეტე საუკუნიდან“ და „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ენა უკვე აღარაა ძველი ქართული“ [ჩიქობავა 1950, 018].

ახალ ქართულში, ზანურსა და სვანურში ქონა-ყოლის აღნიშვნა პრინციპულად ერთნაირია: ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები ისეა განაწილებული, რომ ცოცხალი (სულიერი) და არაცოცხალი (უსულო) ერთმანეთს დაუპირისპირდეს; ამასთან, ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ყველა ზმნა ქართველურ ენებში დატიური კონსტრუქციისაა — რეალურ სუბიექტს, რომელიც ზმნაში ობიექტის ნიშნით გადმოიცემა, მიცემით ბრუნვაში შეიწყობს.

ახალი ქართული ენა ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური განაწილებითაც განსხვავდება ძველი ქართულისაგან. ჩვენ ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, თუ რა მნიშვნელოვანია ის ცვლილება, რაც ამ ზმნებს XII საუკუნიდან განუცდია.[51] ამ ზმნათა ხმარებაში ძველი ქართულისათვის დამა-

[51] ეს ეხება სალიტერატურო ქართულს, თორემ ახალი ნორმა, ალბათ, გაცილებით ადრე ახასიათებდა იმ დიალექტს (თუ დიალექტებს), რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ახალ ქართულს.

ხასიათებელ ნორმათა რღვევა და ახალი ქართულის ნორმათა ჩამოყალიბება, რაც რუსთაველის ენაში შეიმჩნევა, ახლა უკვე, დიდი ხანია, დასრულებულია. „მეთვრამეტე საუკუნეში ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება უკვე დამთავრებულია“ [ჩიქობავა 1950, 019].

ქონა-ყოლის აღნიშვნაში მომხდარ ცვლილებებს **ჰყავს** და **აქვს** ზმნების სემანტიკა გვიჩვენებს;[52] ძველ ქართულში ხმარებული რვა ზმნიდან ეს ორიღა იხმარება ქონა-ყოლის აღმნიშვნელად.

ახალ ქართულში **ჰყავს** ზმნას გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ძველ ქართულში. ამ ზმნის მნიშვნელობის გაფართოება მოხდა უმთავრესად **უვის**, **ესუა**, **უდგს** (**ედგა**) და **აქუს** ზმნების ხარჯზე. ახალ ქართულში **ჰყავს** ზმნა აღნიშნავს:

1. ადამიანის ყოლას; ამ მნიშვნელობით **უვის**, **ესვა**, **აქვს** ზმნები აღარ იხმარება;

2. ცხოველის „ქონას“; **უდგს** ზმნას ეს მნიშვნელობა აღარა აქვს [**უდგას** ზმნის განმარტებისათვის იხ. ქეგლ VI, 1960, 1421-1422].

3. ზოგიერთი ნივთის ქონას; ესაა სატრანსპორტო საშუალებები (ურემი, მანქანა, ხომალდი, თვითმფრინავი...), მოსწავლის ნიშანი (ხუთიანი ჰყავს...)..., რომლებიც ცოცხალ (აქტიურ) საგნებთანაა გათანაბრებული.

აქვს ზმნა ახალ ქართულში მხოლოდ „არაცოცხალი“ ნივთის — უსულო საგნის ქონას აღნიშნავს; ძველ ქართულში კი, გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგჯერ ადამიანის ყოლასაც გამოხატავდა. მაშასადამე, **აქვს** ზმნის

---

[52] ახალ ქართულში კიდევ მოიპოვება რამდენიმე ზმნა (აბადია, ფლობს, გააჩნია, აშავია, მოეპოვება...), რომლებიც „ქონა-ყოლას“ აღნიშნავს, მაგრამ მათი ხმარება სპორადულია და ახალს არაფერს იძლევა ზემოთ დასახელებულ ორ ზმნასთან შედარებით.

მნიშვნელობა დავიწროებულია.[53]

ზანური (მეგრული და ჭანური) ქონა-ყოლის აღმნიშვნელად ძირითადად ორ ზმნას ხმარობს. ესენია: მეგრ. **ცუნს** || ჭან. **უცო(ნ)უნ** „ჰყავს“ და მეგრ. **უღუ(გ)** || ჭან. **უღუნ** „აქვს“. წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს.

მ ე გ რ უ ლ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი

ა) **ცუნს**

ეთი კოს ხუთ ჯიმა **ცუნს** „იმ კაცს ხუთი ძმა ჰყავს“.

ბაბუს ჯგირ ცხენი **ცუნდუ** „ბაბუას კარგი ცხენი ჰყავდა“.

ჩქიმ მეზობელს ახალ მანქანა **ცუნს** „ჩემს მეზობელს ახალი მანქანა ჰყავს“.

ბ) **უღუ(ნ)**

მეზობელიშ ჩხოუს ბრელ ბჟა **უღუ** „მეზობლის ძროხას ბევრი რძე აქვს“.

შელება **უღუ** დო ღორონთქ გუმორძგვას „შეძლება (ღონე) აქვს და ღმერთმა გაუმარჯოს (ხელი მოუმართოს)“.

ბაღანას წიგნი **ვაუღუ** „ბავშვს წიგნი არა აქვს“.

ჭ ა ნ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი

ა) **უცო(ნ)უნ || უყვოუნ**

აბდულას ნანა, ბაბა ვარ **უყოუნ** [ჩიქობავა 1938, 356] „აბდულას დედა, მამა არა ჰყავს“.

მემედის არ კაი ნოსერი ჯოღორი **უცოუნტუ** [ჩიქობავა 1938, 356] „მემედს ერთი კარგი ჭკვიანი ძაღლი ჰყავდა“.

არ მჩხუი **უცოუნტეენ** [ჩიქობავა 1938, 80] „ერთი ცხვარი ჰყოლია“.

ბ) **უღუნ**

კაი ჯოხო **უღუტუ** [ჩიქობავა 1936, 29] „კარგი სახელი ჰქონდა“.

---

[53] **ჰყავს** და **აქვს** ზმნების სემანტიკა ახალ ქართულში იმდენად ცნობილი ფაქტია, რომ მაგალითების მოყვანა საჭიროდ არ ვცანით.

კიბიი **ულუნ** [ჩიქობავა 1938, 54] „კბილი აქვს“.

ცილი ხჩე **ულუნ** [ჩიქობავა 1938, 345] „ცილა თეთრი აქვს“.

გიარი **ქომოლუნ** [Mapp 1910, 83] „საჭმელი მაქვს“.

სვანურში **ხაყა** და **ხულუა** ისეა განაწილებული, როგორც **ჰყავს** და **აქვს** ახალ ქართულში, **უცუნს** და **ულუ** მეგრულში [თოფურია 1931, 256], ე. ი. **ხაყა** სვანურში სულიერი საგნის ყოლას აღნიშნავს, ხოლო **ხულუა** — უსულო საგნისას.

ა) **ხაყა**

მი მაყა ჩაჟ „მე მყავს ცხენი“.

ეჯას ლგბრისტე **ხაყა** „მას ნათლია ჰყავს“.

დავითს მუხუბე დესა **ხაყა** „დავითს ძმა არა ჰყავს“.

ბ) ხულუა

ტოტს **ხულუჱ** ლგშკად მადრაჴ [თოფურია 1931, 79] „ხელში ჰქონდა მოჭედილი მათრახი“.

მი **მულუა** თეთრ „მე მაქვს ფული“.

სი მიჩაცახან ხოჩა ლიფხნიკ **ჯულუა** „შენ მასთან კარგი ამხანაგობა გაქვს“.

სვანურში ქონა-ყოლის აღმნიშვნელად კიდევ ორი ზმნა გამოიყენება, თუმცა ზემოთ დასახელებულ ზმნებთან შედარებით ნაკლებ გავრცელებულია. ესენია **ხორი** (ჯირი, მირი), რომელიც ვ. თოფურიას განმარტებული აქვს როგორც „უვის“ [თოფურია 1931, 35, 59, 250] და **ხარ**, რომელსაც იგივე ავტორი განმარტავს როგორც **აქვს**-ს [იქვე, 16, 35, 50; 177]. სვანურში პირველი არ უნდა უდრიდეს ძველი ქართულის **უვის**-ს: ის ცხოველის ქონასაც უნდა აღნიშნავდეს[54] (მი **მირი** მუხუბე-ს „მე მყავს ძმა“ გვერდით სვანურში გვაქვს მი **მირი** ჩაჟ „მე მყავს ცხენი“).

აშკარაა, რომ **სვანურში ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები სულიერსა და უსულო საგნებს შორის**

[54] ეს ცნობა მოგვაწოდა ბატონმა ა. ჭკადუამ.

ნაწილდება.[55]

ამრიგად, **ქართველურ ენებში ამჟამად ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები ცოცხალ და არაცოცხალ საგნებს შორის დაპირისპირებას გვიჩვენებენ**: ცოცხალ საგნებთან სხვა ზმნა იხმარება, არაცოცხალთან — სხვა. ეს ასეა ყოველთვის; ზოგიერთი „არაცოცხალი“ ნივთის მიმართ ჩვეულებრივ ცოცხალი საგნისათვის გამოყენებული ზმნის ხმარება მეორეული გააზრების შედეგია.

ძველ ქართულში კი, როგორც ვნახეთ, ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა განაწილებაში არსებითია **ვინ** ჯგუფისა და **რა** ჯგუფის სახელებს შორის სემანტიკური დაპირისპირების რეალიზაცია (**აქუს** ზმნის ხმარება ადამიანის ყოლის აღმნიშვნელად შეზღუდულია როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივად, რაც თავისთავად ადამიანისა და ნივთის სემანტიკური დაპირისპირების ასახვაა).

ჩვენ წინაშეა ორი მონაცემი: ერთის მხრივ, ის ვითარება, რომელსაც ძველი ქართული გვიჩვენებს, მეორე მხრივ, ის ვითარება, რომელიც ახალ ქართულში, ზანურსა და სვანურშია. ჩვენის აზრით, უფრო ძველია ძველი ქართულის ჩვენება, რადგან:

1. ქართველური (resp. იბერიულ-კავკასიური) ენებისათვის ცოცხალისა და არაცოცხალის სემანტიკური დაპირისპირება მეორეულია; ჩვენს ენებს **ვინ** კლასისა და **რა** კლასის სახელების კორელაცია ახასიათებს (არნ. ჩიქობავა).

2. ძველი ქართულიდან ახალი ქართულისაკენ განვითარების დინამიკა ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს (ახალი ქართულის ვითარება მეორეულია ძველი ქართულის მიმართ); ძველ ქართულში **ჰყავს** ზმნა მხოლოდ ადამიანის ყოლას აღნიშნავდა, ახლა ქართულში კი მნიშვნელობა გაიფართოვა და საერთოდ ცოცხალ არსებათა მიმართ იხმარება.

ჰყავს ზმნა ერთადერთია „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელ

---

[55] **მანქანაზე** სვანურშიც **ხაყა**-ს ამბობენ.

ზმნათაგან, რომლის ძირის შესატყვისები ერთი და იმავე მნიშვნელობით სამსავე ქართველურ ენაში დასტურდება (შდრ. ფუძეები ქართ. **ყავ-**, მეგრ. **ღუნ-** / ჭან. **ყოუ-**, **ღონ-**, სვან. **ყა-**), რაც ამ ზმნას საერთო-ქართველურში უეჭველად აღგვადგენინებს [ჩიქობავა 1938, 356, Климов 1964, 208; ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 360-361...]. არცერთი სხვა „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნის ძირი იმავე მნიშვნელობით სამსავე ქართველურ ენაში არ ჩანს,[56] რაც „გვაფიქრებინებს, რომ ცოცხალისა და არაცოცხალის (resp. ადამიანისა და ნივთის — **ვ. შ.**) გარჩევა ზმნის ფუძეებით ქართველურ ენებში მეორეული უნდა იყოს. თავდაპირველად ერთი ფუძე უნდა გვქონოდა ორივე მნიშვნელობით“ [ჩიქობავა 1959, 155, შნშ. 4]. რა ზმნა იყო ეს? დიდია ალბათობა იმისა, რომ ეს ზმნა ყოფილიყო **ჰყავს**.

ქართველურ ენებში გამოიყოფა გრამატიკული კლასის ბინარული სტრუქტურითა და ზმნის პოლიპერსონალიზმით მოტივირებული მოვლენები [ჩიქობავა 1942; გამყრელიძე 1959, 7; ანდღულაძე 1968, 46-48; ჩიქობავა 1979, 86-184...].

ჩვენ **ძველი ქართულის ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნებში არსებული განაწილება თავისთავად მეორეულ, მაგრამ გრამატიკულ კლასთა ბინარული სტრუქტურით მოტივირებულ, ადამიანისა და ნივთის გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლის შემდეგ წარმოშობილ, ერთ-ერთ საკომპენსაციო მოვლენად მიგვაჩნია; ვინ** და **რა** კლასის მორფოლოგიური გამოხატვის მოშლის შემდეგ კიდევ დიდხანს განაგრძობდა (და განაგრძობს) „მძლავრი ინერციით“ არსებობას ადამიანისა და ნივთის დაპირისპირება — მართალია, ახლა უმთავრესად სემანტიკურ დონეზე. ამ „ინერციამ“ განსაზღვრა ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნებში არსებული დისტრიბუცია, რომე-

[56] სვანური **ხულუა** „აქვს“ არნ. ჩიქობავას ზანურიდან შეთვისებულად მიაჩნია [ჩიქობავა 1938, 345].

ლიც ძველ ქართულში დასტურდება. ახალ ქართულში, ზანურსა და სვანურში არსებული ქონა-ყოლის ზმნათა განაწილება ცოცხალ და არაცოცხალ საგნებს შორის სიახლეა, „მესამეული“ მოვლენაა და ნაწილობრივ უცხო წრის ენათა გავლენის შედეგად შეიძლება მოვიაზროთ; პირველ რიგში აქ ინდოევროპული ენებია მხედველობაში მისაღები.

როგორც ცნობილია, ინდო-ევროპულ ენათა მორფოლოგიური სისტემა ამოსავალში ცოცხალისა და არაცოცხალის დაპირისპირებას ვარაუდობს. ასეა ეს, როგორც ჩანს, ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა მიმართაც: ცოცხალისა და არაცოცხალის გარჩევა მორფოლოგიური საშუალებებით (აფიქსებით) აქაც გვექნებოდა. თანამედროვე ინდო-ევროპულ ენებში კი ამ ზმნებში ასეთი დაპირისპირება არ შეინიშნება არც მორფოლოგიურად და არც სემანტიკურად (მაგ., გერმანულს, რუსულს, სომხურს ქონა-ყოლის აღმნიშვნელად თითო ზმნა მოეპოვება: გერმ. haben, რუს. **иметь**, სომხ. ***ունել*** თანაბრად იხმარება როგორც ცოცხალი, ისე არაცოცხალი საგნების მიმართ); ლათინურშიც ერთი ზმნა — habeo გვქონდა ორივე მნიშვნელობით. მაგრამ ინდო-ევროპულ ენებში ცოცხალი და არაცოცხალი საგნების სემანტიკური ოპოზიცია დღესაც არსებობს (მაგ., ე. წ. სულიერი და უსულო არსებითი სახელები).[57]

მეტად საინტერესო, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ ქონა-ყოლის აღნიშვნის თვალსაზრისით მთის იბერიულ-კავკასიური ენები (მოკლედ განვიხილავთ ამ საკითხს რამდენსამე ენაში).

აფხაზურ-ადიღურ ენებში ქონა-ყოლის აღმნიშვნელად თითო ზმნური ფუძე არსებობს.

„ქონა-ყოლას“ აფხაზურ-აბაზურში სტატიკური ზმნა

---

[57] ამასთან, ინდო-ევროპულ ენებში უნდა გვქონდეს ცოცხალისა და არაცოცხალის ბინარული გრამატიკული სტრუქტურით მოტივირებული მოვლენათა სისტემა.

ამაზარა აღნიშნავს, რომელიც წარმოშობით ნასახელარი უნდა იყოს, მაგრამ მისი სახელისგან მომდინარეობა „ამჟამად ნათელი არ არის“ [ლომთათიძე 1948 ბ, 258]. ეს ზმნაც, აფხაზურ-აბაზურის სხვა ზმნებივით, იცვლება როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის პირისა და კლასის მიხედვით.

აგ˚გრჯა **ზმამგზ** იშაპგ ფყანგ, გ˚გრჯას იყაიწონ [ლომთათიძე 1957 ბ, 263] „ვისაც დარდი არა ჰქონდა, ფეხი გაიჭრა და სადარდელად გაიხადაო“.

საბ იჩაგა **სგმაზარ**, ეჯჰა-სრაშ˚ონ [ლომთათიძე 1954 ბ, 267] „მამაჩემის თოხი რომ მქონოდა, მეტს გავთოხნიდიო“.

ბარა **ბგსგმაზარგ˚გ**, სარა ისგმჰაცუაშტ [ლომთათიძე 1944, 16] „შენ (ქალ.) რომ არ მყავდე კიდეც, მე შევიძლებ — მოვრეკავ“.

შ˚შაათკ **უმაზარ** აწკ˚გს, **იუმაზ** შ˚ჯკ აჯგზც˚ა „ნუ გექნება ასი მანეთი, გყავდეს ასი მეგობარი“.

როგორც უკვე აღინიშნა, **ამაზარა**[58] ზმნის ფუძე მიჩნეულია სახელის ფუძისაგან მიღებულად, თუმცა ეს ამჟამად არ ჩანს; მაშასადამე, აფხაზურ-აბაზურ ენათა ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ეს ერთადერთი ზმნაც მეორეული წარმოშობისაა.

ჩერქეზულ ენებში ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნის ფუძეა ცჳ- / > ც-, რომელიც გამოყენებულია, ასევე, „(სადღაც) ყოფნის, მდებარეობის“ მნიშვნელობის მქონე ზმნის ფუძედ; უკანასკნელ მნიშვნელობას ეს საერთო ფუძე **შგ-** პრევერბის დართვისას იღებს (**შგ-ც** < **შგცჳ** „არის; მდებარეობს“), ხოლო ქონა-ყოლას **ჲგ-** პრევერბის დართვის შემთხვევაში გამოხატავს: **ჲგც** „ჰყავს, აქვს“ (ე. ი. ადამიანისა

[58] ეს არაა სტატიკური ზმნის ფუძეში დადასტურებული **მა-** ფუძისაგან ნაწარმოები მასდარი: „სტატიკურ ზმნაში მასდარი იწარმოება **-ზაან** ან **-ზა** (ტაპ. **ზლა**) სუფიქსის გამოყენების შედეგად“ [ლომთათიძე 1954 ბ, 264].

და ნივთის განურჩევლად); ეს ზმნა გარდაუვალი და ინვერსიულია (ქართველურ ენათა მსგავსად) და სუბიექტ-ობიექტურ უღვლილებას წარმოგვიდგენს [Рогава 1954, 466; Рогава 1966, 98 ...]. მოგვყავს ადიღეური მაგალითები:

სა ჩათარ **სდგც** „მე ხმალი მაქვს“

უა უგნარ **უდგც** „შენ სახლი გაქვს“

ნგბჯაღ°გმ ჰარ **დგც** „მეგობარს ძაღლი ჰყავს“

სა უა **სგუდგც** „მე შენ მყავხარ“

უა სა **უგსდგც** „შენ მე გყავარ“

გ. როგავა **სცგღ** „მიჰირავს“ ზმნაში გამოყოფს **ცგ** ელემენტს, ფუძეს შეხორცებულ პრევერბს, რომელსაც სახელური წარმოშობისად მიიჩნევს [Рогава 1956, 466]. შეიძლება მასვე უკავშირდებოდეს წარმოშობით ეს **დგც** (< დგცა) ზმნის ძირისეული ელემენტი [Яковлев 1948, 267, 283]; ამავე დროს, სავარაუდოა მისი კავშირი აფხაზურ **ყა-** ფუძესთან [Шагиров 1977 ა, 190], რომელიც აფხაზურ **აყაზარა** „ყოფნა, არსებობა“, **აყალარა** „გახდომა“ და **აყაწარა** „კეთება“ ზმნებში გამოიყოფა; ამ **ყა-** ფუძეს ჭ. ლომთათიძე სახელური წარმოშობისად თვლის [Ломтатидзе 1956, 225-228]. ამავე დროს ამ **ყა-** ფუძეს უკავშირებენ ქართული **ჰყავს** და **ოყო** ზმნების ძირეულ ელემენტს [Чарыя 1912, 37; Ломтатидзе 1956, 225, 228]. ნ. ტრუბეცკოი ჩერქეზულ **ცა-**ს დაღესტნურ ენათა სათანადო ზმნურ ფუძეებს უკავშირებს [Трубецкой 1990, 87].

ბაცბური ენა „ქონა-ყოლას“ აღწერითად გადმოსცემს: სახელის მიმართულებითი ბრუნვა + მეშველი ზმნა „არის“. ამ უკანასკნელში ისევე, როგორც ყველა გარდაუვალ ზმნაში, გრამატიკული სუბიექტის (ე. ი. სახელობითში დასმული სახელის) კლასია წარმოდგენილი [გაგუა 1953, 129-134]:

სოგო ვაჴჳნ **ვაშ ვა** „მე მყავს დიდი ძმა“, ზედმიწ. „ჩემთან დიდი ძმა არის“.

სოგო დაჴჳნ **აგ ია** „მე მყავს დიდი ბებია (დიდედა)“, ზედმიწ. „ჩემთან დიდედა არის“.

სოგო დაჴჳნ **წა და** „მე მაქვს დიდი სახლი“, ზედმიწ. „ჩემთან დიდი სახლი არის“.

სოგო მაჴჳნ **ჴორ ბა** „მე მაქვს დიდი ვაშლი“, ზედმიწ. „ჩემთან დიდი ვაშლი არის“.

სოგო ბაჴჳნ **დო**ⁿ **ბა** „მე მყავს დიდი ცხენი“, ზედმიწ. „ჩემთან დიდი ცხენი არის“.

მაშასადამე, ბაცბურს საკუთრივ ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნა არ გააჩნია. ასეთივე ვითარებაა სხვა ნახურ ენებშიც — ჩეჩნურსა და ინგუშურში.

დაღესტნურ ენათაგან ხუნძურ ენას ქონა-ყოლის შინაარსის ზმნა არ მოეპოვება; ამ მნიშვნელობას გადმოსცემს მეშველი ზმნა ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელთან ერთად. ამ შემთხვევაში რეალური სუბიექტი ნათესაობით ბრუნვაშია, რეალური ობიექტი — სახელობითში:

ინსჟულ **ვას ვუგო** „მამას ვაჟიშვილი ჰყავს“, ზედმიწ. „მამის ვაჟიშვილი არის“.

ინსჟულ **დას დიგო** „მამას ქალიშვილი ჰყავს“, ზედმიწ. „მამის ქალიშვილი არის“.

ინსჟულ **ჩუ ბუგო** „მამას ცხენი ჰყავს“, ზედმიწ. „მამის ცხენი არის“.

ინსჟულ **ვასალ რუგო** „მამას ვაჟიშვილები ჰყავს“, ზედმიწ. „მამის ვაჟიშვილები არიან“ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 241].

ხუნძურში, როგორც ცნობილია, მხოლოდ სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი (გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი) აჩენს ზმნაში კლასის ნიშანს [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 240]. ასეა განხი-

ლულ შემთხვევაშიც. ზმნაში აღინიშნება იმ სახელის კლასი, რომელიც კუთვნილების საგანია.

ხუნძურის მსგავსად, სპეციალური ზმნა ქონა-ყოლის გამოსახატავად არც ანდიურ ენას გააჩნია. ამისათვის **ბიკუდო** („არის“) ზმნა გამოიყენება, რომელიც გენეტიურ (პოსესიურ) კონსტრუქციას ქმნის „ჰყავს“ და „აქვს“ მნიშვნელობით ხმარებისას: ვოცოჭ კოთუ **ბიყუდო** „ძმას ცხენი ჰყავს“ (ზედმიწ. „ძმისა ცხენი არის“); ეს მეშველი ზმნა, ბუნებრივია, გარდაუვალად რჩება პოსესიურ კონსტრუქციაში მონაწილეობის შემთხვევაშიც [ცერცვაძე 1965, 223].

ასეთივე ვითარებაა უდიურ ენაშიც: „აქვს“ („ჰყავს“) ზმნა **ბუ** („მყოფი“) ფუძეზე დაყრდნობით იწარმოება, ოღონდ ორგვარ კონსტრუქციას წარმოგვიდგენს: ვართაშნულ დიალექტში — გენეტიურს, ნიჯურში — დატიურს [ჯეირანიშვილი 1971, 93]. ეს ზმნა ისევე, როგორც ყოველი ზმნა უდიურში, პირთა მიხედვით იცვლება და მასში აღინიშნება რეალური სუბიექტის პირი, ე. ი. ზმნაში ნათესაობით (resp. მიცემით) ბრუნვაში დასმული სახელის პირია გამოხატული. ვლ. ფანჩვიძის აზრით, უდიურში ნათესაობით-სუბიექტიანი უღვლილება მიცემით-სუბიექტიანისაგან მოდის [ფანჩვიძე 1942, 71]. გ. თოფურია ფიქრობს, რომ უდიურშიც ხუნძურის მსგავსი ვითარება უნდა გვქონოდა [თოფურია 1962, 64-65].

ხუნძურის, ანდიურისა და უდიურის მსგავსი ვითარება — ქონა-ყოლის აღსანიშნავად სპეციალური ზმნის უქონლობა, სხვა დაღესტნურ ენებსაც ახასიათებს.

ქართველურ ენათა მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩვენება საყურადღებოა საზოგადოდ ქონა-ყოლის გამოხატვის ისტორიის თვალსაზრისით. აფხაზურ-ადიღური ენების მონაცემთა შედარება ნახურ და დაღესტნურ ენებში წარმოდგენილ ვითარებასთან, ჩვენი აზრით, გვაფიქრებინებს, რომ ამოსავალი ვითარება მთის იბერიულ-კავკასიური ენებიდან ამ მხრივ სწორედ ნახურ-დაღესტნურ ენებ-

შია წარმოდგენილი, ე. ი. ადრე „არის“ მეშველი ზმნის შეხამებას მფლობელისა და ქონა-ყოლის ობიექტის აღმნიშვნელ სახელებთან უნდა მოეცა ქონა-ყოლის გაგება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე ზმნის ხმარება ქონა-ყოლის აღმნიშვნელად ქართველურ ენებში გვიანდელი მოვლენაა. საერთო-ქართველურ დონეზე ერთი ზმნური ფუძე უნდა გვქონოდა; დანარჩენი ზმნები კი ქართველურ ენებს საერთო-ქართველურის დიფერენციაციის შემდგომ უნდა გასჩენოდა: მათგან ნაწილი წარმოშობით, ალბათ, სახელურ ფუძეს შეიცავს; ზოგი კი შესაძლოა წარმოშობითაც ზმნა იყოს, რომელმაც შემდგომ მნიშვნელობა შეიცვალა (ქონა-ყოლის აღნიშვნა იკისრა). ქონა-ყოლის აღმნიშვნელად ზმნათა მეტი წილის გამოყენება და მათი სემანტიკური განაწილება დამოუკიდებლად უნდა მომხდარიყო თითოეულ ქართველურ ენაში: სხვანაირად ვერ აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართული ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნური ფუძეების უმრავლესობა ამავე მნიშვნელობით სხვა ქართველურ ენებში არ დასტურდება.

აღნიშნულ კონტექსტში ყურადღებას იქცევს ის ეტიმოლოგიური და სტრუქტურული ძიებანი, რაც წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში:

ა) გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ძველ ქართულში ადამიანის მიმართ გამოყენებული **უვის** ზმნის ძირისეული **ვი-** ელემენტი უკავშირდება **ვინ** კითხვითი ნაცვალსახელის ძირისეულ **ვი-**ს; საკითხის ამგვარად დასმის დროს ლაპარაკია ან ზმნური და სახელური ძირების ოდინდელ ერთობაზე [არაბული 1996, 9], ან იმის შესახებ, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს ნასახელარ ზმნასთან, ე. ი. **უვის** ზმნისათვის ამოსავალი უნდა იყოს **ვინ** ნაცვალსახელის ფუძე [ოსიძე 1996, 27]. ვერც ერთ შემთხვევაში **უვის** ზმნის საერთო-ქართველურობა ჯერჯერობით ვერ მტკიცდება, რადგან ამ ზმნას სხვა ქართველურ ენებში მასალობრივი (და სტრუქტურული) შესატყვისები არ ეძებნება.

პ. გაჩეჩილაძის თვალსაზრისით, **უვის** ზმნის ძირისეული **ვ** უკავშირდება **ვალ** ზმნის ძირისეულ **ვ**-ს [გაჩეჩილაძე 1974, 79-82].

მ. ქურდიანის მოსაზრებით, **უვის** ზმნის **ვ** ელემენტი შესაძლოა პიროვნების გრამატიკული კლასის აღმნიშვნელ ფორმანტს უკავშირდებოდეს [ქურდიანი 1996, 35-6].[59]

ბ) წამოყენებულია თვალსაზრისი, რომ ზანური ენის მეგრულ დიალექტში სტატიკური ზმნა **აფუ** „აქვს, მოუდის, ერგება“ ქართულიდანაა ნასესხები და **აქვს** ზმნის ფონეტიკურად სახეცვლილ სახეობას წარმოადგენს; **აქვს** ზმნის ფუძე **ქვ**- მეგრულში გადასულია ბილაბიალურ ხშულ **ფ**-ში — მომხდარა უკანაენისმიერი ხშულისა და ბილაბიალური თანხმოვნის შერწყმა; ამასთან, ხაზი ესმის იმ გარემოებას, რომ ზანურში არ დასტურდება **აქვს** ზმნის ფუძე [ლომთათიძე 1963, 29-32; ლომთათიძე 1984, 37-41].

გ) გ. როგავას მოსაზრების შესაბამისად, ძველი ქართული ზმნა **უვის**, რომელიც არ გვხვდება არც თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, არც ზანურსა და სვანურში, მაგრამ წარმოიქმნა მისი ფონეტიკურ-სემანტიკური (ლექსიკური) პარალელები გარკვეული ცვლილებებით, კერძოდ, ძირეული **ვ**-ს წინ უკანაენისმიერი თანხმოვნების **ღ**-სა და **ქ**-ს დართვით: ზან. **უღუნ** < ***უ-ღ-ვ-უ-ნ** < ***უ-ვ-უ-ნ** „აქვს“ და ქართ. **აქუს** < ***აქვის** < ***ა-ვ-ი-ს** [როგავა 1979, 37-44]. ასეთი დაკავშირებისათვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ის გარემოება, რომ ძველი ქართული **უვის** მხოლოდ „ადამიანის ყოლას“ აღნიშნავს, მეგრულ-ჭანური **უღუ(ნ)** — მხოლოდ „ნივთის ქონას“; რაც შეეხება **აქუს** ზმნას, არც მისთვის შეიძლება „ადამიანის ყოლის“ გამოხატვა იყოს ძველი ვითარების ამსახველი.

დ) უკანასკნელ ხანებში ქ. ლომთათიძემ გამოთქვა

---

[59] ადამიანის კლასის **ვ**- ნიშანს **ვინ** ნაცვალსახელის ძირეულ ელემენტს უკავშირებდა არნ. ჩიქობავა [ჩიქობავა 1944, 449-454].

თვალსაზრისი, რომ **უვის** ზმნა წარმოშობით იმავე რელატიურობის (ქცევის) **უ-** ნიშანდართული „არის“ ზმნაა („მასთან არის“), ნაცვალსახელურ-ზმნური წარმოშობისაა და უკავშირდება, ერთი მხრივ, **ვინ** ნაცვალსახელის **ვ(უ)** ძირს, მეორე მხრივ, აფხაზურ-აბაზურ ყოფნის გამომხატველი ზმნის ძირისეულ **უ(ა)**-ს, რომელზედაც მკვეთრი **კ**-ს დართვა **კ°** ფუძეს გვაძლევს; ეს უკანასკნელი გამოიყენება ზმნის სხვადასხვა დრო-კილოში (ტაპანთურში ყველა შემთხვევაში **აკ°**- სახეობა გვაქვს); „აქ აშკარად მჟღავნდება აღნიშნულ ენათა როგორც **ამოსავალი მასალის ერთიანობა**, ისე მისი გაფორმება და შემდგომი ცვლის ტენდენციების ერთიანი მიმართულება“ [ლომთათიძე 1996, 162-164].

ე) ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია **ჰყავს** ზმნის („ფლობის“ აღმნიშვნელი ერთადერთი საერთო-ქართველური ძირის შემცველის) დაკავშირება „ყოფნის“ სემანტიკის **იყო** ზმნის ძირეულ ელემენტთან [ჭარაია 1912, 37; ჩიქობავა 1938, 351-353, 356-357; Климов 1963, 208-210; ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 360-362].

განვითარების დინამიკა, ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა ეტიმოლოგიური ძიებანი, მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან შედარება და ტიპოლოგიური ხასიათის მოსაზრებათა გათვალისწინება[60] გვავარაუდებინებს, რომ არათუ ამოსავალ იბერიულ-კავკასიურ სისტემაში, არამედ თვით საერთო-ქართველური ფუძე-ენის განვითარების უფრო ადრინდელ (დიფერენციაციამდელ) საფეხურზე შესაძლოა ქონა-ყოლის აღმნიშვნელი სპეციალური ზმნური ფუძე არ გვქონოდა.

ამრიგად, ზემოთქმულის გათვალისწინებით, „ფლობის“

---

[60] ტიპოლოგიური ხასიათის მოსაზრებებში ვგულისხმობთ იმ გარემოებას, რომ მსოფლიოს მრავალ ენაში „ქონა-ყოლის“ მნიშვნელობის მქონე ზმნები მეორეული წარმოშობისად მიიჩნევა [Бенвенист 1974, 203-224].

(„ქონა-ყოლის“) სემანტიკის განვითარება იბერიულ-კავკასიურ ენებში სქემატურად ასე წარმოგვიდგენია: პირველი საფეხური — „მფლობელი სახელი“ + „ფლობის საგანი“ + „ყოფნა“ ზმნა (ფლობის საგნის შესაბამისად კლასების მიხედვით ცვალებადი); **მეორე საფეხური** — „ფლობის“ („ქონა-ყოლის“) აღმნიშვნელი ერთადერთი ზმნა, ფლობის საგანთან კლასში შეთანხმებული; **მესამე საფეხური** — „ვინ“ და „რა“ სემანტიკური ოპოზიციის შესაბამისად ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა განაწილება.

ამ საფეხურებს (რასაკვირველია, მნიშვნელოვანი მოდიფიკაციებით) წარმოგვიდგენენ სხვადასხვა ჯგუფის ენები: პირველს — ხუნძური ენა (resp. ნახური და დაღესტნური ენები), მეორეს — აფხაზურ-აბაზური ენები, მესამეს — ძველი ქართული ენა (ჩერქეზული ენები ერთგვარ გარდამავალ ვითარებას გვიჩვენებენ მეორიდან მესამე საფეხურისაკენ). შესაძლებელია ცალკე — **მეოთხე** — საფეხურად გამოიყოს ახალი ქართულის, ზანურისა და სვანურის ვითარება — ცოცხალისა და არაცოცხალის დაპირისპირების ასახვა „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელ ზმნებში.

§ 2. პიროვნებისა და ნივთის სემანტიკური კატეგორიის ფუნქციონირების ერთი შემთხვევის შესახებ ქართულში

პიროვნებისა და ნივთის კატეგორია ქართველური ენების უძველესი სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც დადასტურებულია ძველსა და ახალ ქართულში, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში, ამიტომ ბუნებრივია მისი აღდგენა საერთო-ქართველურ დონეზე. ასეთი სიძველის სემანტიკური კატეგორია აპრიორულად მის მეტ-ნაკლებ ფუნქციონირებას გულისხმობს ენობრივი სისტემის სხვადასხვა რგოლში (ასე რომ არ იყოს, ვერც **ვინ** და **რა** კითხვითი ნაცვალსახელი

შემოინახავდა ამ დაპირისპირებას). პიროვნებისა და ნივთის კატეგორიით მოტივირებული მრავალი ფაქტი გამოვლენილი და გაანალიზებულია ქართველურ ენებში. ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს **-იან** და **-ეულ** სუფიქსიანი წარმოება, რომელიც საკმაოდ ვრცლად არის განხილული ა. შანიძის მიერ [შანიძე 1953, 122-123, 130-131].

როგორც გარკვეულია, **-იან** სუფიქსი დასტურდება როგორც ადამიანის აღმნიშვნელ სახელებში, ისე — ნივთის სახელებში.

ერთი მხრივ, გვაქვს: ცოლიანი, ქმრიანი, შვილიანი, ქრისტიანი, მაჰმადიანი, ადამიანი... **გვარებში**: ყიფიანი, იოსელიანი, გვარლიანი, კახიანი, სუბელიანი...

მეორე მხრივ, წარმოდგენილია: წყლიანი, ღვინიანი, ყდიანი, ქარიანი, თოვლიანი, ყინულიანი, ბატკნიანი, ხბოიანი...

„ძველად მისი ფუნქცია უნდა ყოფილიყო, აღენიშნა წარმომავლობა ვინმესგან, აქედან შემდეგ განვითარებულიყო გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა“ [შანიძე 1953, 122].

-ეულ წარმომავლობის სახელებს აწარმოებს: მამაპაპეული, ძმისეული, დისეული, ბოსტნეული, ხილეული, თევზეული... ესაა **რა** ჯგუფის სახელები.

-იან და **-ეულ** სუფიქსიანი წარმოება სახელთა ერთ ჯგუფში გარკვეულ კანონზომიერებას ავლენს, კერძოდ, პირის ნაცვალსახელებისა და ადამიანის აღმნიშვნელი სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე **-იან** სუფიქსის დართვა **ვინ** ჯგუფის სახელს გვაძლევს, **-ეულ**-ის დართვა — **რა** ჯგუფის სახელს:

პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა (ვინ)	ნ ი ვ თ ი (რა)
ჩემ-**იან**-ი	ჩემ-**ეულ**-ი
შენ-**იან**-ი	შენ-**ეულ**-ი
მის-**იან**-ი	მის-**ეულ**-ი
ჩვენ-**იან**-ი	ჩვენ-**ეულ**-ი

თქვენ-**იან**-ი	თქვენ-**ეულ**-ი
მათ-**იან**-ი	მათ-**ეულ**-ი
მამის-**იან**-ი	მამის-**ეულ**-ი
დედის-**იან**-ი	დედის-**ეულ**-ი
პატარძლის-**იან**-ი	პატარძლის-**ეულ**-ი
სიძის-**იან**-ი	სიძის-**ეულ**-ი
ბიძის-**იან**-ი	ბიძის-**ეულ**-ი
ცოლის-**იან**-ი	ცოლის-**ეულ**-ი
ქმრის-**იან**-ი	ქმრის-**ეულ**-ი

და სხვ.

უკუქცევითი ნაცვალსახელისაგან **-იან** სუფიქსი ასევე პიროვნების აღმნიშვნელ სახელს აწარმოებს: თავის-**იან**-ი.

ზემოთ წარმოდგენილი მოვლენა ქართული სალიტერატურო ენის მონაცემია, დიალექტთა ჩვენება ამ მხრივ შესასწავლია.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ პიროვნებისა და ნივთის კორელაცია არ ამოიწურება სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მოძიებულით. შემდგომი კვლევა, ვფიქრობთ, ახალ ფაქტებს გამოავლენს.

§ 3. ადამიანისა და ნივთის სემანტიკური კატეგორიის ისტორიისათვის ჩერქეზულ ენებში

ჩერქეზულ ენებში არსებითი სახელებისათვის ძირითადია ორ — პიროვნებისა (ადამიანისა) და ნივთის (არაადამიანის) — ჯგუფად დაყოფა. პიროვნების ჯგუფის სახელების მიმართ ორსავე ჩერქეზულ ენაში გამოიყენება კითხვითი ნა-

ცვალსახელი **ხ'ათ** „ვინ“,[61] ხოლო ნივთის ჯგუფის სახელების მიმართ — **სგდ** „რა“ კითხვითი ნაცვალსახელის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები: ჰემგ. დიალ. (და ადიღ. სალიტ. ენა) **სგდ** || **სგდა** || **და**, აბძ. დიალ. **სგდ** || **სგდა** || **სგ** || **და**, ყაბ. (სალიტ. ენა) **სგთ**, ბესლ. დიალ. **სთჲგ** || **სჲგ** „რა“. ჰემგუური და აბძახური **სგდა** მიღებულია **სგდ**-ისაგან კითხვითი **-ა** სუფიქსის დართვით, დანარჩენი მათი გამარტივების შედეგია: **სგდ** > **სგ**, **სგდა** > **და**. ყაბარდოული ენის ბესლენურ დიალექტში დადასტურებულ ფორმებს სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში წარმოდგენილი **სგთ** ფორმა უდევს საფუძვლად: ***სგთ** > ***სგთ-ჲგ** > **სთი** > **სი**. ადიღეურისა და ყაბარდოულის „რა“ ნაცვალსახელის ამოსავალ ფუძედ **სგდ** უნდა მივიჩნიოთ: ***სგდ** > ყაბ. **სგთ** (ბოლოკიდურში **დ**-ს დაყრუებით).

საერთო-ჩერქეზულ **სგდ**-თან მასალობრივ დაკავშირებულია უბიხური „რა“-ს აღმნიშვნელი კითხვითი ნაცვალსახელი **სა-** ძირი (შდრ. უბიხ. **სა-ჭ'ა** „რა“) [Trubetzkoy 1930, 80; Dumézil 1932, 24], აგრეთვე, საერთო-ქართველურ **სად** — ქართ. **სად** : ზან. **სო** || **სოდე** „სად“ [Porava 1956, 44].

ცალკე დგას ბჟედუღური და შაფსუღური დიალექტების **ს'გდ**; მისი დაკავშირება საერთო-ჩერქეზულ **სგდ**-თან დამაჯერებლობას მოკლებულია, რადგან არა გვაქვს სხვა

---

[61] სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევენ, რომ აქ ამოსავალია **ხ'ათ**; შესაძლოა ამოსავალი იყო **ხ'ათ'**: ბოლოკიდურმა (ამოსავალმა) პრერუპტიულმა თანხმოვანმა **თ'**-მ ადიღეურში **თ** მოგვცა, ხოლო ყაბარდოულში **დ**, რომლისაგანაც ბოლოკიდურ პოზიციაში დაყრუების შედეგად მივიღეთ **თ**: ***ხ'ათ** > ყაბ. **ხათ** > **ხ'ათ** (გ. როგავა). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ სვანურ ენაში გვაქვს ჩერქეზულიდან ნასესხები **ხედა** „რომელი“ [ჯანაშია 1959, 111, 116], რომლის **დ**-ს წყაროც შეიძლება იყოს საერთო-ჩერქეზული პრერუპტივი **თ'** ან ყაბარდოულში სავარაუდო მჟღერი ხშული **დ**.

შემთხვევა, სადაც გვექნებოდა შესატყვისობა ბჟედ.-შაფს. **ს′** : სხვა დიალ. **ს**. საყურადღებოა სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი დაკავშირება: ბჟედ.-შაფს. ფუძე **ს′გ-** — უბიხ. **შგ** „ვინ“; მათს ძირისეულ თანხმოვანს (**ს′/შ**) პარალელს უძებნიან აფხაზური საგარემოებო **შ-** „როგორც“ ნაწილაკის, აგრეთვე, საგარემოებო-კითხვითი **შაფა** ნაწილაკისა და აფხაზური (აბჟუური) **შაყა** „რამდენი“ შემადგენლობაში შემავალი **შა-ს** სახით [Trubetzkoy 1930, 80; Dumézil 1932, 241; ლომთათიძე 1942, 978].

ის გარემოება, რომ ჩერქეზულში ნივთის მიმართ ხმარებული კითხვითი ნაცვალსახელი უბიხურში ადამიანისათვის გამოყენებულ ნაცვალსახელს უკავშირდება, შეიძლება მიგვანიშნებდეს ამოსავალში ადამიანისა და ნივთის კატეგორიებისათვის საერთო ფუძის შემცველი და კლას-ნიშნებით განსხვავებული კითხვითი ნაცვალსახელის არსებობის თაობაზე.[62]

საინტერესოა, რომ ჩერქეზულში **ვინ** ჯგუფის სახელებს განეკუთვნება არა მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვები, არამედ ღმერთისა და წარმართულ ღვთაებათა სახელებიც: **თჰა** „ღმერთი“, **ლ′აფს** „მჭედლობის ღმერთი“, **თჰალა′გჲ** „ნაყოფიერების ღმერთი“, **ფსგხ°აგ°აშ** „დიდი ღმერთი, ზევსი“... სამაგიეროდ, ის მითიური არსებები, რომლებიც ბოროტ ძალებად მოიაზრებიან, „რა“ ჯგუფს მიეკუთვნება: ჯგნა „ჯინი, ავი სული, დემონი“, შაადთან „ეშმა-

---

[62] ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ უბიხურ და ჩერქეზულ (ბჟედ.-შაფს.) კითხვით ნაცვალსახელთა ფუძეებს ნ. ტრუბეცკოი უკავშირებს ხუნძური ენის კითხვითი ნაცვალსახელის **ში-** ფუძეს [Trubetzkoy 1930, 89], რომელიც კლასის ნიშნებს დაირთავს და ისე გამოიყენება სხვადასხვა კლასის სახელების მიმართ: **ში-ვ** „ვინ“ — I კლ., **ში-დ** „ვინ“ — II კლ., **ში-ბ** „რა“ — III კლ. [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 211].

კი, სატანა"...[63] ადიღეურში ადამიანთა გარკვეული წრისათვის (როგორც ჩანს, უფროსი თაობის ადამიანები იგულისხმება) კითხვა **რა** შეიძლება „ცოლისა" და „ტყვის" მიმართაც დაისვას [Дауров 1989, 24-27].[64] ჩერქეზულ ენებში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ახალშობილი ან მცირეწლოვანი ბავშვი კითხვისას **რა** ჯგუფის სახელებთანაა გათანაბრებული: ადიღ. **სჷდ** ᾰᵓჷცᾰ? „რა გყავს?", ადიღ. **სჷდა** ა ს'ᵓგზჷმ ჯჷლ'აფჷღᾰრ?, ყაბ. სჷთა ა ფჷგზჷმ ჯჷგლ'ხ'ᵓᾰრ? „იმ ქალს რა შეეძინა?" (ზედმიწ. „იმ ქალმა რაც დაბადა, რაა?")... პასუხი იქნება: ადიღ. ჭალ'ᾰ / ყაბ. ს'ალ'ᾰ „ბიჭი", ან ფს'ას'ᾰ „გოგო" [კუმახოვი 1964, 208; გიშევი 1977, 21; დაუროვი 1989, 31]. ანალოგიურ ვითარებაზე ქართულში მიუთითა მ. სუხიშვილმა: **რა** ჰყავს? **რა** შეეძინა? [სუხიშვილი 1978, 96].[65] როდესაც ჩერქეზულ ფოლკლორსა და ლიტერატურულ თხზულებებში ადამიანს უთანაბრდება სხვადასხვა საგნები — ცხოველები, ნივთი (ხდება პერსონიფიკაცია), ამ საგნების მიმართ კითხვა **ხ'ᾰთ** „ვინ" დაისმის. ნ. გიშევს მოჰყავს ადიღელი პოეტის ხ. ჟანეს ლექსის სათაური „**ხ'ᾰთა** ᾰაზᾰᵓ ანაჰ ლ'ᾰშაგრ?" — „**ვინაა** მათ შორის უფრო ძლიერი?", რომელშიც დასმული კითხვა **ხ'ᾰთა** „ვინ" განეკუთვნება ნივთის კლასის ორ სახელს — **ც'აფგრ** „სამუშაო, საქმე" და **ᾰახთᾰრ** „დრო" [Гишев 1989, 31].

საინტერესოა ასევე ყაბარდოული ენის თერგის კილო-

---

[63] შდრ. ანალოგიური ვითარება ხუნძურში, სადაც „ღმერთი" და „ანგელოზი" I გრამატიკულ კლასში შედიან, „ავი სული" და „ეშმაკი" — III კლასში [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 84].

[64] ამჟამად ბევრ ჩერქეზს **რა** კითხვა „ქალისა" და „ტყვის" მიმართ შეუძლებლად მიაჩნია, რადგან ფიქრობენ, ისინიც ადამიანები არიანო [Дауров 1989, 27].

[65] აქ, ბუნებრივია, ისევ დაღესტნურ ენათა ვითარება გავიხსენოთ, სადაც „ბავშვი" ნივთის კლასის სახელებთანაა გაერთიანებული.

კავებში დადასტურებული ფაქტი, რომლის მიხედვითაც ადამიანის სახელი და გვარი გაერთიანებულია **ვინ** კლასის სახელებთან: **ხ'ან** ჷდგწარ? „რა გქვია?“, ზედმიწ. „ვინ არის შენი გვარი?“ და **ხ'ან** ჷდგჷგნაწარ?“ „რა გვარი ხარ?“, ზედმიწ. „ვინ არის შენი სახელი?“ [Куашева 1977, 25].

დასასრულ, უნდა შევეხოთ ადამიანისა და ნივთის დაპირისპირების კიდევ ერთ შემთხვევას. საქმე ეხება „ცოდნის, ცნობის“ აღმნიშვნელ ზმნებს ჩერქეზულ ენებში. ადიღეურსა და ყაბარდოულს შორის აქ მნიშვნელოვანი სხვაობა შეინიშნება: ყაბარდოულში აღნიშნული მნიშვნელობით, ადიღეურთან საერთო ზმნურ ს'ა- ფუძესთან ერთად, გამოიყენება **წგხ'°**- ფუძეც, ამასთან, სათანადო ზმნა უახლოეს (პირდაპირ) ობიექტად (რომელიც სახელობით ბრუნვაშია) შეიწყობს მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელ სახელებს: სა ჷა **ჷგზოწგხ'°** „მე შენ გიცნობ“ (ძვ. ქართ. „გიცი“), ჷა სა **სგჟოწგხ'°** „შენ მე მიცნობ“ (ძვ. ქართ. „მიცი“), სა ნგსარ **სოწგხ'°** „მე რძალს (ზედმიწ. „რძალი“) ვიცნობ“, ჷა ლგრ **ჷოწგხ'°** „შენ მამაკაცს (ზედმიწ. „მამაკაცი“) იცნობ“, აბგ მალ' ხარ **ჲაწგხ'°** „ის (ზედმიწ. „მან“) სიძეს (ზედმიწ. „სიძე“) იცნობს“ და ა. შ.

ზემოთ ჩვენ წარმოვადგინეთ ჩერქეზულ ენებში პიროვნებისა და ნივთის კატეგორიის ფუნქციონირების სხვადასხვა შემთხვევა, რითაც, რასაკვირველია, პრობლემა არ ამოიწურება; მისი მთელი სისრულით გაშუქება ცალკე მონოგრაფიულ კვლევას საჭიროებს. ჩვენი მიზანი ამჯერად მხოლოდ ის იყო, რომ გვეჩვენებინა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩერქეზულ ენათათვის **ვინ** და **რა** კატეგორია და მისი შემდგომი, უფრო გაღრმავებული შესწავლის აუცილებლობა წარმოგვეჩინა.

თავი მესამე

ისტორიულ-შედარებითი ძიებანი

ამ თავში შესული დაკვირვებანი ქართველურ და ჩერქეზულ ენათა აგებულების სხვადასხვა სფეროს განეკუთვნება, მაგრამ მათ აერთიანებს, ერთი მხრივ, ისტორიულ-შედარებითი მეთოდოლოგია, მეორე მხრივ, მეტ წილ შემთხვევაში — საკითხთა გააზრება ქართველურ-ჩერქეზული (resp. აფხაზურ-ადიღური) ენობრივი ურთიერთობის შესაბამისად.

ცნობილია, რომ მონათესავე ენათა ურთიერთობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია საერთოსა და განსხვავებულის გამიჯვნის საკითხი, ამასთან, ამ საერთოსა და განსხვავებულის ისტორიის გათვალისწინება, კერძოდ, გარკვევა იმისა, ეს საერთო ძველია, ე. ი. ამოსავალი ვითარების ამსახველი, თუ დამოუკიდებელი განვითარების ან ერთი ენობრივი ჯგუფიდან (თუ ენიდან) მეორის მიერ სესხების შედეგი.

ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი ძიებანი მცირე წვლილი იქნება ქართველური ჯგუფისა და ჩერქეზული ქვეჯგუფის ენათა როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთმანეთთან მიმართების თვალსაზრისით შესწავლის საქმეში.

§ 1. მეგრული -გა ნაწილაკის წარმომავლობისათვის

ზანური ენის მეგრული დიალექტის რამდენსამე სიტყვაში გამოიყოფა **-გა** ნაწილაკი. ესენია: მიმართებითი ნაცვალსახელები — **მიდ-გა** „ვინც“ (შდრ. **მი** „ვინ“), **მუდ-გა** „რაც“ (შდრ. **მუ** „რა“), **ნამუდ-გა** || **ნამდ-გა** „რომელიც“ (შდრ. **ნამუ** || **ნამ** „რომელი“), ადგილის ზმნისართები — **სოდ-გა** „სადღაც, სადაც“, **სოლედ-გა** „საიდანღაც, საიდა-

ნაც“... გვაქვს აგრეთვე: **მიდგა-რენი** „ვიღაც“ (ზედმიწ. „ვიღაცაა“), **მუდგა-რენი** „რაღაც“ (ზედმიწ. „რაღაცაა“), **ნამუდგა-რენი || ნამდგა-რენი** „რომელიღაც“ (ზედმიწ. „რომელიცაა“), **სოდგა-რენი** „სადღაც“ (ზედმიწ. „სადღაცაა“), **სოლედგა-რენი** „საიდანღაც“ (ზედმიწ. „საიდანღაცაა“)... **მიდგა-მიდგა** „ზოგ-ზოგი“, **მუდგა-მუდგა** „რაღაც-რაღაცა“.

ი. ყიფშიძესთან, ზემოთ დასახელებულთა გარდა, პარალელურ ვარიანტებად წარმოდგენილია, აგრეთვე: **მიგიდა**, „ვინც“, **მუგიდა** „რაც“, **ნამუდიგა** „რომელიც“, **სოლეგიდა**, **სოგიდა** „სადღაც“, **სოლეგიდგა** „საიდანღაც“ [Кипшидзе 1914, 049-050, 319]. აღნიშნულ სიტყვებში გამოყოფილ **-გა**-ს ი. ყიფშიძე მატერიალურად ქართულ **-ღა** ნაწილაკს უკავშირებდა [ყიფშიძე 1914, 049-050]. არნ. ჩიქობავას აზრით, მეგრულ-ჭანურს ქართულთან მასალობრივ საერთო მხოლოდ **-თი** ნაწილაკი აქვს, რომელიც ქართულ **-ც(ა)**-სთან უნდა იყოს დაკავშირებული [ჩიქობავა 1936, 67]; როგორც ამ მსჯელობიდან ჩანს, ავტორი, ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანად, არ იზიარებდა ი. ყიფშიძის ზემოთ მოყვანილ თვალსაზრისს.

მართლაც, ქართული **-ღა**-სა და მეგრული **-გა**-ს დაკავშირებას რამდენიმე არსებითი ხასიათის დაბრკოლება ახლავს:

1. უმთავრესია ის, რომ არა გვაქვს სხვა შემთხვევა, რომ საერთო-ქართველურ მასალაში ქართულ **ღ**-ს მეგრული (resp. ზანური) **გ** შეესატყვისებოდეს (ე. ი. არ დასტურდება შესატყვისობა ქართ. **ღ** : ზან. **გ**); თვით ფონეტიკური პროცესი **ღ** → **გ** ან **გ** → **ღ** არ არის დამახასიათებელი არც ქართული ენისათვის, არც ზანურისათვის.

2. **-გა** ნაწილაკი არა გვაქვს ზანური ენის ჭანურ დიალექტში, ამიტომ, ბუნებრივია, მას საერთო-ზანურ მონაცემად ვერ მივიჩნევთ (საერთო-ქართველურზე რომ არაფერი ვთქვათ); ეს ნაწილაკი არც სვანურ ენაშია დადასტურებული.

3. მეგრული **-გა** ნაწილაკი მნიშვნელობით საკმაოდ

განსხვავებულია ქართული -**ღა**-საგან: -**გა**-ს ქართული **ც(ა)** ნაწილაკის მნიშვნელობა აქვს. ა. შანიძის მიხედვით, ძველ ქართულშიცა და ახალშიც -**ც(ა)** მნიშვნელობით დაახლოებით „აგრეთვე“-ს უდრის [შანიძე 1976, 147-148; შანიძე 1973, 611]. მკვლევარი მას გაძლიერებით ნაწილაკს უწოდებს და მის ერთ-ერთ ფუნქციად კითხვითი სიტყვის მიმართებითად ქცევას მიიჩნევს [შანიძე 1973, 609-611]. როგორც წარმოდგენილი მსჯელობიდან ჩანს, ფუნქციურად (მნიშვნელობით) მეგრული -**გა** ქართულ -**ცა**-ს უდრის, ხოლო მათი მასალობრივი იგივეობის საკითხი არც დგას; როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქართულ -**ცა**-ს ზანურ -**თი**-ს უკავშირებენ.

რაც შეეხება ქართულ -**ღა**-ს, ის, ა. შანიძისავე განმარტებით, ნიშნავს „კიდევ“, „ჯერ კიდევ“ და „მხოლოდ“, „აბა“ [შანიძე 1976, 148-149; შანიძე 1973, 610-616). -**ღა** ნაწილაკის ეტიმოლოგია არ არის გარკვეული (ყოველ შემთხვევაში, სამეცნიერო ლიტერატურაში მისი წარმომავლობის შესახებ მსჯელობა არ შეგვხვედრია).

ამრიგად, ქართული -**ღა** და მეგრული -**გა** მნიშვნელობით სხვადასხვა ნაწილაკებია; მნიშვნელობის მიხედვით და ფუნქციითაც მეგრული -**გა** ქართულ -**ცა**-ს უახლოვდება (მასალობრივ კი ესენიც სხვადასხვაა).

4. მეგრულში -**გა**-ს პარალელურად და იმავე მნიშვნელობით გვხვდება ნაწილაკი -**თი**: **მი-თი** „ვინც“, **მუ-თი** „რაც“, **ნამუ-თი** „რომელიც“, **სო-თი** „სადაც“, **სოლე-თი** „საიდანაც“... ეგევე -**თი** სახეცვლილად, როგორც სამართლიანად შენიშნავს ი. ყიფშიძე, წარმოდგენილია **მიდგა**, **მუდგა**, **ნამუდგა**, **სოდგა**... სიტყვებში: ***-თი-გა** > ***-თგა** > -**დგა** (რეგრესული ასიმილაცია). აქ მეგრულ სიტყვებს ერთი და იმავე მნიშვნელობის ორი ნაწილაკი ერთვის, ამასთან, -**თი** საერთო-ზანური მონაცემია და -**გა**-ს გარეშეც იხმარება; ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა -**გა** ნაწილაკის წარმომავლობის თვალსაზრისით: მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორი ერთი და იმავე მნიშვნელობის ნაწილაკია

გამოყენებული, და ისიც, რომ სათანადო სიტყვებზე დართვისას ჯერ (საერთო-ზანური) -თი-ა წარმოდგენილი, შემდეგ კი — -გა (ოდენ-მეგრული მონაცემი).

5. უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ მეგრულში (კერძოდ, ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში) გვხვდება რბილი გ´-ს შემცველი -გ´ა სახეობაც: მიდ-გ´ა, მუდ-გ´ა, ნამუდ-გ´ა, სოდ-გ´ა, სოლედ-გ´ა... მიდ-გ´ა-რენი, მუდ-გ´ა-რენი, ნამუდ-გ´ა-რენი, სოდ-გ´ა-რენი, სოლედ-გ´ა-რენი...

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეს -გა || -გა´ა ნაწილაკი ერთგვარად შეზღუდულ ლექსიკურ წრეში მოიპოვება — მხოლოდ ნაცვალსახელთა გარკვეულ ჯგუფსა და ადგილის ზმნისართებში (აქაც, როგორც აღინიშნა, პარალელური ვარიანტების სახით -თი სუფიქსიანი ფორმებიც გვხვდება); ყველა სხვა შემთხვევაში (ნაცვალსახელთა სხვა ჯგუფებსა და ზმნისართებში, არსებით, ზედსართავ და რიცხვით სახელებში) მხოლოდ -თი ნაწილაკი იხმარება.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით მეგრული -გა||-გ´ა ნაწილაკის ქართულ -ღა-სთან დაკავშირება არ შეიძლება დამაჯერებლად ჩაითვალოს. ამ კონტექსტში ყურადღებას იქცევს აფხაზური -გ´ჷ „ც(ა)“ ნაწილაკი, რომელსაც ფართო გამოყენება აქვს: გვხვდება სახელებშიც, ზმნებშიც, ზმნისართებშიც..., მაგალითად: სარ-გ´ჷ ჩარ-გ´ჷ „მე და შენ“, ზედმიწ. „მეც შენც“ [Ломтатидзе 1967, 1109; Грамматика 1968, 196; შაყრილი, კონჯარია 1986, 145], ეს -გ´ჷ ნაწილაკი შესაძლოა -გ´ა-საგან იყოს მიღებული აფხაზურში მოქმედი მახვილის წესის შესაბამისად [ლომთათიძე 1976, 99-138].

აფხაზური -გ´ჷ ნაწილაკი შესატყვისებს ჰპოვებს არა მხოლოდ ახლო მონათესავე აბაზურ, ჩერქეზულ და უბიხურ ენებში, არამედ სხვა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც [Трубецкой 1987, 273; Шагиров 1977 ა, 188-189];

აფხაზურთან ფონეტიკური სიახლოვით განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას უბიხური -გ˝ა.

ვფიქრობთ, ზემოთქმული გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ: როგორც ჩანს, აფხაზურ-უბიხური -გ˝ა შეუთვისებია მეგრულ დიალექტს -გა||-გ˝ა-ს სახით, ხოლო საკუთრივ მეგრულ (resp. ზანურ) „-ც(ა)“-ს მნიშვნელობის მქონე ნაწილაკად მხოლოდ -თი რჩება.

მეგრულ დიალექტში დადასტურებული ეს -გა ნაწილაკი უნდა გაირჩეს უარყოფის აღმნიშვნელი აფხაზურ-უბიხურ-ჩერქეზული -გა სუფიქსისაგან, რომელიც ასევე ნასესხებია მეგრულში: ტვინ-გა „უტვინო“, ცუნ-გა „ყრუ“, ხან-გა „გიჟი“, რუნ-გა „რეგვენი“, ოჩა-გა „თიკანი“, ნირ-გა „უხეში, ურცხვი, უზრდელი“... [Рогава 1942, 625-630].

§ 2. სიტყვაწარმოებითი სუფიქსი -ჲა ჩერქეზულ ენებში და მისი შესატყვისი ქართველურ ენებში

სუფიქსი -ჲა || > -ჲ ჩერქეზულ ენებში აწარმოებს: ხეთა სახელებს, ტოპონიმებს და ტანსაცმლის სახელწოდებებს [Яковлев, Ашхамаф 1941, 225; Кумахов 1964, 122-133].

ხეთა ბევრი სახელწოდება ჩერქეზულ ენებში იწარმოება შესაბამისი ნაყოფის სახელწოდებისაგან -ჲა სუფიქსის საშუალებით:

მგ „ვაშლი“	— ადიღ. მგ-ჲა „ვაშლის ხე“
და „კაკალი“	— ადიღ. და-ჲა, ყაბ. დჲა-ჲ „კაკლის ხე“
ადიღ. ჴ˚გზ˝გ, ყაბ. ყ˚გზ˝ „მსხალი“	— ადიღ. ჴ˚გზ˝ა-ჲა, ყაბ. ყ˚გზჲა-ჲ „მსხლის ხე“
ზჯ „შინდი“	— ადიღ. ზა-ჲა, ყაბ. ზჲა-ჲ „შინდის ხე“

ზარგჯა „ძახველი“ — ადიღ. ზარგჯა-ჲა, ყაბ. ზარგჯჲა-ჲ „ძახველის ხე“

ეგევე სუფიქსი მოიპოვება ხეთა ზოგიერთ სხვა სახელწოდებებშიც:

ანა-ჲ(ა) „ნეკერჩხალი“
სგრბა-ჲა „ხემყრალი“
ჭასთგღა-ჲ(ა) „სოჭი“
ბ'ჳს'ა-ჲა „ბზა“
შაფს. ჲაჭა-ჲ(ა) „თხმელა, მურყანი“
ნგხ'ა-ჲა (|| ნგხ'გ) „ვერხვი“

ეს სიტყვები (უკანასკნელის გარდა) -ჲა სუფიქსის გარეშე ადიღეურში არ გვხვდება.

ადიღეური -ჲა-ს შესატყვისი სუფიქსი -ჲ ყაბარდოულში, ადიღეურისაგან განსხვავებით, სხვა სიტყვებში გამოიყოფა:

დაშხ'ᵊჲა-ჲ „კაკლის ხე“ (შდრ. ადიღ. დაშჲხ'ჲა || დაშხ'ᵊა ჩჲგღ' იმავე მნიშვნელობით).

თუთჲა-ჲ „თუთის ხე“

ფხბგᵊგლ'ჲა-ჲ „ალუჩის ხე“ (შდრ. ადიღ. ფხბგᵊგლ')

მგცჳრგსჲა-ჲ „ნამყენი ვაშლის ხე“ (შდრ. ადიღ.-ყაბ. მგცჳრგსჲა „ნამყენი ვაშლი“)

ბალ'ჲგჲა-ჲ „ალუბლის ხე“ (შდრ. ყაბ. ბალ'ჲგჲ˥ჲ˥ „ალუბალი“)

უნდა აღინიშნოს, რომ ხეთა სახელებში ეს სუფიქსი უფრო გავრცელებულია ყაბარდოულში, ვიდრე ადიღეურში.

საინტერესოა „მუხის“ სახელწოდების წარმომავლობა ადიღეურში — ის ხის სახელწოდებისაგან არის ნაწარმოები

იმავე -ⴔⴠ||-ⴔ სუფიქსით: შდრ. ადიღ. ჩაგლ'გ, ყაბ. ჟგღ „ხე“ — ადიღ. ჩაგლ'ა-ⴔⴠ, ყაბ. ჟგღⴔⴠ-ⴔ „მუხა“.

ხეთა სახელები შესაძლოა აღწერითადაც იყოს ნაწარმოები: სათანადო ნაყოფის სახელწოდება + სიტყვა **ჩაგლ'** „ხე“, რომლის გარეშეც ეს სიტყვები ხესაც აღნიშნავენ და ნაყოფსაც.

მარკ'ⴠ „თუთა (ხე და ნაყოფი)“ — მარკ'ⴠ ჩაგლ' „თუთის ხე“

ჴგცⴠ „ატამი (ხე და ნაყოფი)“ — ჴგცⴠ ჩაგლ' „ატმის ხე“

ჴგფცⴠ „ქლიავი (ხე და ნაყოფი)“ — ჴგფცⴠ ჩაგლ' „ქლიავის ხე“

მგცⴠრგს(ⴠ) „ვაშლი (ხე და ნაყოფი)“ — მგცⴠრგსⴠ ჩაგლ' „ვაშლის ხე“

დⴠზ'გⴔ(ⴠ) „კაკალი (ხე და ნაყოფი)“ — დⴠზგⴔⴠ ჩაგლ' „კაკლის ხე“

ზოგჯერ „ხის“ ცნების გადმოსაცემად გამოიყენება ერთდროულად ორივე საშუალება: შესაბამისი ნაყოფი + სუფიქსი -ⴔⴠ + სიტყვა **ჩაგლ'გ** „ხე“:

დაⴔⴠ ჩაგლ' „კაკლის ხე“

მგⴔⴠ ჩაგლ' „ვაშლის ხე“

ზაⴔⴠ ჩაგლ' „შინდის ხე“

მაგრამ ჩვეულებრივ ამბობენ არა ჴ'გზ'აⴔⴠ ჩაგლ' და ზⴠრგჯაⴔⴠ ჩაგლ', არამედ — ჴ'გზ'აⴔ(ⴠ) || ჴ'გზ' ჩაგლ' „მსხლის ხე“ და ზⴠრგჯაⴔ(ⴠ) || ზⴠრგჯⴠ ჩაგლ' „ძახველის ხე“.

ხეთა სახელწოდებებში გამოყოფილი სუფიქსი -ⴔⴠ||-ⴔ გამოიყენება ქვეყნის (კუთხის) სახელწოდებათა საწარმოებლად: ადიღ. ჴⴠბⴠრთა-ⴔ(ⴠ) / ყაბ. ყⴠბⴠრდⴔⴠ-ⴔ „ყაბარდო“, ადიღ. ბⴠსლ'გნგ-ⴔ(ⴠ) / ყაბ. ბⴔⴠსლ'ⴔⴠნⴔⴠ-ⴔ „ბესლენეთი“ (ბესლენები ჩერქეზული ტომია), ადიღ. ჭⴠმგ'გ-ⴔⴠ „ჭემგუე-

თი“ (ჰემგუები, ასევე, ჩერქეზული ტომია); ყაბ. ადგღდა-ჲ „ადიღე“, ადიღ. ჴგრგსგ-ჲ(ა) / ყაბ. ჴგრგსდა-ჲ „რუსეთი“. ეგევე აფიქსი გამოიყოფა სოფლების (აულების) სახელწოდებებში: ადიღ. ადამგ-ჲ(ა), დაჯა-რგჴ°ა-ჲ(ა), ასფალა-ჲ(ა), ჯამბაჩგ-ჲ(ა), ფანაჟგჴ°ა-ჲ(ა), დადაფსგჴ°პ-ჲ(ა), თახთამგჴ°ა-ჲ(ა)... ყაბ. ჟგნარგყ°და-ჲ, ისლ'ამდა-ჲ, ჯგლ'ახსთანდა-ჲ, ბაბგღ°და-ჲ, დჴგმანდა-ჲ, აშაბდა-ჲ, დოხ°შგყ°და-ჲ... [Кумахов 1964, 123; Коков 1977, 52-53, Меретуров 1990]. -და||-ჲ სუფიქსი ზოგიერთი ტანსაცმლის სახელწოდებასაც აწარმოებს: ადიღ. ცგ-ჲ(ა) / ყაბ. ცგ-ჲ „ჩოხა“ (შდრ. ცგ „მატყლი“), ადიღ. სა-ჲ(ა) „ბეშმეთი“, ადიღ. ლ'ა-ჲ(ა) / ყაბ. ლ'და-ჲ „გიმაში“ (შდრ. ადიღ.-ყაბ. ლ'ა „ფეხი“) [Кумахов 1964, 123].

-და||-ჲ სუფიქსი წარმოდგენილია ჩერქეზულ ენათა კუთვნილებით ნაცვალსახელებში:

ა დ ი ღ ე უ რ ი	ყ ა ბ ა რ დ ო უ ლ ი
სანგ-ჲ(ა) || შაფს. სგ-და	სგსდა-ჲ „ჩემი“
ჴანჴგ-ჲ(ა) || შაფს. ჴგ-და	ჴგჴდა-ჲ „შენი“
ჟგ-და	და-ჲ „მისი“
თანთგ-ჲ(ა) || შაფს. თგ-და	დჟდა-ჲ „ჩვენი“
ს'°ან'°გ-ჲ(ა) || შაფს. ს'°გ-და	ფჟფდა-ჲ „თქვენი“
და-და	და-ჲ „მათი“

[Рогава, Керашева 1966, 88-89; Кумахов 1964, 202-206; Керашева 1957, 62-65; Шагиров 1977 ა, 180-181...].

-და (> -ჲ). სუფიქსის მნიშვნელობა, რომელიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში მჟღავნდება, ესაა „კუთვნილება, ჭონა“. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს სუფიქსი

დაკავშირებულია კუთვნილებით აფიქს **ჲგ**-სთან,[66] რომელიც პრეფიქსის სახით რეალიზებულია ადიღეურში ნივთიერი კუთვნილების გამოსახატავად, ყაბარდოულში — საზოგადოდ კუთვნილების ორივე (ორგანული და ნივთიერი) სახეობისათვის; ადიღეურში ორგანული კუთვნილების გამოსახატავად გამოყენებულია **გ**- პრეფიქსი (შდრ. ადიღ.-ყაბ. **ჲგ**-უგნა „მისი სახლი“ და ადიღ. **გ**-ნა / ყაბ. **ჲგ**-ნა „მისი ვალი“). როგორც გ. როგავამ გაარკვია, კუთვნილების აღნიშვნისას უფრო ძველი ვითარება ყაბარდოულს შემოუნახავს: **გ**- პრეფიქსი მიღებულია **ჲგ**-საგან, ე. ი. კუთვნილების კატეგორიისათვის ამოსავალ (საერთო-ადიღურ) სახეობად ივარაუდება **ჲგ**- [როგავა 1980, 71-84].

რაც შეეხება სახელურ სიტყვაწარმოებაში გამოყენებული „ქონების“ სუფიქსის -**ჲა** და -**ჲ** ვარიანტებს, აქ უფრო ძველ სახეობად მიიჩნევა -**ჲა**, ხოლო ამ უკანასკნელისათვის ამოსავლად — უმლაუტისა და ა-ს მეორეულობის გათვალისწინებით ჩერქეზულ ენებში, უნდა ვივარაუდოთ -**ჲა**. ამრიგად, კუთვნილების გამომხატველი საერთო-ჩერქეზული აფიქსი -**ჲა**-||-**ჲგ**- უნდა ყოფილიყო; მათ შორის ისტორიულად ასეთი მიმართება შეიძლება გვქონდეს: ***ჲა** → **ჲგ**.

კუთვნილებითი აფიქსი საერთო აფხაზურ-ადიღურ დონეზეც აღდგება: განხილულ ჩერქეზულ აფიქსს უკავშირდება უბიხური კუთვნილების კატეგორიის მაწარმოებელი **გ**-||ა- პრეფიქსი; ასეთი პრეფიქსი აფხაზურ-აბაზურსაც უნდა ჰქონოდა, მაგრამ, როგორც წესი, რედუცირებულია მომდევნო მახვილიანი მარცვლის გავლენით, მაგრამ შემონახულა ზმნაში: ი-ს-გ-მოუპ „მაქვს, მყავს“ [როგავა 1980, 106].

საერთო აფხაზურ-ადიღური კუთვნილების გამომხატველ აფიქსად შეიძლება ვივარაუდოთ -ა-.

---

[66] „ეს -**ჲა** ელემენტი და სახელთა კუთვნილებითი პრეფიქსი **ჲგ**- გენეტურად ერთი და იგივეა“ [როგავა 1980, 107].

კუთვნილების გამომხატველ ამ საერთო აფხაზურ-ადიღურ **-ა**-ს უნდა უკავშირდებოდეს საერთო-ქართველური **-ან** სუფიქსი, რომლის მნიშვნელობა ასევე „ქონა, კუთვნილება“ უნდა ყოფილიყო. ამ **-ან** სუფიქსს და მის შესატყვისებს ფართო გამოყენება აქვს ქართველურ ენებში [ჩიქობავა 1926, 305-311; შანიძე 1953, 123-127; ჯანაშია 1959, 1-74].

-ან ქართულში შემონახულია ჩამომავლობის აღსანიშნავად: ოთარა-**ან**-ი, ოძელა-**ან**-ი, მაისურა-**ან**-ი... გვაქვს სოფლის სახელებში: მელა-**ან**-ი, მაჩხა-**ან**-ი, ტიბა-**ან**-ი, ოზა-**ან**-ი, გურჯა-**ან**-ი... [შანიძე 1953, 124].

-ან სხვა სიტყვაწარმოებითი სუფიქსების შემადგენლობაშიც დასტურდება; ესენია: -ე-**ან**/-ი-**ან**, -ევ-**ან**, -ოვ-**ან**, -ოს-**ან**.

ძვ. ქართ. **-ეან**: ადამ-**ეან**-ი, აუგ-**ეან**-ი, კაეშნ-**ეან**-ი, მარილ-**ეან**-ი, ბაყლ-**ეან**-ი... [შანიძე 1976, 52].

ახ. ქართ. **-იან** < **-ეან**: ცოლ-**იან**-ი, ქმრ-**იან**-ი, ცხვრ-**იან**-ი, საქონლ-**იან**-ი, წვერ-**იან**-ი, ადამ-**იან**-ი, აუგ-**იან**-ი, კაეშნ-**იან**-ი, მარილ-**იან**-ი... [შანიძე 1953, 124].

ეგევე **-იან** ტოპონიმებშიც გვხვდება: თელ-**იან**-ი, ღელ-**იან**-ი, მუხ-**იან**-ი, წაბლ-**იან**-ი... [ჩიქობავა 1926, 3-7; ჯანაშია 1959, 44].

კუთვნილებას გამოხატავს **-იან** სუფიქსი სიტყვებში: დავით-**იან**-ი „დავითისეული“ და გორგასლ-**იან**-ი „გორგასლისეული“ [ჯანაშია 1959, 143].

ძვ. ქართ. **-ევან**: ნაკლულ-**ევან**-ი, სახარულ-**ევან**-ი...

-ოვან: გულ-**ოვან**-ი, სახელ-**ოვან**-ი, კლდ-**ოვან**-ი, ჭელ-**ოვან**-ი, ვაშლ-**ოვან**-ი, თელ-**ოვან**-ი... [შანიძე 1953, 126; შანიძე 1976, 52].

-ოსან: პატი-**ოსან**-ი, მშვილდ-**ოსან**-ი, წვერ-**ოსან**-ი, მანდილ-**ოსან**-ი, ქუდ-**ოსან**-ი, ცხენ-**ოსან**-ი, ჯვარ-**ოსან**-ი [შანიძე 1953, 125; შანიძე 1976, 52].

ქართულ **-ან** სუფიქსს ზანურში მოეპოვება კანონზომიერი შესატყვისი **-ონ**-ის სახით, რომელიც გამოიყენება:

ა) რაიმეს მქონებლობის გადმოსაცემად: ჭან. გურ-**ონ**-ი „გულიანი“, კიბირ-**ონ**-ი „კბილიანი“, თოლ-**ონ**-ი „თვალიანი“, შექერ-**ონ**-ი „შაქრიანი“, ქომჯ-**ონ**-ი „ქმრიანი“, შურ-**ონ**-ი „სუნიანი“, ყუჯ-**ონ**-ი „ყურიანი“... [მარი 1910, 73 და ლექსიკონი; ყიფშიძე 1911, ლექსიკონი; ჩიქობავა 1926, 305].

ბ) ნაზმნარ სახელებში: ჭან. ჭარ-**ონ**-ი „მწერალი“, ოშუმ-**ონ**-ი „დასალევი“ [მარი 1910, 73; კიზირია 1967, 72].

გ) ზანურში მცენარეთა სახელებისაგან აწარმოებს სათანადო ტყის („მცენარეთა კრებულის“) სახელს: მეგრ. წიფურ-**ონ**-ი || წიფურ-**ონ**-ა „წიფლნარი“, თხომულ-**ონ**-ი || თხომულ-**ონ**-ა „თხმელნარი“, ჭუბურ-**ონ**-ი || ჭუბურ-**ონ**-ა „წაბლნარი“, ნეძ-**ონ**-ი || ნეძ-**ონ**-ა „კაკლნარი“, ჩამქვ-**ონ**-ი || ჩამქვ-**ონ**-ა || ჩამქვ-**ონ**-ია „ძელქვნარი“... ჭან. ბინეხ-**ონ**-ა „ზვარი“, ბულ-**ონ**-ი „ბალნარი“, თხირ-**ონ**-ა || თხი-**ონ**-ა „თხილნარი“, ლიმხ-**ონ**-ა „გვიმრნარი“... [ჩიქობავა 1926, 306-307].

სვანურ და ლეჩხუმურ გვარებში დადასტურებული **-ან**||**-ია**ნ-იც მასალობრივ იმავე ქართულ **-ან**-ს უკავშირდება: ქალდ-**ან**-ი, ფანგ-**ან**-ი, გაბულდ-**ან**-ი, ყიფ-**ია**ნ-ი, ჭურდ-**ია**ნ-ი, დადეშქელ-**ია**ნ-ი, გელოვ-**ან**-ი, რატ-**ია**ნ-ი, ჩარკვ-**ია**ნ-ი, ასათ-**ია**ნ-ი, ჟორჟოლ-**ია**ნ-ი... [ჯანაშია 1959, 35-36]; ქართულ ბაგრატო**ვან**-ბაგრატუნი**ან**-შიც ეგევე **-ან** უნდა გვქონდეს [ჯანაშია 1959, 36]; ს. ჯანაშიას აზრით, მეგრული გვარების **-ია** დაბოლოება **-ია**ნ-იდან მოდის: კუც-**ია** < *კუც-**ია**ნ, ჩხეტ-**ია** < *ჩხეტ-**ია**ნ, გაბელ-**ია** < *გაბელ-**ია**ნ; ასევე, **-ვა** < *-**ვა**ნ: ფალავა < *ფალავ-**ან**, გალდავა < *გალდავ-**ან**... [ჯანაშია 1959, 40-41].[67]

ქართულში ქონებისა და მსგავსების მაწარმოებლად **-ა** სუფიქსი გამოიყენება: წვერ-**ა** „წვერიანი“, ცალთვალ-**ა**, შავთვალ-**ა**, ფეხშიშველ-**ა**, სამფეხ-**ა**, ცხრაფეხ-**ა**, ასფურცელ-**ა**,

[67] ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, გვარის *-**ან**-ის ქართულიდან სესხებაზე უნდა ვილაპარაკოთ, რადგან შესატყვისობა არა გვაქვს.

თორმეტგოჯ-ა, ენაჭარტალ-ა, შინდ-ა, ღვინ-ა, ქერ-ა, სვილ-ა, მაყვალ-ა (ქალ. სახ.), წითელ-ა, ლურჯ-ა... [შანიძე 1953, 197]; ეს -ა შესაძლოა ქონების საერთო-ქართველურ -**ან**-ს უკავშირდებოდეს (*-**ან** > -ა?).

საერთო-ქართველური -**ან**-ისა და საერთო აფხაზურ-ადიღური -ა-ს ფაქტობრივი ფუნქციური ერთობის პირობებში მათი მასალობრივი კაშვირიც ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია: *-**ან** ქართველურმა შემოინახა, ჩერქეზულში კი -ა-ში გადავიდა (-**ნ**-ს დაკარგვით).

ქართ. **ა** — ჩერქ. **ა** მიმართების კონტექსტში შეიძლება გავიხსენოთ საერთო-ქართველური კითხვითობის გამომხატველი -ა ფორმანტი, რომელიც „გენეტურ კავშირშია ჩერქეზულ -ა სუფიქსთან, რომელიც იმავე ფუნქციას ასრულებს როგორც სახელთან, ისე ზმნასთან“ [ჯანაშია 1959, 10].

§ 3. ჩერქეზულ პირის ნაცვალსახელთა სუფიქსური ელემენტისათვის

ჩერქეზული პირის ნაცვალსახელები წარმოადგენენ ღია მარცვლის ტიპის ფუძეებს, რომლებიც სახელობითი და ერგატიული ბრუნვების ფორმათათვის გაუდიფერენცირებელ (ნულ-სუფიქსიან) ფორმებს გვიჩვენებენ: **სა** „მე“, **შა** „შენ“, ადიღ. **თა** / ყაბ. **და** „ჩვენ“, ადიღ. **ს'ა** / ყაბ. **ფა** „თქვენ“ (მესამე პირის ნაცვალსახელი ამ ენებს არ მოეპოვება: მის ფუნქციას ჩვენებითი ნაცვალსახელები ასრულებენ).

ვარაუდობენ, რომ ჩერქეზულ ენათა პირის ნაცვალსახელებს სუფიქსური ელემენტიც უნდა ჰქონოდა, რომელსაც მაინტენსივებელ ნაწილაკს [Dumézil 1932, 106] და დეტერმინანტ-სუფიქსს [Рогава 1956, 108-109] უწოდებენ; ეს სუფიქსი აღდგება (გამოჩნდება) რიგ ფორმათა წარმოებისას:

ა) მოქმედებითი ბრუნვის ფორმაში: ადიღ. **სარგ-ჭა** || **სარ-ჭა** || შაფს. **სარ-გ˝ა** / ყაბ. **სარ-ჭა** „ჩემით“, ადიღ. **შა რგ-ჭა** || **შარ-ჭა** || შაფს. **შარ-გ˝ა** / ყაბ. **შარ-ჭა** „შენით“, ადიღ. **თარგ-ჭა** || **თარ-ჭა** || შაფს. **თარ-გ˝ა** || ბჟედ. **თ᾽არ-ჭა** / ყაბ. **დარ-ჭა** „ჩვენით“, ადიღ. **ს᾽°არგ-ჭა** || **ს᾽°არ-ჭა** || შაფს. **ს᾽°არ-გ˝ა** / ყაბ. **ფარ-ჭა** „თქვენით“;

ბ) გარდაქცევითი ბრუნვის ფორმაში: ადიღ. **სარ-აშ** / ყაბ. **სარ-შა** „ჩემად“, ადიღ. **შარ-აშ** / ყაბ. **შარ-შა** „შენად“, ადიღ. **თარ-აშ** || ბჟედ. **თ᾽არ-აშ** || ყაბ. **დარ-შა** „ჩვენით“, ადიღ. **ს᾽°არ-აშ** / ყაბ. **ფარ-შა**;

გ) კავშირის **-რა** ნაწილაკის წინ: **სარგ-რა შარგ-რა** „მე და შენ“ (ზედმიწ. „მეც შენც“), ადიღ. **თარგ-რა ს᾽°არგ-რა** / ყაბ. **დარგ-რა ფარგ-რა** „ჩვენ და თქვენ“ (ზედმიწ. „ჩვენც თქვენც“);

დ) კავშირის **-ჲგ** ნაწილაკის წინ: **სარ-ჲგ შარ-ჲგ** „მე და შენ“, ადიღ. **თარ-ჲგ ს᾽°არ-ჲგ** / ყაბ. **დარ-ჲგ ფარ-ჲგ** „ჩვენ და თქვენ“;[68]

ე) **-ჲგჭ** „ც“ ნაწილაკის წინ: ყაბ. **სარ-ჲგჭ** „მეც“, **შა რ-ჲგჭ** „შენც“, **დარ-ჲგჭ** „ჩვენც“, **ფარ-ჲგჭ** „თქვენც“;

ვ) პირის ნაცვალსახელისაგან უკუქცევითი ნაცვალსახელის წარმოებისას: ადიღ. **სარ-სარაშ** / ყაბ. **სარ-სარშა** „მე თვითონ“, **შარ-შარაშ** / **შარ-შარშა** „შენ თვითონ“, **თარ-თარაშ** / **დარ-დარშა** „ჩვენ თვითონ“, **ს᾽°არ-ს᾽°არაშ** / **ფარ-ფარშაჲ** „თქვენ თვითონ“ [Яковлев, Ашхамаф 1941, 287-288; Яковлев 1948, 67; Рогава, Керашева 1966, 84-85; Кумахов 1964, 201...].

---

[68] **-რა** და **-ჲგ** სინონიმური სუფიქსებია.

პირის ნაცვალსახელთაგან ნაწარმოებ აღნიშნულ ფორმებში წარმოდგენილი დეტერმინანტი-სუფიქსის ორი — გახმოვნებული **-რგ** და გაუხმოვნებელი **-რ**, ვარიანტებიდან ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ **-რგ** [Рогава 1956, 108-109], რომელსაც შესატყვისები მოეპოვება აფხაზურ-აბაზურ და უბიხურ ენებში **-რა**-სა და **-ღ°ა**-ს სახით:

აფხაზურ-აბაზური	უბიხური
სარა „მე“	**სგღ°ა**
ჳარა (მამ.), **ბარა** (ქალ.) „შენ“	**ჳგღ°ა**
დარა (მამ., ნივ.), **ლარა** (ქალ.) „ის“	—[69]
ჰარა „ჩვენ“	**შგღ°ა**
დარა „ისინი“	—

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირის ნაცვალსახელთა აფხაზურ-ადიღური სუფიქსები — აფხ. **-რა**, ჩერქ. **-რგ** და უბიხ. **-ღ°ა** საერთო წარმოშობისაა; მათ თანხმოვნით ელემენტებს შორის გვაქვს შესატყვისობა აფხ. **რ** : ჩერქ. **რ** : უბიხ. **ღ(ღ°)**, რომელიც სხვაგანაც დასტურდება: აფხაზურში არის მრავლობითი რიცხვის III პირის პრეფიქსი **რ-**, ჩერქეზულში (შაფს.) — III პირის ნიშანი **რა-**, უბიხურში — III პირის ნიშანი და კუთვნილებითი პრეფიქსი **ღ(გ)-** [Dumézil 1932, 171-172, 198; ლომთათიძე 1958, 623-625; Ломтатидзе 1960, 8-9].

ზემოხსენებულ შესატყვისობასთან გათანაბრებულია შესატყვისობა აფხ. **რ** : ჩერქ. **ღ** : უბიხ. **ღ**, რომელიც გვაქვს რამდენსამე შემთხვევაში:

[69] უბიხურს, ჩერქეზულ ენათა მსგავსად, III პირის ნაცვალსახელი არ გააჩნია.

აფხაზური	ჩერქეზული	უბიხური
амра	тӷлъ	а(н)дла „мзе“
-ра	**-ла**	— (განყ. ცნების მაწარმოებელი)
р-	**лъ-**	**ла-** კაუზატივის აფიქსი
аг°ара	—	**аг°ала** „ღობე, ქართა“

[Trubetzkoy 1930, 82; Dumézil 1932, 198; Рогава 1956, 4-6; ლომთათიძე 1958, 623-624].

ერთი რამ არის გასარკვევი: რატომ აქვს უბიხურს აფხაზური და ჩერქეზული არალაბიალიზებული ფორმების (**р, л**) შესატყვისად პირის ნაცვალსახელებში ლაბიალიზებული **л°**, ხოლო სხვა შემთხვევაში — არალაბიალიზებული **л**? ამ საკითხის ერთ-ერთი შესაძლო (ვფიქრობთ, სარწმუნო) გადაწყვეტა ასეთია: ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ უბიხურში (ისევე, როგორც აფხაზურ-აბაზურსა და ჩერქეზულ ენებში) მხოლობითი რიცხვის II პირის ნაცვალსახელის ძირისეული თანხმოვანი ლაბიალური ბგერაა (**шӷл°а** „შენ“), ხოლო მრავლობითი რიცხვის II პირის ნაცვალსახელის ძირისეული ელემენტი — ლაბიალიზებული თანხმოვანი (**ҽ°ӷлъ** „თქვენ“); ჩვენი აზრით, **პირის ნაცვალსახელთა სუფიქსი უბიხურში თავდაპირველად -ла უნდა ყოფილიყო, რომლისგანაც შემდეგ მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელთა ძირისეულ ელემენტებთან (ш და ҽ°) პროგრესული ასიმილაციით მივიღეთ -л°а, ე. ი. *шӷла > шӷл°а**[70] **და**

[70] მართალია, უბიხურ ენაში დადასტურებულია დელაბიალიზაციის ბევრი შემთხვევა, მაგრამ პირის ნაცვალსახელებში მომხდარი „ასიმილაციური ლაბიალიზაცია“ დელაბიალიზაციის პროცესზე ძველი უნდა იყოს, თანაც აქ დელაბიალიზაციის „შემაკავებელი“ ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ (პირის ნაცვალსახელთა ძირისეული **ш**, **ҽ°** და, შესაძლოა, **ш** ელემენტის სახით).

***ს˝გღა > ს˝გღ˚ა, მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვის I პირის ნაცვალსახელებში კი -ღ˚ა ანალოგიით გავრცელდა.**

უბიხური პირის ნაცვალსახელთა ამოსავალი სახეობა (**-ღა**), როგორც ჩანს, შემოგვენახა ადგილის ზმნისართებში. **ლგღა** „აქ“ და **ნგღა** „იქ“.

მეორე ძირითადი საკითხი, რაც აფხაზურ-ადიღურ პირის ნაცვალსახელთა სუფიქსურ ელემენტთა შედარებისას დგას, არის აქ არსებული შესატყვისობისათვის — აფხ. **რ** : ჩერქ. **რ** : უბიხ. ***ღ** — ამოსავალი ვითარების საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნულ შესატყვისობაში უფრო ძველი ვითარება უბიხურ ენას დაუცავს, ხოლო საბოლოო ანგარიშში ამოსავალია ლარინგალური (თუ ფარინგალური) მჟღერი სპირანტი [ლომთათიძე 1958, 624-625; Ломтатидзе 1960, 9]. ამ თვალსაზრისს გარკვეული წინააღმდეგობა ახლავს: თუ დავუშვებთ, რომ ამოსავალია ლარინგალური (თუ ფარინგალური) სპირანტი, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ რატომ არ შეინარჩუნა ის ტაპანთურმა დიალექტმა, რომელსაც აღნიშნული სპირანტი (ლარინგალურიცა და ფარინგალურიც) მოეპოვება ფონეტიკურ სისტემაში (ყველა აფხაზურ-აბაზური დიალექტი პირის ნაცვალსახელის სუფიქსურ ელემენტად **-რა**-ს გვიჩვენებს).

ჩვენი აზრით, შესაძლებელია საკითხის სხვაგვარად დასმაც: **შეიძლება აღნიშნული შესატყვისობისათვის ამოსავალი იყოს რ** (ე. ი. აფხაზურ-აბაზური და ჩერქეზული ენების ვითარება), **რომლისგანაც შემდეგ უბიხურში მივიღეთ *ღ** (→ **ღ˚**). იმ პირობებში, როდესაც საერთო აფხაზურ-ადიღურ დონეზე **რ** ფონემის არსებობას ვვარაუდობთ და არა გვაქვს მასალობრივ საერთო აფხაზურ-ადიღური სიტყვები, რომლებშიც სამივე ერთეული — აფხაზურ-აბაზური, ჩერქეზული და უბიხური **რ**-ს წარმო-

გვიდგენს, შესატყვისობა აფხ. **ʀ** : ჩერქ. **ʀ** : უბიხ. **ღ** (ჯერ-ჯერობით მაინც) რჩება ერთადერთად, რომელიც ამოსავალ ვითარებაში **ʀ**-ს აღგვადგენინებს.

§ 4. რამდენიმე ეტიმოლოგიური ძიება

ა) წ ყ ა რ ო

„**წყარო**“ ძირძველი ქართული სიტყვაა, ძველ ქართულშივე საკმაოდ გავრცელებული:

„განჴმა **წყაროჲ** იგი“

„ეძიებნ **წყაროსა** წყალთასა“

„რომლისა საუნჯენი, ვითარცა **წყარონი**, უხვად აღმოსცენდეს“

„ვინ სცეს... თუალთა ჩემთა **წყაროჲ** ცრემლისაჲ“

„დასცხრა **წყაროჲ** იგი სისხლისა მისისაჲ“

„იყო ვინმე დედაკაცი **წყაროჲთა** სისხლისაჲთა“ [აბულაძე 1973, 553].

სულხან-საბა ორბელიანი **წყალ**-ს რომ განმარტავს, აღნიშნავს: „**წყალი** ეწოდების ზღვათა, ტბათა, წყაროთა, ჯურღმულთა, წვიმათა და თოვლთა ნადნობთა“ [სულხან-საბა 1966, 390].

წყარო კი საბას მიერ ასეა განმარტებული: „ზღვათა და მდინარეთაგან განვლიან სოროთა ქვეყანისათა და ზღვისა სიმწარესა ქვეყანა დასწურავს და ვითარცა ადგილთა განვლიან წყარონი, კეთილთა ანუ ცუდთა, ეგევითარნი იდინებიან გემოთა...“ შემდეგ ჩამოთვლილია **წყაროს** სახეები: ფშა, ჯურღმული, ჴევი, მდინარე, დანჩქერი, ჩანჩქერი, გოჩ-გოჩანა, ლუბრმა, მონიო, მორევი, ზვირთი, ჭავლი, ფონი, ზღვა, სრუტე, ტბა, ტბორე... [სულხან-საბა 1966, 391-392]. აქ **წყაროც** ზოგადი მნიშვნელობის მქონედ წარმოგვიდგება და **წყლის** სემანტიკას უახლოვდება.

ნიკო ჩუბინაშვილი აღნიშნავს: „**წყარო** მიწით ანუ

კლდით გამომდინარე წყალი“ [ჩუბინაშვილი 1961, 456].

ილია აბულაძის ლექსიკონში ასეთი განმარტება გვაქვს: „**წყარო** აღმომადინებელი თვალი / ადგილი წყლისა“ [აბულაძე 1976, 553].

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ნათქვამია: „**წყარო**... 1. მიწისქვეშა წყლის ნაკადი, ამოხეთქილი ზედაპირზე; მიწიდან ან კლდიდან გამომდინარე წყალი...“ [ქეგლ VIII 1964, 1205].

ამგვარად, ზემოთქმულის მიხედვით ირკვევა, რომ **წყარო**-ს არსებითი ხასიათის სემანტიკური ცვლილება ახალ ქართულში ძველ ქართულთან შედარებით არ მოსვლია.

წყარო სიტყვის არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ მატერიალური კავშირიც **წყალ** სიტყვასთან იმდენად აშკარაა, რომ, ბუნებრივია, ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვაობა არა გვაქვს.

ნ. მარის აზრით, ქართული **წყალ**- ფუძე ნასესხებია მეგრულ-ჭანურში **წყარ**-ის სახით — **ლ**-ს **რ**-ში გადასვლით [Марр 1909, 0156].

არნ. ჩიქობავაც ზანურ **წყარ**-ს ქართულიდან შეთვისებულად მიიჩნევს და ქართული **წყალ**- ფუძის შესატყვისად ზანურ **ჭორ**-ს (მეგრ. **ჭოროფა** „წვიმიანი ამინდი, ავდარი“) მიიჩნევს [ჩიქობავა 1938, 182; მისივე 1942, 20].

გ. როგავას აზრით, შესატყვისობა ქართ. **ლ** : ზან. **ლ** გვაქვს ხმოვნების შემდეგ, ქართ. **ლ** : ზან. **რ** კი მაშინ, როდესაც ზანურის შესაბამისი ქართული ფუძე შეკუმშულია [როგავა 1959, 6].

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის წიგნში ქართულ-მეგრულ-ჭანურ შესატყვისებზე მსჯელობისას ნათქვამია: **ა**-ს შემდეგ ქართულ **ლ**-ს მეგრულ-ჭანურში ეგევე **ლ** შეესატყვისებაო (მაგ., ქართ. **მამალი** : ზან. **მუმული**). გამონაკლისად დასახელებულია ქართ. **ტყემალი** : მეგრ. **ცომური**. ერთი შეხედვით, ამავე რიგისა ჩანს ქართ. **წყალი** : მეგრ. **წყარი**; ამ შემთხვევაში ქართული **ლ**-ს შესატყვი-

სად ზანური **რ**-ს გვიჩვენებს; მეგრულ **წყარ**-ში **რ** ქართული **წყარო** სიტყვის გავლენით არის მიღებული [გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 74, 76-77]. გ. კლიმოვი **წყალ**-სა და მის მეგრულ-ჭანურ შესატყვისებს ძნელად ასახსნელ ფუძეებად მიიჩნევს. ხმოვნები რომ ერთნაირი გვაქვს, ეს გვავარაუდებინებს მომდევნო სონორის მეორეულობას ან ამ ფუძის ზანურის მიერ ქართულიდან შეთვისებასაო. ავტორი მეორე თვალსაზრისს უარყოფს იმ მოტივით, რომ ეს იქნებოდა უიშვიათესი შემთხვევა ერთი ენის მიერ მეორე ენიდან ასეთი მნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულის სესხებისაო [Климов 1964, 159-160].[71] სიტყვა **წყარო**-სთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი დგას; პირველია მისი ფონემური შედგენილობის საკითხი. **ო**-ს შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არა გვაქვს: ის სუფიქსია.

რაც შეეხება **წყალ**- სიტყვის შეთვისებას მეგრულ-ჭანურის მიერ **წყარ**-ის სახით, ავტორთა მეტი წილი იზიარებს (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი...), თუმცა სხვადასხვაგვარი დასაბუთებით და ნიუანსებით... ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ ყველაზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხმოვნები შესატყვისობას არ გვიჩვენებს (გვაქვს ქართ. **ა** — ზან. **ა**, შდრ. რეგულარული შესატყვისობა ქართ. **ა** : ზან. **ო**).

ვფიქრობთ, მისაღებია მოსაზრება, რომ მეგრულ **რ**-ს ამ შემთხვევაში ქართულსავე **წყარო**-ში წარმოდგენილი **რ** უდევს საფუძვლად.

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი საკითხი დარჩა გაურკვეველი — რატომ გვაქვს ქართულშივე **რ/ლ** მონაცვლეობა: წყალ-ი — წყარ-ო. სხვა შემთხვევა ასეთი (ფონეტიკურად შეუპირობებელი) მონაცვლეობისა თითქოს არ

[71] თუმცა ამავე ავტორს სხვა შემთხვევაში ქართული რიცხვითი სახელი **ოთხი** (სემანტიკური სხვაობის მიუხედავად) ინდო-ევროპული ენებიდან (okto „რვა") შეთვისებულად მიაჩნია [Климов 1977ბ, 162-163].

დასტურდება...

ქვემოთ წარმოვადგენთ **წყარო** სიტყვის ჩვენეულ ანალიზს.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ **-ო** სუფიქსური ელემენტია. ვფიქრობთ, აქ სუფიქსია **-არ**-იც, მაგრამ ეს არაა **წყალ**-ში წარმოდგენილი **-ალ**-ის ვარიანტი, არამედ სხვა სუფიქსია...

წყარო მიღებული ჩანს შემდეგნაირად: **წყალ-** ფუძეს დაერთო **-არ** სუფიქსი, რომელიც წარმომავლობას, მჭონებლობას გამოხატავდა (შდრ. ჯაგ-ი — ჯაგ-**არ**-ი, ვით — ვით-**არ**-ი...).

ეს **-არ** იგივე სუფიქსი უნდა იყოს, რაც გვაქვს რთული შედგენილობის **-ნარ** სუფიქსსა (შდრ. მუხ-**ნარ**-ი, კოპიტ-**ნარ**-ი, თხილ-**ნარ**-ი, ბუკ-**ნარ**-ი, ნაძვ-**ნარ**-ი, ფიჭვ-**ნარ**-ი) [ჩიქობავა 1926, 309] და **-იერ/-იარ** სუფიქსში (შდრ. ღონ-**იერ**-ი / დიალ. ღონ-**იარ**-ი, გონ-**იერ**-ი / გონ-**იარ**-ი, ნიჭ-**იერ**-ი / ნიჭ-**იარ**-ი, ხნ-**იერ**-ი / ხნ-**იარ**-ი) [შანიძე 1973, 123-123].

ეგევე სუფიქსი პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების დროსაც არის გამოყენებული: **ნა — არ, სა — არ, მ — არ** (ნა-ჭალაჭ-**არ**-ი, ნა-სომხ-**არ**-ი, ნა-ფეტვ-**არ**-ი... სა-ბუდ-**არ**-ი, სა-წინდ-**არ**-ი, საჩივ-**არ**-ი... მ-ტბევ-**არ**-ი, მ-წევ-**არ**-ი, მ-თავ-**არ**-ი...) [შანიძე 1953, 134-135].

-არ სუფიქსის დართვამ, ბუნებრივია, **წყალ-** ფუძის შეკუმშვა გამოიწვია: *წყალ-**არ**- > *წყლ-**არ**- (შდრ. **წყალ**-ი, **წყლ**-იან-ი, **წყლ**-ისა... **წყალ** ფუძიდანვეა მიღებული **წყლ**-ულ-ი). შემდეგ (იქნებ, **ო**-ზე დაბოლოებული სხვა სახელების — ჩრდილ-**ო**, ახლ-**ო**, ღვინ-**ო**, ფართ-**ო**..., ანალოგიით) დაერთო **-ო** სუფიქსი, ხოლო **ლ** დაიკარგა: ***წყლ-არ**- > ***წყლ-არ-ო** > **წყარო**.

წყარო-ს ამოსავალი სემანტიკა უნდა ყოფილიყო „წყლიანი ადგილი, წყლის შემცველი ადგილი, წყლები...“

თუ ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობას მივიღებთ, მაშინ მოიხსენება ის დაბრკოლება, რასაც ქართული **წყალ-** ფუძის ქართულისავე **წყარ-** (**წყარო**) ფუძესთან დაკავშირება

ქმნიდა **ლ—რ** მიმართების თვალსაზრისით.

შეიძლება სხვაგვარი ვარაუდის დაშვებაც: წყლის აღმნიშვნელ **წყ** ძირზე **-ალ** და **-არ** სუფიქსები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაერთო და მივიღეთ, ერთი მხრივ, წყ-**ალ**-, მეორე მხრივ — წყ-**არ**- (წყ-**არ**-ო). ეს მოსაზრება დამატებით დასაბუთებას საჭიროებს.

ქართული **წყარ**- ფუძის შესატყვისი ჩანს მეგრული **წყორ**-, რომელიც ზმნურ ფუძეშია დადასტურებული „განელების“ მნიშვნელობით (**წყორუნს** „ანელებს ცხელ წყალს ცივით“).

ბ) ჩ ე ო

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ **ჩეო** ასეა განმარტებული: „**ჩეო** ცუდი მოაბა Z. ცუდი **მუაბა** AB. მუაბა (+ ცუდი გაუთლელი (B)“ [სულხან-საბა 1966, 317]. **მუაბა** საბასთვის გვარეობრივი ცნებაა, **ჩეო** — სახეობრივი: „**მუაბა** არაბთა ენათა არს, ხოლო ქართულად საჴმარქმნილი მუაბად გარდაუცვალებიათ, ხისაგან სნეულთ მჴრით სატარებლად შემზადებულსა ეწოდების ს ა ქ უ მ ე ლ ი, ხოლო ანაზდად ცუდად შემზადებულსა — ჩ ე ო ...“ [სულხან-საბა 1965, 317].

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ნათქვამია: „**ჩეო** (ჩეოსი) 1. ჯინი, ჯალამბარი... 2. კუთხ. (ლეჩხ.) მომცრო ძარი (სიმინდის საფშვნელად) ან — ურემზე დაკრული — ქვის, ნაკელის და ა. შ. საზიდად, — ჩელტი (მნიშვ. 4)“ [ქეგლ VIII 1964, 491]. **ჩელტ**-ის მე-4 მნიშვნელობა კი ასეთია: „**ჩელტი** (ჩელტისა)... 4. კუთხ. (რაჭ.) წნელისაგან მოწნული ნაპირშემაღლებული ჭურჭელი რისამე გადასაზიდად (იდგმება ურემზე)“ [ქეგლ VIII 1964, 485].

ყველა ზემოაღნიშნულ განმარტებაში ერთი რამ საერთოა: **ჩეო**-ზე როცაა ლაპარაკი, ყველგან იგულისხმება ხის ნაწილების (წნელის, ტოტების, ძელაკების...) შეკვრით, დაწვნით მიღებული საგანი — საკაცე, ძარი, ჯალამბარი...

ჩეო სიტყვასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას

უპირველეს ყოვლისა იქცევს მისი ფონემური შედგენილობა, კერძოდ — სიტყვის ბოლოს ხმოვანთა მიმდევრობა **ეო**. როგორც ცნობილია, ერთი მორფემის ფარგლებში სიტყვების ბოლოკიდურად ხმოვანთა მიმდევრობა — საზოგადოდ, კერძოდ კი — **ეო** არ არის დამახასიათებელი ქართულისათვის: თუ ასეთი გვაქვს, ან მორფემათა საზღვარი უნდა ვივარაუდოთ, ან სიტყვის ნასესხობა [უთურგაიძე 1976, 31-32].

ზანურში ეს სიტყვა არ არის დადასტურებული.

ქართული **ჩეო**-ს შესატყვისად სვანურში გვხვდება: ბზ. ლნტ. **ჩაშ**, ბქ. **ჩაშ**, ლშხ. **ჩეშ**, რომელსაც ასევე „წნული ძარის, ჯალამბარის“ მნიშვნელობა აქვს.

ქართველურ ენათა შორის არსებული, ცნობილი ბგერათშესატყვისობის შესაბამისად, საკუთარ მასალაში ქართული **ჩ**-ს ადგილას სვანურში **შგ** უნდა გვქონოდა (მაგ., ქართ. **ჩემი** — სვან. მი**შგუ**), მაგრამ აღნიშნულ სიტყვაში ორსავე ენაში **ჩ** გვაქვს, ე. ი. კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა დარღვეულია.

ქართული **ჩეო** სიტყვის უჩვეულო ფონემური შედგენილობა და სათანადო სვანურ სიტყვასთან არაკანონზომიერი ფონეტიკური მიმართება გვაფიქრებინებს, რომ ის საერთოქართველური მონაცემი არ უნდა იყოს; ქართველურ ენათა მასალის საფუძველზე ამ სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა, როგორც ჩანს, ვერ ხერხდება...

ამ კონტექსტში ყურადღებას იქცევს ჩერქეზული სიტყვა **ჩაშგ** < **ჭ'აშგ** < ***ჭაშგ** (გარდამავალი ვარიანტი ადიღეური ენის შაფსუღურ დიალექტში დასტურდება **ჭ'აშგ**-ს სახით); მას ნათელი ეტიმოლოგია აქვს: **ჩგ** < **ჭ'გ** < ***ჭგ** „წნელი“ + სუფიქსი **-შგ** „-იანი“, ე. ი. ზედმიწ. „წნელიანი“ (შდრ. ანალოგიური წარმოება: ადიღ.-ყაბ. **ფსა-შგ** „ცოცხალი“ — **ფსგ** „სული“ + **-შგ** „-იანი“, ადიღ. **ფჟაშგ** / ყაბ. **პყა-შგ** „ბოძი“ — **ფჟგ/პყგ** „ტანი“ + **-შგ**...).[Рогава 1956, 73, 87; Кумахов 1964, 126]. **ჩგ**- კომპოზიტების შემადგენ-

ლობაში გვხვდება: ადიღ. **ჩგჲგფხ** „წნული კარი“, **ჩგმათჳ** „დაწნული კალათა“...

ჩვენი ვარაუდით, ქართული **ჩეო** და სვანური **ჩჳუ || ჩაუ || ჩეუ** ჩერქეზული ენებიდან უნდა იყოს შეთვისებული.

სემანტიკური სხვაობა ქართველურ და სათანადო ჩერქეზულ სიტყვას შორის დიდი არაა.

ფონეტიკურადაც ადიღ. **ჩჳუგ**, ქართ. **ჩეო** და სვან. **ჩჳუ || ჩაუ || ჩეუ** ახლოა: **ჩ**-ს საკითხი მარტივია; ხოლო ჩერქეზულ საშუალო აწეულობის **ჳ** ხმოვანს, რომელიც აკუსტიკურად დაახლოებით ქართულ **ა**-სა და **ე**-ს შორისაა, მსესხებელ ენაში **ა**-ც შეეძლო მოეცა, **ე**-ც და უმლაუტიანი **ჳ**-ც; ჩერქეზული **უგ**- დიფთონგია, რომელიც შეიძლებოდა გადმოსულიყო როგორც **უ**-ს, ისე **ო**-ს სახითაც.

სვანური უმლაუტიანი ვარიანტი, მ. ქალდანის აზრით, უკანა მიმართულების უმლაუტის შედეგია: **ჩჳუ** < **ჩეუ** (ე. ი. ამოსავალია **ე**, რომელმაც მომდევნო **უ**-ს ზემოქმედებით უმლაუტიანი **ჳ** მოგვცა); **ჩეუ**-სათვის კი ამოსავალია ქართული **ჩეო**, რომელმაც ქართულიდან შეთვისებისას **ჩეუ** მოგვცა [ქალდანი 1969, 72].

შესაძლებელია ეს სიტყვა ჯერ სვანურს ესესხა ჩერქეზული სამყაროდან; ამ მოსაზრებას მხარს დაუჭერდა ის გარემოება, რომ ამჟამად ქართული ენის დიალექტთაგან **ჩეო** დადასტურებულია მხოლოდ სვანურის მოსაზღვრე ლეჩხუმურ დიალექტში. შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ ორსავე ენაში აღნიშნული სიტყვა დამოუკიდებლად იყოს შეთვისებული. საკითხს დამატებით კვლევა სჭირდება...

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული **ქავი** „ციხის გალავანი“ და სვანური **კაუ** „გალავანი“ (შესიტყვებაში **კაუიშ ყრარ** „გალავნის კარი“) დაკავშირებულია ჩერქეზულ **ქ̌აუგ** (> **ჩაუგ**) „ღობე“ სიტყვასთან და ზოგი იბერიულ-კავკასიური და სხვა ოჯახის ენათა სათანადო მასალასთან; ეს სიტყვა ყველგან ჩერქეზულიდან შეთვისებულად არის მი-

ჩნეული [Абаев 1958, 573-574; Шагиров 1977б, 128-129].

თუ აღნიშნული დაკავშირება სწორია, მაშინ ქართული **ქავი** (და სვანური **კაუ̈**) უნდა განვიხილოთ როგორც ქართველურ ენათა ჩერქეზულ ენებთან უფრო ძველი დამოკიდებულების შედეგი, ხოლო ჩვენ მიერ განხილული ქართული **ჩეო** და სვანური **ჩა̈უ̈ || ჩაუ̈ || ჩეუ̈** — როგორც შედარებით ახალი ნასესხობა (შდრ. ჩერქეზული ***ქ̌ა̈უ̈გ** > **ქ̌ა̈უ̈გ** > **ჩა̈უ̈გ**).

გ) კ ე დ ე ლ ი

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული **კედელ**-ის ფონეტიკურ შესატყვისად იმავე მნიშვნელობის ზანური **კიდალ-ა** (> **კიდა**) მიიჩნევა [ჩიქობავა 1938; შდრ. აგრეთვე, ფუტკარაძე 1989, 169-171, 154-156]. მასვე უკავშირდება ჭანური ზმნური **კოდ-** ძირი (**კოდუმს** „აშენებს“); არქეტიპად საერთო-ქართველურ დონეზე **კად**-ს აღადგენენ [გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 159].

ვფიქრობთ, ქართული **კედელ**-ის სრული ფონეტიკური შესატყვისია მეგრული **კადარ**-ი, რომლის მნიშვნელობაა „მზისკენ მიმართული ფერდობი (კალთა) მთისა“. თუ ეს დაკავშირება სწორია, მაშინ ქართული **კედელ**-ისა და მეგრული **კიდალა**-ს მიმართება სხვაგვარ ინტერპრეტაციას საჭიროებს (არ არის გამორიცხული, რომ სიტყვა ამ ფორმით მეგრულის მიერ ნასესხები იყოს).

დ) ბ ო კ ვ ე რ ი

ქართული **ბოკვერი** „გარეულ ცხოველთა (ლომის, ვეფხვის, დათვის...) ნაშიერის (ლეკვის)“ ზოგადი სახელია. ამ სიტყვას ივ. ჯავახიშვილი სვანურ **ფშ̈კუ̈ნა** (შრ. ფშ̈კუ̈ნ̈არ) „ლეკვი“ სიტყვას უკავშირებს, ხოლო თავად **ბოკვერ**-ში „სქეს-კატეგორიის“ ნიშნად **ბ**-ს გამოყოფს [ჯავახიშვილი 1937, 195-197].

ქართულ **ბოკვერ**-თან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ჩერქეზული (ადიღეური) სიტყვა **ბგკ̓გრ** „ხბო“.

ქართული **ბოკვერ**-ისა და ჩერქეზული **ბგკ̓გრ**-ის კავშირის ინტერპრეტაციის სამი ვარიანტი არსებობს:

1. ისინი საერთო წარმოშობისაა; ფუძისეული **-რ** ჩერქეზულმა სახელობითი ბრუნვის ნიშანს გაუთანაბრა, ამიტომ ის ბრუნებისას ჩამოშორდება (შდრ. ერგ. **ბგკ̓გ**-მ).

2. სიტყვა ქართულიდან არის შესული ჩერქეზულში ფუძისეული **რ**-ს გადააზრებით (ე. ი. სახელობითი ბრუნვის ნიშანთან გათანაბრებით).

3. ჩერქეზული **ბგკ̓გრ** სახელობითი ბრუნვის ნიშნითურთ შემოსულია ქართულში **ბოკვერ**-ის სახით (სათანადო ფონეტიკური ცვლილებებით).

თუ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ, ბუნებრივია, მეორე თვალსაზრისი იქნება მისაღები.

ე) გალობა

გალობა უძველესი ქართული სიტყვაა, რომელსაც თავისი ძირითადი მნიშვნელობა („მღერა“) დღემდე შენარჩუნებული აქვს. ამ სიტყვაში **გალ**- ძირი უნდა გამოიყოფოდეს (**-ობ** ძირს შეხორცებული თემატიკური სუფიქსი ჩანს), რომელიც უნდა უკავშირდებოდეს ზანურ **გორ**- „გინება“ ძირს. ამ ქართველური ძირისათვის ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს „ხმიანობა, ხმა“ [სხვაგვარი ანალიზისათვის იხ. ჩიქობავა 1938, 264].

ვ) ღიჯნა

ქართული **ღიჯნა** ასე განიმარტება: „1. უსწორ-მასწოროდ მოკბეჩა, ჭამა... 2. ბლაგვი იარაღით რისამე გაჭირვებით ჭრა, — ჯიჯგნა“ [ქეგლ VII 1962, 448]. ჩვენი აზრით, ამ სიტყვის შესატყვისი უნდა იყოს მისგან მნიშვნელობით მცირედ განსხვავებული მეგრული **ღანჯგუა** „უსწორმასწოროდ შეკრეჭა თმისა“. საერთოქართველურში სავარაუდოა

*ლეჯნა ფორმის არსებობა, რომლისგანაც ე → ი პროცესის შედეგად (ფუძის „დრეკა“) მივიღეთ ლიჯნა.

ამოსავალმა ლეჯნამ მეგრულში ცვლილება განიცადა: ე → ა ცნობილი შესატყვისობის შესაბამისად, ხოლო ამოსავალმა ჯ-მ მეგრულში კანონზომიერად მოგვცა ჯგ; ნ წინ გადმოჯდა (ე. ი. მოხდა მეგრულისათვის არაბუნებრივი ჯ + ნ კომპლექსის დაძლევა, სუპერაცია).

ამ პარაგრაფში წარმოდგენილი იყო ქართველურ ენათა რამდენიმე ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგია: ზოგი მათგანისა — პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში; ზოგ შემთხვევაში კი შემოთავაზებულია ახალი თვალსაზრისი სათანადო სიტყვის წარმომავლობის შესახებ. ანალიზის საგანი იყო როგორც საერთოქართველურად მიჩნეული ლექსიკა, ისე ნასესხები, კერძოდ, ჩერქეზულ ენებთან ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესო მასალა.

ზ) ჰირკუ

მეგრული **ჰირკუ** ზედსართავი სახელია და ნიშნავს „წვრილს“. იხმარება უმთავრესად ვაშლისა და მსხლის მიმართ: **ჰირკუ უშქური** „წვრილი ვაშლი“, **ჰირკუ სხული** „წვრილი მსხალი“.

რ. ერისთავის „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინურ“ ლექსიკონში გვხვდება **ჰიკუ**: „**ჰიკუსხული** — პანტა, ტყის მსხალი...“ [ერისთავი 1884]. ი. ყიფშიძე აღნიშნავს: „**ჰიკუ** იხ. სხული...“ რ. ერისთავზე მითითებით კი განმარტავს: „ჰიკუსხული — ტყის მსხალი...“ [ყიფშიძე 1914, ლექსიკონი].

მეგრული **ჰირკუ** || **ჰიკუ** „წვრილი“ სიტყვის შესატყვისი ფუძე ქართულსა და სვანურში არ ჩანს. ეს სიტყვა არც ჭანურ დიალექტში გვხვდება.

მეგრული **ჰირკუ**-ს ეტიმოლოგიზაცია ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე ვერ ხერხდება.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ადიღეურმა სიტყვამ

ჰ◦გრგკ°ᴦაˀ „მიწა-ვაშლა“, რომლის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი ყაბარდოულში არის **ს′ა́რგკ°ა**. ამ სიტყვაში წარმოდგენილი ბგერათშესატყვისობა ადიღ. **ჰ◦** : ყაბ. **ს′** სხვაგანაც დასტურდება (მაგ., ადიღ. **ჰ◦გცა́** : ყაბ. **ს′გცა́** „ცივი“); ამ ბგერათშესატყვისობისათვის ამოსავლად ითვლება ადიღეურის ვითარება, ე. ი. **ჰ◦** [როგავა 1944].

ადიღეურ **ჰ◦გრგკ°ა́** „მიწავაშლა“ სიტყვას ასეთი ეტიმოლოგია აქვს: **ჰ◦გრგკ°**[ა́] ზედმიწ. „მიწაში (მიწით) მიმავალი“ — **ჰ◦გ** „მიწა“, **რგ-** ზმნის (ინსტრუმენტალისის გამომხატველი) პრეფიქსული ელემენტი (= ქართ. „-ით“), **კ°ა́-** „სვლა, სიარული“ (შდრ. **ჰა́ფსა́რგკ°ა́** „ჯამბაზი, მუშაითი“, ზედმიწ. „თოკით მოსიარულე“: **ჰაფსა́** „თოკი“, **რგ-** — პრეფიქსი, **კ°ა́-** „სვლა, სიარული“; **ღ°ა́გ°გრგკ°ა́** „მგზავრი“, ზედმიწ. „გზით მოსიარულე“: **ღ°ა́გ°გ** „გზა“, **რგ-** პრეფ., **კ°ა́-** „სვლა, სიარული“...).

მეგრული **ჰირკუ** „წვრილი“ ჩვენ ჩერქეზული ენებიდან შეთვისებულად მიგვაჩნია ან უშუალოდ, ან — აფხაზურის მეშვეობით (შდრ. აფხ. **აჰგრკ°ა** „მიწავაშლა“, ჩერქეზულიდან შეთვისებული აფხაზურის მიერ). სემანტიკური გადასვლა „მიწავაშლა“ > „წვრილი ვაშლი“ > „წვრილი“ ადვილი შესაძლებელია.

ჰიკუ ვარიანტი **ჰირკუ**-სთან შედარებით მეორეული ჩანს: **ჰიკუ** < **ჰირკუ**. მართალია, მეგრულისათვის დამახასიათებელია თანხმოვნის წინ სონორების გაჩენა, მაგრამ არც დაკარგვაა უცხო (შდრ. ქართ. **ჯირკი** და მეგრ. **ჯიკი**, ქართ. **ხორბალი** და მეგრ. **ქობალი**).

თ) ნ ი რ გ ა

გ. როგავა მეგრული **ნირგა** „შეუხედავი, უშნო“[72] სიტყვას ასახელებს იმ ლექსემათა შორის, რომლებშიც შეიძლებოდა აფხაზურ-უბიხურ-ჩერქეზულიდან ნასესხები (საგნის უარყოფითი თვისების აღმნიშვნელი) სუფიქსი **-გა** გამოგვეყო, ერთი გარემოება რომ არ გვიშლიდეს ხელს: აღნიშნული სიტყვის ძირად სავარაუდო **ნირ-** ამჟამად ჩვენთვის ცნობილ სიტყვათა შემადგენლობაში არ მოგვეპოვებაო [როგავა 1942 გ, 627].

ვფიქრობთ, მეგრულ **ნირგა**-ში **გა**-ს გამოყოფის შემდეგ დარჩენილი ძირი **ნირ-** იგივე უნდა იყოს, რაც ქართული **ნირ**-ი „1. წესი, რიგი, გეზი, მსვლელობა... 2. ზნე, ჩვევა, ხასიათი“ [ქეგლ V, 1958, 1451]. ეს სიტყვა (შესაძლოა ქართულიდან ნასესხები) მეგრულსაც უნდა ჰქონოდა, რომლისგანაც შემდეგ **-გა** სუფიქსის მეშვეობით მივიღეთ უარყოფითი თვისების აღმნიშვნელი სიტყვა **ნირ-გა** „უნირო“ („წესის, ზნის, ხასიათის უქონელი“).

ი) ტ კ უ ტ კ უ ბ უ რ ო

სიტყვა **ტკუტკუბურო** არ ჩანს არსებულ მეგრულ დიალექტურ ლექსიკონებში. ეს სიტყვა მეგრულ დიალექტში გვხვდება მხოლოდ გარკვეულ შესიტყვებებში: **ტკუტკუბურო** სხაპუა „ფეხებშეტყუპებით გადახტომა“ (ასეთ ხტომაში ეჯიბრებიან ხოლმე ერთმანეთს ბავშვები), **ტკუტკუბურო** მეგამა „ფეხებშეტყუპებით დარტყმა“ და სხვ. **ტკუტკუბურო**[73] წარმოდგენილია არნ. ჩიქობავასთან როგორც **ყ → კ** ფონეტიკური პროცესის ნიმუში [ჩიქობავა 1936, 28].

ტკუტკუბურო რთული სიტყვაა რედუპლიკაციის შე-

---

[72] „უვიცი, ცბიერი“ [ყიფშიძე 1914, 289], „ხეპრე, გაუთლელი, სულელი“ [ჭარაია 1997, 103], „უკმეხი, უხეში“ [ელიავა 1997ო, 249].

[73] ო. ჭაჭაიას ლექსიკონში დაფიქსირებული აქვს **ტკუტკუბირი** „ტყუპი ფეხი, ფეხი ფეხზე მიდგმული“ [ჭაჭაია III, 34].

დეგად მიღებული: ***ტკუბ-ტკუბ**-ურ-ო > **ტკუტკუბურო** (მოსალოდნელი **ბტკ** კომპლექსი გამარტივებულია ბ-ს დაკარგვით). მეგრული **ტკუბი || ტყუბი || ტყუპი**[74] საერთოქართველურიდან მომდინარე სახელია — სათანადო მატერიალური პარალელებით მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში [ჯავახიშვილი 1937, 281-298, 397, 417-421; Климов 1964, 184; Шагиров 1977 a, 86-87]; **-ურ** თვისების აღმნიშვნელი სუფიქსია, **-ო** — ვითარებითი ბრუნვის ფორმანტი. მაშასადამე: **ტკუტკუბურო** < ***ტკუბტკუბურო** ზედმიწ. „ტყუპ-ტყუპურად“.

კ) ძ ი უ თ

ვითარებითი ზმნისართის **ძლივს** და **ძლივ** ფორმები პარალელურად იხმარება ძველსა და ახალ ქართულში (სალიტერატურო ნორმად პირველი მიიჩნევა).

ძლივ მიღებულია **ძალ** სახელისაგან არქაული **-ივ** მაწარმოებლის დართვით და ფუძის რედუქციით, ხოლო **ძლივ** ფორმაზე **-ს** სუფიქსის დართვამ მოგვცა **ძლივს** [შანიძე 1953, 76, 612].

უფრო არქაული **ძლივ** ფორმა საფუძვლად უდევს მეგრულ ვითარებით ზმნისართს **ძიუთ** „ძლივს“. სესხებისას სიტყვაში მეგრული ფონოტაქტიკის შესაბამისი ცვლილებები მომხდარა: **ძლ** → **ძ** (არაბუნებრივი კომპლექსის — ჩქამიერი + სონორი — სუპერაცია), მეგრული ვითარებითი ბრუნვის **-თ**-ს დართვის შემდეგ **ვ** → **უ** (**ივთ** → **იუთ**). მთლიანად, ქართულიდან ნასესხები სიტყვის ფონეტიკური ადაპტაციის სურათი მეგრულში ასეთია: ***ძლივთ** → **ძიუთ**.

---

[74] სიტყვის ეს ფონეტიკური ვარიანტები დაფიქსირებულია მეგრული დიალექტის ლექსიკონებში [Кипшидзе 1914, 329, 332; ჭარაია 1997, 130; ელიავა 1997, 298, 301]. **კ/უ** მონაცვლეობა ზანურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენაა.

ლ) კოჯ

სვანურ **კოჯ** „კლდე“ სიტყვას თ. გონიაშვილი ტოპონიმ **კოჯორ**-ს უკავშირებდა, და ეს ტოპონიმი სვანურად მიაჩნდა [გონიაშვილი 1937, 129]; ეს თვალსაზრისი სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არ არის გაზიარებული [ბედოშვილი 2002, 205]. ამ დაკავშირების მთავარი ნაკლი ისტორიული კონტექსტის გაუთვალისწინებლობაა.

მ. ქალდანი და გ. მაჭავარიანი ქართულ **კლდე** სიტყვის შესატყვისად სვანურ **კოჯ**-ს მიიჩნევენ [ქალდანი 1955, 182; მაჭავარიანი 1965, 62; 64], რაც ძნელი გასაზიარებელია ფონეტიკური ხასიათის დაბრკოლებათა გამო.

ჩვენი აზრით, სვანური **კოჯ** ქართულ **კორძ**-ს უკავშირდება; ამ უკანასკნელის შესახებ ლექსიკონში წარმოდგენილ განმარტებებში გვაქვს როგორც საერთო, ისე განსხვავებული მომენტები: „ღლიათა და საზარდულთ ჯირკვალი [საბა, 1928, 174], „ჯირკველი, ხორცმეტი“ [ჩუბინაშვილი, 1964, 252]. „1. კვანძად გამაგრებული ამონაზარდი ადამიანის ან ცხოველის სხეულზე... || ავადმყოფური გამონაზარდი ხეზე, გამობურცული ნაწილი ჩამოსხმულ ნაკეთობაზე... 2. კვანძივით მაგარი, გამაგრებული“ [ქეგლ 1955, 1340].

კორძ სიტყვაში **რ** განვითარებულად მიიჩნევა, ხოლო **კოძ** ფუძის ფონეტიკური ვარიანტები უნდა იყოს **კვაძ** და **კუძ**, რომლებიც წარმოდგენილია შესაბამისად **კვანძ** და **კუნძ** სიტყვებში (**ნ**-ც განვითარებული ჩანს).

ქართული ***კოძ**-ის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია სვანური **კოჯ** „კლდე“. ქართული და სვანური სიტყვების საერთო მნიშვნელობა იქნება „ამობურცული, ამოზრდილი, ამოზიდული მაგარი, მსხვილი რამ (ძვალი, ხორცი, ქვა...)“. დასავლურ-ქართულ დიალექტებში გავრცელებული **კოჯე** || **კოჟე** || **კოჟი** „ქვიანი გორაკი, ბორცვი, მაღლობი“ სვანურ გავლენას მიეწერება.

მასალობრივ ქართულ **კუნძ**-ს უნდა უკავშირდებოდეს (მისი ფონეტიკური შესატყვისი) **კინჯ**-ო, რომელიც **-ჯგუა** თანდებულის დართვით შესიტყვებაში დასტურდება: **კინჯოჯგუა** კოჩი „დაბალი, ჩასხმული, ჩასკვნილი კაცი“ (ზედიწ. „მორგვივით, კუნძივით კაცი“).

დასკვნითი დებულებები

ზემოთ განხილული მოვლენები ქართველურ და ჩერქეზულ ენათა სისტემისა და ისტორიის ზოგ საკითხს შეეხებოდა. ისინი გაანალიზებული იყო, ერთი მხრივ, დამოუკიდებლად ქართველურ ენათა ჯგუფსა და ჩერქეზულ ენათა ქვეჯგუფში, მეორე მხრივ, — რიგ შემთხვევაში, სათანადო მოვლენის თვალსაზრისით ამ ენათა მიმართების საკითხიც დაისვა. ვფიქრობთ, რომ საკითხების ამგვარი განხილვა და მიღებული შედეგები ამ ენათა ისტორიულ-შედარებით კვლევას გაუწევს დახმარებას.

1. ქართველურ ენათა ფონემური შედგენილობა და ბგერათშესატყვისობანი შედარებითი ქართველური ენათმეცნიერების საკმაოდ კარგად დამუშავებულ სფეროდ მიიჩნევა. ამის მიუხედავად, არის საკითხები, რომელთა ანალიზი ჯერ კიდევ რჩება საკვლევაძიებო ამოცანად, მეორე მხრივ, ვერც ამ ენათა ფონემური შედგენილობისა და მათი სისტემური მიმართებების სხვაგვარი გააზრება გამოირიცხება (ვგულისხმობთ როგორც ფონემურ სისტემათა და შესატყვისობათა მთლიან სურათს, ისე მათი ცალკეული ელემენტების ახლებურ ინტერპრეტაციას).

ქართველურ ენათა ფონოლოგიური სისტემის ერთ ასეთ, საკამათო საკითხად ქართველურ ენათა ისტორიაში **ჟ** ფონემის ადგილის საკითხი და ამოსავალ ფონემურ სისტემაში ამ ფონემის ვარაუდი რჩება. მკვლევართა მეტი წილი, ვინც ამ ფონემას შეხებია (გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, თ. გონიაშვილი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, კ. ჰ. შმიდტი...) **ჟ**-ს საერთო-ქართველურ ფონოლოგიურ სისტემაში აღდგენას არ უჭერს მხარს, ან საეჭვოდ მიიჩნევს. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ მოყვანილია: ა) სალიტერატურო ქართულში ჟ-ს შედარებით ნაკლებ გავრცელებულობა, ბ) ზოგ შემთხვევაში ამ ფონემის აშკარად მეორეული ხასიათი, გ) **ჟ**-ს გამოყენება უპირატესად ლექსიკის გა-

რკვეულ ჯგუფში (წყლისა და წყლიანობის, ხმიანობის აღსანიშნავად, ანთროპონიმიკურ სახელებში...), რომლისგანაც ბევრი ნასესხები სიტყვაა, დ) ქართულის მეზობელ მონათესავე და არამონათესავე ენებში ჟ-ს მერყეევი ხასიათი და მეორეულობა, ე) ქართული ჟ-სათვის ზანურსა და სვანურში სათანადო შესატყვისობის დაუდასტურებლობა.

როგორც ჟ-ს მცირე გავრცელებულობასა და ლექსიკის შეზღუდულ ჯგუფში მის გამოყენებაზე მსჯელობენ, ასახელებენ 200-მდე სიტყვას. ახლა მათი რაოდენობა, ქართული ენის დიალექტების მონაცემთა გათვალისწინებით, შესაძლოა გაცილებით მეტი იყოს, მაგრამ არც ორასია მცირე რიცხვი. თავისთავად რაოდენობა ჟ-ს მეორეულობისათვის გადამწყვეტი არგუმენტი ვერ იქნება: ერთ-ორ სიტყვაშიც რომ გვქონდეს და სათანადო შესატყვისები დაეძებნოს, რომლებიც ქართველურ შესატყვისობათა საერთო სისტემაში დაიკავებს ადგილს, მისი აღდგენა ამოსავალი ვითარებისათვის მაინც შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ. ზოგ შემთხვევაში ჟ-ს მიღება სხვა ბგერათაგან (ი, ჲ...), ან სხვა ბგერაში (მაგალითად, ჯ-ში) გადასვლა, ასევე ბუნებრივი პროცესია, რაც სხვა ფონემებსაც, რომელთა ფონემურობაში ეჭვი არავის ეპარება, ახასიათებს. თუ მეზობელ (ან არამეზობელ) მონათესავე და არამონათესავე ენებში ჟ-ს მეორეულობა (სისინა და შიშინა სიბილანტების არსებობის პირობებში) თუ არაფონემური ბუნება დადასტურებული ფაქტია, ეს მნიშვნელოვანი არგუმენტი იქნებოდა, მაგრამ ამჟამად სპეციალისტები მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფში გამოყოფენ ჟ ფონემას; ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფი, რომლებშიც ჟ-ს ფონემურობა არსებულ სისტემებშიც და სავარაუდო, ამოსავალ სისტემაშიც არავითარ ეჭვს არ იწვევს. აქ ჟ-ს ორ მოდიფიკაციას — რბილსა და მაგარს, მტკიცე პოზიცია უკავია სინქრონული თვალსაზრისით და საერთო აფხაზურ-ადიღურ სისტემაშიც უეჭველად აღდგება. ამრი-

გად, საერთო-ქართველური ვითარების ტიპოლოგიური შემოწმება (ვერიფიკაცია) სიბილანტთა რიგში სიმეტრიულობის არსებობას უჭერს მხარს (თავისთავად, რასაკვირველია, ქართველური ფუძე-ენის, როგორც ცოცხალი, ბუნებრივი ენის, ცალკეული ელემენტების დეფექტურობა დასაშვებია, მაგალითად, ფარინგალურ რიგში).

მაინც მთავარი არგუმენტი **ჟ**-ს საერთო-ქართველურ სისტემაში აღსადგენად უნდა იყოს (შესატყვისობათა სისტემის შესაბამისად, ისეთი შესატყვისობის დადასტურება-წარმოჩენა, რომელიც **ჟ** ფონემას აღგვადგენინებს. შიშინა სიბილანტებში არსებული შესატყვისობა კი ისეთია, რომელიც ქართულ შიშინა სიბილანტის შესატყვისად ზანურსა და სვანურში სიბილანტი + უკანაენისმიერი ტიპის შესატყვისობას ვარაუდობს (მაგ., ქართ. **შ**ვიდი, **შ**ენი, **შ**უა, ზან. **შქ**ვითი, **სქ**ანი, **შქ**ა, სვან. იშგუ̈იდ, ისგუ, ისგა...); ამის შესაბამისად, ქართული **ჟ**-ს შესატყვისად ზანურში მოსალოდნელია **ჟგ** (**ზგ**) გვქონდეს.

ჩვენი აზრით, შესატყვისობა ქართ. **ჟ** : ზან. **ჟგ** წარმოდგენილია ერთ შემთხვევაში: ქართული **ჟ**ლეტა : ზანური **ჟგ**არტ-უა || **ჟგ**ართ-უა „მაგრად ცემა, დაბეგვა“ (შესაძლოა ეგევე ზმნური ფუძე გვქონდეს ქგდა-**ჟგარტ** || ქგდა-**ჟგართ** „მოწყვეტით დაეცა, დაეხეთქა“ სიტვის შემადგენლობაშიც). ივარაუდება, რომ ამოსავალი ფუძე ***ჟლეტ**- დაცულია ქართულში, რომლისგანაც მეგრულში მომხდარი რიგი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად **ჟგარტ**- მივიღეთ: ა) თანხმოვნის მომდევნო **ლ**-ს წინ გადმოსმა (მეგრულში თანხმოვანი + სონორი მიმდევრობის შეუძლებლობის გამო), ბ) წინ გადმოსმის შემდეგ პროცესი **ლ** → **რ** (თანხმოვნის წინ **ლ** დაუშვებელია), გ) კანონიერი გადასვლა ***ჟ** → **ჟგ**, დ) ***ე** → **ა** (როგორც ცნობილია, კანონზომიერი შესატყვისობისათვის ქართ. **ე** : ზან. **ა** ამოსავალია **ე**), ე) **ტ** → **თ** სიტყვის ბოლოს და ფაკულტატიური

მონაცვლეობა **ტ ~ თ**.

სრული სახით მომხდარი ცვლილებები ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: ***ჟლეტ-** > ***ჟგლატ-** > ***ჟგალტ-** > **ჟგარტ-** || **ჟგართ**.

თუ მხედველობაში მივიღებთ თვალსაზრისს, რომ **ჟლეტ-** ფუძეში **-ეტ** სუფიქსი შეიძლება გამოიყოს (ვ. თოფურია), მაშინ შესაძლოა **ჟლ-** ძირის შესატყვისად მივიჩნიოთ სვანური ზმნური ძირი **ჟგგ-** (ლი-**ჟგგ**-ნე „გამარგვლა, სარეველებისაგან ყანის გაწმენდა“, ა-**ჟგგ**-ნი „მარგლავს“); ივარაუდება, რომ აქ სვანურში მომხდარა პროცესი: ***ჟლ** > სვან. ***ჟგლ** > **ჟგ**.

საერთო-ქართველურში **ჟ**-ს აღდგენას მხარს დაუჭერს, აგრეთვე, შესატყვისობა ქართ. **ჟ** : ზან. **ჟ** (ფუძეში ველარული თანხმოვნის არსებობის პირობებში), რომელიც თითქოს წარმოდგენილია ერთ შემთხვევაში: ქართ. **ჟღრ-ობა** — მეგრ. **ჟღირ-აფა** „ჭკნობა“ (გ. კლიმოვი), თუ ეს მეგრული სიტყვა ქართულიდან არ არის ნასესხები.

2. შესატყვისობაში ქართ. სიბილანტი : ზან. სიბილანტი + უკანაენისმიერი ხშული ეს უკანასკნელი განვითარებულად მიიჩნევა. **ჭ**-ს განვითარების შემთხვევა თითქოს გვიანდელ ნასესხობაშიც შეინიშნება: მეგრ. **კალოშჭი** (შდრ. ქართ. **კალოში**), მეგრ. **ფეჩჭი**, ჭან. **პეჩკო** (შდრ. ქართ. **ფეჩი**).

უკანასკნელი შემთხვევის ახსნა მარტივად ხერხდება, რადგან რუსულში გვაქვს შესაბამისად **печь** და **печка**: პირველი ქართულში გავრცელებულ ფორმას უდევს საფუძვლად, მეორე — ზანურს.

ირკვევა, რომ რუსულს მოეპოვება ქართული **კალოშ**-ისა და მეგრული **კალოშჭ**-ის შესაბამისი ფორმებიც; უკანასკნელი, მართალია, რუსულ სალიტერატურო ენაში არ იხმარება, მაგრამ ის, როგორც დიალექტური ფორმა, დაფიქსირებულია რუსი ლექსიკოგრაფის ვ. დალის ცნობილ

ლექსიკონში калошки-ს სახით.

ამრიგად, ის, რაც, ერთი შეხედვით, ქართველურ ენათა ნასესხებ სიტყვაში წარმოდგენილი ბგერათშესატყვისობა ჩანდა, მასესხებელ ენაში არსებული ვარიანტები აღმოჩნდა; ამით დადასტურდა ის უდავო ჭეშმარიტება, რომ **ბგერათშესატყვისობა გარკვეული ისტორიული ეპოქის პროდუქტია და ახალნასესხებ მასალაში მისი გამოვლენა არ არის სავარაუდო.**

3. პროცესი **მ** → **უ** (→ **ვ**) ზანური ენის მეგრულ დიალექტში შენიშნულია ქართულიდან ნასესხებ მასალაშიც.

მეგრული **ჰუახე** || **ჰვახე** „მჟავე“, ერთი შეხედვით, ფონეტიკური შესატყვისია ქართული **წმახე** „მომჟავებული“ სიტყვისა; აქ თითქოს გვაქვს შესატყვისობა ქართ. **წ** : ზან. **ჰ**, მაგრამ ხმოვნებში შესატყვისობის უქონლობა და ქართულში პარალელურად **წმახე** || **ჰმახე** ფორმების არსებობა ამ თვალსაზრისს საეჭვოდ ხდის.

როგორც ჩანს, მეგრული **ჰუახე** || **ჰვახე** ნასესხებია და ქართულშივე დადასტურებული **ჰმახე** „მოძმარებული“ სიტყვის ფონეტიკური ადაპტაციის შედეგია: პროცესი **მ** → **უ** მოხდა თანხმოვნის მომდევნოდ, მეგრული ფონოტაქტიკის იმ წესის შესაბამისად, რომლის თანახმადაც ერთი მორფემის ფარგლებში არაკანონიკურია თანხმოვანი + სონორი **მ** ტიპის მიმდევრობა. პროცესი **მ** → **უ** ქართულიდან ნასესხებ კიდევ რამდენსამე მეგრულ სიტყვაში შეინიშნება: **ხუარება** || **ხვარება** (შდრ. ქართ. ხმარება < ჴმარება), **საქუარი** || **საქვარი** (შდრ. ქართ. საქმარი), **უქუი** || **უქვი** (შდრ. ქართ. უქმი), **სუენა** || **სვენა** (შდრ. ქართ. სმენა)...

მ-სა და **უ**-ს მიმართების თვალსაზრისით საყურადღებოა (ზემოთ განხილულის საწინააღმდეგო) პროცესი **უ** → **მ**, რომელიც ჩერქეზულ დინამიკურობის ნიშანში განხორციელებულა (ხმოვნის წინა პოზიციაში).

ასევე უნდა აიხსნას შესატყვისობა ქართ. **S** : ზან. **VS**; ზანურში ამ შემთხვევაშიც **არაბუნებრივი კომპლექსის (CS) დაძლევასთან** უნდა გვქონდეს საქმე.

4. ჩერქეზულ ენათა ვოკალიზმი ხმოვანთა სამწევრა (ხაზოვან) სისტემას წარმოადგენს, რომლებშიც ხმოვნები ღიაობის მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს: **ა** ყველაზე ღია ხმოვანია, **ჳ** — საშუალო ღიაობისა, **ჷ** — ყველაზე ნაკლებ ღია. ივარაუდება, რომ საერთო აფხაზურ-ადიღური დონის შესაბამისი ვითარება შენარჩუნებული აქვს აფხაზურ-აბაზურს, ე. ი. ჩერქეზული ვოკალიზმის სამწევრა სისტემა ორწევრა სისტემისაგან არის მიღებული.

საშუალო ღიაობის ხმოვანი ა ჩერქეზულ ენებში მიღებული ჩანს ყველაზე ღია ა ხმოვნისაგან პოზიციურად — ყველაზე ნაკლები ღიაობის მქონე ჷ ხმოვანთან ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით, ე. ი. უმლაუტის შედეგად. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ჩერქეზულ ხმოვანთა დისტრიბუციული ანალიზი.

ა) თუ სახელის ფუძის ბოლო მარცვალში გვექნება **ჷ**, წინა მარცვალში წარმოდგენილი იქნება **ჳ** (მაგ., ადიღ. **მაზჷ** „ტყე“): CV_2CV_3.

შეიძლება სახელის ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი **ჷ** სახელობითი ბრუნვის განსაზღვრულ ფორმაში დაკარგული იყოს (ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ყაბარდოულისათვის), მაგრამ მაინც წინა მარცვლის **ჳ** მისი მაასიმილირებელი გავლენის შედეგად მიიჩნევა (მაგ., **ბაშ** < ***ბაშჷ** „ჯოხი“ — შდრ. განსაზ. ფორმა **ბაშჷ**-რ): CV_2C < $*CV_2CV_3$.

ბ) სახელის ფუძის ბოლოსწინა მარცვალში **ა** გვექნება, თუ ბოლო მარცვლის ხმოვანია **ჳ** (მაგ., **მათჳ** „ჯალთა“): CV_1CV_2. სახელის განუსაზღვრელ ფორმაში დაკარგული

ბოლოკიდური ა (მისი დაკარგვა დამახასიათებელია ადიღეურისათვის) განსაზღვრულ ფორმაში შენარჩუნებულია (მაგ., **ნან** — განსაზ. **ნანარ** „დედა“).

გ) სახელის ფუძის ბოლოკიდური ა ხმოვანი **ა**-საგან არის მიღებული; მაასიმილირებელი გავლენა აქ სახელობითი ბრუნვისა და განსაზღვრულობის **-რგ** ფორმანტს მიეწერება, რომლის ხმოვნითი ელემენტი ამჟამად დაკარგულია, მაგრამ დაკარგვამდე ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი ა ა-დ უქცევია (მაგ., ***ნარგ** > ***ნარგ** > **ნარ** „თვალი“). სქემატურად ეს პროცესი შეიძლება ასე გამოისახოს: *CV_1 — $рV_3$ > CV_2 — $рV_3$ > CV_2 — р.

სახელობითი ბრუნვის განსაზღვრულ ფორმაში ჩამოყალიბებული ფუძის მოდელი (ბოლოკიდურში უმლაუტირებული ა-ს შემცველი). შემდგომ ანალოგიით გავრცელდა სახელობითი ბრუნვის განუსაზღვრელ ფორმაში და განუსაზღვრელი და განსაზღვრული ბრუნების სხვა ფორმებში (ერგატივში, მოქმედებითსა და გარდაქცევითში, მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში).

ჩერქეზულ სახელში განხორციელებული უმლაუტის პროცესი ტიპოლოგიურად სვანურ უმლაუტს მოგვაგონებს.

დ) ზმნის ფუძის ბოლოსწინა მარცვლეული ხმოვნის რაობა ბოლო მარცვლისეულ ხმოვანზეა დამოკიდებული (შდრ. სა**გ**ა**შ**გ „ვარიგებ“ და სა**ც**ა**ნტ**ა „ვღუნავ“). მაშასადამე, აქაც ხმნის ფუძის ბოლო ორ მარცვალში სახელის მსგავსი ვითარება დასტურდება: CV_2CV_3 და CV_1CV_2.

ე) კაუზატივის პრეფიქსის **ა** ხმოვნიანი და ა ხმოვნიანი ვარიანტების გამოვლენა მის მომდევნო ზმნის ძირისეულ ხმოვანზეა დამოკიდებული (შდრ. სა**ლ**აჯ**გ** „ვართვევინებ“ და სა**ლ**აჯ**ა** „ვაძახებინებ“).

ვ) ერთპირიან, **დინამიკურ**, გარდაუვალ ზმნებში III

სუბიექტური პირის ნიშნის სხვადასხვა ვარიანტის — **მა**-სა და **მა**-ს რეალიზაცია აუცილებლობით უკავშირდება ერთმარცვლიანი ზმნური ძირის **გ** და ა გახმოვანებას (შდრ. მალ´**გ** „იწვის“ და მაკ°ა „მიდის“); დინამიკურ ზმნათა აწმყოში, იმ პირობებში, როდესაც I და II პირის ნიშნები ფონეტიკურ ვარიანტულობას არ იჩენენ (გვაქვს ოდენ **სა**-, **უა**-, **თა**-, **ს´°ა**-), III სუბიექტური პირის ნიშანი ორი ფონეტიკური ვარიანტით წარმოგვიდგება, რაც მხარს უჭერს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ დინამიკურ ზმნებში წარმოდგენილი III სუბიექტური პირის ნიშანი **მა**- დინამიკურობის **უა**- ნიშნისაგან მომდინარეობს (გ. როგავა).

ზ) საუმლაუტე პოზიციას ქმნიან, აგრეთვე, მყოფადი პირველისა და მყოფადი მეორის მაწარმოებლები -**შთ** < -**შთგ** და -**ნ** < -**ნგ** (შდრ. **კ°აშთ**, **კ°ან** „წავა“ და **კ°ა შთგ**, **კ°ანგ**‘ „წავლენ“, შდრ. **კ°ალა** „წავიდა“).

თ) საუმლაუტე პოზიცია იქმნება, აგრეთვე, მასდარის -**ნ** < -**ნგ** მაწარმოებლების დართვისას (შდრ. თხ‘ან „წერა“ — სახ. თხ‘ანგრ, ერგ. თხ‘ანგმ, მოქმ. თხ‘ანგმჭა).

ი) ჩერქეზული პოტენციალისის სუფიქსური მაწარმოებლის (ადიღ. -**ს´°გ**, ყაბ. -**ჶგ**) წინ ზმნის ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი ა-ს სახით გამოვლინდება (მაგ., ადიღ. საკ°ა ს´°გ, ყაბ. სოკ°აჶგ „შემიძლია წავიდე“).

კ) საყურადღებოა ადიღეური ნამყო დროის მაწარმოებელი სუფიქსის -**ლა** და -**ლა** ვარიანტების გამოვლენა მისი მომდევნო სუფიქსური ელემენტების გახმოვანების კვალობაზე (შდრ. **კ°ალა** „წავიდა“ — ნამყო წინარეწარსული სრული **კ°ალალა** — ნამყო წინარეწარსული უსრული **კ°აშთგლალა** — ვარაუდობითი I **კ°ალაშთგ** — ვარაუდობითი II **კ°ალაშთგნ**).

აქ **უმლაუტი სუფიქსურ მორფემებშია განხორციელებული.**

თეორიული თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ა ~ ა ვითარებაში სხვადასხვაა როლი ზმნის **ძირისეული მორფემებისა** და **სიტყვაწარმოებითი აფიქსებისა**, ერთი მხრივ, და ფორმაწარმოებითი აფიქსებისა — **პირის ნიშნებისა**, მეორე მხრივ; პირველნი აქტიურად მონაწილეობენ ამ ვარიირებაში, მეორენი — რაიმე მონაწილეობას არ იღებენ.

ზემოთ განხილული ფაქტების საფუძველზე იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ **ისტორიულად ჩერქეზულ ენებში მოქმედებდა ხმოვანთა ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია — უმლაუტი**, რის შედეგადაც ყველაზე ღია **ა** ხმოვნისაგან ყველაზე ნაკლებ ღია **გ** ხმოვნის გავლენით მივიღეთ საშუალო ღიაობის ხმოვანი ა.

უმლაუტის პროცესი ისტორიულად მოქმედი პროცესია, ამიტომ მწყობრი სისტემა რიგ შემთხვევაში შერყეული ჩანს. ასე მაგალითად, ორზე მეტი მარცვლის შემცველ სიტყვაში გასარკვევია ბოლოდან მესამე (მეოთხე, მეხუთე...) მარცვლისეული ხმოვნის საკითხი, მაგრამ ამ პოზიციაში მისი განპირობებულობა მომდევნო ხმოვნისაგან არ ჩანს. ამ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ რთული შედგენილობის სიტყვასთან გვაქვს საქმე, და მათ შემადგენელ ფუძეთა ფონეტიკური სახე მარტივ სიტყვად ფუნქციონირებისას უნდა იყოს ჩამოყალიბებული; სავარაუდოა ანალოგიის კანონის მოქმედებაც.

ტიპოლოგიისა და არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით საინტერესოა ჩერქეზულ ენათა მეზობელი და მონათესავე სვანურის ვითარება, სადაც უმლაუტს ასევე ფართო გასაქანი მიეცა. მსგავსებასთან ერთად, ამ ენებს შორის არის განსხვავებაც: სვანურში უმლაუტს **ო** და **ე** ხმოვნები იწვევს, ჩერქეზულ ენებში — **გ** (**ო** და **ე** — „მარტივი ხმოვნები", ჩერქეზულ ენებს არ მოეპოვება). უნდა შევნიშნოთ, რომ არ გამოვრიცხავთ, რომ **გ** ხმოვანს სვანურშიც გამოეწვია უმლაუტი.

5. ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე ნაშრომში მიღებულია დასკვნა, რომლის თანახმადაც საერთო-ჩერქეზულს ადიღეურ და ყაბარდოულ ენებად დაშლის პერიოდში მოეპოვებოდა პრერუპტივები. უფრო ადრე კი — პრა-ჩერქეზულის განვითარების ადრინდელი საფეხურისათვის, პრერუპტივების მეორეულობა უნდა ვივარაუდოთ.

გარკვეულ შემთხვევაში პრერუპტივი ფშვინვიერი თანხმოვნებისაგან შემდგარი კომპლექსის გამარტივების შედეგად უნდა იყოს მიღებული. ასეთია მრავლობითი რიცხვის I პირის ნაცვალსახელის ძირისეული თანხმოვანი ადიღეური ენის ბჟედუღურ და შაფსუღურ დიალექტებში: შდრ. ბჟედ.-შაფს. **თ᾽** ა, ჰემგ.-აბძ. **თა**, ყაბ. **და** „ჩვენ“; ამ **თ᾽ / თ / დ**-ს შესატყვისად აფხაზურში **ჰ** გვაქვს, უბიხურში — **შ**: აფხ. **ჰარა**, უბიხ. **შგლ°ა** „ჩვენ“. ამ შესატყვისობისათვის ამოსავლად საერთო აფხაზურ-ადიღურ დონეზე ბგერითი კომპლექსი **თჰ** ივარაუდება, რომელსაც საერთო-ჩერქეზულში **თ᾽ჰ** უნდა მოეცა (***თჰ** > **თ᾽ჰ**), ხოლო ამ უკანასკნელისაგან გამარტივების (ფუძის ცვეთის) შედეგად მივიღეთ ბჟედუღურ-შაფსუღური **თ᾽**, ჰემგუურ-აბძახური **თ** და ყაბარდოული **დ** (ნაცვალსახელური ფუძისათვის: ***თჰა** > **თ᾽ჰა** > **თ᾽ა** > **თ᾽ა / თა / და**).

აღნიშნულ თვალსაზრისს მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ადიღეური ენის ბჟედუღურ დიალექტში წარმოშობით ფშვინვიერი + ფშვინვიერი ტიპის კომპლექსში შემავალი ფშვინვიერი ხშული ყველგან პრერუპტივად არის გარდაქმნილი (შდრ. მაგ., ბჟედ.-შაფს. **ფ᾽ხგ**, ჰემგ.-აბძ. **ფხგ**, ყაბ. **ფხგ** „წყალი“, **ხთ᾽გნ — ხთგნ — ხთგნ** „წვა“).

ბგერით კომპლექსში სპირანტის მომდევნო პოზიციაში ფშვინვიერი ხშულისაგან პრერუპტივის მიღება აიხსნება სპირანტის თვისებით — ჭარბად დახარჯოს ჰაერი, რის გამოც მომდევნო ხშულის წარმოთქმისათვის ცოტა ჰაერი

რჩება (ლ. შჩერბა, გ. როგავა). ბჟედუღურ დიალექტში ეს პროცესი მაშინაც ხდება, როდესაც სპირანტი კომპლექსში მეორე ადგილზეა. ვფიქრობთ, კომპლექსის მეორე წევრ ყრუ სპირანტსაც შეიძლება ისეთივე გავლენა ჰქონდეს წინამავალ ფშვინვიერ ხშულზე, როგორც — წინამავალს მომდევნოზე, რადგან ორსავე შემთხვევაში სპირანტი ერთი და იმავე მარცვლის წევრია.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღება მიექცა „რამდენის“ აღმნიშვნელ ნაცვალსახელს ჩერქეზულ ენებსა და დიალექტებში. ბჟედ. **თ'ჰაფშჲ** / ჰემგ.-აბძ. **თჰაფშჲ** / შაფს. **თჰაფშ** / ყაბ. **დაფს'ა**. სიტყვის თავში დისიმილაციის შედეგად **თჰ** კომპლექსისაგან **თ'ჰ** უნდა მიგვეღო, მაგრამ ყაბარდოულში (კომპლექსის გამარტივების პროცესში) პრერუპტივს **დ** უნდა მოეცა; ადიღეური ენის ჰუმგუურ, აბძახურ და შაფსუღურ დიალექტებში ამ მხრივ, როგორც ჩანს, ამოსავალი ვითარება შემოგვენახა.

ამრიგად, პრერუპტივის მიღების ერთ-ერთი წყარო უნდა ყოფილიყო თანხმოვანთა კომპლექსი. საზოგადოდ კი, **ჩერქეზული** (resp. **აფხაზურ-ადიღური**) **რთული კონსონანტიზმის ერთ-ერთ წყაროდ შესაძლოა თანხმოვანთკომპლექსები ვივარაუდოთ.**

6. შესატყვისობისათვის ჩერქ. **ლ'** (მჟღერი ლატერალი) : აფხ. **ჟ** ამოსავლად ჩერქეზულის ვითარებაა მიჩნეული, ხოლო შესატყვისობისათვის ჩერქ. **ლ'** : აფხ. **ლ** — აფხაზურ-აბაზურის ვითარება. უკანასკნელი შესატყვისობა თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში გვაქვს, ჩერქეზული ფონოტაქტიკის წესის შესაბამისად — თანხმოვნის მომდევნოდ დასაშვებია ლატერალი, მიუღებელია სონორი. ამიტომაა, რომ ამოსავალმა **ლ**-მ ჩერქეზულში, მოსალოდნელი **რ**-ს ნაცვლად, **ლ'** მოგვცა (შდრ. ჩერქ. **ბლ'ან** — აფხ. **აბგლრა**

„წვა“, ჩერქ. **ღა-ბლ′ა** — აფხ. **ამლა** „შიმშილი“).

მეორეული ლატერალი დასტურდება ჩერქეზულ ენათა კიდევ ერთ სიტყვაში — ადიღ. **მალ′აჭა** / ყაბ. **მაჟალა** „შიმშილობა“, სადაც ყაბ. **ჟ** < ***ლ′** და ადიღ. **ჭ** < ლ ამოსავალი არაკანონიკური მიმდევრობის ***ლ′ალ**-ის გარდაქმნის გზით: ***მა-ლ′ალ′ა** ყაბ. **მაჟალა** / ადიღ. **მალ′აჭა**.

7. იბერიულ-კავკასიური ენების სახელთა ფუნდამენტური მნიშვნელობის დაჯგუფება — პიროვნებისა და ნივთის კლასებად დაყოფა, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ყველა რგოლში მეტ-ნაკლებად ასახულია.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური დისტრიბუცია ძველ ქართულში:

1. **ჰყავს, უვის, ესუა** ზმნები მხოლოდ „ადამიანის ყოლას“ აღნიშნავენ. ამ მნიშვნელობით დასახელებული ზმნებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება **ესუა**, შემდეგ — **უვის**, ყველაზე ნაკლებ ხშირად — **ჰყავს**.

2. **უდგს (ედგა), უც, ედვა** ზმნები „ნივთის ქონას“ გამოხატავენ; მათგან:

ა) **უც, ედვა** „ცხოველის ქონების“ აღმნიშვნელად არ გამოიყენება — ეს ზმნები „არაცოცხალი საგნის“ მიმართ იხმარება.

ბ) **უდგს** (ედგა) თანაბრად აღნიშნავს როგორც „ცოცხალი ნივთის“, ისე „არაცოცხალის“ ქონას; ამასთან, „ცხოველის ქონის“ აღმნიშვნელად მხოლოდ **უდგს (ედგა)** გამოიყენება.

3. **აქუს** ზმნა **რა** ჯგუფის სახელის „ქონაზეც“ მიუთითებს და **ვინ** ჯგუფის სახელის „ყოლაზეც“; **აქუს** ზმნის ხმარებას ადამიანის ყოლის აღმნიშვნელად შემდეგი შეზღუდვები ახლავს:

ა) ეს ზმნა გაცილებით უფრო ხშირად იხმარება ნივთის მიმართ, ვიდრე — „ადამიანის ყოლის“ აღსანიშნავად,

ამასთან, **ვინ** ჯგუფის სახელის ყოლას უფრო ხშირად (დაახლ. 2-ჯერ) გამოხატავს „საკუთრივ“ ადამიანის ყოლის აღმნიშვნელი ზმნები (**ჰყავს**, **უვის**, **ესუა**).

ბ) I და II პირის „ყოლის“ აღმნიშვნელად **აქუს** ზმნა არ გამოიყენება.

გ) იგი კავშირებითში, როგორც წესი, არ გამოხატავს „ადამიანის ყოლას“ (გამოიყენება საკუთრივ „ადამიანის ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნა **ესუა**).

ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში აქუს **ზმნა** ნივთის მიმართ იხმარება.

4. ნივთი, რომლის „ქონას“ **აქუს** ზმნა აღნიშნავს, არის „არაცოცხალი“.

5. **უსხენ˹ან˺** (**ესხნეს**) ზმნა მაშინ გამოიყენება, როდესაც მრავლობითში დასმული სახელის „ქონა-ყოლაა“ აღსანიშნი, ამიტომ ის „ადამიანის ყოლის“ აღმნიშვნელადაც გვევლინება და „ნივთის ქონისაც“; ამასთან ეს ზმნა უფრო ხშირად „ადამიანის ყოლას“ გამოხატავს.

ამრიგად, **„ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი სემანტიკური ველის შიგნით ძველ ქართულში რელევანტურია დაპირისპირება ვინ ჯგუფის სახელებსა (პიროვნებასა, ადამიანსა) და რა ჯგუფის სახელებს (ნივთს) შორის**, რაც თავისთავად მეორეული, მაგრამ გრამატიკული კლასის ბინარული სტრუქტურით მოტივირებული მოვლენაა.

ძველი ქართულის ეს ვითარება ახალ ქართულში იცვლება და ამ ცვლილებას XII საუკუნიდან ეყრება საფუძველი. ამ მხრივ მეტად საგულისხმო ჩვენებას გვაწვდის „ვეფხისტყაოსანი“. **უვის** და **ესვა** (< ესუა) ზმნები, ძველი ქართულის მსგავსად, გამოიყენება „ადამიანის ყოლის“ აღმნიშვნელად, ხოლო **ჰყავს** და **აქვს** (< აქუს) ზმნებს ახალი ქართულისებური მნიშვნელობა მიუღია — პირველი ადამიანთან ერთად „ცხოველის ყოლასაც“ აღნიშნავს, მეორე კი მხოლოდ „არაცოცხალი ნივთის ქონას“ გამოხატავს. **უდგს** ზმნა ფონეტიკურადაც ცვლილა (უდგს > უთქს) და, ძველ

ქართულთან შედარებით, უჩვეულო კონტექსტშიც გვხვდება — ადამიანის ყოლის აღმნიშვნელადაც.

ახალ ქართულში, ზანურსა და სვანურში „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური განაწილება პრინციპულად ერთნაირია — ისინი ისეა განაწილებული, რომ **ცოცხალი** (სულიერი) და **არაცოცხალი** (უსულო) ერთმანეთს დაუპირისპირდეს: ცოცხალ საგნებთან სხვა ზმნა იხმარება (ქართ. **ჰყავს**, ზან. **ღუნს / უცოუნ**, სვან. **ხაყა**...), არაცოცხალთან — სხვა (ქართ. **აქვს**, ზან. **უღუ᷾ნ**, სვან. **ხულუა**...), ზოგიერთი „არაცოცხალი ნივთის“ (მაგ., „მანქანის“) კუთვნილების აღსანიშნავად ცოცხალი საგნისათვის გამოყენებული ზმნის ხმარება მეორეული გააზრების შედეგია.

ჰყავს ერთადერთია „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელ ზმნათაგან, რომლის ძირის შესატყვისები ორსავე ქართველურ ენაში მოიპოვება „ყოლის“ მნიშვნელობით, რაც ამ ზმნას საერთო-ქართველურ კუთვნილებად მოგვააზრებინებს (არნ. ჩიქობავა, გ. კლიმოვი). არცერთი სხვა „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი ძირი ერთი და იმავე მნიშვნელობით სამსავე ქართველურ ენაში არ ჩანს, რაც „გვაფიქრებინებს, რომ ცოცხალისა და არაცოცხალის (resp. ადამიანისა და ნივთის — ვ. შ.) გარჩევა ზმნის ფუძეებით მეორეული მოვლენა უნდა იყოს. თავდაპირველად ერთი ფუძე უნდა გვქონოდა ორივე მნიშვნელობით“.

„ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელ ზმნათა განაწილება ცოცხალ და არაცოცხალ საგნებს შორის, რაც ახალ ქართულში, ზანურსა და სვანურში დასტურდება, სიახლეა, „მესამეული“ მოვლენაა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი უცხო წრის ენათა გავლენას მიუძღვის, რომლებშიც სულიერისა და უსულოს დაპირისპირება არსებით მომენტად მოიაზრება.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან აფხაზურ-ადიღურ ენებში „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელად თითო ზმნა გამოიყენება: აფხაზურში ესაა **ამაზარა**, რომელიც პირისა და კლასის მიხედვით იცვლება; ეს ზმნა ნასახელარად არის მიჩნეუ-

ლი (ქ. ლომთათიძე). ჩერქეზულ ენებში „ქონა-ყოლისათვის“ ერთადერთი ზმნური ფუძე ცჳ- / > ც- გვაქვს, რომელიც წარმოშობით უკავშირდება „ყოფნის“ აღმნიშვნელ ფუძეს (გ. როგავა).

ბაცბური ენა „ქონა-ყოლას“ აღწერითად გადმოსცემს: მფლობელი სახელის მიმართულებითი ბრუნვა + მეშველი ზმნა „არის“ (ფლობის ობიექტის კლასის მიხედვით ცვალებადი) + ფლობის ობიექტი სახელობით ბრუნვაში (რ. გაგუა). ანალოგიური ვითარებაა ნახური ჯგუფის სხვა ენებშიც.

„ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნები არც დაღესტნურ ენებს მოეპოვება; აქაც სათანადო სემანტიკა აღწერითად გადმოიცემა — სხვადასხვა ბრუნვაში (ნათესაობითი, მიცემითი...) დასმული მფლობელი სახელისა და სახელობით ბრუნვაში დასმული ფლობის ობიექტის შეხამებით „ყოფნა“ ზმნასთან, რომელიც სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილი სახელის (ე. ი. ფლობის ობიექტის) კლასის მიხედვით იცვლება.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარება „ქონა-ყოლის“ გამოხატვის თვალსაზრისით გვაფიქრებინებს, რომ ამოსავალი ვითარება ამ მხრივ ნახურ და დაღესტნურ ენებშია წარმოდგენილი. სტრუქტურული ტიპოლოგიის მონაცემებიც ამ თვალსაზრისს უჭერს მხარს: „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნები მსოფლიოს მრავალ ენაში მეორეული წარმოშობისაა (ე. ბენვენისტი).

„ფლობის“ სემანტიკის განვითარება იბერიულ-კავკასიურ ენებში შესაძლოა სქემატურად ასე წარმოვადგინოთ: **პირველი საფეხური** — „მფლობელი“ სახელი + „ფლობის“ საგანი + „ყოფნა“ ზმნა (ფლობის საგნის შესაბამისად კლასების მიხედვით ცვალებადი); **მეორე საფეხური** — „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი ერთადერთი ზმნა, ფლობის საგანთან კლასში შეთანხმებული; **მესამე საფეხური** — „ვინ“ და „რა“ სემანტიკური ოპოზიციის შესაბამისად „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელ ზმნათა განაწილება.

ამ საფეხურებს (რასაკვირველია, მნიშვნელოვანი მო-

დიფიკაციებით) წარმოგვიდგენენ სხვადასხვა ჯგუფის ენები: **პირველს** — ნახური და დაღესტნური, მეორეს — აფხაზურ-აბაზური ენები, **მესამეს** — ძველი ქართული ენა (ჩერქეზული ენები ერთგვარ გარდამავალ ვითარებას გვიჩვენებენ მეორიდან მესამე საფეხურისაკენ). შესაძლებელია ცალკე — **მეორე** — საფეხურად გამოიყოს ახალი ქართულის, ზანურისა და სვანურის ვითარება (იგულისხმება ცოცხალისა და არაცოცხალის დაპირისპირების ასახვა „ქონაყოლის“ აღმნიშვნელ ზმნებში).

8. **პიროვნებისა** და **ნივთის** სემანტიკური ოპოზიცია ახალ ქართულში რეალიზებულია **-ია**ნ და **-ეულ** სუფიქსებით ნაწარმოებ სახელთა ერთ ჯგუფში, კერძოდ, პირის ნაცვალსახელებისა და ადამიანის აღმნიშვნელი სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე **-ია**ნ სუფიქსის დართვით **ვი**ნ ჯგუფის სახელს ვიღებთ, **-ეულ** სუფიქსის დართვით — რა ჯგუფის სახელს (შდრ. მაგ., ჩემ**ია**ნი და ჩემ**ეული**, დედის**ია**ნი და დედის**ეული**).

9. ჩერქეზულ ენებში ძირითადი სემანტიკური დაჯგუფებაა პიროვნებისა და ნივთის სახელებად დაყოფა: **ხ'ა**თ „ვინ“ და **სგდ / სგთ** „რა“.

ის გარემოება, რომ ადიღეურში (ბჟედ. დიალ.) ნივთის კლასის სახელების მიმართ გამოყენებული კითხვითი ნაცვალსახელი **ს'გდ** უბიხურში პიროვნების მიმართ ხმარებულ **შგ**-ს უკავშირდება, შეიძლება მიგვანიშნებდეს ამოსავალში ადამიანისა და ნივთის კატეგორიებისათვის საერთო ფუძის შემცველი და კლასნიშნებით განსხვავებული კითხვითი ნაცვალსახელის არსებობაზე.

ყაბარდოულ ენაში „ცოდნის, ცნობის“ აღმნიშვნელად, ადიღეურთან საერთო **ს'ა**- ძირთან ერთად, გამოიყენება **წგხ'**°- ფუძე და სათანადო ზმნა უახლოეს ობიექტად მხო-

ლოდ ადამიანის აღმნიშვნელ სახელებს შეიწყობს.

ჩერქეზულ ენებში **ვინ** და **რა** ჯგუფის სახელების სემანტიკური დაპირისპირების ფუნქციონირების მრავალი შემთხვევაა აღნუსხული (მ. კუმახოვი, ხ. დაუროვი, თ. ყუაშევა, ნ. გიშევი...). ბევრს მომავალი კვლევა გამოავლენს.

10. ზანური ენის მეგრული დიალექტის რამდენსამე სიტყვაში გამოიყოფა **-გა** ნაწილაკი. ესენია: მიმართებითი ნაცვალსახელები — **მიდგა** „ვინც“, **მუდგა** „რაც“, **ნამუდგა** || **ნამდგა** „რომელიც“, ადგილის ზმნისართები — **სოდგა** „სადღაც, სადაც“, **სოლედგა** „საიდანაც, საიდანღაც“.

აღნიშნულ სიტყვებში გამოყოფილ **-გა**-ს ი. ყიფშიძე ქართულ **-ღა** ნაწილაკთან აკავშირებდა. ამ დაკავშირებას რამდენიმე არსებითი ხასიათის დაბრკოლება ახლავს:

ა) უმთავრესია ის, რომ არა გვაქვს შემთხვევა, რომ საერთო-ქართველურ მასალაში ქართულ **ღ**-ს მეგრული (resp. ზანური) **გ** შეესატყვისებოდეს.

ბ) **-გა** ნაწილაკი არა გვაქვს ზანური ენის ჭანურ დიალექტში, ამიტომ, ბუნებრივია, მას საერთო-ზანურ მონაცემად ვერ მივიჩნევთ.

გ) მეგრული **-გა** ნაწილაკი მნიშვნელობით საკმაოდ განსხვავებულია ქართული **-ღა**-საგან: მნიშვნელობითა და ფუნქციით **-გა** ქართულ **-ცა**-ს უახლოვდება.

დ) მეგრულში **-გა**-ს პარალელურად და იმავე მნიშვნელობით გვხვდება ნაწილაკი **-თი**: **მითი** „ვინც“, **მუთი** „რაც“, **ნამუთი** „რომელიც“, **სოთი** „სადაც“, **სოლეთი** „საიდანაც“... ეგევე **-თი** სახეცვლილად წარმოდგენილია **მიდგა**, **მუდგა**, **ნამუდგა**, **სოდგა**, **სოლედგა** სიტყვებში, რომლებშიც ასეთი პროცესი ივარაუდება: ***-თი-გა** > ***-თგა** > **-დგა** (ი. ყიფშიძე). აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ორი ერთი და იმავე მნიშვნელობის ნაწილაკია გამოყენებული, და ისიც, რომ სათანადო სიტყვებზე დართვისას ჯერ საერთო-ზანური **-თი-ა** წარმოდგენილი, შემდეგ კი — **-გა** (ოდენმეგრული მონაცემი).

ე) საგულისხმოა, რომ მეგრულში (კერძოდ, ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში) გვხვდება რბილი **გ˝**-ს შემცველი **-გ˝ა** სახეობაც: **მიდგ˝ა, მუდგ˝ა, ნამუდგ˝ა, სოდგ˝ა, სოლედგ˝ა**...

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, ყურადღებას იქცევს აფხაზური **-გ˝გ** <**-გ˝ა** და უბიხური **-გ˝ა** „ცა“ ნაწილაკი, რომელსაც ფართო გამოყენება აქვს: გვხვდება სახელებშიც, ზმნებშიც, ზმნისართებშიც (ქ. ლომთათიძე, მ. კუმახოვი).

აფხაზურ-უბიხური **-გ˝ა** ნაწილაკი შესატყვისებს ჰპოვებს არა მხოლოდ ახლო მონათესავე აბაზურსა და ჩერქეზულ ენებში, არამედ სხვა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც (ნ. ტრუბეცკოი, ა. შაგიროვი).

ვფიქრობთ, აფხაზური **-გ˝გ** < ***-გ˝ა** (თუ უბიხური **-გ˝ა**) ნაწილაკი შეუთვისებია მეგრულ დიალექტს **-გ˝ა** || **-გა**-ს სახით, ხოლო საკუთრივ მეგრულ (საერთო-ზანურ) „**-ც(ა)**“-ს მნიშვნელობის მქონე ნაწილაკად რჩება **-თი**.

11. სუფიქსი **-ჲან** || **-ჲ** ჩერქეზულ ენებში აწარმოებს ხეთა სახელებსა და ტოპონიმებს (ნ. იაკოვლევი, დ. აშხამაფი, მ. კუმახოვი, ჯ. კოკოვი).

